საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
№14 (57)
21 - 27 აპრილი, 2010

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
info@geworld.net

# იგნორირებული ქვეყნის «თავისუფალი პრეზიდენტი»



2

პირველ რიგში: საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი (ზურგით), „თავისუფალი პრეზიდენტი“ მიხეილ სააკაშვილი და ბრაზილიის პრეზიდენტი ლუის ლულა დე სალვა; მეორე რიგში: ინდოეთის პრემიერ-მინისტრი მანმოხან სინგხი, თურქეთის პრემიერ-მინისტრი რეჯებ ტაიპ ერდოღანი და ნიგერიის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ჯონათან გუდლაკი.

## სიმართლე კატინის შესახებ იაკოვლევმა არ გამოაქვეყნებინა 19

## საქმე, რომელიც ნაყალბევი მასალებით «შეკერეს»

16



პოლიტპატიმარ-აკადემიკოს **ვლადიმერ ვახანიას** განცხადება საქართველოს სახალხო დამცველს ბატონ გიორგი ტუღუშს

**«VINCIT OMNIA VERITAS»**

«ჭეშმარიტება ყველაფერზე იმარჯვებს»

## «ასეტრინა ნა ვერტელე» წინასაარჩევნო სუფრაზე 11

## დააბრუნებს თუ არა «ბლოკ-ჯორჯია» სააავადმყოფოებიდან გატანილ ქონებას? 14

## აგვისტოს ომის ნაგება მხოლოდ კეზერაშვილს დაბრალდება 28

**მერაბიშვილმა კოდუას ცოლისძმა დაიჭირა** 5

**ხელისუფლება უნარ-შეზღუდულ მოზარდებსაც წილში უზის** 7

**„ქრისტიან-დემოკრატები“ «ნაციონალებს» თავფეხიანად დანებდნენ, მოდუნდნენ და სიამოვნებას იღებენ** 8

**იმაზე ძვირი, ამაზე დიდი, მტკვარზე გამართეს პლასტმასის ხიდი** 9

**გოგი თოფაძე: არ შეიძლება კუნთებზე ვიყუროთ და რუსებს ისე ველაპარაკოთ** 11

**სოფლის მეურნეობის სამინისტროში ნარკოტიკს პირდაპირ კაბინეტებიდან ჰყიდდნენ** 13

**რომის პაპამ პედოფილები დაიცვა** 28

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# იგნორირებული ქვეყნის «თავისუფალი პრეზიდენტი»



ჰუ იზ ჰუ?!

**მიხეილ სააკაშვილისთვის ესოდენ ნანატრი მოლაპარაკებები პრეზიდენტ ობამასთან არ შედგა, ხოლო იმისთვის, რომ ქართველი სტუმრის მიმართ გამოვლენილი დამოკიდებულების ზუსტი განსაზღვრება ვიპოვოთ, შეგვიძლია ამერიკულ პრესას გადავხედოთ. Washington Post-ის ფურცლებზე ჯექსონ დილი მწვავედ აკრიტიკებს ობამას სააკაშვილის იგნორირების გამო, ხოლო დენიელ ლარისონი, რომლის წერილს American Conservative აქვეყნებს, დილს უმტკიცებს, რომ ობამა სწორად მოიქცა, მაგრამ მთავარი მაინც, ალბათ, ისაა, რომ ორივე ავტორი თანხმდება იმაზე, რომ იგნორირებას ადგილი ნამდვილად ჰქონდა. მეტიც, ისინი იყენებენ ზმნა snub-ს, რომელიც აგდებულ, დამამცირებელ დამოკიდებულებას აღნიშნავს. თავისუფალ თარგმანში იგი შეიძლება გადმოიცეს როგორც ,,ზედაც არ დახედა“ ან სულაც ,,ფეხებზე დაიკიდა“, თუმცა ლინგვისტური ექსპერიმენტების დრო ახლა არ გვაქვს; თან ყველაფერი ისედაც ცხადია. 18 აპრილს სააკაშვილი პოლონეთის პრეზიდენტის, ლეხ კაჩინსკის დაკრძალვის ცერემონიალზე ჩავიდა, შემდეგ კი ისევ შტატებში გაემგზავრა.**

## ვერცხლის ზარების კოშკი

**„ასეთი სიცარიელე ადრე არასდროს გვიგრძვნია, თითქოსდა განადგურდა ყველა შუქურა, რომელიც ცხოვრების გზას გვინათებდა“,** — ნაკლებად „გაპიარებულმა“, თუმცა ძალზე გავლენიანმა ბრიტანელმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, ლორდმა ეშერმა ეს სიტყვები დღიურში 1910 წელს, მეფე ედუარდ VII-ს დაკრძალვიდან დაბრუნების შემდეგ ჩაწერა. ჩვენ საუბარი სხვა მასშტაბის ფიგურებსა და ისტორიულ მოვლენებზე გვექნება, თუმცა გამორიცხული არაა „ჟამთა ცვლის“ შეგრძნება, კრაკოვში შეკრებილი აღმოსავლეთ ევროპის „ახალი დემოკრატიების“ მმართველებისთვის დაახლოებით ასეთი ყოფილიყო. ამ შემთხვევაში წინა პლანზე კონკრეტული ადამიანის როლი კი არა, იმ ეპოქის დასასრული ექცევა, რომელსაც იგი განასახიერებდა.

ლეხ კაჩინსკის დაკრძალვის შემდეგ, ევროკავშირის ქვეყნების ლიდერები კრაკოვში არჩასვლის გამო ჩეხეთის პრეზიდენტმა ვაცლავ კლაუსმა გააკრიტიკა: **„საჰაერო ტრანსპორტის პრობლემებით შეიძლება, მაგალითად, კანადის ან ავსტრალიის ლიდერების არყოფნა ახსნა, თუმცა ყოვლად გაუგებარია, რატომ არ ჩამოვიდნენ პოლონეთის პრეზიდენტისთვის უკანასკნელი პატივის მისაგებად დასავლეთ ევროპისა და ბრიუსელის ლიდერები“.** აღსანიშნავია, რომ კანადისა და ავსტრალიისგან განსხვავებით, კლაუსს არ უხსენებია კიდევ ერთი შორეული, სხვა კონტინენტზე მდებარე ქვეყანა, რომლის „ბორტ №1“-ს ფრენების განხორციელება გაგანია ბირთვული ომის პირობებშიც კი შეუძლია, არათუ ვულკანის ამოფრქვევის დროს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ევროპის საჰაერო სივრცეში (Eurocontrol-ის 18 აპრილის მონაცემებს თუ დავეყრდნობით), დაახლოებით 5000 უპრობლემო ფრენა განხორციელდა. რაც შეეხება ევროკავშირის ცენტრალურ ფიგურებს, მათ სარკინიგზო ან საავტომობილო ტრანსპორტის გამოყენებაც შეეძლოთ, მაგრამ ისინი კრაკოვში არ ჩასულან.

რა იყო ამის მიზეზი: ვულკანის ამოფრქვევით გამოწვეული სირთულეები თუ პოლონეთისთვის მკაფიო (სისასტიკის ზღვარზე) მესიჯის გაგზავნის აუცილებლობა, იმის თაობაზე, რომ „ძველ ევროპას“ (და, შესაძლოა, ზოგადად დასავლეთს) აღარ სურს, რომ პოლონეთმა გააგრძელოს ის პოლიტიკა, რომლის ერთ-ერთი მთავარი სულისჩამდგმელი ლეხ კაჩინსკი იყო? **„პოლონეთი ისევ მარტოა, სად არიან სარკოზი, ბაროზო, ობამა?”**, — კვირას კრაკოვის ქუჩებში ასეთი ტრანსპარანტის ნახვაც შეიძლებოდა. პასუხის გამცემი არავინ ჩანდა.

ტრანსლაციის დროს, დაკვირვებულმა მაყურებლებმა ერთი საგულისხმო დეტალი დააფიქსირეს: ამერიკული “Humvee” მიათრევდა საბჭოთა ქვემეხს, „ЗИС-3“-ს, რომლის ლაფეტზე პოლონეთის პრეზიდენტის კუბო ესვენა. ვისაც დაავიწყდა, რას ნიშნავს აბრევიატურა „ЗИС” შეგვიძლია შევახსენოთ, რომ სხვა არაფერია თუ არა „Завод имени Сталина”. ლეხ კაჩინსკიმ უამრავი ენერგია შეალია ბრძოლას იმასთან, რაც იოსებ სტალინს უკავშირდება (ისტორიულ, პოლიტიკურ და სხვა ასპექტებში), მაგრამ, ალბათ, ვერასდროს წარმოიდგენდა, რომ ყველაფერი ასეთი ფინალური კადრით დასრულდებოდა. ისე, „ვოისკო პოლსკოს“ არსენალში ბევრი სხვა ქვემეხის მოძებნა შეიძლება, თუმცა ცერემონიის ორგანიზატორებმა უყურადღებობის ან სხვა ძნელად გასაშიფრი მოტივების გამო, უპირატესობა სტალინური არტილერიის სიამაყეს მიანიჭეს.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი წვერებიანი ანალიტიკოსი თბილისში მიიჩნევს, რომ მომხდარი ტრაგედია რუსეთ-პოლონეთის ურთიერთობების დაძაბვას გამოიწვევს, მსგავსი ტენდენცია ჯერჯერობით არ შეინიშნება. პირიქით, პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელი ბრონისლავ კომოროვსკი და კრაკოვის არქიეპისკოპოსი სტანისლავ ძივიში პოლონეთისა და რუსეთის შერიგებისა და დაახლოების აუცილებლობაზე საუბრობდნენ. **„დარწმუნებული ვარ, ჟესტები, რომლებიც ბოლო დღეებში გაკეთდა, პოლონელებისა და რუსების მხრიდან თბილი გრძნობების ტალღას გამოიწვევს. არსებობს შანსი, რომ ისინი ერთად ტრადიციულად რთულ ურთიერთობებში ახალ ეპოქას დაიწყებენ. თუ ეს მოხდება, მთელი ცენტრალური ევროპის რუკა გარდაიქმნება. წარმოუდგენელია, რომ რუსეთ-პოლონეთის შერიგებამ, რუსეთის მეზობელი ქვეყნების უსაფრთხოების გაზრდა არ მოიტანოს, იქნება ეს ესტონეთი, უკრაინა და თუნდაც საქართველო, რომელმაც 2008 წელს რუსეთთან ხანმოკლე ომი აწარმოა“,** — ეს ციტატა კი ზბიგნევ ბჟეზინისკის წერილიდანაა, რომელიც Time-ის ფურცლებზე გამოქვეყნდა. საერთოდ, ძნელია დედამიწის ზურგზე, ისეთი ექსპერტის მოძებნა, რომელიც რუსეთის მიმართ ბჟეზინსკიზე მეტად არაკეთილგანწყობილი იქნება, თუმცა იგი რეალისტია და არა — ფსიქოპატი, რომელიც გლობალურ პოლიტიკაში გამოკვეთილი ახალი ტენდენციების წინააღმდეგ მიცურავს. ყოველივე ამას არაფერი აქვს საერთო რუსეთთან მწვავე კონფრონტაციაზე აგებულ იმ კურსთან, რომელსაც ლეხ კაჩინსკი (და მისი მოკავშირეები პოსტ-საბჭოთა სივრცეში) ატარებდა.

18 აპრილს ლეხ კაჩინსკი მეუღლესთან ერთად კრაკოვის სამეფო სასახლის, ვაველის, „ვერცხლის ზარების კოშკის“ კრიპტაში დაკრძალეს. მიხეილ სააკაშვილმა ცერემონიის დასრულებას ძლივს მიუსწრო, რადგან ევროპის საჰაერო სივრცეში შექმნილი პრობლემების გამო, საკმაოდ გრძელი მარშრუტის გავლა მოუწია და, ოფიციალური განცხადების თანახმად, „ამერიკიდან ჯერ პორტუგალიაში ჩავიდა, შემდეგ იტალიასა და თურქეთში“, თუმცა პოლონურ Gazeta Wyborcza-ს თუ დავუჯერებთ, **კრაკოვში სააკაშვილის თვითმფრინავის ჩაფრენას მარშრუტის დაგრძელებისა და ზედმეტი კოლიზიების გარეშე, ხელი მისი „ადმინისტრაციის მეშვეობით მიწოდებულმა ფრენის არასწორმა გეგმამ“ შეუშალა.** გაუგებრობა საპარლამენტო დელეგაციის არშემდგარ ვიზიტსაც ახლდა. ჯერ სააგენტოებმა გაავრცელეს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ **„პოლონურმა მხარემ საქართველოს საპარლამენტო დელეგაციას ვარშავაში გამგზავრებისგან თავის შეკავების თხოვნით მიმართა“**, შემდეგ პარლამენტის აპარატმა ეს ინფორმაცია უარყო, თუმცა იქვე აღნიშნა, რომ დელეგაციის შემადგენლობა და სამგლოვიარო ცერემონიალში მისი მონაწილეობის ფორმა ბოლომდე დაზუსტებული არაა. ამ ფონზე პარლამენტარი დიმიტრი ლორთქიფანიძე განაწყენდა მისი დელეგაციის შემადგენლობაში არშეყვანის გამო; მეტიც, **„აღნიშნა, რომ გადაწყვეტილი აქვს, პროტესტის ნიშნად უარი თქვას პორტუგალიასთან მეგობრობის ჯგუფის თავმჯდომარეობაზე“** (GHN) (რა ეშველება საბრალო პორტუგალიას ამ ბუმბერაზი მოღვაწისა და ხალხთა მეგობრობის ბაირახტრის გარეშე!). საბოლოო ჯამში, ამდენი დავიდარაბის შემდეგ ისინი ვერსად გაფრინდნენ. მიზეზად ისევ საჰაერო სივრცეში შექმნილი სირთულეები დასახელდა, თუმცა არსებობის უფლება, ალბათ, კიდევ ორ ვერსიას აქვს: **ა) მათ უბრალოდ ვერ მოახერხეს შეცვლილ პირობებში ახალი მარშრუტის განსაზღვრა; ბ) პოლონურმა მხარემ მართლა გააკეთა ყველაფერი იმისთვის, რომ ცერემონიალში საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა მონაწილეობა მაქსიმალურად შეეზღუდა.**

მაგრამ ეს დეტალებია, მთავარი კითხვა კი, რომელიც ევრაზიაში აშშ-ს მარიონ... (უკაცრავად!) მოკავშირეების პოლიტიკურ მომავალს ეხება, ალბათ, შეიძლება ერნსტ ჰემინგუეის (და ჯონ დონის) სტილში ჩამოვაყალიბოთ: **„ვისზე რეკენ ვაველის ვერცხლის ზარები?“.**

## თეთრი გედის ჩახოხბილი

გლობალური საკითხებიდან ისევ მშობლიურ საბავშვო ბაღში გადავინაცვლოთ. 16 აპრილს ლევან გაჩეჩილაძემ რთული ტრაექტორია, რომლითაც წინასაარჩევნო პერიოდში მოძრაობდა, ერთი მარტივი განცხადებით დააგვირგვინა: **„მთელი ჩემი ენერგია ჩავდე გაერთიანებისა და ერთობლივი ბრძოლის საქმეში, მაგრამ არ გამოვიდა. ამიტომ მივიღე გადაწყვეტილება, რომ არ დავაყენო კანდიდატურა თბილისის მერის არჩევნებზე“. მან, აგრეთვე, განსაზღვრა მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში აქტიური ჩართვის წინაპირობაც: „ბატონმა გოგიმ, ირაკლი ალასანიამ და ბატონმა ზვიად ძიძიგურმა მოილაპარაკონ ერთ კანდიდატურაზე და მე მას დავუჭერ მხარს“.**

იმის პერსპექტივა, რომ ხსენებული ბატონები შეთანხმებას მიაღწევენ, ჯერჯერობით არ ჩანს. დღეს ისინი უფრო „Лебедь, рак да щука“-ს მოაგონებენ, კრილოვის იგავ-არაკიდან; გედი ამ სამეულში სხვებზე შთამბეჭდავად გამოიყურება, თუმცა, დანარჩენებისგან განსხვავებით, ბრძოლა მიზიდულობის ძალასთანაც უწევს. ასე რომ, შანსები 50/50-ზეა; თეთრი გედი ან შორს გაფრინდება, ან მისგან ბანალურ ჩახოხბილს დაამზადებენ (კიბორჩხალაზე ვერაფერს გეტყვით, გარდა იმისა, რომ ლუდს საოცრად უხდება).

შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე გარემოება, რომლის გამო საპროტესტო ელექტორატის ნაწილს ირაკლი ალასანიასთვის ხმის მიცემა არ სურს: **ა) რადიკალურად განწყობილებს, რომელთა მთავარ მიზანს ხელისუფლების შეცვლა წარმოადგენს, არ სჯერათ, რომ იგი შეძლებს რაიმე რეალური მოიმოქმედოს, თუ არჩევნები გაყალბდება. მათი განწყობა დაახლოებით ასეთია: „კი ბატონო, წავა სასამართლოში, ერთ-ორ მიტინგს მოაწყობს, ევროპაში საჩივრებს გააგზავნის და მერე რა?“ ბ) ანტიამერიკულად განწყობილი ამომრჩეველი ალასანიასა და „ალიანსის“ მიღმა ვაშინგტონის მორიგ პროექტს** ▶

საქართველო
გსურთ, გამოთქვათ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



ამერიკული „Humvee“ მიათრევდა საბჭოთა ქვემეხს, „ЗИС-3“-ს, რომლის ლაფეტზე პოლონეთის პრეზიდენტის კუბო ესვენა. ვისაც დაავიწყდა, რას ნიშნავს აბრევიატურა „ЗИС“ შეგვიძლია შევახსენოთ, რომ სხვა არაფერია თუ არა „Завод имени Сталина“. ლეხ კაჩინსკიმ უამრავი ენერგია შეალია ბრძოლას იმასთან, რაც იოსებ სტალინს უკავშირდება (ისტორიულ, პოლიტიკურ და სხვა ასპექტებში), მაგრამ, ალბათ, ვერასდროს წარმოიდგენდა, რომ ყველაფერი ასეთი ფინალური კადრით დასრულდებოდა. ისე, „ვოისკო პოლსკოს“ არსენალში ბევრი სხვა ქვემეხის მოძებნა შეიძლება, თუმცა ცერემონიის ორგანიზატორებმა უყურადღებობის ან სხვა ძნელად გასაშიფრი მოტივების გამო, უპირატესობა სტალინური არტილერიის სიამაყეს მიანიჭეს.

◀ ხედავს, რომლის განხორციელებაში მონაწილეობის მიღებას ცოცხალი თავით არ აპირებს; გ) ამომრჩეველი, რომელიც არ ენდობა ალასანიას პოლიტიკურ პარტნიორებს (კერძოდ „რესპუბლიკელებს“), ასევე არ ამჟღავნებს გამოკვეთილ სურვილს, მას რომ მხარი დაუჭიროს. დ) არიან ადამიანები, რომელთაც, უბრალოდ, აღიზიანებთ ალასანიას კომუნიკაციის მოუქნელი სტილი, მისი მუდმივი (ოდნავ პროვინციული) სწრაფვა, „ფრიადოსნად“ წარმოჩნდეს და ა.შ.

ყოველივე ეს ეხება არა მხოლოდ აქტიურ, მყარი პოზიციების მქონე, არამედ (და მეტწილად) პასიურ ამომრჩეველსაც, რომელიც არჩევნებზე არწასვლის მიზეზს ჩამოთვლილი მიდგომების ფარგლებში აყალიბებს.

იმ შემთხვევაში, თუ მოხერხდებოდა „ალასანიაზე, როგორც ერთიან კანდიდატზე“ შეთანხმების მიღწევა, ეს ადამიანები, ალბათ, გარკვეულ კომპრომისზე წავიდოდნენ და ხმას მისცემდნენ კიდეც. ახლა მხარს სხვა კანდიდატებს დაუჭერენ ან, რაც უფრო სავარაუდოა, უბრალოდ, სახლში დარჩებიან. შეიძლება არ ვიზიარებდეთ ამ ამომრჩევლების პოზიციებსა და შეხედულებებს, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ დღეს მათ მხარდაჭერას არა მხოლოდ დაგროვილი ხმების რაოდენობის მნიშვნელოვანი გაზრდა შეუძლია, არამედ მრავალრიცხოვანი, მაგრამ დაქსაქსული საპროტესტო ელექტორატის ერთიან, ძველად რომ იტყოდნენ, King-making power-ად („მეფეთა შემქმნელ ძალად“) გადაქცევაც. დღევანდელი გადასახედიდან კი მათი ხმების დაფანტვა და დაკარგვა დაბალი აქტიურობის გამო თითქმის გარდაუვალი ჩანს. **ლევან გაჩეჩილაძის გადაწყვეტილებამ, მართალია, შეაჩერა შემდგომი ფრაგმენტაციის პროცესი, თუმცა ხმების არცთუ უმნიშვნელო რაოდენობა, რომლის დაგროვება მას შეეძლო, არც ერთი სხვა კანდიდატის „ანგარიშზე“ ავტომატურად არ „ჩარიცხულა“. ასე რომ, პრინციპულად მნიშვნელოვანი გავლენა ხმათა საბოლოო განაწილებაზე, მას, სავარაუდოდ, არ მოუხდენია.**

ლევან გაჩეჩილაძის ხელახალი გააქტიურება კი, ალბათ, მას შემდეგ მოხდება, როდესაც არჩევნების შედეგები ეჭვქვეშ დადგება. ეს პრაქტიკულად გარანტირებულია, რადგან გაბერილმა საარჩევნო სიებმა ამისთვის საკმაოდ მყარი ნიადაგი შექმნეს. „ეროვნულმა ფორუმმა“ ცესკო-ს მონაცემებსა და ოფიციალურ სტატისტიკაზე დაყრდნობით გამოთვალა, რომ თბილისის მოსახლეობის 88 პროცენტი ამომრჩევლად ირიცხება, რაც არა მხოლოდ ლოგიკის, არამედ ბუნების კანონებსაც ეწინააღმდეგება. სხვა პარტიებმა სიებში უამრავი „მკვდარი სული“ და „ვირტუალური კორპუსი“ აღმოაჩინეს. ამას დაემატება დარღვევების კონკრეტული ფაქტები, რომელთაც 30 მაისს ადგილი ძალიან დიდი ალბათობით ექნება. ამის შემდეგ **ოპოზიციური (მათ შორის, არჩევნებისგან დისტანცირებული) პარტიების დიდი ნაწილი, სავარაუდოდ, არჩევნებს გაყალბებულად გამოაცხადებს და მხარდამჭერებს საპროტესტო აქციებზე გამოიყვანს.** ლევან გაჩეჩილაძე ავანსცენაზე, ალბათ, ამ ეპიზოდში გამოჩნდება. პრინციპში, შეგვიძლია მისი ქმედებების მოდელირებაც მოვახდინოთ. ჯერ თავს „რიგით ჯარისკაცად“ გამოაცხადებს, შემდეგ (გამორიცხული ნამდვილად არაა) ეგრევე მარშლის კვერთხს წაეპოტინება. შემდეგ... **ამ მოდელირების გაგრძელება უსასრულობამდე შეგვიძლია, თუმცა ბოლოს ისევ მივალთ ძალიან მარტივ კითხვამდე: „მერე რას ვაკეთებთ?“**

**დიმიტრი მონიავა**

# «პრეზიდენტის ტელეგამოსვლებს დაადონ სუბტიტრები. ისიც დაისვენებს და ჩვენც»

**სულ მალე საქართველოს კინოთეატრებში ფილმები პირველადი წარმოების ენაზე, ქართული სუბტიტრების დართვით გავა. ამასთან დაკავშირებით ცვლილებების შეტანა იგეგმება „ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ კანონში, რომელიც პარლამენტში ხელმეორედ შევიდა. მსგავსი კანონპროექტი პარლამენტში გასულ წელსაც შეიტანეს, მაგრამ პრეზიდენტმა უკან გაიწვია. წელს კი, როგორც ჩანს, სააკაშვილმა კინოთეატრებისთვისაც მოიცალა და აღნიშნული კანონპროექტის განხილვას პარლამენტში კვლავ აპირებენ. პოლიტიკური გადაწყვეტილება უკვე მიღებულია და, როგორც ყოველთვის, საპარლამენტო უმრავლესობა კანონპროექტს სამი მოსმენით დაამტკიცებს.**

**კანონპროექტში ნათქვამია, რომ დემონსტრატორის მიერ ფილმის კინოდარბაზში ჩვენება, მათ შორის, დოკუმენტურის და ანიმაციური ფილმისაც, შესაძლებელია მხოლოდ ფილმის პირველადი წარმოების ენაზე, ქართული სუბტიტრების დართვით.**

ამ ინიციატივას საზოგადოებისა და ოპოზიციის ნაწილი მაინცდამაინც აღფრთოვანებული არ შეხვედრია, რადგან მიაჩნიათ, რომ აღნიშნული ფაქტი ქართული ენის დისკრედიტაციას უწყობს ხელს. საპირისპირო არგუმენტი აქვთ ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ფილმების ორიგინალის ენაზე დემონსტრაცია უცხო ენის სწავლის საუკეთესო საშუალებაა.

**არის თუ არა აღნიშნული ინიციატივა უცხო ენის შესწავლის საუკეთსო საშუალება, ამაზე საუბარი ძნელია.**

**პოლიგლოტისთვის ფილმების ორიგინალის ენაზე ყურება სასიამოვნოც კია, მაგრამ რა ქნან იმ ადამიანებმა, რომლებმაც ენები არ იციან? ძნელია, ფილმს უყურო და თან ტიტრები იკითხო. ქალაქში უკვე ხუმრობენ — გუშინ მაგარი ფილმი წავიკითხეო.**

სულაც არ ეხუმრებათ კინოთეატრების მფლობელებს, რადგან აღნიშნულ კანონპროექტთან ერთად პარლამენტში შესულია „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილებების პროექტი, რომელიც შესაბამისი პირობების დარღვევისთვის ჯარიმას აწესებს. კერძოდ, კინოთეატრების მიერ ფილმის არაპირველადი წარმოების ენაზე ჩვენების ან სუბტიტრების პირობების დაუცველობის შემთხვევაში კინოთეატრის პატრონი 1500 ლარით დაჯარიმდება; იმავე ქმედების გამეორებისას — 3000 ლარით, ხოლო თუ ჭკუაზე არ მოეგება და მესამედ და მეტჯერაც გაიმეორებს, უკვე 10 000 ლარის გადახდა მოუწევს.

„საქართველო და მსოფლიო“ შეეცადა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საზოგადოების აზრი გაეგო და ამ მიზნით ბლიცგამოკითხვა ჩაატარა.

**გიორგი შავერდაშვილი, სტუდენტი:**

— კარგი იქნება, რომ კინოთეატრებში მშობლიურ ენაზე გადიოდეს ფილმები, მაგრამ ჯერ არ მინახავს ნორმალურად გახმოვანებული უცხოური ფილმი. ქართულად გახმოვანებული ფილმების ყურებას მირჩევნია, ისევ ტიტრები წავიკითხო.

**ნანი ბზიკაძე, სტომატოლოგი:**

— ძალიან მომწონს რუსულად დუბლირებული ფილმები, რადგან მაღალ დონეზეა შესრულებული. რაც შეეხება ინგლისურენოვან ფილმებს, ხალხმა ჯერ ისე არ იცის ინგლისური, რომ ფილმებს უყუროს.

**მაია მამაცაშვილი, დიასახლისი:**

— კარგი იქნება, ფილმებს ორიგინალში თუ გაუშვებენ. დავიტანჯე ამ არაპროფესიული გახმოვანებით. ჯერ ერთი, მსახიობების ხმა მაღიზიანებს, ყველაზე საზიზღრობა კი ის არის, რომ ინტონაციებითაც არ ლაპარაკობენ.

**გივი მაისურაძე, პედაგოგი:**

— ეს ხომ ქართული ენის დისკრედიტაცია და შეურაცხყოფაა. შე, დალოცვილო, ენა არ გვაქვს თუ რა?! გავუფრთხილდეთ ქართულ ენას, თორემ, როცა ღმერთი ამხელს, ჩვენც მივყვებით მხილებულებს ამ ენის დაწუნებისთვის.

**ლიკა ბიჩინაშვილი, სტუდენტი:**

— საქართველოში ფილმებს ძალიან უნიჭოდ ახმოვანებენ. ქართული ნორმალურად არ იციან, გრამატიკის ხომ საერთოდ აზრზე არ არიან. რამდენიმე პერსონაჟს ერთი მსახიობი ახმოვანებს და ამის გამო ხმის შეცვლას ცდილობს, რაც საზიზღრობაა. არაბუნებრივად გამოხატავენ ემოციებს ან საერთოდ არ გამოხატავენ და ისე მონოტონურად მეტყველებენ, თითქოს სადგურში მატარებლის შემოსვლას გვაუწყებენ.

**ალექსანდრე აკობია**

**P.S. მართალია მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ამბობს, ფილმს ვუყურო თუ ტიტრები ვიკითხოო... თანაც პრაქტიკამ გვაჩვენა, რომ მოუხერხებელია ფილმის მსვლელობისას ტიტრების კითხვა, რადგან შრიფტი წვრილია, უხარისხო (ხშირად ბუნდოვანი) და, რაც მთავარია, სწრაფად იცვლება. შეეჩვევა თუ არა ქართველი მაყურებელი სუბტიტრებიანი ფილმების ყურებას, დრო გვიჩვენებს.**

## მოკლედ



### მიცვალებული მერი

**ტენესის შტატის ქალაქ ტრეისისიტის მერად მიცვალებული აირჩიეს.** 55 წლის კარლ გირი, რომელიც დაახლოებით ერთი თვის წინ გარდაიცვალა, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ქალაქის მერობის კანდიდატად დარეგისტრირდა. გაუმართლა კიდეც, ოღონდ — სიკვდილის შემდეგ. ქალაქის მოსახლეობა ამბობს, რომ ახლანდელ მერს ბარბარა ბროკს, რომელიც კვლავ იყრიდა კენჭს ამ თანამდებობაზე, მიცვალებული ურჩევნიათ. ამ ლოგიკით დიდი წარმატებით შეგვიძლია, თბილისს ღირსეული მერი შევურჩიოთ.




### ისტორიული რეკორდი

**მიუხედავად ეკონომიკური კრიზისისა, შოტლანდიური ვისკის ექსპორტმა 2009 წელს თავისი არსებობის ისტორიაში ყველაზე მაღალ მაჩვენებელს მიაღწია.** ექსპორტის საერთო რაოდენობამ 1,1 მილიარდი ბოთლი, საერთო ღირებულებამ კი — 4,85 მილიარდი დოლარი შეადგინა. შოტლანდიურ ვისკზე ბრიტანული კვების პროდუქტებისა და სასმელების მთელი ექსპორტის მეოთხედი მოდის. სამაგიეროდ, ბრიტანეთის შიდა ბაზრებზე შოტლანდიური ვისკის გაყიდვები 11%-ით შემცირდა და 92 მილიონ ბოთლზე დავიდა.



### რუსეთს „BBB“ სტატუსი მიანიჭეს

**საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო „Fitch“-მა რუსეთს „BBB“ რეიტინგი მიანიჭა „სტაბილურის“ პროგნოზით.** ამის თაობაზე ნათქვამია გერმანიის ეკონომიკის აღმოსავლეთ კომიტეტის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში. აღნიშნული ორგანიზაცია ევროპის ქვეყნებში გერმანიის ეკონომიკის ინტერესებს წარმოადგენს. მიუხედავად რეცესიისა, „Fitch“-ის მონაცემების მიხედვით, რუსეთში საბანკო კრიზისის ნიშნები არ არის, ხოლო რუსეთის ხელისუფლების მიერ გატარებული ანტიკრიზისული ღონისძიებები წარმატებული იყო.




### ვიწყებთ ლარიზაციას

**საქართველოს ეროვნული ბანკი წლინახევრის მანძილზე უცხოურ ვალუტაში გახსნილი ყველა საბანკო ანაბრისა და კრედიტის ეროვნულ ვალუტაში გადატანას აპირებს.**

როგორც ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ქადაგიძემ ბრძანა, დიდი ლარიზაცია იწყება, რაც იმას ნიშნავს, რომ კრედიტები მხოლოდ ლარში გაიცემა, დეპოზიტები კი მხოლოდ ლარში მიიღება. მისი თქმით, ეს კრედიტულ აქტივობას აღადგენს და საკრედიტო რესურსებს უფრო ხელმისაწვდომს გახდის.



### სააკაშვილმა პრეზიდენტები მოიმდურა

**მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ლიდერი საფრთხეს მოერიდა და პოლონეთის ტრაგიკულად დაღუპული პრეზიდენტის — ლეხ კაჩინსკის დაკრძალვაზე არ წავიდა,** საქართველოს პრეზიდენტმა კი არნახული თავგანწირვა გამოიჩინა და გარდა იმისა, რომ აშშ-ში ვიზიტი შეწყვიტა, კრაკოვში ხუთი ქვეყნის გავლით, მაგრამ მაინც ჩავიდა. პოლონელებმა ლოგიკური კითხვა დასვეს, თუ ამან შეძლო, სხვებმა რატომ ვერ მოახერხეს, ფერფლი მარტო მათ უშლიდათო? მსოფლიო ლიდერებს კი ეს აშკარად არ ესიამოვნათ.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ნეშტი და ფერფლი

**ევროპის ცა შავმა ღრუბელმა დაფარა. ისლანდიიდან სამხრეთისკენ დაძრულმა ფერფლის სქელმა ფენამ მუდმივად შეშფოთებულ და პოლონეთის პრეზიდენტისა და მისი თანმხლები პირების ტრაგიკულად დაღუპვით შეძრწუნებულ ევროპელებს ახალი თავსატეხი გაუჩინა. ჯერ მხოლოდ იმაზე წუხან, რომ თითქმის მთელი ევროპის ცა საჰაერო მიმოსვლისთვის დაიხურა. მუქი ნაცრისფერი ხშირი ღრუბელი დაახლოებით 8,5 კილომეტრზეა ასული და ქვისა და სილიკატების ნაწილაკებს შეიცავს, რაც საფრთხეს უქმნის თვითმფრინავების ძრავებს. ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტო „ევროკონტროლი“ ორიოდე დღის წინ მთელი საჰაერო სივრცის პარალიზებას იუწყებოდა. ევროპულ ავიაკომპანიებს სხვადასხვა მიმართულებით 22 ათასამდე რეისი უნდა შეესრულებინა. იმის გათვალისწინებით, რომ ვულკანური ფერფლი ევროპის თავზე შესაძლოა კიდევ 4-5 დღეს დარჩეს, ძნელი მისახვედრი არ არის, რა ზარალი მიადგათ ავიაკომპანიებს მთელ მსოფლიოში.**



ძალიან ვწუხვარ 97 ადამიანისა და მათ შორის, პრეზიდენტ კაჩინსკის დაღუპვის გამო და უადგილო ირონიაში ნუ ჩამომართმევთ, თუ ვიტყვი, რომ სიკვდილშიც არ ჰქონია ბედი. რასაკვირველია, პოლონელებისთვის (და არა მარტო მათთვის) ამ დიდი მწუხარების დღეებში მთელ მსოფლიოს გაუჩნდა ვარშავაში ჩასვლისა და თანაგრძნობის გამოხატვის სურვილი. მაგრამ ზემოხსენებული პრობლემა დიდ წინაღობად იქცა და ძალიან ბევრი ქვეყნის დელეგაციამ იქ ჩასვლა ვერ მოახერხა. მათ შორის არის საქართველოს საპარლამენტო დელეგაციაც, რომელსაც პოლონურმა მხარემ ვარშავაში გამგზავრებისგან თავის შეკავების თხოვნით მიმართა.

მაგრამ, ჩვენს შემთხვევაში, ფერფლი არაფერ შუაშია. სააგენტო „პირველმა“ შეიტყო: პოლონეთის საელჩომ პარლამენტს მიმართა და იმის გათვალისწინება სთხოვა, რომ **„პოლონეთში სხვადასხვა ქვეყნებიდან პრეზიდენტის დაკრძალვაზე უამრავი დელეგაცია ჩადის და არსებობს ტექნკური პრობლემები, რომელიც, მეტწილად, ჩასული სტუმრების დაბინავებას უკავშირდება“.**

რა გამოდის? სანამ ვულკანური ფერფლი ევროპის ცას სრულად დაფარავდა, ქართველ პარლამენტარებს მანამდე სთხოვეს, ვიცით, რომ ძალიან განიცდით და პირადად მოსამძიმრების სურვილი გკლავთ, მაგრამ იქნებ გასვენებაზე ჩამოსვლისგან თავი შეიკავოთო.

რა თქმა უნდა, ეს ამბავი (წაუსვლელობა) ყველაზე მეტად დაამწუხრებდა საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთ ლიდერს — ელდარ კვერნაძეს, რომელიც თავს არ ზოგავდა ქართული დელეგაციის დასაკომპლექტებლად. ბუნებრივია, მან ძალიან კარგად იცოდა წაუსვლელობის მიზეზი, მაგრამ წარმოუდგენელი თავშეკავება გამოიჩინა და მხოლოდ ის აღნიშნა, რომ **„პოლონელ ხალხს საქართველოს სახელით მხოლოდ პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მიუსამძიმრებს“.**

იმ დროისთვის პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე რამდენიმე პარლამენტარის თანხლებით ავღანეთში იმყოფებოდა და ისიც არავინ იცოდა, რა გადაწყვეტილება უნდა მიეღოთ ამ მათთვის არც თუ სასიამოვნო თხოვნასთან დაკავშირებით.

მეორე დღეს, ანუ 17 აპრილს, ცნობილი გახდა, რომ საქართველოს პარლამენტიდან დაკრძალვის ცერემონიაზე მხოლოდ პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე, ვიცე-სპიკერები გიგი წერეთელი და რუსუდან კერვალიშვილი და მათთან ერთად უმცირესობის ლიდერი გიორგი თარგამაძე გაემგზავრებოდნენ.

როგორც ხედავთ, ვულკანური ფერფლი და ღრუბელი არაფერ შუაშია. უმცირესობის ლიდერმა გიორგი თარგამაძემ „პირველს“ ისიც განუცხადა, რომ **„მან ჯერ კიდევ ავღანეთში ყოფნისას შეიტყო, რომ თავად პოლონური მხარის თხოვნით, ჩამსვლელ პირთა რაოდენობა მაქსიმალურად უნდა შეზღუდულიყო, რის გამოც პარლამენტის წევრები პოლონეთში ვეღარ მიემგზავრებოდნენ“.** პარლამენტის ვიცე-სპიკერის — გიგი წერეთლის განცხადებით კი, **„საქართველოს პარლამენტის ოთხი წარმომადგენელი და მათთან ერთად რამდენიმე წევრი მთავრობიდან ვარშავაში მხოლოდ იმ შემთხვევაში გაემგზავრებიან, თუკი ფრენებთან დაკავშირებული პრობლემები არ იქნება“.**

მოგვიანებით იმავე გიგი წერეთელმა დაადასტურა, რომ საპარლამენტო დელეგაცია ვარშავაში ვეღარ გაემგზავრებოდა: **„პარლამენტიდან პოლონეთში გამგზავრებას დიდი დელეგაცია აპირებდა, თუმცა იმის გამო, რომ ვარშავაში ძალიან ბევრი ადამიანი ჩადის, ხორციელდება უამრავი თვითმფრინავის მიღება, დელეგაციების გატარება და ა.შ. გარკვეული ტექნიკური და ლოჯისტიკური სახის პრობლემები შეიქმნა. როგორც ჩანს, საპარლამენტო დელეგაციის გამგზავრებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება პოლონური მხარისა და ასევე პოლონეთში საქართველოს საელჩოს თხოვნას უკავშირდება. კრაკოვში საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი წარმოადგენს“.**

მიუხედავად იმისა, რომ თვით გიგი წერეთელიც კი ადასტურებს **„გარკვეული ტექნიკური და ლოჯისტიკური სახის პრობლემების“** არსებობას, პარლამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტმა არა მარტო უარყო ეს ფაქტი, არამედ სპეციალური განცხადებაც კი გაავრცელა, რომელშიც საინფორმაციო სააგენტოები „პირველი“ და „ინტერპრესნიუსი“ არასწორი ინფორმაციის გავრცელებაში დაადანაშაულა და განაცხადა, რომ პოლონურ მხარეს საქართველოს საპარლამენტო დელეგაციისთვის ვარშავაში გამგზავრებისგან თავშეკავების თხოვნით არ მიუმართავს.

**„იმის გამო, რომ პოლონეთის მხარეს ჯერ კიდევ არ მიუღია საბოლოო გადაწყვეტილება როგორც ვარშავაში, ისე კრაკოვში გასამართი სამგლოვიარო ცერემონიალის საორგანიზაციო დეტალებზე, ბოლომდე არც საქართველოს დელეგაციის შემადგენლობა და მისი მონაწილეობის ფორმაა დაზუსტებული. ამ ეტაპზე დადასტურებულია მხოლოდ ის, რომ კვირას დაკრძალვის ცერემონიალს კრაკოვში საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დაესწრება. რაც შეეხება შაბათს ვარშავაში გასამართ სამგლოვიარო ცერემონიას, თუკი პოლონეთის ხელისუფლება გადაწყვეტს, რომ ეს იყოს მხოლოდ ეროვნული ღონისძიება, მაშინ ვარშავაში არც ერთი ქვეყნის, მათ შორის, არც საქართველოს წარმომადგენლობა არ ჩავა. კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ, თუკი ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებენ, ეს შეეხება ყველა უცხოელ სტუმარს და არა მხოლოდ საქართველოს დელეგაციას. მაგრამ, თუ ამ სამგლოვიარო ცერემონიალზე შესაძლებელი იქნება უცხოელი სტუმრების დასწრება, მასში აუცილებლად მიიღებს მონაწილეობას საქართველოს მხარე**“, — ნათქვამია განცხადებაში.

გთხოვთ, მიაქციოთ ყურადღება განცხადების ერთ ფრაგმენტს, ოღონდ გაითვალისწინეთ, რომ ეს განცხადება 16 აპრილს გავრცელდა: **„პოლონეთის მხარეს ჯერ კიდევ არ მიუღია საბოლოო გადაწყვეტილება როგორც ვარშავაში, ისე კრაკოვში გასამართი სამგლოვიარო ცერემონიალის საორგანიზაციო დეტალებზე“.** ლაპარაკია უკვე 17 აპრილს (ვარშავაში) და 18 აპრილს (კრაკოვში) გასამართ ცერემონიალზე.

ვინმეს წარმოუდგენია, რომ, მიუხედავად თავზარდაცემულობისა, რაც სრულიად ბუნებრივია, პოლონეთის ხელისუფლებას „სამგლოვიარო ცერემონიალის საორგანიზაციო დეტალებზე“ წინა დღეს არ მიეღო საბოლოო გადაწყვეტილება, მით უფრო, რომ ლაპარაკია არა უბრალოდ „დეტალებზე“, არამედ იმაზე, თუ ვინ მიიღებს მონაწილეობას ამ ცერემონიალში და სად განათავსებენ დამწუხრებული პოლონელების ჭირის გამზიარებელ სტუმრებს.

რაც შეეხება პრეზიდენტ სააკაშვილის დაკრძალვის ცერემონიალზე დასწრებას, სრულიად ბუნებრივია, რომ მან აშშ-ში ვიზიტიც კი შეწყვიტა (ალბათ, აქ ჯობდა სიტყვა „დაასრულა“ გვეთქვა, რადგან ვაშინგტონში ბირთვული უსაფრთხოების სამიტიც დამთავრდა და შესაძლებლობისდამიხედვით გახერხებული შეხვედრებიც გაიმართა, მაგრამ სიტყვა „შეწყვიტა“ განსაკუთრებულ ეფექტს ახდენს!) და პორტუგალიის, იტალიის, თურქეთის და რუმინეთის გავლით ჯერ ვარშავაში ჩაფრინდა, იქიდან კი კრაკოვში გაემგზავრა.

კიდევ უფრო გაუგებარია განცხადების ის ნაწილი, რომელიც გვაუწყებს, რომ, **„თუკი პოლონეთის ხელისუფლება გადაწყვეტს, რომ ეს იყოს მხოლოდ ეროვნული ღონისძიება, მაშინ ვარშავაში არც ერთი ქვეყნის, მათ შორის, არც საქართველოს წარმომადგენლობა არ ჩავა“.**



რას ნიშნავს „მხოლოდ ეროვნული ღონისძიება“, როდესაც ლაპარაკია არა უბრალოდ სამგლოვიარო ცერემონიალზე, არამედ ტრაგიკულად დაღუპული პრეზიდენტისა და მისი მეუღლის დაკრძალვაზე? ეს დაახლოებით იგივეა — კიდევ ერთხელ გთხოვთ, ირონიაში ნუ ჩამომართმევთ — გასვენება საოჯახო ღონისძიებად გამოაცხადო და სამძიმრის მიღება, ნათესავების გარდა, არავისგან ისურვო.

**პოლონეთის მხარეს უცხოელებისთვის მისამძიმრება კი არ აუკრძალავს, არამედ სრულიად გასაგებად გვითხრეს, ვიცით, რომ ძალიან განიცდით, მაგრამ გთხოვთ, ნუ შეწუხდებით, ბევრნი ნუ ჩამოხვალთ, ისედაც ვიცით, რომ ჩვენზე არანაკლებ თქვენ დაგზაფრათ ევროპაში ერთადერთი მოჭირნახულის ტრაგიკულად დაღუპვამო.**

გაუგებარია, რატომ უნდა სწყენოდათ ეს თავაზიანი გაფრთხილება ქართველ კანონმდებლებს. ნუთუ საქართველოში არასოდეს უნახავთ გასვენებაში დაპატიჟებულზე გაცილებით მეტი სტუმრის დანახვით შეწუხებული ჭირისუფალი?

არც ამ შემთხვევაში ვლაპარაკობ ირონიულად და არაფერ შუაშია ქელეხი და მისი ხარჯები. ჩვენმა კანონმდებლებმა, რომლებსაც ჰამურაბსა და დავითზე მეტადაც კი მიაჩნიათ საკუთარი თავი, წესით, უნდა იცოდნენ, რომ საკუთარი თავის პატივისმცემელ ქვეყანას, რომელიც უმძიმესი განსაცდელის დროსაც კი სახელმწიფო რეპუტაციას თვალისჩინივით უფრთხილდება, არასოდეს ავიწყდება, როგორ უნდა მიიღოს სხვა სახელმწიფოთა დელეგაციები და როგორ უნდა დააბინავოს ისინი.

**ზოგადად, როდესაც დიდი სამიტები — სახელმწიფოთა მეთაურების შეხვედრები იმართება, მასპინძელ ქვეყანას რამდენიმეთვიანი მოსამზადებელი პერიოდი აქვს სტუმრების ღირსეულად დასახვედრად.** ამ შემთხვევაში ლაპარაკი არ არის ელდარ კვერნაძისა და (კინაღამ გამომრჩა) ეკა ხერხეულიძის დონეზე. ამ ადამიანებსაც კი, თუკი პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე თავის ნაცვლად მათ გაგზავნას გადაწყვეტდა, ისევე შეხვდებოდნენ, როგორც დიდი ბრიტანეთის ლორდთა პალატის წარმომადგენლებს, მაგრამ **პოლონელები პრაგმატიზმს მწუხარების დროსაც არ კარგავენ და ამიტომაც, ალბათ, არა მხოლოდ საქართველოს, არამედ სხვა ჩვენსავით თავგამოდებული ქვეყნების პარლამენტებსაც იმავე თხოვნით მიმართეს.**

და ამაში არაფერია საწყენი. უბრალოდ, გასაკვირია, რომ ამ ძალიან ტრაგიკული შემთხვევის აბსოლუტურად კანონზომიერმა გაგრძელებამ მავანთა ამბიციების ჭიას კრუნჩხვები დამართა და პატივმოყვარეობის არანორმალური გამოვლენა ისლანდიაში ვულკანიდან ამოფრქვეულმა ფერფლმაც ვერ დაფარა.

სირცხვილია, თავის გამოჩენის ამგვარი ფარისევლური მცდელობა, როდესაც სმოლენსკთან კატასტროფაში დაღუპული 97 ადამიანიდან ყველას ამოცნობა ჯერაც ვერ მოხერხდა.

**ბონდო მძინარაშვილი**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# მერაბიშვილმა კოდუას ცოლისძმა დაიჭირა

## «ლიტერატურულ კაფესთან» ნანუკა ჟორჟოლიანის ძმის მიერ დაწყებული ჩხუბის პროზაული დასასრული



**შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის უფროსის, ირაკლი კოდუას მეუღლის, ჟურნალისტ ნანუკა ჟორჟოლიანის ძმა პოლიციამ დააკავა. იგი წაყენებულ ბრალდებაში თავს დამნაშავედ არ ცნობს და დუმილის უფლებას იყენებს.**
**ირაკლი კოდუა მეუღლის გამო სკანდალში უკვე მესამედ ეხვევა. როგორც ჩანს, კოდუას პრობლემები მერაბიშვილსაც ყელში ამოუვიდა, ამიტომაც, როცა მას მიხეილ ჟორჟოლიანის დაკავების თაობაზე მოახსენეს, მერაბიშვილს განუცხადებია: „კარგად გატისკეთო!“. ჰოდა, მიხეილ ჟორჟოლიანი წინასწარი დაკავების იზოლატორში მოათავსეს. ინციდენტი ვაკეში, „ლიტერატურულ კაფესთან“ მოხდა. იქიდან გამოსულ მიხეილ ჟორჟოლიანსა და მის მეგობრებს პატრულის თანამშრომლებთან ჩხუბი მოუვიდათ და ჟორჟოლიანი სწორედ პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით დააკავეს. „საქართველო და მსოფლიო“ მიხეილ ჟორჟოლიანის ადვოკატს, მარი შათირიშვილს დაუკავშირდა, რომელმაც რამდენიმე კითხვაზე მაინც გვიპასუხა.**

**— გავიგეთ, მიხეილ ჟორჟოლიანი დააკავეს. მას ბრალად პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა ედება?**

— დიახ, ბრალი ედება პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევაში (353-ე მუხლის მეორე ნაწილი), რაშიც ჟორჟოლიანი თავს დამნაშავედ არ ცნობს და ამ ეტაპზე დუმილის უფლებას იყენებს. მეტს ვერაფერს გეტყვით.

**— როგორც ვიცი, ჩხუბი მოხდა „ლიტერატურულ კაფეში“, სადაც ჟორჟოლიანმა პატრულის თანამშრომლებს სცემა?**

— არა, ჩხუბი ქუჩაში მოხდა და, როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, მასში დაახლოებით 25-30 ადამიანი მონაწილეობდა. ამიტომაც ძნელია იმის თქმა, ვინ რა მონაწილეობა მიიღო.

**— რას მოჰყვა ჩხუბი?**

— უმნიშვნელო შეკამათებას.

**— პოლიციას ჟორჟოლიანმა წინააღმდეგობა გაუწია?**

— მე ვერ ვიტყვი, რომ მან პოლიციას წინააღმდეგობა გაუწია, იმიტომ, რომ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჟორჟოლიანი წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ არ ცნობს.

**— ბრალდების მხარე რას ამტკიცებს?**

— ბრალდება ამბობს, რომ წინააღმდეგობა გაუწია.

პატრულის თანამშრომელი ეროსი კიწმარიშვილი არ გახლავთ, ჟორჟოლიანებს შემოლაწუნება რომ შეარჩინოს. როგორც ჩანს, მინისტრმა საკუთარი თანამშრომლების ინტერესები დაიცვა.

ირაკლი კოდუა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მესამედ ეხვევა ჟორჟოლიანებთან დაკავშირებულ სკანდალში. პირველი მისი და ნანუკას შეუღლებამდე მოხდა. მაშინდელი სახალხო დამცველის, სოზარ სუბარის განცხადებით, საქმე ეხებოდა უდანაშაულო პირების დაკავებას, მათ სისხლისსამართლებრივ დევნას პირადი შურისძიების მოტივით, დაკავებულ პირთა წამებას, მტკიცებულებათა ფალსიფიკაციას, ნარკოტიკებისა და საბრძოლო მასალების ჩადებას და ნარკოტიკის იძულებით გაკეთებას. ამ ისტორიას სუბარმა სპეციალური განცხადებაც მიუძღვნა. გთავაზობთ ამონარიდს ამ განცხადებიდან:

**„ლ. ხორგუანისა და მისი ახლობლების განმარტებით, ყველაფერი გამოიწვია ხორგუანის მობილური ტელეფონიდან მისი მეგობრის მიერ ღამის სამ საათზე მობილური ტელეფონის ნომერზე 899535341 გაშვებულმა სატელეფონო ზარმა. გაშვებული ზარის საპასუხოდ გადმორეკა ქალბატონმა, რომელმაც უკმაყოფილოდ იკითხა, რატომ ურეკავდნენ მას ასე გვიან, შემდეგ კი ტელეფონი გადასცა მამაკაცს, რომელიც გაეცნო, როგორც ირაკლი, რომელმაც აგინა, დაემუქრა, რომ ჭკუას ასწავლიდა და აღუთქვა, რომ მეორე დღეს კაბინეტში შეხვდებოდა. მუქარასა და გინებას საპასუხო გინებაც მოჰყვა. ამის შემდეგ, თითქმის ერთი საათის განმავლობაში რამდენჯერმე დაირეკა ლაშა ხორგუანის ტელეფონზე ნომრებიდან, რომელთაგან ზემოთ ხსენებული ნომერი ნატოს საინფორმაციო ცენტრის უფროსს, ქალბატონ ნანუკა ჟორჟოლიანს ეკუთვნის; მეორე — სოდის უფროსს, ბატონ ირაკლი კოდუას. დანარჩენების ვინაობას, იმედია, გამოძიება დაადგენს. სწორედ ლაშა ხორგუანის ტელეფონიდან ნანუკა ჟორჟოლიანის მობილურზე გაშვებულმა ზარმა გააბრაზა ირაკლი კოდუა, რომელიც ანგარიშსწორებით დაემუქრა ხორგუანსა და მის მეგობარს, რომლის ვინაობას, ამ პირის უსაფრთხოებიდან გამომდინარე, არ ვამხელთ. ირაკლი კოდუამ მუქარა იმავე დილას შეასრულა — ლაშა ხორგუანი და მასთან ერთად ავტომანქანაში შემთხვევით მყოფი ორი პირი დააკავა მათთვის ნარკოტიკისა და ყუმბარების ჩადებით, დაკავებული პირებისთვის ნარკოტიკის გაკეთებითა და ლაშა ხორგუანის წამებით. როცა სოდის ხელმძღვანელობა დარწმუნდა, რომ ძმები მილდიანები საერთოდ არ იცნობდნენ ლაშა ხორგუანს, მათ საპროცესო შეთანხმება გაუფორმეს და ორ დღეში გაათავისუფლეს. ხორგუანისგან კი თითქმის ორი თვის განმავლობაში მოითხოვდნენ იმ პირის ვინაობის დასახელებას, ვინც ნანუკა ჟორჟოლიანის ტელეფონზე გაუშვა ზარი, თუმცა შემდეგ ისიც საპროცესო შეთანხმებით გაუშვეს“.**

მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დამცველმა მასალები გენერალურ პროკურატურას გადაუგზავნა, კოდუას ეს აპატიეს, ასევე აპატიეს შემდგომში მის სიმამრს, ნანუკა ჟორჟოლიანის მამას, ზურაბ ჟორჟოლიანს, მისი ოჯახის შეურაცხყოფისთვის გუდაურში, ხაზეიშვილის სახელობის ტურნირზე ეროსი კიწმარიშვილისთვის შემოლაწუნება. ბევრი ირბინა და იჩივლა კიწმარიშვილმა, მაგრამ პასუხად მხოლოდ ჟორჟოლიანის მუქარა მიიღო: თუ კიწმარიშვილი კვლავ გააგრძელებს შეფარვით თუ აშკარად ჩემი ქალიშვილის მიმართ შეურაცხმყოფელი და ცილისმწამებლური განცხადებების გაკეთებას, ჩემგან ანალოგიურ პასუხს მიიღებსო.

როგორც ჩანს, მერაბიშვილი ან მართლა შეწუხდა კოდუების პრობლემებითა და მათი მფარველობით, ან პოლიციის ღირსების დაცვა მინისტრისთვის პრესტიჟის საქმე აღმოჩნდა.

**სოფო გელაშვილი**

---

**ბონდო არველაძე:**

# აქამდე თუ ახალქალაქსა და ჯავახეთს გვედავებოდნენ, ახლა აწყურსაც სომხურ მიწად აცხადებენ

**2008 წლის ტრაგიკულ მოვლენებამდე მცირე ხნით ადრე ჯავახეთში არასამთავრობო ორგანიზაცია „ჯავახქის“ ერთ-ერთმა თანამშრომელმა ქართველი პოლიციელი მოკლა და მიიმალა. ეს ორგანიზაცია „ამრევი“ რომ იყო, ამის შესახებ ინფორმაცია ხელისუფლებასაც ჰქონდა. მკვლელი „ვერ“ დაიჭირეს, მაგრამ „ვანოს ბიჭებმა“ ეს ორგანიზაცია დაარბიეს. „ჯავახქის“ ლიკვიდაციამ საქართველოს აგვისტოს მოვლენების დროს მათგან მოსალოდნელი საფრთხე დროებით ააცილა.**

დიდი ხნის პაუზის შემდეგ, „ჯავახქი“, როგორც ჩანს, ისევ აღდგა და საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოქცევა კიდევ ერთხელ მოახერხა. წიგნი „ჯავახქის ქართულ-სომხური ისტორია“, არმენოლოგების აზრით, ისტორიულ ფაქტებს გაყალბებულად წარმოაჩენს. მიუხედავად სოლიდური ფასისა (37,99$ დოლარი), წიგნი ჯავახეთის სომხებში სწრაფად გავრცელდა.

ამ წიგნის მიხედვით, ქართველებსა და სომხებს შორის ეროვნული შუღლის გაღვივება ზვიად გამსახურდიას ბრალდება, ასევე — ამ უკანასკნელთა „შევიწროებაც“. სრულიად მოულოდნელი და ასევე თვალშისაცემია წიგნში გამოთქმული აზრი — „ჯავახქი ძირძველი სომხური მიწაა და სომხეთს უნდა დაუბრუნდეს. დანარჩენზე მოვილაპარაკებთ!“

საინტერესოა, რა „დანარჩენზე“ მოლაპარაკებას აპირებს წიგნის ავტორი, მაშინ, როცა მსგავსმა ვაიმწერლებმა და ისტორიკოსებმა, კარგა ხანია, რუსთაველი სომხად გამოგვიცხადეს, ქართული ანბანის შექმნაც თავად მიიწერეს, ამ აბსურდულ „აღმოჩენებზე“ ხმა რომ არ ამოვიღეთ და კომენტარებით თავი არ შევიწუხეთ, ახლა ძირძველ ქართულ მიწებზე პატრონობის ამბიციაც გაუჩნდა ზოგიერთ ვაისომეხს; დიახ, ვაისომეხს, რადგან ამ თემის წამომწევი, უპირველესად, სომხების მტერია და მერე — ქართველების, რადგან აშკარაა, რომ ამ ორ ერს შორის უთანხმოების ჩამოგდება სურს.

აღნიშნულ წიგნთან დაკავშირებით, „საქართველო და მსოფლიო“ არმენოლოგებს **ბონდო არველაძესა** და **ალექსანდრე აბდალაძეს** დაუკავშირდა.

**ალექსანდრე აბდალაძე: — ეს წიგნი ჯერ არ მინახავს, თუმცა გასაკვირი არაფერია. მარტო XIX-XX საუკუნეების ისტორიას რომ გადავავლოთ თვალი, ვნახავთ, რომ საქართველოს მიმართ აგრესია და ეთნიკური შუღლი მათ ახასიათებთ.**

**ბონდო არველაძე:** — **საქართველოზე ბევრი ანტიქართული სომხური წიგნი წამიკითხავს, მაგრამ ეს გამოცემა მათ შორის ყველაზე საშინელია. 300-გვერდიანი წიგნია, ჯერ არ დამისრულებია, მაგრამ რაც წავიკითხე, დასკვნის გამოსატანად საკმარისია. სრულად დამახინჯებულია XX საუკუნის საქართველო-სომხეთის ისტორია და ფაქტები. აქამდე თუ ახალქალაქსა და ჯავახეთს გვედავებოდნენ, ახლა აწყურსაც სომხურ მიწად აცხადებენ“.**

არმენოლოგი ბონდო არველაძე რეცენზიის დაწერასაც აპირებს. მისი თქმით, ეს შეფასება საკმაოდ მკაცრი იქნება.

ამ წიგნზე ჯერ არაფერი სმენია პრეზიდენტის მრჩეველს, **ვან ბაიბურთს:**

**— მაგ წიგნში ის თუ წერია, ზვიად გამსახურდიამ 1991 წელს ორი სომხური სკოლა რომ გახსნა? გაუგებარია, რატომ აბრალებენ მას ეროვნული შუღლის გაღვივებას, თუ ეს მართლაც წერია. იდეოლოგიური ომი მიმდინარეობს და ეს რუსეთიდან მოდის. მსგავს გამოცემებს, როგორც წესი, კარგად აფინანსებენ. ალბათ, ახლაც ვიღაცას ფულის კეთება მოუნდა“.**

სიმართლე თუ გინდა, ჩვენი ბრალია ყველაფერი — საკუთარ მიწა-წყალს ვერ ვუვლით და, ვისაც არ ეზარება, ყველა ითვისებს. ქართველი ერი კი ოდითგანვე ტოლერანტობას იჩენდა. საქართველოში, სანამ ჩვენი მიშა რეფორმებს გაატარებდა და უშიშროებას პოლიციას მიუერთებდა, ეროვნულ უმცირესობებს სპეციალური განყოფილება აკონტროლებდა. 2005 წელს ჯავახეთის სომხობა ავტონომიის მოთხოვნით რომ გამოდიოდა და მიტინგებს მართავდა, პრეზიდენტიც გამკაცრდა — მაშინ სომხები სპეცრაზმელებმა დაადუმეს, თანაც ისე, რომ ხმის ამოღება აგვისტოს მოვლენების დროსაც ვერ გაბედეს. ახლა, როგორც ჩანს, რკინის ვანოც ხელში გვადნება.

**რასაკვირველია, რეფორმები საჭიროა, მაგრამ სომხურ სკოლებს კი არ უნდა ვხსნიდეთ, არამედ, ჯავახეთის სომეხ მოსახლეობას ქართულს ვასწავლიდეთ. თუ გვსურს, ჯავახეთში ჩასვლისას საქართველო ვიხილოთ, ქართველები წალკაში, ნინოწმინდაში, ახალქალაქში უნდა დავსახლდეთ და ხელისუფლებამ ამაში ხელი შეგვიწყოს.**

რაც შეეხება ზემოხსენებულ წიგნს, იგი მხოლოდ 150 ეგზემპლარად გამოიცა, ანუ სულ 5700 დოლარის ღირებულებისაა. აჯობებდა, ეს წიგნები საქართველოში მცხოვრებ რომელიმე სომეხ მეწარმეს შეეძინა და რუსთავის მეტალურგიული ქარხნის რომელიმე ღუმელში თავისი ხელით შეეძახებინა, რა თქმა უნდა, საქართველოში ბიზნესის კეთება თუ უნდა!

**მაგდა კლდიაშვილი**

**P.S.საქართველოს ხელისუფლებამ, რომლის პროსომხურ ორიენტაციაზე საზოგადოებაში საკმაოზე მეტს ლაპარაკობენ, სომხეთს ლარსის გამშვები პუნქტი გაუხსნა და არც კი ამოწმებს, რა ტვირთები შემოდის და გადის ქვეყანაში. და ეს არც არის გასაკვირი, თუკი გავითვალისწინებთ, რომ ხელისუფლების რამდენიმე მაღალჩინოსნის ქართული წარმომავლობა სერიოზულ ეჭვს იწვევს.**

**სამაგიეროდ, თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან თბილისი-ერევნის მიმართულებით, დიდი ხანია, აღარ აფრენილა თვითმფრინავი. სომხურმა მხარემ საავიაციო მიმოსვლა წამგებიანად და არარენტაბელურად ჩათვალა. ამაზეა ნათქვამი: „რატომ ებრძვი?! გულში ჩაიხუტე და ისე მოახრჩვე“...**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ვანო მერაბიშვილი პრეზიდენტს პოლიტიკურ სამარეში არ ჩაჰყვება,

## ანუ «მონატრებული ბიშკეკის» თბილისური ქრონიკა

**„ბიშკეკი მოგენატრებათ!“ — დაგვემუქრა ცოტა ხნის წინათ ზურაბ ნოღაიდელი. ვერ გეტყვით, შეძლებს თუ არა ნოღაიდელი მუქარის ასრულებას, მაგრამ ნათქვამია, სადაც წვრილია, იქ გაწყდესო და, მოსახლეობის მზარდი პროტესტის გათვალისწინებით, გამორიცხული არ არის, ბიშკეკის მსგავსი მოვლენები თბილისშიც ვიხილოთ. ამ საშიშროებას ზრდის ხელისუფლების დამოკიდებულებაც.**

**ასე მაგალითად, ვანო მერაბიშვილმა „კომერსანტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში უკვე გამოაცხადა, რომ ხელისუფლების რეიტინგი ქვეყანაში 64 პროცენტია. გამოცდილების გათვალისწინებით კი, ეს განცხადება ერთადერთ რამეს ნიშნავს – მომავალ არჩევნებში „ნაცები“ მინიმუმ ხმათა 64 პროცენტს „მიიწერენ“. ვინაიდან იმედის „ქრონიკამ“ იმიტაციების სეზონი გახსნილად გამოაცხადა. გთავაზობთ არჩევნების გაყალბების შემთხვევაში შესაძლო საერთო სახალხო აჯანყების, გნებავთ, რევოლუციის, იმიტირებულ სცენარს:**

უცხო არავისთვისაა, რომ 30 მაისის არჩევნებს გიგი უგულავა მოიგებს. ხელისუფლებამ არჩევნებისთვის მზადება, ექვსი თვეა, რაც დაიწყო. პოლიცია კი, ორი კვირაა, საარჩევნო რეჟიმზეა გადასული. ისიც არავისთვისაა უცხო, რომ ოპოზიცია აქციებს დაიწყებს ხმების დასაცავად. ნოღაიდელი, კი, რომელიც ასეთი თამამი აქამდე არავის ახსოვს, მერაბიშვილს აქტიურად ემუქრება კბილების დამტვრევით. ყველაზე ხშირად მისი მუქარის ობიექტი, ბოლო დროს, სწორედ მერაბიშვილია და, არც მეტი, არც ნაკლები, მისი სიცოცხლეც კი დააყენა ეჭვქვეშ. ყოფილი პრემიერის მხრიდან ეს შესაძლოა ვინმეს გულწრფელ დამოკიდებულებად ეჩვენება, მაგრამ ვინ, ვინ და მერაბიშვილი, რომელსაც ტონობით მასალები უდევს ყოფილ ფინანსთა და პრემიერ მინისტრზე, სურვილის არსებობის შემთხვევაში, ნოღაიდელს დიდი ხნის წინათ გააჩუმებდა.

ვისი იმედი უნდა ჰქონდეს რევოლუციის სურვილით ანთებულ ექსპრემიერს? **ცხადია, რუსული ტანკების არა, რადგან ქვეყნის შიგნით მიმდინარე რევოლუციაში რუსეთი არ ჩაერევა. ქვეყნის შიგნით კი ტანკებსაც და პოლიციასაც ვანო მერაბიშვილი განაგებს, რადგან თავდაცვის სამინისტრო მერაბიშვილის ავტომატურ დაქვემდებარებაში მყოფ ბაჩო ახალაიას აბარია. ასევე, ჯერ კიდევ ახალაიას კადრებით არის დაკომპლექტებული პენიტენციალური სისტემა და, შესაბამისად, ციხეებსაც მერაბიშვილის მარჯვენა თუ მარცხენა ხელი მართავს.**

**მერაბიშვილის გაძლიერება და თავის დროზე მთელი ძალოვანი სტუქტურის მის ხელში ჩაგდება, როგორც ამბობენ, პრეზიდენტშიც იწვევდა შიშს. ახლა მისი გარემოცვიდან არავინ საუბრობს სააკაშვილის ფობიებზე, მაგრამ ამის საფუძველი მას ნამდვილად აქვს. სხვათაშორის, ვანო მერაბიშვილი პირველი იყო შევარდნაძის გარემოცვიდან, რომელმაც მას უღალატა. ახლა გადარჩენისთვის მხოლოდ ერთადერთი გზა აქვს.**

ნიშანდობლივია, რომ ქვეყანაში რევოლუციები არ ხდება შს ან უშიშროების მინისტრის მოსყიდვის გარეშე. 2003 წელს, ოპოზიციას მაშინდელი უშიშროების მინისტრი, ვალერი ხაბურძანია ეხმარებოდა. სწორედ ამიტომ უფეშქაშეს გენერალური პროკურორის მოადგილის პოსტი, ოღონდ — ცოტა ხნით. ასევე რევოლუციონერების მხარეს იყო თბილისის პოლიციის მაშინდელი უფროსი, გივი თარგამაძის კადრი ლევან მაისურაძე. რეალურად გამორიცხულია, რევოლუცია დაიგეგმოს და განხორციელდეს ციხის შიგნიდან გატეხვის გარეშე. როდესაც ბადრი პატარკაციშვილი რევოლუციას გეგმავდა, ცნობილი ჩანაწერის მიხედვით, მან არჩევანი მერაბიშვილის ხელქვეითზე, სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის უფროსზე, ირაკლი კოდუაზე შეაჩერა. რადგან სპეცრაზმი, ძირითადად, მის დაქვემდებარებაში იყო.

მივყვეთ 31 მაისის მოვლენების განვითარებას.

### 31 მაისი, 2010 წელი:

პოლიცია და თავდაცვის სამინისტრო ყაზარმულ რეჟიმზეა გადასული, ქუჩაში მობილიზებულია საპატრულო დანაყოფები. არჩევნების პირველადი მონაცემების გამოქვეყნების შემდეგ ოპოზიცია მოუწოდებს ხალხს, საკუთარი ხმების დასაცავად პარლამენტის წინ შეიკრიბოს, ისევე, როგორც 2003 წლის 2 ნოემბერს. მიტინგის ორგანიზატორები: ზურაბ ნოღაიდელი, ლევან გაჩეჩილაძე, კობა დავითაშვილი, ზვიად ძიძიგური და სხვები მოუწოდებენ ყველას, ქუჩაში გამოვიდნენ. პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია ისევ ივსება (მერამდენედ!) ხალხით. აქედან ზოგი ხელისუფლებაზე გაბრაზებულია, ზოგი — სიღარიბით გამწარებული, ზოგი კი, უზრალოდ, — უსაქმური და დრო გაჰყავს (ამ ხელისუფლების პოლიტიკის წყალობით, საქართველოში ასეთი ხალხის საკმაოდ ბევრია).

ნოღაიდელი ითხოვს, გამოცხადდეს დაუმორჩილებლობა, დაიკავონ საკვანძო შენობები და არ მისცენ ხელისუფლებას ქვეყნის მართვის გაგრძელების საშუალება. პარლამენტის, კანცელარიის მიმდებარე ტერიტორია თანდათან ივსება სპეცრაზმელებით, ავადსახსენებელი ნიჩბებით, ხელკეტებითა და რეზინის ტყვიებით შეიარაღებული პოლიციელებით. ნოღაიდელი პარლამენტში შეჭრისკენ მოუწოდებს ხალხს. (მერამდენედ!) იწყება შტურმი პარლამენტის შენობაზე. ქვეყნის მთავარსარდლის ბრძანებით (მერამდენედ!), პოლიცია არბევს მომიტინგეებს. ოპოზიციის ერთი ფრთა, რომელიც მობილიზებულია პირველი არხის შენობასთან, იჭრება ტელევიზიაში და არხის ხელმძღვანელობას აიძულებს, გადასცეს მხოლოდ პირდაპირი ტრანსლაცია (მერამდენედ!).

პარლამენტის შენობასთან ხალხის რაოდენობა მატულობს, ტალღის შეჩერება, ფაქტობრივად, შეუძლებელია წყლის ჭავლისა და გაზის გაშვების გარეშე, თუმცა პოლიცია არ ჩქარობს. მომიტინგეებს რაიონებიდანაც უერთდებიან.

ქვეყანაში სრული ქაოსია. მერაბიშვილი სააკაშვილს უმტკიცებს, რომ არაპროპორციულ მდგომარეობაში არიან, რომ ძალის გამოყენება ზრდის აგრესიას და საბოლოო ჯამში ამ ტალღის შეჩერება შეუძლებელი იქნება. სააკაშვილი მაინც აცხადებს საგანგებო მდგომარეობას, თუმცა თბილისის ყველა ცენტრალური ქუჩა სავსეა ხალხით. ოპოზიციის ლიდერები მოუწოდებენ, ამჯერად ბოლომდე მიიყვანონ დაწყებული საქმე და „დაასრულონ ეს ხელისუფლება“.

ნოღაიდელის გუნდს ნელნელა უერთდება საპარლამენტო ოპოზიცია. პირველები არიან „ქრისტიან-დემოკრატები“. გიორგი თარგამაძე საზოგადოებას ახსენებს 7 ნოემბრის მოვლენებს, „იმედის“ დარბევას; აცხადებს, რომ ამ ხელისუფლებას არ აქვს ქვეყნის მართვის უფლება, როცა ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ქუჩაშია გამოსული, არჩევნებს კი მაინც ხელისუფლების კანდიდატები იგებენ. ხელისუფლების წევრები, ფაქტობრივად, გადაადგილებას ვერ ახერხებენ, ქალაქი პარალიზებულია. პოლიციის ჯგუფები აქა-იქ არბევენ მომიტინგეებს, თუმცა მათ დაშლას ვერ ან არ ახერხებენ.

**ორდღიანი აქციების შემდეგ ნოღაიდელი ხალხს მოუწოდებს, დაიკავონ კანცელარიის შენობა, რათა სახელმწიფო აპარატს აღარ ჰქონდეს ფუნქციონირების საშუალება. მოვლენებს აკვირდებიან საერთაშორისო ორგანიზაციები. მსოფლიოს ყველა ტელეარხი აშუქებს საქართველოში მიმდინარე კიდევ ერთ რევოლუციას. მაია ნადირაძე აღარ არის ასპარეზზე, რომ იკივლოს; გივი თარგამაძე, ალბათ, უკრაინაში გარბის და არ ილანძღება. ხელისუფლება დუმს. მხოლოდ შავნაბადას რეზიდენციაში ისმის მიხეილ სააკაშვილის ყვირილი, რომ სასწრაფოდ დაარბიონ მიტინგი, აღადგინონ წესრიგი. მერაბიშვილი კი კვლავ ამტკიცებს, რომ ეს შეუძლებელია, ძალთა არათანაფარდობაა და თანაც მსოფლიო ადევნებს თვალს ამ მოვლენებს. კიდევ ერთი დარბევა მის მმართველობას მაინც დაასრულებს.**

ეს ის შემთხვევაა, როცა ან ყველა უნდა გაიწიროს, ან — მხოლოდ მეთაური. ყველა შინაგან საქმეთა მინისტრ ნარჩემაშვილივით არ მიჰყვება პრეზიდენტს პოლიტიკურ სასაფლაოზე. არსებობენ ივანოვის შემცვლელები, რომლებიც უზრუნველყოფენ პრეზიდენტის ქვეყანაში დატოვების უსაფრთხოების გარანტიებს ან — წასვლას ასლან აბაშიძესავით...

**„ბიშკეკი მოგენატრებათ!“ — ნოღაიდელი ამ მუქარას ასრულებს, ოღონდ შს მინისტრის მძევლად აყვანა საჭირო არ ხდება. ოპოზიცია აცხადებს, რომ შს და თავდაცვის სამინისტროები უარს ამბობენ მიტინგის დარბევაზე და ისინი ადგილებზე მხოლოდ მომიტინგეთა უსაფრთხოების დასაცავად რჩებიან.**

**სოფო გელაშვილი**

# არ არსებობს მშვიდობა შერიგების გარეშე, არ არსებობს შერიგება დიალოგის გარეშე

**არასამთავრობო ორგანიზაციის „ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახები“ (ხელმძღვანელი რეზო ბენდელიანი) ინიციატივითა და ძალისხმევით ზუგდიდის რაიონის სოფელ განმუხურში შედგა მორიგი შეხვედრა ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახების წარმომადგენლებსა და ქართველ და აფხაზ ნათესავებს შორის, რომელთაც შეუძლიათ, დიდი როლი შეასრულონ ქართველებსა და აფხაზებს შორის არსებული დაპირისპირების მოგვარებაში. ამ შეხვედრაზე დასასწრებად მოვიდნენ ევროკავშირის წარმომადგენლებიც.**

მათ მოითხოვეს, ინფორმაციების მიღების მიზნით, რეგლამენტიდან მათთვის 40-45 წუთი დაეთმოთ, რაც დღის წესრიგის რეჟიმის შეცვლას გამოიწვევდა, რის გამოც უარი უთხრეს და ისინიც იძულებულნი გახდნენ, შეხვედრა დაეტოვებინათ. ევროკავშირის წარმომადგენლების პასიური მუშაობისა და საქმიანობის გამო უკმაყოფილება გამოთქვეს შეხვედრის მონაწილეებმა. შეხვედრის მონაწილეთა მთავარი თხოვნა და მოთხოვნა იყო ხელისუფლების ხელშეწყობით დიალოგის დაწყება ქართველებსა და აფხაზებს შორის, პირველ რიგში, სახალხო დიპლომატიის გზით და აუცილებლად — რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებით.

განმუხურში გამართული შეხვედრაზე აშკარად გამოიკვეთა ქართულ-აფხაზური ურთიერთობის მშვიდობიანად მოგვარების აუცილებლობა. **„მხოლოდ მშვიდობა და დიალოგი მიგვიყვანს სასურველ შედეგამდე,“** — ასეთი იყო შეხვედრის მონაწილეთა საერთო აზრი. ამ შეხვედრის დევიზიც ანალოგიური იყო: **„არ არსებობს მშვიდობა შერიგების გარეშე, შერიგება კი — დიალოგის გარეშე!“.**

**შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ამ შერიგებისა და დიალოგის პროცესში უმთავრესი როლი სამეგრელოს აკისრია.**

შეხვედრის მონაწილენი გულისტკივილს გამოთქვამდნენ გზების ჩაკეტვის გამო. ამჟამად ერთადერთი გზა, რომელიც გალსა და ზუგდიდს ერთმანეთთან აკავშირებს, ენგურის ცენტრალურ ხიდზე გადის, სადაც მიმოსვლა შეუფერხებლად მიმდინარეობს. **„რუსები ითხოვენ, მოძრაობა მოხდეს არა პარტიზანულად, სხვადასხვა ბილიკებით, არამედ — ცენტრალური გზით. ვრცელდება ინფორმაციები, რომ დამატებით კიდევ ხუთი ოფიციალური გადასასვლელი გაიხსნება,“** — აღნიშნა რეზო ბენდელიანმა. მან ყველას მოუწოდა, რომ, უხერხულობის თავიდან აცილების მიზნით, ჯერჯერობით მხოლოდ ცენტრალური გზით ისარგებლონ.

ამ შეხვედრაზე ქართველი ჟურნალისტების მიმართაც გამოითქვა საყვედურები, რომლებიც, მათი თქმით, ცრუ ინფორმაციებს ავრცელებენ აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ვითარებასთან დაკავშირებით, რაც უარყოფითად მოქმედებს იქ მცხოვრებთა ყოფაზე.

**„ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახები“, 7 წელია, ფუნქციონირებს. ამ პერიოდში მას სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაცია აფინანსებდა. ამჟამად მას „ევრაზიის ფონდი“ აფინანსებს. „ჩემი ორგანიზაციის მთავარი პრობლემა დაფინანსებაა. სულ ფინანსების ძიებაში ვარ. ამჟამინდელი პროექტი ერთ თვეში მთავრდება, მერე რა ვქნა, არ ვიცი, ხელისუფლება ასეთ პროექტებს არ აფინანსებს; არადა, რომ დააფინანსოს, კარგი იქნება,“** – აღნიშნა რეზო ბენდელიანმა, რადგან ამით დიდი სამომავლო საქმე კეთდება — შვიდი წლის განმავლობაში რამდენიმე ქართველი და აფხაზი ნათესავი შეხვდა ერთმანეთს.

განმუხურის შეხვედრას ფონდ „ევრაზიის“ წარმომადგენელი ზაალ ანჯაფარიძეც ესწრებოდა. **„ჩვენს ხელისუფლებას მეტი დაინტერესება და ხელშეწყობა მართებს ასეთი პროექტების მიმართ, როგორიცაა ქართულ-აფხაზური ურთიერთობის მოგვარება სახალხო დიპლომატიის გზით. აგვისტოს მოვლენების შემდეგ ვითარება შეიცვალა – გზების ჩაკეტვის გამო ადამიანებს უჭირთ ერთმანეთთან ურთიერთობა, ამიტომაც გაწყვეტილი გვაქვს, ახალი პროექტი წარმოვადგინოთ, რომელიც ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახების წარმომადგენლების, ქართველი და აფხაზი ნათესავების ერთმანეთთან ინტერნეტის მეშვეობით დაკავშირებას ითვალისწინებს. მაქვს ინფორმაცია, რომ არსებობს აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების ჩუმი თანხმობაც ასეთი ურთიერთობების შესახებ,“** – აღნიშნა ზაალ ანჯაფარიძემ.

განმუხურში მიმდინარე შეხვედრის პარალელურად, ასევე ენგურსგაღმა სოფელ ხურჩაში, ისევ „ევრაზიის“ დაფინანსებით შედგა შეხვედრა ქართველ და აფხაზ საქმიან წრეებს შორის, რომლის მთავარი საკითხი მცირე ბიზნესის წარმოება და ხელშეწყობა იყო.

**ლადო ქირია**
ზუგდიდი

**P.S. განმუხურის შეხვედრას ესწრებოდა სოხუმელი ქალბატონი ამალია ჭაფანძე-სიჭინავა, რომელმაც „საქართველო და მსოფლიოს“ მეშვეობით ითხოვა, ხმა მიაწვდინოს სოხუმში მცხოვრებ ძმას – ჯამბულ ჭაფანძეს. „მე სოხუმელი ვარ. 1993 წელს ჩემს მეუღლესთან და შვილებთან ერთად დავტოვე სოხუმი. მამაჩემი არ წამოგვყვა და ამიტომაც ჩემი ძმაც იქ დარჩა. ჩემმა ძმამ შეირთო ცოლი, ჰყავს ორი შვილი. მამა გარდაიცვალა. რაც დავტოვე სოხუმი, ძმა მხოლოდ ერთხელ ვნახე. ამბობენ, გვარი გამოიცვალა და აფხაზად ჩაეწერაო. მინდა, გამომეხმაუროს, ძალიან მენატრება. მე ახლა განმუხურში ვცხოვრობ. ჩამოვიდეს, მინახულოს, ნურაფრის შეეშინდება. მეც ძალიან მინდა სოხუმში წასვლა“.**

# ხელისუფლება უნარშეზღუდულ მოზარდებსაც წილში უზის

**ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის უმეტესობა უმძიმეს პირობებში ცხოვრობს, ქველმოქმედება მისასალმებელია, მათი წყალობით უამრავი კეთილი საქმე გაკეთდა, მაგრამ, როგორც სხვა ყველაფერი ქართული, ქველმოქმედებაც „ნაციონალური თავისებურებით“ გამოირჩევა. ამის თვალსაჩინო მაგალითია „რუსთავი 2“-ის საქველმოქმედო შოუ „ვის უნდა 20 ათასი“.**




## მარი ნადირაძეს «ვის უნდა 20 ათასში» შემოსული 62.198 ლარიდან მხოლოდ 34.683 ლარს გადასცემენ

ქართული ხასიათის ერთ-ერთ გამოვლინებად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ ნაცნობ-მეგობრობის გარეშე შოუში მოხვედრა საკმაოდ რთულია. თბილისის მკვიდრი ქალბატონი ნანა ლეჟავა ხუთი თვის განმავლობაში ცდილობდა, მისი შვილი ნიკუშა კისიევი, რომელიც ცერებლარული დამბლით არის დაავადებული, პროექტში მოხვედრილიყო, მაგრამ უშედეგოდ.

**ნანა ლეჟავა: „ცერებლარული დამბლის უმძიმესი ფორმით დაავადებულ ჩემ ვაჟს არ შეუძლია მოძრაობა, დაქვეითებული აქვს სმენა და მხედველობა. იგი მუდმივად საჭიროებს ძვირადღირებული მედიკამენტების მიღებას. ჩვენ კი ამის საშუალება არა გვაქვს, რადგან, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ ფენას ვეკუთვნით და ეკონომიურად უკიდურესად გვიჭირს. როდესაც „რუსთავი 2“-ზე საქველმოქმედო შოუ დაიწყო, იმედი გამიჩნდა, ტელეკომპანიას თხოვნა-მუდარის წერილი მივწერე.**

**თვე-ნახევრის შემდეგ დაგვიკავშირდა ჟურნალისტი, დაწვრილებით გამოიკითხა ნიკუშას მდგომარეობა და დაგვპირდა, რომ მოვიდოდა გადამღები ჯგუფი. მათ ორი თვე ამაოდ ველოდით, შემდეგ ისევ მივწერე. პროექტის პროდიუსერმა თეა ყიფშიძემ წერილობით მაცნობა: ჩვენ ისეთ ბავშვებს ვეხმარებით, რომლებსაც აქვთ გამოჯანმრთელების რეალური შანსი.**

ეს იყო დელიკატურად გამოხატული მეტად უხეში პასუხი, ანუ თავი დაგვანებე, შენს შვილს მაინც არაფერი ეშველებაო.

ყველას ვუსურვებ ჯანმრთელობას; ვიცი, რას ნიშნავს დედისთვის შვილის ავადმყოფობა, მაგრამ ჩემიც უნდა გაიგოთ, შოუში ბევრი ისეთი ბავშვისთვის უთამაშიათ, რომელთა მშობლებიც, შეიძლება ითქვას, ჩემზე გაცილებით შეძლებულები არიან. თუ ნიკუშას მდგომარეობა უსაშველოა, მე ვიცი ბავშვი, რომელიც ძვლის ტუბერკულოზით არის დაავადებული და ოპერაციის შემდეგ გამოჯანმრთელება გარანტირებული აქვს. შოუს დაწყების დღიდან ცდილობენ მისი მშობლები პროექტში მოხვედრას, მაგრამ მათაც უარი უთხრეს.

**დარწმუნებული ვარ, რომ მყავდეს ვინმე გავლენიანი თანამდებობის პირი, რომელიც ნიკუშას პროტექციას გაუწევდა, ის აუცილებლად მოხვდებოდა შოუში.“**

ქალბატონ ნანას ამ ეჭვის საფუძველი ნამდვილად აქვს, **რადგან შოუში მოხვედრა არ გასჭირვებია თელაველ ახალგაზრდას, რომელიც სრულიად ჯანმრთელი გახლავთ, მაგრამ დუტა სხირტლაძის ბავშვობის მეგობარობის წყალობით პროექტში მოხვდა და მისი სახლის ასაშენებლად სწორედ დუტამ ითამაშა.** ესეც არ იყოს, „საქართველო და მსოფლიო“ ერთ-ერთი პოლიტიკური ორგანიზაციის ოფისში ისეთ საუბარსაც შეესწრო, როდესაც ერთ-ერთი ავადმყოფი ბავშვის ახლობელი ცდილობდა, ნაცნობი ეპოვა შოუს წამყვან მამუკა გამყრელიძესთან დასაკავშირებლად, რათა ეს ბავშვი პროექტში მოხვედრილიყო.

ქართული ქველმოქმედების მახასიათებელია ისიც, რომ სახელმწიფო, უხეშად რომ ვთქვათ, აქაც ყველას წილში უზის, მათ შორის მძიმე ავადმყოფობებს. სამწუხაროდ გაჭირვებულ და გაუბედურებულ ადამიანებს არა მარტო სახელმწიფო.

სქემა ასეთია:

**სატელეფონო კომპანიები „მაგთი“ და „ჯეოსელი“ გადაცემაში განხორციელებული ზარებიდან შესული თანხის 18%-ს იტოვებს დღგ-ს სახით. დარჩენილი თანხა გადაეცემა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ს, რომელიც, თავის მხრივ, 15%-ს იღებს. როგორც კომპანიის თანამშრომლებთან საუბრისას გავარკვიეთ, „ვის უნდა 20 ათასი“ ინგლისური პროექტია, რომლის ლიცენზია ტელეკომპანიას შესყიდული კი არა, იჯარით აქვს აღებული და ამ 15%-ს სწორედ ბრიტანელებს უხდის. ამას ემატება სახელმწიფოს მიერ საშემოსავლო დაბეგვრა 20%-ის ოდენობით. საშემოსავლო გადასახადით იბეგრება მოთამაშის მიერ მოგებული თანხაც. ჩვენ ვერ მოვახერხეთ გადაცემის პროდიუსერებთან დაკავშირება, ამიტომ ზემოთხსენებულ ფაქტზე დაყრდნობით გთავაზობთ ჩვენეულ დაანგარიშებას, თუ რა თანხა მიდის უშუალოდ ავადმყოფამდე თქვენი ზარის მეშვეობით გადარიცხული თითოეული ლარიდან.**

ყოველ გადარიცხულ ერთ ლარს ჯერ აკლდება დღგ-ს 18%. დარჩენილ 82 თეთრს აკლდება ბრიტანული კომპანიისთვის განკუთვნილი 15%. ამის შემდეგ რჩება 69,7 თეთრი, რომელსაც საშემოსავლოს სახით 20% აკლდება და ადრესატამდე 55,76 თეთრი მიდის. მოკლედ თანხის 44,24% სახელმწიფო ბიუჯეტსა და ბრიტანულ კომპანიას მიაქვს, ხოლო 55,76% — იმას, ვის დასახმარებლადაც მაყურებელმა თანხა გაიღო.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში **დემურ გიორხელიძე** ამ საკითხთან დაკავშირებით მოკლე კომენტარით შემოიფარგლა და აღნიშნა:

**„საზღვარგარეთის ქვეყნებში საქველმოქმედო პროექტები კანონმდებლობით არის გათავისუფლებული ყველანაირი გადასახადებისგან. ჩვენთან კი, როგორც ბევრ სხვა საკითხთან დაკავშირებით, საკანონმდებლო სისტემა ამ სფეროშიც დასახვეწია. „ვის უნდა 20 ათასის“ შემთხვევაში გარკვეული თანხის დაქვითვა საგადასახადო კანონის მიხედვით ხდება. შესაბამისად, ეს პროცესი კანონმა უნდა დაარეგულიროს და გაათავისუფლოს ეს პროექტი გადასახადებისგან“.**

ვრცელი კომენტარის გაკეთება გაუჭირდა ექსპერტ **სოსო არჩვაძესაც**:

**„ეს არის კერძო კომპანია და მას უფლება აქვს, გარკვეული ხარჯები, რაც საერთო ხარჯებს უკავშირდება, აანაზღაუროს ამ გადაცემაში განთავსებული რეკლამებიდან და განხორციელებული სატელეფონო ზარებიდან შესული თანხიდან. ხოლო რამდენად არის პროპორცია დაცული, ამის გაკონტროლება ფინანსთა სამინისტროს პრეროგატივაა“.**

მეტი თვალსაჩინოებისთვის „ვის უნდა 20 ათასის“ ბოლო, 13 აპრილის გადაცემა ავიღეთ, რომელშიც მსახიობმა ვანიკო თარხნიშვილმა ათი წლის მარი ნადირაძისთვის ითამაშა. სოსო არჩვაძესთან ერთად გავარკვიეთ, როგორ გადანაწილდა შემოსული თანხა: გადაცემისთვის თანდართული ტიტრის თანახმად, **გადაცემის მსვლელობისას განხორციელდა 62 198 სატელეფონო ზარი, რაც პირდაპირპროპორციულია მაყურებლის მიერ გადარიცხული თანხისა, ანუ სატელეფონო კომპანიებში (მოცემულ ნომერზე მხოლოდ „მაგთისა“ და „ჯეოსელის“ აბნენტებს შეუძლიათ დარეკვა) შევიდა 62198 ლარი. ამ თანხას გამოაკლდა დღგ-ს 18% ანუ 11 195 ლარი, რომელსაც სატელეფონო კომპანია იხდის. დარჩენილი 51 003 ლარიდან 15%-ს, ანუ 7 650 ლარს „რუსთავი 2“ ბრიტანელებს უგზავნის, ანუ რჩება 43353 ლარი. ამ თანხის 20%, რომელიც 8 670 ლარს შეადგენს, საშემოსავლოს სახით იქვითება. საერთო ჯამში 62198 ლარიდან 27 515 ლარი ბიუჯეტსა და პროექტის მესვეურებს გადაეცათ, მარი ნადირაძეს კი 34 683 ლარი დარჩა. საშემოსავლო 20% გამოაკლდება მოთამაშის — ვანიკო თარხნიშვილის მიერ მოგებულ 4000 ლარსაც.**

**ნანა ლალაძიშვილი**

**P.S. როგორც ირკვევა, თითოეული მაყურებლის მიერ გადარიცხული ერთი ლარი საგადასახადო ლაბირინთებში კაპიკებად იშლება და მისი თითქმის ნახევარი ხელისუფლების ყულაბაში ხვდება. თუ, მილიონს რომ კაპიკი დააკლდება, მილიონი აღარ იქნება, 62 198 ლარს რომ 27 515 ლარით დაბეგრავ, ამას ქველმოქმედება ძნელად თუ ეწოდება.**

**ნ.ლ.**

# «ნურავის ექნება შუასაუკუნეობრივი ამბიცია, რომ ძალით რამეს მივაღწევთ»

**ზუგდიდში სახელისუფლო სტრუქტურები, ოპოზიციასთან შედარებით, გაცილებით ძლიერია. ამის დანახვა საკმაოდ იოლია: შიში, საინფორმაციო ვაკუუმი, სამართალდამცავი ორგანოების აქტიურობა ოპოზიციის პასიურობას განაპირობებს, თუმცა მოსახლეობის პასიურობის მიზეზი მხოლოდ ეს არ არის. საქმე ისაა, რომ ოპოზიციის ლიდერებს მოსახლეობაში მაინცდამაინც დიდი ავტორიტეტი და გავლენა არ აქვთ.**

დაშინებული არიან ზუგდიდში განთავსებული დევნილებიც. ერთ-ერთმა ავტორიტეტულმა პიროვნებამ, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა მართალი სიტყვითა და გამოსვლებით, უარი მითხრა ყოველგვარ კომენტარზე: **„ჩემმა შვილმა ძლივს იშოვა სამსახური და არ მინდა, დაკარგოსო“.**

რუსეთ-საქართველოს შორის არსებულმა მძიმე ურთიერთობამ სულ დააბნია დევნილები. მათ შორის აზრთა სხვადასხვაობაა. ხმამაღლა ლაპარაკს ვერ ბედავენ, რადგან არასასიამოვნო იარლიყების მიკერებას ერიდებიან, თუმცა **გალის რაიონის მკვიდრი, ზუგდიდში განთავსებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლობის თანამშრომელი ოთარ ბერიშვილი** არ მოერიდა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მოგვარების შესახებ თავისი მოსაზრებების ღიად გამოთქმას. მას სჯერა, რომ სახალხო დიპლომატიის გზით შესაძლებელია ამ ურთიერთობის მოგვარება და რუსები ამ პროცესს ვერანაირად ვერ შეუშლიან ხელს:

— დევნილობაში გადის წლები, რომელიც სულ უფრო და უფრო გვაშორებს აფხაზეთს. დღეს უკვე მივედით იქამდე, რომ ლაპარაკიც კი რაღაც განსაკუთრებულ უაზრო ოცნებად მიაჩნიათ ან სულაც არ უნდათ. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ აფხაზეთს არ დავკარგავთ, ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ვინმეს განწყობილება გამოვუკეთო.

**— ბატონო ოთარ, რა გაძლევთ იმის იმედს და რწმენას, რომ აფხაზეთს დავიბრუნებთ?**

— აფხაზეთის დაბრუნების პოტენციალი თვითონ ხალხშია. რაც დრო გადის, ამაში ვრწმუნდები. რაც შეეხება აფხაზებსა და ადგილობრივ ქართველებს შორის ურთიერთობას, ნელ-ნელა, მაგრამ მაინც, გვარდება. რა თქმა უნდა, არის დისკრიმინაცია, მაგრამ არა ისეთი, როგორც ადრე. ორივე მხარის გონივრული მიდგომით ესეც გამოსწორებულია. აფხაზეთში დღეს არ იკრძალება ქართული საუბარი, ქართული ტრადიციები, ქართულად სწავლა. დანამდვილებით ვიცი, აფხაზებს ქართველები არ სძულთ, რაც მაძლევს იმის გარანტიას, რომ მოსახლეობა დაბრუნდება აფხაზეთში, პირველ ეტაპზე კი — გალის რაიონში.

წლეულს ახალ წელს გალში შევხვდი. იქ მოქმედებს ე. წ. აფხაზეთის დრო, რომელიც საქართველოს დროსთან შედარებით ერთი საათით უკანაა, ანუ ქართული დროით ახალი წელი უნდა გვეზეიმა ღამის 12 საათზე, აფხაზურით კი — ღამის პირველ საათზე. თქვენ წარმოიდგინეთ, როცა ქართული დროით დადგა ახალი წელი, ჰაერში აიწია გალის რაიონი — ყველა ოჯახიდან ჰაერში ფეთქდებოდა სხვადასხვა ფერის ფეიერვერკები.

**— თქვენ სახელმწიფო სტრუქტურის თანამშრომელი ბრძანდებით. როგორ ფიქრობთ, უპირველეს ყოვლისა, რა არის გასაკეთებელი, რომ ქართულ-აფხაზური ურთიერთობა მოწესრიგდეს?**

— ძალიან დიდი შეცდომები დაუშვეს, ნაცვლად იმისა, რომ ორ მოძმე ერს შორის შერიგებაზე ზრუნვა დაწყებულიყო. ამაში სულ რაღაც გვიშლიდა ხელს: ხან ადგილობრივი, ხან საპარლამენტო, ხან კიდევ საპრეზიდენტო არჩევნები. დევნილები ყოველთვის სასპეკულაციო თემა იყო საქართველოში. კიდევ არის თითქოსდა სერიოზული მიზეზი, რომ აფხაზეთი ოკუპირებულია და სანამ დეოკუპაციას არ მივაღწევთ, შერიგებაზე და დაბრუნებაზე ფიქრიც ზედმეტია. ეს მცდარი აზრია. დღეს აუცილებელია ურთიერთობა აფხაზებთან არა რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით, რომელიც არაფრის მომცემია, არამედ — სახალხო დიპლომატიის წინ წამოწევით.

ნურავის ექნება შუასაუკუნეობრივი ამბიცია, რომ ძალით რამეს მივაღწევთ. ვერც მარტო იმის იმედად ვერ ვიქნებით, რომ ჩვენ წარმატებული ქვეყანა გავხდებით და აფხაზები ჩვენკენ მოიხედავენ. რაც დრო გადის, გაუცხოება და უფსკრული ღრმავდება ჩვენს შორის. ამიტომაც საჩქაროდ უნდა ვიზრუნოთ შერიგებისთვის და დიალოგის დაწყებაზე. საბედნიეროდ, არიან ქართველები, მაღალი ავტორიტეტით რომ სარგებლობენ აფხაზეთში.

**ესაუბრა**
**ლადო ქირია, ზუგდიდი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო



საავტორო სვეტი

# ერის იმედი და უიმედობა

**რაღაც გვჭირს, აშკარად რაღაც გვემართება. საზოგადოება, როგორც ჩანს, უსამართლობის მიმართ სულ უფრო გულგრილი ხდება. მისი პროტესტი მეტწილად სიმბოლურ ხასიათს იძენს, ხოლო კონკრეტულ ფაქტებს, რომლებიც დაუყონებლივ რეაგირებას მოითხოვს, იგი ყურადღების მიღმა ტოვებს.**

ის, რაც 13 აპრილს საზღვრისპირა სოფელ ერისიმედში მოხდა, ალბათ, შემთხვევითი არ ყოფილა და ლოგიკურად გამომდინარეობდა სააკაშვილის ხელისუფლების ქმედებებიდან, რომელმაც ადგილობრივები ტრაგედიამდე გაცილებით ადრე მიატოვა ბედის ანაბარად. მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა ერისიმედის მკვიდრი, 17 წლის აჰმედ გიორგაშვილი (ზოგიერთი წყარო მას იბრაჰიმ გიურგაშვილად იხსენიებს) მოკლეს, საქართველოს პოლიტიკური პარტიებისა და NGO-ების უმრავლესობამ მწვავე განცხადებებისგან თავი შეიკავეს. შესაძლოა, ფაქტი განსაკუთრებული ყურადღების ღირსად არ ჩათვალეს ან ვანო მერაბიშვილთან დაპირისპირებას მოერიდნენ, რომლის დაქვემდებარებაშიც შედის სასაზღვრო პოლიცია. მესაზღვრეების ქმედება კი, ამ შემთხვევაში, სერიოზულ დაკვირვებას საჭიროებს.

ერისიმედის გამგებელი ბეგლარ აბაშიძე: **„ქართველი მესაზღვრეები მარტო იქ დგანან, სადაც პუნქტი აქვთ მოწყობილი, ერისიმედის შემოსასვლელში, გაივლიან იქ, გამოივლიან. მათ არ იციან, საზღვარი სად არის“.**

სოფლის მკვიდრი მურად თავართქილაძე: **„სადაც მკვლელობა მოხდა, ქართველი მესაზღვრეები საერთოდ არ ყოფილან. ინციდენტთან დაკავშირებით, თელავიდან ჩამოსულმა პროკურორმაც კი იკითხა, მესაზღვრეები სად არიან. მაგათ ტრასაზე ურჩევნიათ სიარული და სოფლის შემოსასვლელში დგომა; საზღვარს რომ აკონტროლებდნენ, ეს მკვლელობაც არ მოხდებოდა“** („ექსპრესნიუსი“, რადიო „ჰერეთისა“ და „კახეთის საინფორმაციო ცენტრზე“ დაყრდნობით).

**„კახეთის საინფორმაციო ცენტრმა“** ჯერ კიდევ მარტში გამოაქვეყნა **„რეპორტაჟი უმისამართო სოფლიდან“,** მასში აღწერილია სოფლის შესასვლელში მოწყობილი გამშვები პუნქტი და მესაზღვრეები, რომლებიც თანამოქალაქეებს ისეთ ტონალობაში ესაუბრებიან, რისთვისაც ნორმალურ სახელმწიფოში „ვირის აბანოს“ თუ არა, ღორების ფერმას ახეხინებდნენ.

იქვე მოყვანილია სასაზღვრო პოლიციის სამმართველოს უფროსის — დემურ კეკენაძის სიტყვები: **„ამის იქით საზღვარს ვერ ვაკონტროლებთ“** და ასახულია ერისიმედის რეალიები: დაზიანებული გზა, დანგრეული სკოლა, ჩანგრეული ჭაბურღილი, მოკლედ ის, რაც ქართული სოფლის ჩვეულებრივ ყოფას ახასიათებს, რომელიც ტელევიზორში ნაჩვენებისგან ძლიერ განსხვავდება.

დავუშვათ, მესაზღვრეებს არ გააჩნდათ ადგილობრივების უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის აუცილებელი გონიერება და პროფესიული უნარ-ჩვევები; ვნახოთ, რა მოხდა უშუალოდ ინციდენტის შემდეგ, როდესაც, წესით, ისინი, შემთხვევის ადგილზე უნდა მისულიყვნენ და აზერბაიჯანულ მხარესთან კონტაქტი დაემყარებინათ, რათა ვითარება აღარ გართულებულიყო. თუმცა აზერბაიჯანელ ასკერებთან საუბარი (კონფლიქტის ზღვარზე) და გარდაცვლილის გადმოსვენება სასაზღვრო ზოლიდან ისევ მოსახლეობას მოუხდა.

ერისიმედის მკვიდრი ომარ ფაშაევი: **„რომ მივედი მის საშველად, ოთხი ტყვია მესროლეს მეც. ვეხვეწებოდი, გამომაყვანინე, რომ კაცს ვუშველო-მეთქი. — მოდი, მოდი, ეს მკვდარიაო და შენც მოგკლავო“** (ტელეკომპანია „იმედი“). ადგილობრივების თქმით, **„აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა ავტომატები მოგვიშვირეს და რუსულად გვაფრთხილებდნენ, არ მოხვიდეთ, თორემ გესვრითო. ბავშვი ჩვენ ტერიტორიაზე ეგდო და მიახლოების უფლებას არ გვაძლევდნენ, რის შემდეგაც ძალიან აღვშფოთდით, და რაც უნდა მომხდარიყო, დაღუპულის გამოსაყვანად მივედით“** („ექსპრესნიუსი“).

ალბათ, ღმერთმა არ გაგვწირა, თორემ, როდესაც უირაღო ხალხი პირდაპირ შემართულ ავტომატებზე წავიდა, შეიძლებოდა, საშინელი ტრაგედია დატრიალებულიყო. თუმცა დანაკარგი ისედაც მძიმეა — 17 წლის ახალგაზრდა დაიღუპა და ამაში ბრალი, როგორც ჩანს, არა მარტო აზერბაიჯანელ მესაზღვრეებს, არამედ არშემდგარ ქართულ სახელმწიფოსაც მიუძღვის.

**დიმიტრი მონიავა**

# მოდუნდი და ისიამოვნე

## «ქრისტიან-დემოკრატები» «ნაციონალებს» თავფეხიანად დანებდნენ, მოდუნდნენ და სიამოვნებას ილებენ

**რაც უფრო ახლოვდება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დღე, მით უფრო ნათელი ხდება მონაწილე პარტიათა შორის ფარული გარიგებების არსებობა. გიგი უგულავა რომ ხელისუფლებისთვის სასურველი კანდიდატი აღარაა, ამას ბოლო დროს ტელევიზიით მისი გამოჩენის იშვიათობა ადასტურებს. უგულავასა და სააკაშვილს შორის აგვისტოს ომის დროს რომ ჩატყდა ხიდი და უფსკრული დღითიდღე იზრდება, ის რეპლიკაც ადასტურებს, ჯერ დაუსრულებელი ხიდის საზეიმოდ გახსნის დროს, როდესაც პრეზიდენტმა მისი დათვალიერება ხარაჩოებიდან დააპირა, უგულავამ ერთ-ერთ დეპუტატს რომ გადაულაპარაკა: „სულ გარეკა ამ უბედურმა!“.**




**ხელისუფლება რომ დაუფარავად ლობირებს „ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას“, მათ პოლიტიკურ ოპონენტებს მხედველობიდან არ გამოჰპარვიათ. გიორგი თარგამაძესა და საკრებულოს თავმჯდომარეობის მათ კანდიდატს დღეში სამი სატელევიზიო გამოსვლა მაინც აქვთ.**

სააკაშვილს ხელს აძლევს ჭანტურიას მერობა, ვინაიდან, ოპონენტების შეფასებით, ჭანტურია ქერის ორმოა, რომელში ჩავარდნასაც ნებისმიერი ადამიანი ისურვებს. გავრცელდა ინფორმაცია, რომ „ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობასა“ და სახელისუფლო გუნდს შორის გარიგება დაიწყო. პარტიები უკვე გეგმავენ, როგორ გადაინაწილებენ ოლქებს. „კონსერვატორების“ ერთ-ერთი ლიდერი და მერობის კანდიდატი ზვიად ძიძიგური გავრცელებულ კულუარულ ინფორმაციას არც უარყოფს და არც ადასტურებს.

**ზვიად ძიძიგური: — ხელისუფლებასა და „ქრისტიან-დემოკრატებს“ შორის რომ თბილი დამოკიდებულებაა, გარკვეულ კავშირებზე მიუთითებს. ამას ყველა ამჩნევს. ოლქების განაწილებასთან დაკავშირებით კულუარულ ინფორმაციას არ გამოვრიცხავ, ვინაიდან ხშირად გვინახავს, რომ ასეთი ინფორმაცია მართლდება.**

გიორგი თარგამაძისა და სააკაშვილის გუნდს შორის ჰარმონიული ურთიერთობა ეჭვს უჩენს „ალიანსსაც“. „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთი ლიდერი **მანანა ნაჭყებია** არ გამორიცხავს „ნაციონალებსა“ და გიორგი თარგამაძის გუნდს შორის კავშირს, თუმცა მიაჩნია, რომ, გარიგების მიუხედავად, სააკაშვილს გაუჭირდება გია ჭანტურიას მეორე ადგილზე გაყვანა. **„არ მჯერა გავრცელებული ხმების, რომ უგულავას კანდიდატურას არ დააყენებენ და მასზე წინ წაწევენ ჭანტურიას. არც მასეთია ხელისუფლება, რომ გადამწყვეტ მომენტში მსგავსი ნაბიჯი გადადგას“.**

ხელისუფლება „ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას“ წინასაარჩევნოდ მაქსიმალურად კომფორტულ გარემოს უქმნის. თავად „ქრისტიან-დემოკრატები“ უარყოფენ ამ ინფორმაციას და განმარტავენ, რომ მათ წინააღმდეგ „ნაციონალური მოძრაობა“ სერიოზულად მუშაობს.

საბურთალოს რაიონის მაჟორიტარობის კანდიდატ **ზაზა გაბუნიას** მტკიცებით, მმართველი პარტიის შტაბში შექმნილია სპეციალური ჯგუფი, რომლის ამოცანაც „ქრისტიან-დემოკრატების“ სარეკლამო პლაკატების ჩამოხევა და წინასაარჩევნო კამპანიისთვის ხელის შეშლაა.

— ჩვენი ხშირი გამოჩენა ტელევიზიით ერთადერთი არგუმენტია ჩვენი ოპონენტებისთვის, რომ გარიგებაში დაგვდონ ბრალი, — ამბობს გაბუნია, — ჩვენ არ ვერევით ამა თუ იმ ტელეკომპანიის სარედაქციო პოლიტიკაში და არც ვიცი, როგორ ანაწილებენ ინფორმაციას.

**მართლაც, არის თუ არა ფარული გარიგება „ქრისტიან-დემოკრატებსა“ და მიხეილ სააკაშვილს შორის, 30 მაისს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგების გამოცხადების დროს ვნახავთ.**

**წინასაარჩევნოდ პოლიტიკურ პარტიებს შორის გარიგება ტრადიციად იქცა.**

სააგენტო „პირველის“ ინფორმაციით, „ლეიბორისტებს“ საარჩევნო უბნებზე კვოტების დათმობის საკითხზე „ნაციონალური მოძრაობა“ ევაჭრებოდა. შალვა ნათელაშვილისა და მიხეილ სააკაშვილის პარტიებს შორის შეთანხმება ვერ შედგა, რაც, ერთის მხრივ, ლეიბორისტების მიერ მოთხოვნილი თანხის კოლოსალურობას, ხოლო მეორეს მხრივ, „ნაციონალების“ მიერ წაყენებული პირობების მიუღებლობას უკავშირდებოდა.

სააგენტოს წყაროს ინფორმაციით, შალვა ნათელაშვილმა საარჩევნო უბნებში თავისი ადგილები „ნაციონალებს“ ერთ მილიონ დოლარად დაუფასა, ამ სოლიდური თანხის სანაცვლოდ, პრეზიდენტის პარტიის წარმომადგენლებმა მოითხოვეს, რომ არჩევნების შემდეგ საუბნო საარჩევნო ოქმების გაფორმებისას კონკრეტულ უბნებზე ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენლებს „ნაციონალების“ კანდიდატების გამარჯვების დადასტურებისთვის პრობლემები არ შეექმნათ და საარჩევნო შედეგი ეღიარებინათ.

ამ ფაქტს კატეგორიულად უარყოფს ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკური მდივანი გიორგი გუგავა. მისი განცხადებით, ფული „ლეიბორისტებმა“ კი არა, სააგენტო „პირველის“ ხელმძღვანელობამ აიღო, რათა ეს ინფორმაცია გამოექვეყნებინა.

**გიორგი გუგავა:** — ამ ინფორმაციის გამავრცელებელი კონკრეტულ დავალებას ასრულებს. შინაგან საქმეთა სამინისტროში შექმნილია მასმედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტი, რომელსაც შოთა უტიაშვილი ხელმძღვანელობს. შემოაგდებს ხოლმე სპეციალურ ჭორებს და პოლიტიკური პარტიები უნდა ჩააყენოს თავის მართლების სიტუაციაში. ახლაც ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. პასუხი შეგიძლიათ სააგენტოს ხელმძღვანელობას მოსთხოვოთ, საიდან მიიღეს ინფორმაცია და რატომ ავრცელებენ ასეთ ჭორებს? მე არ ვაპირებ ამ ცილისწამების გამო თავის მართლებას, მათი მიზანი სწორედ ეს იყო, რომ ჩვენ გვემართლებინა თავი. მანამ არ აუდგეთ გვერდები! რაც შეეხება ფულის აღებას, ფული აღებული აქვს მაგ ინფორმაციის გამომქვეყნებელს და არა — ჩვენ.

საინფორმაციო სააგენტო „პირველის“ ხელმძღვანელი **ანი მიროტაძე** კი თავისი სიმართლის დაცვას სასამართლოს გზით აპირებს:

**— თუკი ასე უსაფუძლოდ გააგრძელებს „ლეიბორისტული პარტია“ ჩემს კრიტიკას და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან“ კავშირზე საუბარს, მე ჩემს სიმართლეს სასამართლოს გზით დავიცავ.**

ეს ინფორმაცია ხელში ჩაუვარდა „პირველის“ საპარლამენტო კორესპონდენტს, რომელსაც ჰყავს წყარო. ამგვარი დამოკიდებულება უკვე წესად იქცა პოლიტიკური პარტიების მიერ, რომ, როგორც კი რაიმე სახის ინფორმაცია გაჩნდება პოლიტიკოსებზე, რომელიც ნეგატიურია, მაშინვე იწყება სააგენტოს პატრონისა და პოლიტიკოსების კავშირებზე და გარიგებებზე საუბარი და ა.შ. ეს არ არის პირველი შემთხვევა. ადამიანს რომ ბრალს სდებ, ხომ უნდა დაადასტურო დოკუმენტურად? მე დავუსვამ ასეთ შეკითხვას ლეიბორისტებს: რატომ ჰყავდათ საპარლამენტო არჩევნებში 5 ნომრად ვანო მერაბიშვილის ნათესავი წამოყენებული? მე ვარ დაკავშირებული ვანო მერაბიშვილთან და ლეიბორისტები არა? დავდექი საჭიროების წინაშე, რომ გავაგრძელო ეს თემა სამართლებრივი კუთხით.

**მიუხედავად იმისა, რომ წინასწარ ჩატარებულ სოციოლოგიურ კვლევებში მმართველი გუნდის კანდიდატი ლიდერობს, ხელისუფლებას რწმენა აქვს დაკარგული საკუთარი თავის მიმართ.**

**სააკაშვილს არ სჯერა, რომ თბილისელების უმრავლესობა უგულავას დაუჭერს მხარს და, ეს რომ არ მოხდეს, პრევენციული ზომები წინასწარვე ტარდება. ბოლო სამი თვის განმავლობაში რამდენჯერმე ჩატარდა მოსახლეობის აღწერა.**

გარდა ამისა, „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერები კარდაკარ დადიან და უგულავას გულის გასახარად ისეთ შედეგებს დებენ, რაც შიგნით მოყვარეს უბრმავებს თვალს და გარეთ — მტერს.

ყალბი შედეგებით „ნაციონალების“ უბნის აქტივისტები წარდგებიან უფროსების წინაშე, რომლებიც დაიჯერებენ, რომ ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვთ და არჩევნებშიც გაიმარჯვებენ. მაგრამ ყველაზე ობიექტური შედეგი 30 მაისს გამოჩნდება, როცა ადგილობრივი არჩევნების რეალურ სურათს ვიხილავთ.

**შორენა გოგოლაძე**

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# იმაზე ძვირი, ამაზე დიდი, მტკვარზე გამართეს პლასტმასის ხიდი

**დეპუტატმა გიორგი ცაგარეიშვილმა თბილისის მოქმედ მერს — გიგი უგულავას 10 ბრალდება წაუყენა. უცნობია, უპასუხებს თუ არა უგულავა ცაგარეიშვილის ბრალდებებს. მოგეხსენებათ, არჩევნების წინ „ცოდვებზე" საუბარი მეტად აქტუალურია და არც ხელისუფლებას აქვს მოკლე მეხსიერება. ამიტომ, გამორიცხული არ არის, ცაგარეიშვილს შს სამინისტროში „პრავების" განყოფილების მისი უფროსობისდროინდელი ცოდვები გაახსენონ. მაგრამ მერია ჯერჯერობით დუმს, ცაგარეიშვილი კი აცხადებს, რომ უგულავას დუმილს თანხმობად მიიჩნევს — რომ მერია დანაშაულებრივ საქმიანობას ნამდვილად ეწევა — და ამის თაობაზე საზოგადოებას ამცნობს.**



**რაში ადანაშაულებს გია ცაგარეიშვილი თბილისის მერს?**

**საკითხი 1:** ბოლო წლების მანძილზე თბილისის ბიუჯეტიდან ათობით მილიონი ლარის ხარჯვა, ხშირ შემთხვევაში, გაუმჭირვალედ და თბილისის მოსახლეობის აზრის გაუთვალისწინებლად ხდებოდა;

**საკითხი 2:** პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან თბილისის მერიას ათობით მილიონი ლარი გამოეყო; მაინტერესებს სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი თანხების რაოდენობა და მიზნობრიობა;

**საკითხი 3:** რამდენიმე სამშენებლო პროექტის ხარისხი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. თუ რა უხარისხოდ არის ჩატარებული სამუშაოები, თვალის ერთი შევლებითაც ჩანს. ამის მაგალითია თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე დანგრეული ტროტუარები, რომელთა მოპირკეთებისთვის ორი წლის წინ მილიონობით ლარი გამოიყო, თუმცა უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების გამო იგი უკვე შესაკეთებელია. ვითხოვ ინფორმაციას ამ სამუშაოებისთვის გამოყოფილი თანხების ოდენობის შესახებ.

**საკითხი 4:** მაინტერესებს თბილისში, რიყეზე დამონტაჟებული ატრაქციონის ღირებულება და მისი დემონტაჟის მიზეზი. უგულავამ ქალაქის ცენტრში ე. წ. სათვალთვალო კოშკურა რომ დაამონტაჟა, სააკაშვილს ბავშვივით უხაროდა. როგორც ჩანს, იგი ბავშვობაში ატრაქციონებზე არ დაჰყავდათ მშობლებს, ამიტომ დიდობაში აიხდინა ბავშვობის ოცნებები. ამბობენ, Eეს სიმახინჯე 900 ათასი ევრო დაჯდაო. მაინტერესებს, ოფიციალურად რა დაჯდა იგი, ძალიან მალე რომ მოხსნეს და სადღაც წაიღეს.

**საკითხი 5:** რა დაჯდა თამარ მეფის ხიდთან პრომეთეს ძეგლის მონტაჟი, დემონტაჟი და გადატანა. ამბობენ, დედაქალაქის ბიუჯეტს ამ ძეგლის მონტაჟი, შემდგომ დემონტაჟი და ბორჯომში გადატანა მილიონი ლარი დაუჯდა. ძეგლი, ფაქტობრივად, მოიპარეს ღამით და ჩუმად წაიღეს ბორჯომში.

**საკითხი 6:** საინტერესოა, ვინ არიან რიყეზე ე. წ რეკრეაციულ ზონად გადაქცევის პროექტის ტენდერში გამარჯვებული ფირმები და როგორია ტენდერის პირობები. ამავე რეკრეაციულ ზონას ეხმიანება საცალფეხო ხიდის მშენებლობის პროექტიც. შესაძლოა, ეს ერთი პროექტიც იყოს. რა უჯდება ბიუჯეტს მისი განხორციელება? საერთოდ, დანგრეულია მთელი რიყე, შენდება უზარმაზარი ხიდი, რომელიც, ასევე, გადმოცემით ვიცი, რომ თბილისის ბიუჯეტს დაახლოებით 70 მლნ ლარი უჯდება.

როცა მთელი ქვეყანა წყალზე დგას, ინგრევა და ასეულობით შენობა გამაგრებას საჭიროებს, რატომ უნდა ავაშენოთ ჩვენ რკინის ხიდი, ორ ხიდს შორის (200-300 მეტრშია მეტეხის და ბარათაშვილის ხიდები, რომლებზეც არის ქვეითთა გადასასვლელებიც), რა საჭირო იყო ამ ხიდის მშენებლობა, რომელიც ღამით უნდა განათდეს. მე კი ვხვდები, რა საჭიროც იყო — იმიტომ, რომ ბატონმა სააკაშვილმა ვერანდიდან გადმოიხედოს და ეს საშინელება იხილოს, რომელიც ქალაქის იერს დაამახინჯებს.

**საკითხი 7**: საინტერესოა, თბილისის მერიის ბიუჯეტიდან, გმირთა მოედანზე შადრევანის მონტაჟისა და დემონტაჟის ხარჯები. ეს შადრევანი 4-ჯერ გარემონტდა, შემდეგ, მშენებლობის გამო, საერთოდ დაანგრიეს. რამდენი ლარი დაიხარჯა თბილისის ბიუჯეტიდან შადრევნისთვის, რომელიც მთელ გმირთა მოედანს ასველებდა და მოძრაობის უსაფრთხოებას დიდ პრობლემებს უქმნიდა? რატომ დაიდგა და შემდეგ რატომ მოიხსნა იგი?

**საკითხი 8**: მაინტერესებს ვაკე-საბურთალოს რაიონში ცნობილი შემოვლითი საავტომობილო გზის მშენებლობის საპროექტო ხარჯები.

**საკითხი 9**: ვითხოვ ინფორმაციას, თუ რამდენი უჯდება ბიუჯეტს თბილისის მერის, ვიცემერის, მერის მოადგილეებისა და გამგებლების მობილური კავშირგაბმულობის ხარჯები და, შესაბამისად, რამდენი გადაერიცხა მობილური კავშირგაბმულობის კომპანიებს, რადგან ათიათასობით ლარია დახარჯული მათ სატელეფონო საუბრებზე.

**საკითხი 10**: მაინტერესებს თბილისის სატელევიზიო ანძის განათებისა და ილუმინაციისთვის გაწეული ხარჯები და თბილისის გარეგანათებისთვის გამოყოფილი თანხები 2007, 2008 და 2009 წლების ზამთრის პიკის სეზონისთვის. რამდენი ლარი იხარჯება იმისთვის, რომ ვუყუროთ განათებულ ანძას ფუნიკულიორზე? გვაქვს იმის ფუფუნება, რომ გიგი უგულავას განათებულ კაბინეტს დამსგავსებოდა რუსთაველი და ამაში დახარჯულიყო ფული?

გავა რამდენიმე დღე, რა თქმა უნდა, ამაზე პასუხს უგულავა არ გამცემს და მე თქვენი და თქვენი კოლეგების საშუალებით ვამცნობ თბილისის მოსახლეობას, რომ დუმილი თანხმობის ნიშანია.

**დიახაც, ეს თანხები მოპარულია ბიუჯეტიდან. დიახაც, ათიათასობით ლარს ხარჯავს უგულავა, ტელეფონით რომ იჭორაოს.**

დიახაც, ისინი ჩვენს ჯიბეში აფათურებენ ხელს და მარაზმატიკულ პროექტებში იხარჯება ჩვენი ჯიბიდან ამოცლილი გადასახადების ლომის წილი. ამ ყველაფერს ვამცნობ მოსახლეობას თქვენი საშუალებით.

**— ბატონო გია, ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭირვალობა – საქართველო" ითხოვდა ინფორმაციას მერიის ახალი შენობის რემონტის ხარჯებზე, თუმცა მერიამ ეს ინფორმაცია დამალა. ხომ არ არის ცნობილი თქვენთვის, რა დაჯდა იგი?**

— მერიის ვებგვერდზე ზედაპირულად არის მითითებული რემონტის ხარჯები. რამდენადაც მახსოვს, რემონტსა და გამაგრებით სამუშაოებზე ათ მილიონზე მეტია დახარჯული. ვფიქრობ, ესეც გაუთვალისწინებელი და მიუღებელი ხარჯია, როცა ქალაქ თბილისს სხვა უფრო დიდი პრობლემები აქვს. ასეთ დროს ფუფუნების საგნებისთვის, სამეულებისა და ძვირადღირებული მანქანების შეძენისთვის და ტელეფონებზე საჭორაოდ არ უნდა ეცალოს არც მერს, არც ვიცემერსა და არც გამგებლებს. თანხები არამიზნობრივად, გაუმჭირვალედ იხარჯება.

გაგახსენებთ, 2006-2007 წლებში საპარლამენტო ოპოზიციამ მოინდომა, მაგრამ ვერაფრით მიაგნო თბილისის კეთილმოწყობისთვის გამოყოფილი სახსრების ხარჯვის კანონიერებას, რომელსაც კონტროლის პალატის მასალებზე დაყრდნობით, გრიფით „საიდუმლო" დაედო საქართველოს იმჟამინდელი გენერალური პროკურატურის მიერ. **კეთილმოწყობის სამუშაოები, სუბელიანის გამგებლობის სფეროს განეკუთვნებოდა მაშინ და 100 მილიონზე მეტი იყო დახარჯული.** ჩვენ ამ თანხების ხარჯვის კანონიერებას ვერსად მივაგენით, მაგრამ გპირდებით, როცა ხელისუფლება შეიცვლება საქართველოში, ამ მტვერდადებულ საქმეებს კომპეტენტური პირები თაროებიდან ჩამოიღებენ და პასუხს აგებინებენ იმ ადამიანებს, რომლებიც წლების მანძილზე ძარცვავდნენ და ყვლეფდნენ თბილისის მოსახლეობას.

**როცა ხელისუფლება შეიცვლება, პასუხს აგებინებენ იმ ადამიანებს, რომლებიც წლების განმავლობაში ძარცვავდნენ და ყვლეფდნენ თბილისის მოსახლეობას...**

**— რატომ გახდა საეჭვო მიმდინარე პროექტების ტენდერები, მიგაჩნიათ, რომ ტენდერებში გამარჯვებული ფირმების უკან ხელისუფლების წარმომადგენლები დგანან?**

— დარწმუნებული ვარ რომ ასეა. კონკრეტულ შემთხვევას გაგახსენებთ:

ებრაული კომპანია „აშტრომი" გზებს აშენებს საქართველოში. მის რამდენიმე პრეზენტაციაზე ბატონი ბექაური გამოჩნდა. დასკვნა თვითონ გააკეთეთ, ვინ არის „აშტრომი" და ვინ — მისი ლობისტი. **აქ ძალიან მარტივი სქემა მუშაობს, ვითომდა უცხოური კომპანია იმარჯვებს ტენდერში (ან ობშორში დარეგისტრირებული, ან რომელიმე ქვეყანაში), რა თქმა უნდა, აქ „ატკატების" სისტემა ბრწყინვალედ არის აწყობილი და უზარმაზარი თანხების მიმღებნი ხელისუფლების წარმომადგენლები არიან ან მათთან დაახლოებული ადამიანები. შემდეგ ამ კომპანიების მიერ მიღებული შემოსავლების დიდი ნაწილი პირდაპირ „ნაციონალური მოძრაობის" პარტიულ სალაროში მიდის.**

ეს არჩევნების წინ ხდება. რატომ არ უჩნდება სურვილი არც ერთ ბიზნესმენს, რომლებიც ტენდერებში იმარჯვებენ, ბატონ ირაკლი ალასანიას პარტიას ან სხვა რომელიმე ოპოზიციურ პარტიას ერთი თეთრი მაინც გადაურიცხონ? და რატომ უჩნდებათ დაუოკებელი სურვილი მაინცდამაინც „ნაციონალურ მოძრაობას" გადაურიცხონ უზარმაზარი თანხები, მილიონობით ლარი? დააკვირდით, ესენი ის კომპანიებია, ტენდერებში რომ იმარჯვებენ.

**სოფო გელაშვილი**

## მოკლედ




### კრიზისი გრძელდება

**Morgan Stanley-მ თავის ინვესტორებს განუცხადა, რომ უძრავი ქონების 8,8- მილიარდიანი ფონდიდან წარუმატებელი ინვესტირების გამო შესაძლოა დაახლოებით ორი მესამედი დაიკარგოს.**

5,4 მილიარდი დოლარის დანაკარგი უძრავი ქონების ინვესტირებაში აქამდე დაფიქსირებულთა შორის უდიდესი იქნება. Morgan Stanley-ს ამ დანაკარგებით აშშ-ის უძრავი ქონების ბაზარი კრიზისის ახალ კულმინაციას იწვნევს.

პროგნოზების თანახმად, 2011 წელს სექტორს 300- მილიარდიანი დანაკარგები ელის.




### აშშ-ში 12 ბანკი დაიხურა

**აშშ-ის რეგულატორებმა გასულ კვირას კიდევ 8 ბანკი დახურეს. ამით წლის დასაწყისიდან დღემდე გაკოტრებული ფინანსური ორგანიზაციების რაოდენობა 51-ს გაუტოლდა.**

საერთო ჯამში მათი აქტივები დაახლოებით 2,5 მილიარდ დოლარს შეადგენდა. ბანკები დაიხურა ვაშინგტონის, კალიფორნიის, ფლორიდის მასაჩუსეტსის და მიჩიგანის შტატებში.

შედარებისთვის, გასული უმძიმესი წლის ექვსთვიანი მაჩვენებლებით, აშშ-ში ასეთი სულ 60 ფინანსური ორგანიზაცია იყო. მას შემდეგ ბანკების გაკოტრების ტემპი განუხრელად მატულობს.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ვინ საიდან მოვიდა ხელისუფლებაში?

**„ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ.“ ანტუან დე სენტ-ეკზიუპერის ამ გენიალურ მოსაზრებას თუ გავყვებით, ბევრი ჩვენგანის ზრდასრულობას მოეძებნება ახსნა. ქართული ბომონდის ახალი სახე, შორენა ბეგაშვილი ცოტა ხნის წინათ საზოგადოებას უხსნიდა, მისი ცხოვრება ასე მძიმე ბავშვობამ, მძიმე სოციალურმა და ოჯახურმა მდგომარეობამ აიძულა გაეხადა და ქართულ ბომონდში თავი ამგვარად დაემკვიდრებინა. გახდით ყველა არ იხდის, ზოგი პირიქით, მერე იცვამს, მაგრამ ასე თუ ისე, ხელისუფალთა დიდ ნაწილში ბავშვობა, შორენასებრ ჰპოვებს გამოხმაურებას ზრდასრულ ასაკში. ვინ საიდან მოხვდა ხელისუფლების მაღალ თანამდებობებზე, რა წარსული აქვთ დღეს გაზულუქებულ ხელისუფალთ, ამაზე „საქართველო და მსოფლიო“ გიამბობთ.**

## ტრამვაის მეისრეები, შიკრიკები და გასტრონომის გამყიდველები – ხელისუფლებაში



თბილისის მერი გიგი უგულავა, რომელიც საზოგადოებას მოძრაობა „კმარადან“ ახსოვს, თურმე „სოროსის ფონდში“ დარაჯად მუშაობდა. ცნობილმა პოლიტიკოსმა გზა სწორედ აქედან გაიკვალა. იგი ახალგაზრდობაში სტიქაროსანი იყო, ერთხანს სკოლაში რელიგიის ისტორიასაც ასწავლიდა, თუმცა ამას უგულავაზე კვალი აშკარად არ დაუტოვებია. სანამ სოროსის ფონდს დაუახლოვდებოდა, იგი ჟურნალისტიკითაც იყო დაკავებული, მაგრამ, როგორც ჩანს, დიდად აქაც ვერ ივარგა.



**რატი ალექსიძემ ქუჩაში დაინახა თავისი ავტომანქანა, რომელსაც უშიშროების მინისტრის მოადგილის, გიგი უგულავას მძღოლი, მისი ბავშვობის მეგობარი კობა სუბელიანი მართავდა.**

**გიგი უგულავა წარმატებული ფიგურა „კმარაში“ დამსახურებების გამო მაღალ თანამდებობებზე დანიშვნის შემდეგ გახდა. მან ჯერ უშიშროების მინისტრის მოადგილეობას გამოჰკრა ხელი, შემდეგ — სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორობასა და პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობას, ბოლო რამდენიმე წელი კი თბილისის მერის პოსტს ინარჩუნებს.**

უგულავას უშიშროების მინისტრის მოადგილეობისას ფართო საზოგადოებამ ლტოლვილთა და განსახლების ამჟამინდელი მინისტრი კობა სუბელიანიც გაიცნო. ეს ის პერიოდი იყო, როცა უშიშროების მაღალჩინოსნები ძვირადღირებულ მანქანებზე ნადირობდნენ და ნახევარ თბილისს ავტომანქანები ჩამოართვეს, თითქოსდა იმის გასარკვევად, შემთხვევით მოპარული ხომ არ იყო. ავტომანქანა ფეხბურთელ რატი ალექსიძესაც ჩამოართვეს. სულ მალე მან ქუჩაში დაინახა თავისი ავტომანქანა, რომელსაც უშიშროების მინისტრის მოადგილის, გიგი უგულავას მძღოლი, მისი ბავშვობის მეგობარი კობა სუბელიანი მართავდა.

კობა სუბელიანი, გიგი უგულავა და ამჟამინდელი ვიცე-მერი მამუკა ახვლედიანი სტიქაროსნები იყვნენ და სასულიერო სემინარიაშიც ერთად სწავლობდნენ. 90-იან წლებში მამუკა ახვლედიანი საპატრიარქოს საგამომცემლო კალენდრის შემდგენელ-რედაქტორიც გახლდათ, ასევე რელიგიის ისტორიას ასწავლიდა რუსთავის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტსა და რუსთავის გიმნაზიაში. თუ სუბელიანმა უგულავას მძღოლობით დაიწყო კარიერული წინსვლა, მეორე მეგობარი მამუკა ახვლედიანი უგულავამ სამეგრელო-ზემო სვანეთში გუბერნატორობის დროს აპარატის უფროსად დანიშნა.

**თუ სუბელიანმა უგულავას მძღოლობით დაიწყო კარიერული წინსვლა, მეორე მეგობარი მამუკა ახვლედიანი უგულავამ სამეგრელო-ზემო სვანეთში გუბერნატორობის დროს აპარატის უფროსად დანიშნა.**

მძღოლის ადგილი ბევრი ჩინოვნიკისთვის აღმოჩნდა ტრამპლინი მაღალ თანამდებობაზე მოსახვედრად. მათ შორისაა შს მინისტრის ყოფილი მოადგილე და შემდგომ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროს ყოფილი უფროსი ირაკლი კლდიაშვილი. გავრცელებული ინფორმაციით, კლდიაშვილი ერთხანს ზურაბ ჟვანიას მძღოლად მუშაობდა. პურის მანქანის მძღოლობით დაუწყია კარიერა ლოთი ქობალიას; მტვირთავობით — სკანდალურად ცნობილ ექსდეპუტატ კობა ბექაურს. „ჭიათურმანგანუმის“ მუშა გახლდათ ნაციონალური მოძრაობის წევრი, პარლამენტარი მამუკა გოგატიშვილი.



**„მარადმწვანე“ პარლამენტარ ხათუნა გოგორიშვილის ბიოგრაფია განათლების სამინისტროს სპეციალიზირებული საციგურაო სპორტული სკოლის ლაბორანტობით იწყება, ხოლო ბიოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, იგი გარდაბნის რაიონის სოფელ კიკეთში ქიმია-ბიოლოგიას ასწავლიდა. ძნელი სათქმელია, მწვანეთა პარტიამ დაამკვიდრა იგი პარლამენტის მუდმივ ბინადრად თუ რაიმე ქიმიურ შენაერთებთან გვაქვს საქმე, მაგრამ ერთი რამ ცხადია: დიდი ბიოლოგი გოგორიშვილი 1993 წლიდან დღემდე ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოდან არ გამოსულა.**

საგარეჯოს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა, ბერსუაცკის საბჭოთა მეურნეობის უბნის მუშა, გარეჯის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა — ესეც ნაციონალური მოძრაობის რიგებში მყოფი მე-7 მოწვევის პარლამენტის წევრ ზაზა გულიკაშვილის შრომითი საქმიანობის ნაწილია. გულიკაშვილი ამდენი მძიმე სამუშაოს შემდეგ ზოოტექნიკოსად გადასულა გიორგიწმინდის მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება-გადამუშავების კომბინატში, სადაც, ეტყობა, საქმეს ალღო აუღო და ჯერ შპს „მეფრინველეობის ფაბრიკა „საგარეჯოს“, შემდეგ კი, „სათავე პლუსის“ დირექტორი გახდა და საქართველოს პარლამენტის წევრობასაც გამოჰკრა ხელი.

ბათუმის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს მუშა გახლდათ ასევე ნაციონალური მოძრაობის წევრი, პარლამენტარი ასლან თავდგირიძე. მან ბათუმის სარემონტო კანტორის მუშად დაიწყო მუშაობა, იქიდან კი ხელვაჩაურის მოძრავ-მექანიზებული კოლონა №45-ის მუშად გადავიდა. მერე ოსტატობას მიაღწია, შემდგომ კი ახალშენის საკრებულოს მდივანიც გახდა, საიდანაც ფირმა „ბანა-XX“-ს პრეზიდენტის პოსტზე გადაინაცვლა პარლამენტისკენ გზა კი ხელვაჩაურის გამგებლობით გაიკვალა.

**ერთ დროს გივი თარგამაძის ბინაზე გამოძახებაც შეგეძლოთ**



**ექიმი გამყრელიძე მეწარმედ მოგვევლინა და ჯერ „ალდაგში“, მოგვიანებით კი საქართველოს პარლამენტში გადაინაცვლა.**

**დღეს ტელეფონსაც არ პასუხობს, 1985-87 წლებში კი შეგეძლოთ ბინაზე გამოგეძახებინათ მეოთხე მთავარი სამმართველოს საავადმყოფო-პოლიკლინიკის სასწრაფო მომსახურების ბიუროს სანიტარი გივი თარგამაძე. სანამ ძალებს ჯერ ჟურნალისტიკაში, შემდეგ კი პოლიტიკაში მოსინჯავდა, თარგამაძე მედიცინას შესჭიდებია. ნაციონალების სახეს 1990-91 წლებში უროლოგია-ნეფროლოგიის ინსტიტუტის სანიტრადაც უმუშავია.**



**ძნელი სათქმელია, მწვანეთა პარტიამ დაამკვიდრა იგი პარლამენტის მუდმივ ბინადრად თუ რაიმე ქიმიურ შენაერთებთან გვაქვს საქმე**

საქართველოს პარლამენტის წევრ ზაზა მადურაშვილს კარიერა თიანეთის რაიონის ახალსოფლის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში მუშად დაუწყია, შემდეგ კი თიანეთის საკოლმშენის ორგანიზაციის მძღოლად გადასულა. მისი კარიერული წინსვლა თიანეთის გამგეობიდან იწყება. აქედან იგი ჯერ უშიშროებაში იწყებს მუშაობას, შემდეგ კვლავ გამგეობას უბრუნდება და დღეს, როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს წევრია.

ექიმი-ნევროპათოლოგია პარლამენტის წევრი, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის თავმჯდომარე შოთა მალაშხია. იგი ჯერ 26 კომისრის რაიონის სახლმმართველობის სამშენებლო-სარემონტო სამსახურის მუშად მუშაობდა, შემდეგ თბილისის №132 ტექნიკურ სასწავლებელში „სამედიცინო ხელსაწყოთა მე-3 თანრიგის ელექტრომექანიკოსის“ სპეციალობას დაუფლებია და თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს მე-3 თანრიგის ელექტრომონტიორი ყოფილა, ტრამვაის №1 დეპოს მეისრეობაც მოუსინჯავს. სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მალაშხია ჯერ ექიმ-ლაბორანტად, შემდეგ კი ექიმ-ნევროლოგად მუშაობდა. 2004 წლიდან იგი საქართველოს პარლამენტის წევრია.

**ცეკავშირის მარნეულის განყოფილების გასტრონომის გამყიდველი, აგროფირმა „სამგორის“ №3 მაღაზიის გამგე, შპს „სამგორი-93“-ის, საბითუმო-საცალო ვაჭრობის ქვესაწარმო „უნივერსალის“ №3 მაღაზიის გამგე, მარნეულის სამომხმარებლო საზოგადოების ეკონომისტი, მარნეულის რაიონის ეკონომიკური განყოფილების უფროსის მოადგილე — ასეთია ორი მოწვევის პარლამენტის წევრის — აზერ სულეიმანოვის შრომითი ბიოგრაფია.**

კახეთის გუბერნატორ გიორგი ღვინიაშვილის შრომითი საქმიანობის სურათი ასე გამოიყურება: ს/გ „საქაგრომშენის“ მე-4 თანრიგის შემკეთებელი, საქართველოს სსრ პროკურატურის კანცელარიის ინსპექტორი, კანცელარიის შიკრიკი. საბურთალოს რაიონის საზკვების ტრესტის მუშა. ამის შემდეგ ღვინიაშვილი კვლავ პროკურატურას უბრუნდება. იგი გენერალური პროკურორის მოადგილის ტექნიკურ თანაშემწედ იწყებს მუშაობას და პროკურატურაში მისი კარიერული წინსვლაც იწყება. გახსოვთ, ალბათ, ღვინიაშვილი გუბერნატორობამდე პარლამენტის წევრი, მანამდე კი თბილისის პროკურორი გახლდათ.

**ჩვენი „ექიმი, მეწარმე, ლიდერი“ დავით გაყრელიძე თბილისის მე-7 კლინიკური საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების სანიტარი, ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფოს ახალშობილთა ინტენსიური თერაპიისა და რეანიმაციული განყოფილების მედძმა, საბურთალოს ალკკ რაიონული კომიტეტის თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიის ფაკულტეტის კომკავშირის კომიტეტის გათავისუფლებული მდივანი, ბავშვთა მე-5 კლინიკური საავადმყოფოს ბავშვთა ექიმი-ინტერნი, ბავშვთა ნევროლოგიური სანატორიუმ „არხილოსკალოს“ (დედოფლისწყაროს რაიონი, სოფელი არხილოსკალო) ექიმი ნევროლოგი ყოფილა. ამის შემდეგ ექიმი გამყრელიძე მეწარმედ მოგვევლინა და ჯერ „ალდაგში“, მოგვიანებით კი საქართველოს პარლამენტში გადაინაცვლა.**

**სოფო გელაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



## გოგი თოფაძე: არ შეიძლება კუნთებზე ვიყუროთ და რუსებს ისე ველაპარაკოთ

### თუ ვინმეს უნდა, რუსეთს ომით რამე წაართვას, აბსურდია

**თვითმმართველობის არჩევნებზე, უფრო კონკრეტულად კი, თბილისის მერის სკამისთვის პოლიტიკური ფსონები გაკეთებულია. მოთამაშეებმა პოლიტიკური ბანქო ამომრჩევლის წინაშე გაშალეს და ცდილობენ, დაამტკიცონ, ვის უკეთესი პოზიცია უჭირავს. ამის შემდეგ ჯერი ამომრჩეველზეა, ვის სასარგებლოდ გააკეთებს სვლას.**

ხელისუფლება დარწმუნებულია, რომ 30 მაისს ცესკოს მაგიდაზე „ფლეშროიალს“ (ყველაზე მაღალი კომბინაცია) გაშლის. ამის ალბათობას არც ოპოზიცია გამორიცხავს, მაგრამ ბრძოლას მაინც აგრძელებს. მათ, ვინც ფიქრობს, რომ საქართველოს მრეწველობა გადაარჩენს, საკუთარი ფსონი გოგი თოფაძის სახით გააკეთეს. კომპანია „ყაზბეგის“ ირგვლივ მომხდარი არაერთი სკანდალის მიუხედავად, გოგი თოფაძემ, რომელიც ბუნებით უფრო ბიზნესმენია, ვიდრე პოლიტიკოსი, შეძლო საკუთარი ბიზნესის დაცვა. წინასაარჩევნო ლოზუნგიც ბიზნესს დაუკავშირა, **„მე არც ერთი ხელისუფლების დონორი არ ვყოფილვარ, ბიზნესმა სალარო უნდა შეავსოს.“** შეიძლება ითქვას, ამაყობს იმით, რომ უცხოელი ინვესტორების გარეშე, აბსოლუტურად ქართული კაპიტალით აკეთებს საქმეს და პოლიტიკაში ადგილის დამკვიდრებასაც უცხო ქვეყნების მხარდაჭერის გარეშე ცდილობს. ალბათ, ამიტომ, წინასაარჩევნოდ პარტნიორების ძებნა არც მოსკოვში დაუწყია და არც — დასავლეთში.

**— ბატონო გოგი, პოლიტიკურ სპექტრში თვითმმართველობის არჩევნებმა დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. დაიწყო ღია და ფარული ვიზიტები ჩრდილოეთსა თუ დასავლეთში. თქვენ ამ ფონზე საკმაოდ თავშეკავებული ხართ. არ გჭირდებათ ძლიერი მოკავშირე სხვა სახელმწიფოს სახით, თქვენთვის სასურველ პოლიტიკურ პოზიციას რომ მიაღწიოთ?**

— ნამდვილად არ მინდა არც ერთი სახელმწიფოს მხარდაჭერა.

**ამდენი წლის განმავლობაში მხარს გვიჭერდა „ჩვენი მეგობარი“ შეერთებული შტატები და ამიტომაც გვაქვს ასეთი დანგრეული და მიწასთან გასწორებული ქვეყანა. მიმაჩნია, რომ საკუთარი ქვეყანა ქართველებმა უნდა მართონ და პოლიტიკური საკითხებიც თავად მოაგვარონ; თვითონ აკეთონ საქმე და არა — ვიღაცების კარნახით.**

**— როგორ აფასებთ ქართველი პოლიტიკოსების რუსეთში ვიზიტებს?**

— რუსეთთან კავშირის დამყარება აუცილებელია. სხვაგვარად ძალიან გაგვიჭირდება დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება, ამიტომ დიალოგი და მცდელობა იმისა, რომ რაღაც საერთო მოინახოს ამ საკითხთან დაკავშირებით, აუცილებელია. თუ ვინმეს უნდა, რუსეთს ომით რამე წაართვას, აბსურდია.

**— თქვენ გაქვთ თქვენეული ხედვა რუსეთთან ურთიერთობის მოსაგვარებლად?**

— მე ჯერ საქართველოს სივრცეში მინდა ვიყო აქტიური, რუსეთთან ურთიერთობას ხელისუფლება მოაგვარებს. ყოველ შემთხვევაში, ვალდებულია, მოაგვაროს. სხვანაირად ძალიან ცუდად წავა ჩვენი საქმე.

**— ანუ შეიძლება 2008 წლის აგვისტოს მოვლენები განმეორდეს?**

— არ ვიცი, რა განმეორდება. ამხელა სახელმწიფოა, ამხელა ეკონომიკური ბაზარია და საერთო ენა აუცილებლად უნდა მოინახოს, რათა დაკარგული ტერიტორიები და დაკარგული ბაზარი დავიბრუნოთ. არ შეიძლება კუნთებზე ვიყუროთ და რუსებს ისე ველაპარაკოთ. არ არის რუსეთი ის ქვეყანა, რომელიც რამეს დათმობს, თუ რაღაც კომპრომისი არ შესთავაზე.

**— რა კომპრომისზე შეიძლება წავიდეს საქართველოს ხელისუფლება?**

— რამე კონკრეტულის თქმა მიჭირს. დიპლომატია მაგისთვის არსებობს, რომ კომპრომისი მოინახოს.

**— მას შემდეგ, რაც მერის არჩევნებში მონაწილეობა გადაწყვიტეთ, ხელისუფლების მხრიდან თქვენს ბიზნესზე ზეწოლა ხომ არ დაწყებულა?**

— კომპანია „ყაზბეგზე“, უკვე თხუთმეტი წელია, ზეწოლა მიმდინარეობს. არავის მოსწონს, განსაკუთრებით იმ მრჩევლებს, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მრეწველობა და სოფლის მეურნეობა უნდა განვითარდეს, რომ „ყაზბეგი“ დამოუკიდებელი და ასი პროცენტით ქართული კაპიტალით შექმნილი კომპანიაა. ამიტომ ზეწოლა ჩვენზე ყოველთვის ხორციელდებოდა და არჩევნებში ჩემს მონაწილეობას ამ მხრივ არაფერი შეუცვლია.

**— რა ეტაპზეა ამჟამად საგადასახადო ინსპექციის მიერ თქვენზე დაკისრებულ ჯარიმებთან დაკავშირებული დავა?**

— კომპანიას საკმაოდ დიდი დავალიანება და ჯარიმა დააკისრეს, რომელსაც ჩვენ მიზანმიმართულად არ ვიხდით, რადგან მიგვაჩნია, რომ საგადასახადო სამსახური არაობიექტურად მოგვექცა. ამჟამად ამ საკითხს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის კომიტეტი და სასამართლო განიხილავს. მათ მიერ გამოტანილ დასკვნას აუცილებლად გავასაჩივრებთ ევროპის სასამართლოში და ჩვენი სიმართლის დასამტკიცებლად ბოლომდე ვიბრძოლებთ.

**— კომპანია „ყაზბეგში“ მომხდარი ლუდის ავზების დაზიანებასთან დაკავშირებული ინციდენტი დივერსია ხომ არ იყო?**

— არავითარი დივერსია არ ყოფილა. კომპანიის ბრალია. ტექნიკოსებმა რაღაც ვერ გათვალეს და საკმაოდ დიდი ზარალი მივიღეთ. ჩამოიქცა ლუდის ავზი, ათასი ტონა ლუდი დაიღვარა, რომლის შედეგადაც მთელი საამქრო დაზიანდა და კომპანიამ ძალიან დიდი, დაახლოებით 4 მილიონის ზარალი მიიღო.

**— რამდენად არის დაცული თვითმმართველობის არჩევნები გაყალბებისგან?**

— დიდი ეჭვი მაქვს, რომ ეს არჩევნებიც გაყალბდება, იმიტომ, რომ ეს ხელისუფლება და მისი გუნდი შეჩვეულია ამას.

**— ამის გამო არაერთმა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა. რა შანსი აქვს ოპოზიციას?**

— თბილისის საკრებულოში ოპოზიცია უმრავლესობით უნდა მოვიდეს, რომ მერმა თავისი აბსურდული, ხშირ შემთხვევაში ქალაქისთვის საზიანო და ყოვლად უსარგებლო იდეები აღარ განახორციელოს. ოპოზიციას ამის შანსი ნამდვილად აქვს და იმიტომაც იბრძვის გამარჯვებისთვის.

ესაუბრა
**ნანა ლაღაძიშვილი**

## «ასეტრინა ნა ვერტელე» წინასაარჩევნო სუფრაზე

დაილოცა მადლიანი ქართული სუფრა. ისედაც ხომ მრავალფეროვანი და თვალწარმტაცია, წინასაარჩევნოდ კი გაორმაგებული კოლორიტი ეძლევა. „ასეტრინა ნა ვერტელემ“ მყარად დაიმკვიდრა ადგილი ქართულ პოლიტიკურ სუფრაზე, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, მას განსაკუთრებით უხდება სოუსი „პრაიმერი“ და ჩამოსასხმელი „სოციოლოგიური გამოკითხვა“. დესერტად, ანუ ყველაზე გემრიელ ლუკმად კი მას მსუყე „ზურაბ ნოღაიდელი“ მოუხდა.



კარგია ქართული სუფრა, მაგრამ ასე თუ გავაგრძელებთ, მცირე ხანში განსხვავებულ „ცესკოს“ მივადგებით. ასე რომ, სჯობს, თანმიმდევრულად მივყვეთ ყველაფერს.

კობა დავითაშვილი არც „ასეტრინის“ სკანდალამდე გამოირჩეოდა დიდი პოლიტიკური წონითა და რეიტინგით, რესტორანში გადაღებულმა „ტიტანიკმა“ კი მისი რეიტინგი საერთოდ გაანულა და ოთახის ტემპერატურაზე დაბლა დასწია. რამდენი არ იძახა კობამ, ეს პირველი შემთხვევა კი არ არის, ღმერთმა იცის, მერამდენეაო, ადრეც ზუსტად იგივეს ვაკეთებდი, ოღონდ მაშინ „ასეტრინისსუნიანი“ ფულები მიშა სააკაშვილთან მიმქონდაო. არავინ დაუჯერა. ან, იქნებ, დაუჯერეს კიდეც და ამის გამო ორმაგად შეაჩვენეს – მთლად ხელიდან წასული და სტაჟიანი მექრთამე ყოფილაო. მავანმა კი იფიქრა, ამას თავისი უახლოესი გარემოცვა ვერ გაუწმენდავს აგენტებისგან და ქვეყანას რა უნდა უშველოსო და აღარც გაუხედავს კობასკენ.

რა უნდა ექნა ზღვის პროდუქტების მოყვარულს? სწორია. გაუდგა გზასა. ბევრია იარა თუ ცოტა იარა, ორი ტყუპისცალი შემოხვდა – ზვიადი და კახა. ზვიადი ჩვენი საფეხბურთო ნაკრებივით ერთმანეთის მიყოლებით აგებდა არჩევნებს სამტრედიაში და თბილისს წამოსვლა გადაეწყვიტა – იქ ნაკლებად მიცნობენ და, იქნებ, გავიმარჯვოო. კახა კი ახალი წამოსული იყო „მოსმენების“ სამსახურიდან – რაღაც, ეტყობა, კარგად ვერ მოისმინა, ან პირიქით, მოისმინა, მაგრამ ისე არ გაიგო, როგორც „საჭირო იყო“. ერთი სიტყვით, ისიც ბედს ეძებდა.

**ეჰ, ბარემ ყველაფერი კარგად იქნებოდა, ეს ყველაფერი რომელიმე სხვა ქვეყანაში რომ ხდებოდეს და საშუალება გვქონდეს, მართლაც სიცილ-სიცილით ვუყურებდეთ, მაგრამ ვაი, რომ ყოველივე ბედკრულ საქართველოში ხდება და ზემოხსენებული პერსონაჟები (სხვა მათნაირებთან ერთად) სრულიად საქართველოს პოლიტიკურ სპექტრს წარმოადგენენ...**

მას შემდეგ, რაც რატომღაც გაერთიანებული ოპოზიცია დაიშალა, ბევრმა წყალმა ჩაიარა. კობამ, ზვიადმა და კახამ დამოუკიდებლობა მოიპოვეს, მაგრამ მათ, რატომღაც, არავინ აღიარებდა. ერთი პერიოდი ბურჯანაძესთან აწარმოებდნენ მოლაპარაკებას ურთიერთაღიარების შესახებ (აი, დაახლოებით, აფხაზეთმა და კუნძულმა ნაურუმ რომ ერთმანეთი აღიარეს), მაგრამ ეს სიამტკბილობა ზუსტად იმდენ ხანს გაგრძელდა, რამდენსაც ბურჯანაძის ხაზინადარი გასწვდა. შემდეგ იყო „ცივილიზებული გაყრა“ და ორივე მხარემ ისევ ახალი პარტნიორების ძებნა დაიწყო.

**გასაკვირია, მაგრამ მეორე ნახევრის ძიებაში ისევ „პრაიმერისტებმა“ აჯობეს ნინოს. პრინციპში, გასაკვირი ბევრი არაფერია – ნინოს რეიტინგული და ჭკვიანი პარტნიორი სჭირდება, ამათ კი – არც ერთი და არც მეორე, ოღონდ ფულიანი. და იპოვეს კიდეც – ნოღაიდელი, რომელიც ისე იყო გაბრაზებული, გაზაფხულის აქციებზე ტრიბუნას სათოფეზე რომ არ გააკარეს, ოღონდ მისი ლეგიტიმაცია მომხდარიყო და ძიძიგურს კი არა, ვანოსაც კი შეუამხანაგდებოდა, ოღონდ ჯერ, რა თქმა უნდა, ხელებს მოამტვრევდა.**

და, ორი სიტყვით, ტრაგიკომიკური „პრაიმერის“ შესახებ.

ასე თუ ისე, გასაგებია, რატომ „არა“ – დავითაშვილს ან ნოღაიდელს, მაგრამ, იქნებ, ღვთის გულისთვის, ვინმემ აგვიხსნას, რატომ დასახელდა თბილისის მერობის კანდიდატად ძიძიგური, რომელიც მაშინდელი „რეფორმატორების“ მთელი მხარდაჭერის მიუხედავად, მშობლიურ სამტრედიაშიც კი ვერ იგებდა – მერობას ვინ ჩივის – დეპუტატობასაც კი.

**სალვადორ დვალი**

## მოკლედ



### არძინბას ძეგლს უდგამენ

**სოხუმის რეჟიმის მთავრობის დადგენილების თანახმად, სოხუმის ცენტრში, თავისუფლების მოედანზე ვლადისლავ არძინბას ძეგლს დადგამენ.**

აფხაზეთის პირველი პრეზიდენტის უკვდავსაყოფად მისივე სახელობისა გახდება სოხუმის აეროპორტი.

ასევე განიხილება ერთ-ერთი ქუჩისთვის არძინბას სახელის დარქმევის საკითხი. და ეს ყველაფერი არ არის, სერგეი შამბას განცხადებით, ვლადისლავ არძინასთვის სათანადო პატივის მისაგებად კიდევ რამდენიმე ღონისძიება იგეგმება.



### ივანიშვილი პარკს გვპირდება

„როგორც მერობის კანდიდატი და „სახალხო დემოკრატების“ ლიდერი, აქ მცხოვრებლებთან და ყველა თბილისელთან ერთად, ჩვენი უნიათო მთავრობისგან და საარჩევნო პიარით დაკავებული მერისგან კატეგორიულად მოვითხოვ, შეწყდეს იპოდრომის გაჩანაგება, აღნიშნულ ტერიტორიაზე აიკრძალოს ყოველგვარი მშენებლობა და მოეწყოს პარკი გასართობი ზონებით“, — განაცხადა ნიკა ივანიშვილმა. წესით, სააკაშვილი უნდა დათანხმდეს, განსაკუთრებით „გასართობი ზონების“ ნაწილში.



### მერიას ადარდე

**თბილისის მერია ყვავილების ფესტივალს აწყობს.** იჩქარეთ, მერიის ეკოლოგიისა და გამწვანებების საქალაქო სამსახურში განაცხადებების მიღება დაიწყო და 2010 წლის 30 აპრილის ჩათვლით გაგრძელდება.

ფესტივალში მონაწილეობა შეუძლიათ როგორც იურიდიულ, ისე ფიზიკურ პირებს. „ვარდობისთვე თბილისში“ 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს გაიმართება.

უიშვიათესი მცენარეებისა და ყვავილების თემაზე შექმნილი ნივთების გამოფენა-გაყიდვა რიყეზე მოეწყობა.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ქართული მეცნიერება ფუნდამენტურად ინგრევა

**ხომ გსმენიათ გამოთქმა: „საქართველოში ქვა რომ ააგდო, იურისტს დაეცემა თავზეო“. რამდენიმე წლის წინათ ამაზე შეიძლება ბევრს ეცინებოდა, მაგრამ დღეს უკვე მწვავე პრობლემად იქცა. არც ერთ ჩვენისთანა მცირერიცხოვან ერს არ ჰყავს იმდენი იურისტი, ეკონომისტი და ჟურნალისტი, რამდენიც — საქართველოს. მაგრამ რას ვიზამთ!**
**ახლა ეს პროფესიები მოდურია და თან — ფინანსურად მომგებიანი.**

ერთიანი ეროვნული გამოცდების მოახლოებასთან დაკავშირებით, შევეცადეთ, გაგვერკვია აბიტურიენტებისთვის 10 ყველაზე სასურველი ფაკულტეტი. ამ ათეულში არც ერთი ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერების ადგილი არ აღმოჩნდა; არც პედაგოგიური ფაკულტეტების. სავარაუდოდ, მომავალში ამ დარგებში მეცნიერები კი არა, სკოლის მასწავლებლებიც სანთლით საძებარი გაგვიხდება.

წლეულს, როგორც შარშან, ყველაზე პოპულარულ ფაკულტეტებს სათავეში ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტი უდგას. საერთო სურათი კი ასეთია: 1. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი; 2. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა; 3. იურიდიული; 4. ჰუმანიტარული; 5. ინფორმატიკის; 6. მედიცინის; 7. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის; 8. ტურიზმის; 9. ხელოვნების; 10. სამშენებლო.

არავინ უარყოფს, რომ ეს ფაკულტეტები საჭირო და აუცილებელია, მაგრამ ამის ფონზე ნელ-ნელა იქმნება იმის საშიშროება, რომ ათეულს მიღმა დარჩენილი ფაკულტეტები მალე „ქულადაკლებული“ აბიტურიენტების იმედადღა დარჩება. მათი რაოდენობა ძალიან მცირეა და ისინიც სწავლის პროცესში ცდილობენ, პირველად ფაკულტეტებს დაუბრუნდნენ. ჩვენ ვესაუბრეთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორებს, რომლებმაც შემაშფოთებელი პროგნოზები გააკეთეს ქართულ რეალობაში ამ დარგის მომავალთან დაკავშირებით.

**ვაჟა ცხოვრებაშვილი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვისა და სამეცნიერო კვლევის სამსახურის უფროსი, ქიმიკოსი**:

— ფაკულტეტზე დღეისათვის საშინელი მდგომარეობა გვაქვს. 40 წელია, უნივერსიტეტში ვარ და მსგავსი არაფერი მინახავს. შარშან ქიმიის მიმართულებაზე მხოლოდ ექვსმა აბიტურიენტმა შემოიტანა საბუთები. გასული რამდენიმე წლით თუ ვიმსჯელებთ, ჩვენს ფაკულტეტზე სწავლის მსურველებსაც კი არ აქვთ ცოდნა, აღარაფერს ვამბობ მათზე, ვინც ჩვენთან იმის გამო მოხვდა, რომ „სასურველ ფაკულტეტზე“ ქულა არ ეყო. მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი ქიმიის კათედრა ძალიან განსხვავდება 20 წლისწინადელისგან, ვგულისხმობ, რომ გვაქვს შესანიშნავი ლაბორატორიები, რომლებიც ჩვენი სტუდენტობის დროს არც კი დაგვესიზმრებოდა, ინტერესი დარგის მიმართ შემაშფოთებლად დაბალია. კადრების პრობლემა სახეზეა. ჩვენი კათედრა უკვე დაბერდა. ახალგაზრდა ლექტორები საერთოდ არ გვყავს. იცით, რამდენ გრანტსა და სტიპენდიაზე ვთქვით უარი იმის გამო, რომ ახალგაზრდა სპეციალისტები არ გვყავს? ყოველნაირად ვცდილობთ, შევაყვაროთ ბავშვებს ქიმია, მაგრამ ეს საკმარისი არაა. დროა, ვინმე სერიოზულად დაფიქრდეს, რა მძიმე დღეშია საქართველოში ეს დარგი.

**დიანა ძიძიგური, ბიოლოგი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი**:

— ჩვენს ქვეყანას ფინანსურად მომგებიანი სპეციალობებისკენ სწრაფვა დაანგრევს, რადგან პატარა საქართველოს არ სჭირდება ამდენი ეკონომისტი, იურისტი, ჟურნალისტი და უცხო ენების სპეციალისტი. ჰგონიათ, თუკი ამ ფაკულტეტებს დაამთავრებენ, უსათუოდ იშოვიან სამსახურს. სწორედ აქედან გამომდინარე შემცირდა და, მგონი, საერთოდაც გაქრა ინტერესი ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიმართ. ჩემი შეფასებით, ეს არის დანაშაული. უფრო მეტიც, საბოტაჟი ქვეყნისა და ერის წინაშე, რადგან ზუსტი და საბუნებისმეტყველო საგნები ის ქვაკუთხედია, რომელზეც შენდება სხვა დანარჩენი ცოდნა. ამას ვინმემ უნდა მიხედოს და ყურადღება მიაქციოს.

**თამარ ჭელიძე, ფიზიკის მიმართულების სასწავლო პროცესისა და სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსი სპეციალისტი**:

— სამწუხაროდ, ახალგაზრდებში ფიზიკისადმი ინტერესი თანდათან კლებულობს და ეს ჩვენს ფაკულტეტსაც დაეტყო. რაც წლები გადის, სტუდენტების რაოდენობა დღითიდღე იკლებს. ჯერჯერობით თითქოს კადრების სიმცირე არ იგრძნობა, მაგრამ რამდენიმე წელი რომ გავა და ახალი თაობის სპეციალისტები დაგვჭირდება, მივხვდებით, რომ მათი აღზრდის დრო გაგვეპარა და ჩვენი დარგი მაშინ დადგება სერიოზული საფრთხის წინაშე. დღევანდელი მონაცემებით, მომავალ პედაგოგებსაც კი ვერ აღვზრდით, ბავშვებს სკოლებში ფიზიკა რომ ასწავლონ, მეცნიერების განვითარებას რომ თავი დავანებოთ.

**თეო ტაბატაძე, ლილი მიროტაძე**

# ხელისუფლება საერთაშორისო დახმარებებს საკუთარი პიარკამპანიებისთვის იყენებს

## პოლიტოლოგი ალექსანდრე რონდელი დიდი ბრიტანეთის საელჩოს დაფინანსებულ სალექციო კურსზე ოპოზიციას ქვეყნის მოღალატედ, ბაჩო ახალაიას ყველაზე წარმატებულ მინისტრად აცხადებდა

**ახლახან „პოლიტიკური პარტიების მხარდაჭერის“ პროექტში მონაწილე პარტიების ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლებმა საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის პრეზიდენტს — ალექსანდრე რონდელს საპროტესტო წერილით მიმართეს. წერილს ხელს ხუთი ორგანიზაციის წარმომადგენლები აწერდნენ: „ახალგაზრდული ფორუმის“, ლეიბორისტული პარტიის, „საქართველოს გზისა“ და მოძრაობის „ერთიანი საქართველოსთვის“. საპროტესტო განცხადების ტექსტში აღნიშნულია, რომ პროტესტის მიზეზი ბატონი რონდელის სუბიექტური და მიკერძოებული შეფასებები იყო, რასაც იგი თავისი სალექციო დროის განმავლობაში აკეთებდა. ამ პარტიების წარმომადგენლები მის ლექციაზე დასწრებაზე უარს აცხადებენ და გმობენ ალექსანდრე რონდელის, როგორც „ქართული პოლიტიკური სკოლის ფუძემდებლისა“ და ლექტორის ზემოაღნიშნულ განცხადებებს.**



**ცნობილია, რომ პროექტი პირველ დეკემბერს დაიწყო და სექტემბრამდე გასტანს. პოლიტიკური პარტიების მხარდამჭერი ამ პროგრამით სტუდენტები საერთაშორისო ურთიერთობებს, PR-ს, ეკონომიკურ ურთიერთობებს სწავლობენ. პროექტში გაერთიანებულია თითქმის ყველა პოლიტიკური პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაცია, ნაციონალური მოძრაობის გარდა. საინტერესოა, ნაცმოძრაობას ჰყავს თუ არა პარტიას ახალგაზრდული ფრთა, თუ ისინი იმდენად განვითარებულები და განსწავლულები არიან, რომ ლექციების მოსმენა არც კი სჭირდებათ?!**

**ჩვენ დავუკავშირდით საპროტესტო განცხადების ავტორ სტუდენტებს და მათი პროტესტის კონკრეტული მიზეზების გარკვევა ვცადეთ. როგორც აღმოჩნდა, საპროტესტო წერილის ინიციატორები „ეროვნული ფორუმის“ ახალგაზრდული ორგანიზაციის წარმომადგენლები ყოფილან.**

**შალვა კიკნაველიძე, „ეროვნული ფორუმი“:** — პროექტი ახალგაზრდული ორგანიზაციებისთვის საკმაოდ საინტერესო და მნიშვნელოვანია. ალექსანდრე რონდელი კი ის ლექციების დროს სხვადასხვა დაუზუსტებელ და საეჭვო განცხადებებს აკეთებდა. მაგალითად, მან ერთ-ერთ ლექციაზე იმაზე ისაუბრა, რომ 9 აპრილის აქციების დროს ოპოზიციას რუსეთი აფინანსებდა; თურმე ამ ქვეყანაში ყველაზე წარმატებული ადამიანი ბაჩო ახალაია ყოფილა და შესანიშნავი თავდაცვის მინისტრი გვყავს, რასაც ვერ ვიტყვით ჯარისკაცებზეო; ჩვენს ქვეყანას არანაირი სამხედრო გამოცდილება არ აქვს და ერთი უბადრუკი ერი ვართო. რონდელი იმასაც ამტკიცებდა, რომ „იმედის“ „მოდელირებული ქრონიკა“ საზოგადოების გამოსაფხიზლებლად და გონს მოსაგებად საჭირო იყო.

რაც მთავარია, ამ საკითხებს არაფერი ჰქონდა საერთო ბატონი ალექსანდრეს წასაკითხ ლექციასთან: „პატარა ქვეყანა, საერთაშორისო ურთიერთობები“. დამეთანხმებით, აქ არაფერ შუაშია არც ბაჩო ახალაია, არც „ქრონიკა“ და არც სხვა დანარჩენი.

როცა ამ საკითხებზე დებატების რეჟიმში გადავდიოდით, იგი, ძირითადად, აცხადებდა: „მოდით ამ თემაზე საუბარს თავი დავანებოთ“. თუ ბატონმა რონდელმა იცის, რუსეთიდან ვინ ფინანსდება, და, მით უმეტეს, 9 აპრილს ვინ ფინანსდებოდა, მაშინ ეს საკითხი ჩვენთვისაც მნიშვნელოვანია და უნდა გვითხრას. მისი აზრით, საქართველო არის დეგრადირებული, დაქვეითებული ქვეყანა და არგუმენტად მოჰყავს ის, რომ სამხედრო ტრადიციები არ გვაქვს. შევეცადეთ, ბატონი ალექსანდრესთვის საქართველოს ისტორია და ომები გაგვეხსენებინა, რაც ერს გადაუტანია, მან კი გვიპასუხა, რომ საქართველოს ისტორია არ იცის და ამ თემაზე ვერ გვესაუბრება. ასეთი დამოკიდებულება გამოავლინა ყველა სხვა დანარჩენ საკითხზეც. როდესაც საპროტესტო წერილი გადავეცით, გვიპასუხა, რომ ამ ლექციებზე დასწრება ნებაყოფლობითია და, თუ არ გინდათ, მიბრძანდითო. როცა კაცს ექსპერტობაზე გაქვს პრეტენზია, უარგუმენტოდ, ალბათ, არც ერთ საკითხზე არ უნდა საუბრობდე. ძალიან დაგვავალებს, თუ თავის მოსაზრებებს თავისთვის შეინახავს და სტუდენტებს თავს არ მოახვევს. აჯობებს ის აკეთოს, რაც ევალება.

პროექტს ბრიტანეთის საელჩო აფინანსებს, ამიტომ გადავწყვიტეთ, მათთვის წერილი მიგვეწერა და დაწვრილებით აგვეხსნა, თუ როგორ არამიზნობრივად იხარჯება მათ მიერ გამოყოფილი თანხა; ალექსანდრე რონდელი (და ბევრი სხვაც) ამ გრანტებს ხელისუფლების ქება-დიდებას, მათი პროექტების პოპულარიზაციას ახმარენ. თუმცა რა გასაკვირია, ჩვენი ხელისუფლება ხომ საერთაშორისო დახმარებებს საკუთარ პიარკამპანიებს ახმარს. როცა პრეზიდენტი გაჯილდოებს ორდენით, როგორც საქართველოს პოლიტოლოგიის სკოლის ფუძემდებელს, ალბათ, აღარ უნდა გაგვიკვირდეს ბატონი რონდელის საქციელი, მაგრამ, როდესაც ლექტორის სტატუსით შედიხარ ლექციაზე, ზღვარს არ უნდა გადახვიდე. ჩვენ ჩავთვალეთ, რომ ის ამას გამიზნულად აკეტებდა, ამიტომაც ვთქვით მის ლექციებზე უარი.

**მამუკა ბალიაშვილი, „საქართველოს გზა“:** — პროტესტის მიზეზი გახდა იმ არაჯანსაღი დამოკიდებულება გამოიწვია, რომელიც ბატონ რონდელს, როგორც ლექტორს, სტუდენტების მიმართ ჰქონდა. ბატონი ალექსანდრე გვიკითხავდა ლექციას საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ, თუმცა ლექციებზე ამ საკითხზე საერთოდ არ ულაპარაკია. მის ნაცვლად საუბრობდა, თუ რაოდენ ბუმბერაზი მინისტრია ბაჩო ახალაია, და რომ ოპოზიცია აპრილის აქციების დროს რუსეთიდან ფინანსდებოდა. როდესაც ფაქტების დასახელება ვთხოვეთ, პასუხს თავს არიდებდა. ამის გამო ჩვენს მისვლამაც ლექციაზე აზრი დაკარგა. ჩვენ გვაინტერესებდა საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ ლექციის კურსი და არა — ხელისუფლების ქება-დიდების მოსმენა. გადავწვიტეთ საზოგადოებამაც და ბრიტანეთის საელჩომაც გაიგოს რეალურად რას ხმარდება გამოყოფილი გრანტები.

**თემურ წიკლაური, ლეიბორისტული პარტია:** — ასეთი პროექტებს დიდი ბრიტანეთის საელჩო არ უნდა აფინანსებდეს, ვინაიდან ხელისუფლების ქებას და ოპოზიციური პარტიების ლანძღვას ემსახურება. სწორედ ამგვარი საქმიანობისთვის გადასცა ბატონ რონდელს პრეზიდენტმა ორდენი.

**მაკა ლაფაჩი, მოძრაობა „ერთიანი საქართველოსთვის“:** — ბატონმა რონდელმა ლექციებზე აქტიურად დაიწყო ამ ხელისუფლების პიარი და ოპოზიციური სპექტრის უსაფუძვლო კრიტიკა, რასაც, ბუნებრივია, არ შევურიგდით, თანაც ეს თემები ლექციის თემისგან აბსოლუტურად განსხვავდებოდა. ლექციებზე დასწრებას მანამდე არ ვაპირებთ, სანამ მათ ალექსანდრე რონდელი წაიკითხავს.

**ჩვენ დავუკავშირდით ალექსანდრე რონდელს და ამ თემასთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ.**

**ალექსანდრე რონდელი**: — თუ ვინმეს ჩემი ნათქვამი არ მოსწონს, შეუძლია ლექციის დროს შემეკამათოს. არ იყო საჭირო ამხელა აჟიოტაჟის ატეხვა; ცოტა არ იყოს, მოულოდნელიც კი იყო ეს ჩემთვის. საპროტესტო წერილების წერა მე საბჭოთა კავშირის დროს მახსენებს.

**— სტუდენტები პრეტენზიას გამოთქვამენ, რომ თქვენი ლექციები სალექციო თემას არ შეეხებოდა...**

— ეს მათ ნამუსზე იყოს. ალბათ, დაავალა ვინმემ ან თვითონ ჩათვალეს საჭიროდ, ჩემდამი ანტიპათია ამ ფორმით გამოეხატათ. მართალი გითხრათ, ეს ამბავი ნაკლებად მაინტერესებს. 43 წელიწადია, ლექტორი ვარ და ასეთი ფაქტი ჩემს პრაქტიკაში პირველია. მათ, ალბათ, ხელმძღვანელები მოუწოდებენ მსგავსი ქმედებებისკენ. მათი პრობლემაა, ჩემი ლექცია ყველას ვერ მოეწონება. დასწრება ნებაყოფლობითია და, თუ არ მოსწონთ, ნუ მოდიან. ჩემს საქმეს ვაკეთებ ისე, როგორც საჭიროდ მიმაჩნია. იმის გამო, რომ რამდენიმე კაცს ჩემი პოზიცია და შეფასებები არ მოეწონა, ქვეყანა უნდა დაიქცეს?

**ლილი მიროტაძე, თეო ტაბატაძე**

**P.S. ქვეყანა რონდელის პოზიციის გამო არ დაიქცევა. მაგრამ, როცა ლექტორი ლექციის ნაცვლად იმ თემებზე კი არ კითხულობს, რაც ევალება, არამედ მხოლოდ ხელისუფლებას უკმევს გუნდრუკს, სტუდენტებისთვის ნამდვილად ქვეყნის დაქცევაა. მერე იტყვიან გაუნათლებელი თაობა მოდისო!**

# კონტროლის პალატის თანამშრომელთა შორის ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელთა მთელი ქსელი გამოავლინეს

**შინაგან საქმეთა სამინისტროს სუბოტექსის ოფიციალური დისტრიბუტორი — ასე უწოდებენ „შინაურულად“ სპეციალურ ოპერატიულ დეპარტამენტს, რომლის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია ნარკოდანაშაულთან ბრძოლაა. როგორ და რა მეთოდებით ებრძვის აღნიშნული დეპარტამენტი ნარკოტიკების ბრუნვას საქართველოში, ამაზე — მოგვიანებით; ჯერ ოპოზიციონერი დეპუტატის, დიმიტრი ლორთქიფანიძის ინიციატივის შესახებ, რომელსაც ახლახან ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროს ხელმძღვანელობა გამოეხმაურა და განაცხადა, რომ მზადაა 26 აპრილიდან საჯარო მოხელეები ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებაზე ახალი მეთოდით — თმის ღერის გამოკვლევის გზით შეამოწმოს.**





როგორც „საქართველო და მსოფლიოსთან“ საუბარში დეპუტატი **დიმიტრი ლორთქიფანიძე** აცხადებს, აღნიშნული ინიციატივის საფუძველი გახმაურებული პანღურის ისტორია გახდა. მოგეხსენებათ, არცთუ დიდი ხნის წინათ გავრცელდა ვიდეოკადრები, თუ როგორ აპანღურებს სოდის მაღალჩინოსანი დავით მხეიძე ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტზე დაკავებულ ფინანსთა მინისტრის მოადგილეს — ნიკოლოზ შაფაქიძეს.

ერთი დანაშაულია ის, რომ დანაშაული, რომელიც ჩვეულებრივი მოკვდავისთვის კანონით ისჯება, ფინანსთა მინისტრის მოადგილეს პანღურით შეუძლია გამოისყიდოს; მეორე კი — ის, რომ საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე თურმე „კაიფში“ მართავს საკმაოდ საპასუხისმგებლო უწყებას (ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაც, ალბათ, ამიტომაა „საკაიფო“.).

**— ბატონო დიმიტრი, რა გახდა ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებაზე ახალი მეთოდით შემოწმების საფუძველი?**

— ჩემი ინიციატივა, რომელსაც თავის დროზე მხარი პრეზიდენტმა დაუჭირა.

**— რატომ გაგიჩნდათ ეს იდეა, გაქვთ ეჭვი, რომ სახელმწიფო სტრუქტურებში ნარკომანები არიან?**

— ამის შესახებ ბევრჯერ განვმარტე. ჩემ მიერ ორი წლის წინ გაკეთებულ განცხადებას ვუბრუნდებით?

**— ახლა წამოიჭრა ეს საკითხი. არ მიგაჩნიათ საჭიროდ, გაიმეოროთ, რა იყო ნარკომანიაზე შემოწმების ინიციატივის საფუძველი?**

— იდეა გაჩნდა და განვახორციელე კიდეც. ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროდან ინფორმაცია მივიღე, რომ 26 აპრილიდან საყოველთაო შემოწმება დაიწყებოდა.

**— ანუ თქვენ არ გინდათ თქმა, რომ ეჭვობთ, ნარკომანები სახელმწიფო სტრუქტურებში რომ არიან?**

— საუბარია იმაზე, რომ საჯარო სამსახურის შესახებ კანონში შედის ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს პერიოდულად ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებაზე შემოწმებას არამხოლოდ სამსახურის დაწყების მომენტში, არამედ — შემდგომაც. მაგრამ, სანამ ეს კანონი ძალაში შევა, იმის გამოსავლენად, არიან თუ არა დღეს სახელისუფლო შტოებში ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელი მოხელეები, მიზანშეწონილად მივიჩნიე, განმეხორციელებინა შემოწმების ნებაყოფლობითი აქტი, ოღონდ არა მხოლოდ სისხლითა და შარდით, რომელიც ნარკოტიკული საშუალების მოხმარების გამოვლენას მხოლოდ 48 საათის განმავლობაში ახდენს, არამედ — ქრომეტოგრაფიული ექსპერტიზით, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, ბოლო 4 თვის განმავლობაში გამოვლინდეს არა მხოლოდ მოხმარების ფაქტი, არამედ ისიც, კლინიკურად იმყოფება თუ არა ადამიანი ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

ეს არის მხოლოდ ნებაყოფლობითი. მე პირველი ვიქნები მათ შორის, ვინც ჩაიტარებს აღნიშნულ შემოწმებას, როგორც ჩემთვის ცნობილია, საპარლამენტო უმცირესობაში შემავალმა დეპუტატებმაც განაცხადეს თანხმობა.

**— თქვენ კი არიდებთ თავს ამის თქმას, მაგრამ ფაქტია, რომ სოდის წარმომადგენლებს ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების ბრალდებით ძალიან ხშირად აჰყავთ სახელმწიფო სტრუქტურებიდან ჩინოვნიკები.**

— ამ ინიციატივის ერთ-ერთი საფუძველი სწორედ ის ფაქტი იყო, რომელიც გამოქვეყნდა www.youtube.com-ის საინტერნეტო ქსელში, როდესაც მოწმენი გავხდით, თუ როგორ დააკავა სოდმა მაღალჩინოსანი აღმასრულებელი ხელისუფლების ერთ-ერთი შტოდან, რომელიც რატომღაც პანღურს დააჯერა. ახლახან კონტროლის პალატაში ნარკოტიკული საშუალებების უკანონო მომხმარებელთა მთელი ქსელი გამოვლინდა, რომელიც არ გახმაურებულა. გარემოს დაცვის სამინიტროშიც იყო ასეთი ფაქტი.

**— სოფლის მეურნეობის სამინისტროშიც აიყვანეს ჯგუფი. ეს ადამიანები არა მარტო მომხმარებლები იყვნენ, არამედ პირდაპირ სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ სამსახურში ყიდდნენ ნარკოტიკს.**

— არა მხოლოდ სოფლის მეურნეობის სამინისტროში ხდება ეს. მთელი ქვეყანა გაივსო ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებლებით. 250 ათასი კაცი — ეს არის ოფიციალური სტატისტიკა, რასაც ჩვენ გაერო და საერთაშო ორგანიზაციები გვეუბნებიან. შესაბამისად, შემოწმების ეს მეთოდი იქნება პრევენცია, რომლის მიზანიც არ არის მხოლოდ „შედეგი შედეგისთვის“, ეს არის, ალბათ, სწორი და ლოგიკური დასაწყისი იმისა, რომ სწორედ ხელისუფლების მაღალი ეშელონებიდან დაიწყოს წმენდა და არა — ქვევიდან.

# სოფლის მეურნეობის სამინისტროში ნარკოტიკს პირდაპირ კაბინეტებიდან ყიდდნენ

**სოფლის მეურნეობის სამინისტრო, კონტროლის პალატა, გარემოს დაცვის სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, მერია... ეს იმ უწყებათა არასრული ჩამონათვალია, რომელთა თანამშრომლებს შორისაც ნარკოტიკების მომხმარებლები გამოვლინდნენ.**

**შს სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლები — ა. გულდედავა, ჯ. შაგულაშვილი, გ. ექვთიმიშვილი, ო. ფრუიძე; განსაკუთრებულ დავალებათა მთ. სამმართველოს თანამშრომლები — ნ. კვირკველია, გ, კახიძე, ო. ფუტკარაძე, ა. დვერნიუკი, გ. მესხია, ბ. კარანაძე, ზ. ჩერქეზია, გ. ჯვარშეიშვილი ა. ჭყოიძე, გ. თაბოშვილი, გ. ცქვიტაია, გ. ბაბილაშვილი, ფ. წინწკალაძე, ნ. კევლიშვილი; სოდის ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომელი ლ. მექაძე; სოდის ფარული მეთვალყურეობისა და დადგენის მთ. სამმართველოს თანამშრომელი გ. ხაჟომია, საპატრულო პოლიციის თანამშრომლები — ზ. ინჯია, ზ. თათარაშვილი, ნ. მაღალაშვილი, გ. კოჭლამაზაშვილი, კონტტერორისტული ცენტრის თანამშრომელი გ. ჭანტურია; კუდის თანამშრომელი ა. მესტვირიშვილი — ეს შს სამინისტროს ნარკოტიკულ დანაშაულში მხილებულ პირთა ასევე არასრული ჩამონათვალია. რაც იმაზე მიუთითებს, რომ ნარკოტიკების მომხმარებლები საჯარო სამსახურში მართლაც მრავლად არიან და 5-ლარიანი ცნობა, რომელსაც ნარკოლოგიურში ვენების დათვალიერების საფუძველზე გასცემენ, სულაც არ გამორიცხავს ნარკოტიკის მომხმარებლობას.**

**მეორე საკითხია, არსებობს თუ არა ამ დანაშაულთან ბრძოლისა და სახელმწიფო უწყებების ნარკომანებისგან გაწმენდის პოლიტიკური ნება. ამისთვის სოდის თანამშრომლებისა და „პანღურის ისტორიაც“ კმარა, მაგრამ დამატებით ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის კიდევ ერთ ფაქტს გაგახსენებთ.**

**ერთ მშვენიერ დღეს კობა დავითაშვილი საზოგადოების წინაშე შს სამინისტროს სოდის მესამე სამმართველოს მეოთხე განყოფილების უფროს თორნიკე შვანგირაძესთან ერთად წარდგა საზოგადოების წინაშე და გვაცნობა, რომ თორნიკე შვანგირაძეს სოდის უფროსმა ფინანსური პოლიციის მაღალჩინოსნების მოსმენა დაავალა.**

**მოსმენის შედეგად გაირკვა, რომ ფინანსური პოლიციის მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ზურაბ წეროძე, ფინანსური პოლიციის ზურგის სამსახურის უფროსი ამირან დოლიძე და ფინანსური პოლიციის ერთ-ერთი განყოფილების უფროსი მიხეილ კობახიძე ნარკოტიკების მოხმარებისა და გასაღების ქსელში იყვნენ ჩართულნი.**

**ამ ჩანაწერების მოსმენის შემდეგ, შვანგირაძემ ხელმძღვანელისგან მიიღო მითითება, გამომჟღავნებული პირები დაეკავებინა, მაგრამ ეს ოპერაცია სრულიად არალოგიკურად, მაგრამ ისე დასრულდა, როგორც არაერთხელ საქართველოს სამართალდამცავ სისტემაში — დაახლოებით ერთ საათში შვანგირაძე დაიბარეს და სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ განცხადების დაწერა მოსთხოვეს.**

**სოფო გელაშვილი**

## მოკლედ



### ტერორისტებს ამერიკელები აფინანსებენ

**ამერიკა და მასთან ერთად ლამის ნახევარი მსოფლიო ავღანურ ტერორიზმს უშედეგოდ ებრძვიან, ამ ავღანელ ტერორისტებს კი ამერიკელი ბიზნესმენები აფინანსებენ.** სწორედ ერთ-ერთი მათგანია აბდულ ალიშტარი, რომელსაც აღნიშნული დანაშაულისთვის 10-წლიანი პატიმრობა მიესაჯა, ამ ვადის მოხდის შემდეგ კი მას კიდევ სამი წელი მოუწევს მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ ცხოვრება. დამნაშავეს მაშინ ჩაავლეს, როდესაც ავღანელი და პაკისტანელი ტერორისტების დასახმარებლად 150 000 დოლარის გადარიცხვაში ეხმარებოდა ადამიანს, რომელიც სპეცსამსახურის თანამშრომელი აღმოჩნდა.



### ამერიკელმა ექიმები დახოცა

**ამერიკის ტენესის შტატის ქალაქ ნოქსვილის სამედიცინო ცენტრში უცნობმა მამაკაცმა სროლა ატეხა, ერთი ქალი მოკლა, ორი — დაჭრა** და შემდეგ თავი მოიკლა. ყველა დაზარალებული ამ საავადმყოფოს თანამშრომელი იყო. დაჭრილები უმძიმეს მდგომარეობაში არიან. ინცინდენტი დღის ბოლოს ამბულატორიული განყოფილების გასასვლელთან მოხდა, როდესაც საავადმყოფოს ექიმები სამსახურიდან მიდიოდნენ, ნათესავებს კი გაწერილი ავადმყოფები მიჰყავდათ. ჯერჯერობით არავინ ამბობს, ჰქონდა თუ არა რაიმე კავშირი დამნაშავეს ამ საავადმყოფოსა და მის თანამშრომლებთან, ამდენად, დანაშაულის მოტივიც უცნობია.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# რა დაგემართა, ვინ დაგწყევლა ასე, გიორგი?!

**აქამდე ცოტა ძნელი წარმოსადგენი იყო, რა უნდა გაეკეთებინა ადამიანს ისეთი, მისთვის თუნდაც ჰალსტუხიანი, მაგრამ მაინც ხვლიკი რომ ეწოდებინათ. თარგამაძემ ეს მოახერხა; არა — კახამ, რომელსაც ირონიით, მაგრამ მაინც „რკინის კაცი“ შეარქვეს; არა — გივიმ, რომელსაც უწყინარი „გიიივიიი“ ეწოდა, არამედ გიორგიმ, რომელიც საყოველთაო სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა და რომელსაც ადრეული ასაკიდანვე ხელისგულზე ატარებდა ყველა, ვისთანაც ის მივიდა. შემდეგ რა დაგემართა, ვინ დაგწყევლა ასე, გიორგი?!**



დიდუბეში, ფოთის ქუჩაზე, **სულხან მოლაშვილისა** და **ცოტნე ბაკურიასთან** საერთო ეზოში გატარებული ბავშვობის შემდეგ ხვლიკმა, რომელიც ჯერ ხვლიკად არ იწოდებოდა, პიონერთა სასახლის თეატრალურ წრეს მიაშურა, ყალბი პათოსით გაჯერებული მეტყველება დაიყენა და ხვლიკობისკენ მიმავალ გზასაც დაადგა. შემდეგ იყო „იბერვიზია“ და **საქართველოს ეროვნული ბანკის იმჟამინდელ პრეზიდენტ ნოდარ ჯავახიშვილის ქალიშვილზე დაქორწინება. ერთიცა და მეორეც („იბერვიზიაც“ და ქორწინებაც) მხოლოდ მანამდე აღმოჩნდა საჭირო, სანამ მომავალი ხვლიკი ერთი საფეხურით მაღლა აიწევდა, ტრასაზე ტრაფარეტ „ბათუმი — 350კმ“-ს დაინახავდა და ვაზელინის სათანადო რაოდენობით აღჭურვილი, „ასლანვიზიის“ დირექტორობას ჩაიბარებდა.**

**წლების შემდეგ თარგამაძემ იმის თქმაც კი მოახერხა, მე და ასლანი აჭარაში სიტყვის თავისუფლებას ვიცავდითო. ამაზეა ნათქვამი – ღმერთო, რატომ არ გაიცინებო...**

იმ პერიოდისთვის ხვლიკს უკვე კარგად განვითარებული ყნოსვა ჰქონდა, მომენტალურად და უშეცდომოდ იგრძნო, სიო საიდან უბერავდა და ჯერ აწ განსვენებულ აკადემიკოს **ვახტანგ ბოჭორიშვილს** შეაცოდა თავი, შემდეგ კი მისი საშუალებით უკვე **ბადრი პატარკაციშვილთან** აღმოჩნდა. **აქაც შეცდა ასლანი, როცა იფიქრა — გველი გამიზრდია უბეშიო. გველი არა, ბატონო ასლან, ხვლიკი, თანაც — ჰალსტუხიანი!**

შემდეგ იყო ბადრი და, თუ თეორიულად მაინც დავუშვებთ, რომ ასლანთან ხვლიკს რაიმე აკლდა, ბადრისთან ესეც გამოირიცხა.

**ერთხელ, პატარკაციშვილის დაღუპვამდე რამდენიმე კვირით ადრე, ნონა გაფრინდაშვილმა მითხრა – თარგამაძეს ბადრისთან აუხდენელი ოცნება არ ჰქონია, რასაც ხელს დაადებდა, ყველაფერს მაშინვე უსრულებდა და „ვარსკვლავბიჭუნასავით“ ჰყავდა, დღეს რომ ბადრი ნახოთ (საუბარი იმ პერიოდში შედგა, როცა ტელევიზიით ახალი გამოქვეყნებული იყო პატარკაციშვილის მიერ თარგამაძისთვის გამოგზავნილი და ამ უკანასკნელის მიერ ხელისუფლებისთვის გადაცემული სკანდალური ვიდეოჩანაწერი კოდუას მონაწილეობით), სახეზე შეიძლება ვერც იცნოთ, ოცი წლით არის დაბერებული ამ ღალატისგანო.**

ეს, გარკვეულწილად, ახალი „სიმაღლე“ იყო ხვლიკის „შემოქმედებით ბიოგრაფიაში“. ასლანს მან, უბრალოდ, უგანა და უკეთესი ადგილი იპოვა. **აი, ბადრის კი მანამდე უღალატა, სანამ განუდგებოდა და მის მტრებზე დაიწყო მუშაობა. მაგრამ, საოცრება, აი, რაა:**

მთელმა საქართველომ იცის, რომ ხვლიკის „აქოშინებული შევარდნა“ „იმედის“ სტუდიაში 2007 წლის 7 ნოემბერს დადგმული სპექტაკლი იყო, რომ ტელეკომპანიის დარბევისთანავე ხვლიკი ზრდილობიანად კოდუას მანქანით გამოიყვანეს შენობიდან და კაბინეტიდან თავისი პირადი იარაღიც კი ჩამოუტანეს – ემანდ არ დაიკარგოსო (ეს მაშინ, როცა „ტელეიმედის“ სხვა, რიგით თანამშრომლებს, ფეხმძიმე ქალებს მიწაზე აწვენდნენ, სხვებს კი ლუბლიანას ქუჩაზე ფეხდაფეხ მისდევდნენ ცემა-ცემით და ტალახში აგორავებდნენ), რომ რის ვაი-ვაგლახით ხელახლა ამუშავებული „იმედი“ ხელმეორედ სწორედ ხვლიკმა დახურა ხელისუფლების დაკვეთით, რომ პოლიტიკაში უკვე მერამდენედ დაბრუნებული ხვლიკის პარტიას „რატომლაც“ დონაძისა და მერაბიშვილის „ეკო-ფუდი“ აფინანსებდა... ყველამ ყველაფერი კარგად იცის, მაგრამ მის პარტიას და პირადად ხვლიკს... მაინც საოცრად მაღალი რეიტინგი აქვს, მათ შორის, როგორც შესაძლო საპრეზიდენტო კანდიდატს!

**სხვათაშორის, ამ სუბიექტს პერსონალურად ხომ შეარქვეს „ხვლიკი“, არც მისი პარტია დაივიწყეს და „ფარისეველ-დემოკრატების“ „ტიტული“ მიანიჭეს. არც ესაა შემთხვევითი. გიორგი თარგამაძე ისევე შორსაა ქრისტიანობისგან, როგორც საქართველო რუსეთთან ომის მოგებისგან. ჭეშმარიტი მართლმადიდებლები ქრისტიანობით არ სპეკულირებენ...**

ამის შემდეგ ნუღარ გვაქვს პრეტენზია, რომ ქართველებს აზროვნების უნარი გაგვაჩნია და უკეთეს ხელისუფლებასა და ცხოვრებას ვიმსახურებთ. იქ, სადაც ხვლიკი, თუნდაც ჰალსტუხიანი, ოპოზიციონერად მიაჩნიათ, საუბარი დამთავრებულია. გულწრფელად გეტყვით, მე მხოლოდ ხელისუფლების — ნაციონალების გამკვირვებია — ბატონებო, რაში გჭირდებათ მოღალატე, თანაც ნიჭიერი? გგონიათ, რომ უმტკივნეულოდ გადააბარებთ ხელისუფლებას და მშვიდად იცხოვრებთ? რატომ გავიწყდებათ, რომ, როგორც კი შესაბამის სუნს იყნოსავს, ხვლიკი თქვენც გიღალატებთ, გაგწირავთ და ახალ პატრონს მოძებნის?

**ამასწინათ ერთ ადგილას ასეთი შეფასება მოვისმინე: თარგამაძე ისეთი ნაძირალაა, დიდი შანსია, რომ საქართველოს პრეზიდენტობასაც გამოჰკრას ხელი მომავალშიო. რაც მართალია, მართალია.**

**სალვადორ დვალი**

**P.S. ერთადერთი ქუჩა თავის მშობლიურ დიდუბეში, რომელიც თარგამაძემ და მისმა პარტიამ წინასაარჩევნო კამპანიისას გამოტოვეს და მოსახლეობას არ შეხვდნენ, ფოთის ქუჩა იყო, სადაც თარგამაძე დაიბადა და გაიზარდა. ხვლიკი ამ ქუჩის მოსახლეობას არ დაენახა. უფრო სწორად, ალბათ, — ვერ.**

# დააბრუნებს თუ არა «ბლოკ-ჯორჯია» საავადმყოფოებიდან გატანილ ქონებას?

**სამშენებლო კომპანია „ბლოკ-ჯორჯია“ ასამდე სამედიცინო ობიექტის ერთპიროვნული მფლობელი აღარაა. ხელისუფლება იძულებული გახდა, ელიარებინა, რომ ის, რაც პერმანენტულად ქვეყნდებოდა გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ ფურცლებზე, სრული სიმართლე იყო და ქართულ-ჩეხურ სამშენებლო ფირმას ეკონომიკის სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი არც ერთი ვალდებულება არ შეუსრულებია. შესაბამისად, ათას ხუთას დოლარად გადაცემული სამედიცინო ობიექტები „ბლოკ-ჯორჯიას“ ჩამოერთვა და საჯარიმო სანქციებიც დაეკისრა.**

## გაზეთ «საქართველო და მსოფლიოს» მცდელობამ სასურველი შედეგი გამოიღო — «ბლოკ-ჯორჯიას» ათას ხუთას დოლარად გადაცემული სამედიცინო ობიექტები ჩამოართვეს.

„ბლოკ-ჯორჯიამ“ 3 წლის განმავლობაში არათუ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი 2 ახალი საავადმყოფო (დიღმისა და სანზონის კლასტერებში) არ ააშენა, არამედ არსებული კლინიკებიც გაძარცვა.

**„საქართველო და მსოფლიოს“ ერთგულ მკითხველს კარგად ემახსოვრება, თუ რას ვწერდით იმ უკანონობის თაობაზე, რასაც „ბლოკ-ჯორჯიას“ მესვეურები აღნიშნულ საავადმყოფოებში სჩადიოდნენ. მაგალითად, „მე-5 სამშობიაროდან“ მოხსნეს და გაყიდეს მარმარილოს ფილები, რომლებითაც მოპირკეთებული იყო აღნიშნული შენობა; „ჰემატოლოგიის ინსტიტუტიდან“ გათბობის მთელი სისტემა მოხსნეს და ჯართად ჩააბარეს, მათ შორის 2 გერმანული საქვაბე, თითოეული 35 ათას დოლარად ღირებული; ე. წ. მიხაილოვის საავადმყოფოდან კლინიკის კუთვნილი ჯიპი წაიყვანეს და ა.შ. მკითხველს ისიც ემახსოვრება, როგორ ისარგებლეს 2008 წლის აგვისტოს ომით და უანგაროდ ჩაბარებული სისხლი გაყიდეს. ეს მცირე ჩამონათვალია მათ მიერ ჩადენილი უკანონობისა.**

რა თქმა უნდა, პროფესიული სიამაყის გრძნობა გვაქვს, ჩვენმა მცდელობამ ამაოდ რომ არ ჩაიარა და სასურველი შედეგი გამოიღო, რაც ასე იშვიათია. თუმცა, ხელისუფლების მიერ აღიარებული შეცდომების მიუხედავად, ყველაფერი ბოლომდე გარკვეული არაა და „ბლოკ-ჯორჯიასთვის“ ქონების ჩამორთმევა ისეთივე ბურუსითაა მოცული, როგორც ტენდერში მათი გამარჯვება იყო.

**„საქართველო და მსოფლიო“ მიხაილოვის საავადმყოფოს ყოფილ დირექტორს, ბატონ გია ნიშნიანიძეს დაუკავშირდა და მომხდარის შეფასება სთხოვა.**

**გია ნიშნიანიძე:**

— აღნიშნული პროექტი ობიექტური მიზეზების გამო თავიდანვე წარუმატებლობისთვის იყო განწირული, მაგრამ საინტერესოა, დაკარგელ დროს ვინ აანაზღაურებს და ვინ აგებს ამაზე პასუხს. „ბლოკ-ჯორჯია“ რომც დააჯარიმონ, ამ სისტემას ამით არაფერი ეშველება. ძალიან ცუდი ფაქტი მოხდა და, შეიძლება ითქვას, რომ ეს მარტო „ბლოკ-ჯორჯიას“ დანაშაული არაა. ამაში მონაწილეობდნენ სახელმწიფო სტრუქტურები, სამინისტროები და ჩინოვნიკები. ასი კი არა, ერთი ახალი საავადმყოფო არ აშენებულა.

„ბლოკ-ჯორჯიას“ წარმომადგენლები აცხადებენ, 16 მილიონის ინვესტიცია განვახორციელეთ გადმოცემულ ობიექტებზეო. თუნდაც თბილისის მასშტაბით ერთი ობიექტი დამისახელეთ, სადაც ამ კომპანიამ 16 მილიონის კი არა, ათას ექვსასი ლარის ინვესტიცია ჩადო. მიმლებ განყოფილებას რომ შეღებავ, ესაა ინვესტიცია? ჯანდაცვის ყველა ობიექტი რა სავალალო მდგომარეობაშიც ჩაიბარეს, იმავე მდგომარეობაშია დღესაც. როგორც თქვენი გაზეთი წერდა, როცა „ბლოკ-ჯორჯიამ“ თავი ამ სამედიცინო ობიექტების მეპატრონედ დაიგულა, მატერიალურ ფასეულობაზე ხელი მიუწვდებოდა და ზოგიერთი საავადმყოფოს ქონება მიითვისა. ერთი საავადმყოფოდან გათბობის სისტემა წაუღია, მეორედან — აპარატურა, მესამედან — ტრანსპორტი და, საინტერესოა, აღნიშნულ ქონებას უკან დააბრუნებინებენ თუ არა. გაურკვეველია, ასევე, ქუთაისის 25 მილიონად ღირებული უახლესი საავადმყოფოს ბედი, რომელიც მათ 1000 დოლარად შეიძინეს. საინტერესოა, იგი „ბლოკ-ჯორჯიას“ განკარგულებაში დარჩება თუ ხალხს დაუბრუნდება; თუნდაც „ჰემატოლოგიის ინსტიტუტი“, ყოფილი „მიხაილოვის საავადმყოფო“ და ა.შ. რა ქონება ჩამოართვეს და რა დაუტოვეს? კარგი, ეს პროექტი ჩაიშალა, მაგრამ რა ბედი ელის თბილისის ჯანდაცვის სისტემას, ხელახალ ტენდერს გამოაცხადებენ ამ ობიექტებზე? ვინ არის რაიონებში დაწყებული ახალი პროექტის ავტორი, რა დევს ამ ხელშეკრულებაში? ახლა გამოდის ჯანდაცვის პირობითი მინისტრი ალექსანდრე კვიტაშვილი და იძახის, სადაზღვევო კომპანიებთან 3-წლიანი ხელშეკრულება ფორმდებაო. რა იქნება სამი წლის შემდეგ? ისევ ბოდიშს მოვიხდით? პირველმა არ გაამართლა და დიდი ალბათობაა, რომ მეორეც წარუმატებლობისთვის იქნება განწირული. საქართველოში ყალიბდება ჯანდაცვის სისტემის ახალი ფორმა, რომლის ანალოგი მსოფლიოში არ არსებობს.

**— ბატონო გია, რატომ ხართ დარწმუნებული, რომ არ გაამართლებს?**

— წინა პროექტმა ფიასკო განიცადა და სადაზღვევო კომპანიების სახით განტევების ვაცები იპოვეს. უბრალოდ, მოთამაშეები შეიცვალა. სამშენებლო კომპანია სადაზღვევოებმა ჩაანაცვლა. სამკურნალო სისტემის მთლიანად კერძო სტრუქტურებისთვის გადაცემით სახელმწიფო იხსნის და იცილებს ყოველგვარ ვალდებულებას, პასუხისმგებლობას საკუთარი მოსახლეობის წინაშე, რაც დანაშაულია. სახელმწიფომ მინიმალურ დონეზე მაინც უნდა გაუწიოს მომსახურება საკუთარ ხალხს, ეს აქსიომაა. ჯერ კიდევ როდის ვთქვით, რომ პროექტი „ასი ახალი საავადმყოფო“ არ გაამართლებდა. ხომ აღმოვჩნდით მართლები? ამას დიდი ნოსტრადამუსობა არ უნდოდა, თავიდანვე ჩანდა, რომ ასე მოხდებოდა. დღეს იმავე შეცდომებს რატომ ვიმეორებთ, რა დაუშავა ჯანდაცვის გაუბედურებულმა სისტემამ და ექიმებმა ამ ხელისუფლებას? ერთხელ და სამუდამოდ ხომ უნდა დაესვას წერტილი ველოსიპედის გამოგონებას! მსოფლიოში არ არსებობს ასეთი პრეცედენტი და არ შეიძლება ამ გზით სიარული.

**— შედეგით არ ხართ კმაყოფილი?**

— პრესისა და ექიმების პროტესტმა რაღაც შედეგი მოგვცა, „ბლოკ-ჯორჯიას“ შეცდომები აღარ აპატიეს და გარკვეული ზომები მიიღეს, მაგრამ კვლავ იმავეს ვიმეორებთ. ჭკუა ხომ უნდა ვისწავლოთ! ჭკვიანსა და სულელს შორის ის განსხვავებაა, რომ ჭკვიანი შეცდომებზე სწავლობს, სულელი კი — იმეორებს. კერძო სტრუქტურა დაფუძნებულია მოგებაზე. ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე, წამგებიან მომსახურებას მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო ეწევა და ამას დოტაცია ჰქვია. სახელმწიფომ შეიძლება დოტაციური სფერო განავითაროს და დააფინანსოს ბიუჯეტიდან, მაგრამ კერძო სტრუქტურა ამას ვერ გააკეთებს. ახალი თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი ჰოსპიტლის აშენება საკმაოდ ძვირადღირებული სიამოვნებაა. საშუალოდ ერთი საწოლი 150 ათასზე ნაკლები არ ჯდება, თუ მხოლოდ ფასადის შეღებვა და მეორადი ტექნიკის შეტანა არ გვინდა, შესაბამისად, 50-საწოლიანი საავადმყოფოს ასაშენებლად 5-6-მილიონიანი ინვესტიციაა საჭირო და ამ თანხას მერე ამოღება ხომ უნდა. ათადგილიანი საავადმყოფო ჩემთვის წარმოუდგენელია, ამბულატორიაა, ლაზარეთია თუ რა არის? დღეს საქართველოს რეგიონებში ამხელა ინვესტიციის განხორციელება უკან დაბრუნებადი არაა. რაიონებში ხალხი ქორწილსა და ქელეხს ველარ იხდის და რა უნდა გაყიდოს, რომ ძვირადღირებული მკურნალობა ჩაიტაროს?! თეორიულად ხელისუფლების მორიგი ინიციატივა ზღაპარს ჰგავს.

**ნათია ქადაგიშვილი**



# გიორგი არველაძის «შემოქმედების» მსხვერპლთა რაოდენობა იზრდება

**მაშ ასე, როგორც დაგპირდით, „საქართველო და მსოფლიო“ აგრძელებს 13 მარტს ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში გასული „იმიტირებული ქრონიკის“ შედეგად გარდაცვლილთა შესახებ ინფორმაციის მოძიებას. ამჯერად ამ თემაზე სასაუბროდ ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრის შიდა ქართლის რეგიონული ორგანიზაციის კოორდინატორს, გაზეთ „ქართლის ხმის“ რედაქტორს ზექა ნინიკაშვილს დავუკავშირდით, რომელმაც ზემოთ აღნიშნული გადაცემის კიდევ ორ მსხვერპლზე — 73 წლის ლამარა ბუბუნაშვილსა და 45 წლის ავთანდილ კაპანაძეზე ინფორმაცია მოგვაწოდა.**







— ტყვიავის საავადმყოფოში განთავსებული სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრიდან გვაცნობეს, რომ „მოდელირებული ომის“ ეთერში გასვლის შედეგად, გორის რაიონის სოფელ არბოს მკვიდრი, 45 წლის ავთანდილ კაპანაძე (ინფორმაცია სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის თანამშრომელმა ეკა ბუზღურაშვილმა მოგვაწოდა) და გორის რაიონის სოფელ მარანას მკვიდრი 73 წლის ლამარა ბუბუნაშვილი გარდაიცვალნენ.

**გარდაცვლილთა ოჯახების ახლობლებმა, ნათესავებმა დაგვიდასტურეს, რომ ორივე შემთხვევაში გარდაცვალების მიზეზი იყო ტელეკომპანია „იმედის“ 13 მარტის გადაცემა.**

როგორც გარდაცვლილის ძმასთან გავარკვიეთ, ავთანდილ კაპანაძეს გული აწუხებდა, ინფარქტი ჰქონდა გადატანილი, მაგრამ სასიკვდილო არაფერი სჭირდა.

კაპანაძის მეუღლე კი სრულიად საპირისპიროს ამტკიცებს; თქვა, რომ ქრონიკის სიუჟეტი არაფერ შუაშია, რადგან მისი მეუღლის ჯანმრთელობის მდგომარეობა ისედაც მძიმე იყო.

**იმასაც არავინ უარყოფს, რომ ქრონიკის სიუჟეტმა ავთანდილ კაპანაძე უკიდურესად შეაშფოთა და გაალიზიანა, შედეგად გულის შეტევა დაეწყო და მეორე დღეს, 14 მარტს, გამთენიისას გარდაიცვალა.**

ლამარა ბუბუნაშვილის ყველა ნათესავმა განაცხადა, რომ ამ ადამიანის გარდაცვალების მიზეზი სწორედ ეს „იმიტირებული ქრონიკა“ გახდა. ისინი ყვებიან, რომ ამ სიუჟეტის ნახვის შემდეგ ქალბატონი ლამარა ძალიან განერვიულდა, აუწია წნევამ, მას მისცეს წამლები, დამამშვიდებლები, მაგრამ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მაინც გაუარესდა, განუვითარდა ინსულტი და მოგვიანებით, სამწუხაროდ, გარდაიცვალა.

ექიმმა ეკა ბუზღურაშვილმა გვითხრა, რომ ბრიგადა გამოძახებისთანავე გავიდა, მაგრამ ავადმყოფი გარდაცვლილი დახვდა. ბუბუნაშვილის გარდაცვალების მიზეზი ჰიპერტონული კრიზი იყო, რომელიც სტრესულმა მდგომარეობამ გამოიწვია.

იმ ღამით, 13 მარტს, ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესების ბევრი შემთხვევა დაფიქსირდა: გორის რაიონის სოფელ ფლავისმანში, ერთ-ერთ ოჯახში, სადაც ტყვიავის საავადმყოფოს ექიმი სტუმრად იმყოფებოდა, მასპინძელთაგან ერთ-ერთს გადაცემის ნახვის შემდეგ სასწრაფო სამედიცინო დახმარება დასჭირდა...

**გადაცემის დამთავრებიდან რამდენიმე საათის განმავლობაში ტყვიავში ოცამდე გამოძახება იყო, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ გადაცემამ უკიდურესად უარყოფითად იმოქმედა მოსახლეობაზე...**

გორში ოცდათექვსმეტი გამოძახება დაფიქსირდა. აქედან ათ პაციენტს საავადმყოფოში გადაყვანა დასჭირდა, უმეტესად, გულის შეტევისა და ინსულტის შემთხვევები იყო.

**თბილისში, შარტავას ქ. №41-ში სასწრაფო დახმარება ათი წლის ბავშვის გამო გამოიძახეს, რომელმაც ამ გადაცემის ნახვის შემდეგ თავი შეუძლოდ იგრძნო, განერვიულდა და კრუნჩხვები დაეწყო.**

კრუნჩხვა დაემართა სოფელ ტყვიავში რვა წლის ბავშვსაც. როგორც მისმა ბებიამ მანანა ჯირკველიშვილმა გვიამბო, მისი შვილიშვილი უაღრესად სტრესულ მდგომარეობაში ჩავარდა და მთელი ღამე არ უძინია. ბავშვს მამა 2008 წლის აგვისტოს ომში დაეღუპა და, ეტყობა, პატარას გაუმეორდა ის განცდა, სტრესი, რომელიც მაშინ გადაიტანა.

**— გარდაცვლილთა ოჯახის წევრები, უფლებამონაცვლე პირები თუ აპირებენ სასამართლოში სარჩელის შეტანას? მათ ხომ აქვთ უფლება, უჩივლონ ტელეკომპანია „იმედს“ და ყველას, ვინც მონაწილეობდა ამ სიუჟეტის მომზადებაში?**

— როგორც გითხარით, სოფელ არბოში ავთანდილ კაპანაძის ოჯახის წევრებისგან მოვისმინე აბსოლუტურად განსხვავებული, საპირისპირო მოსაზრებები. მეტსაც გეტყვით, როცა სოფელ არბოში, კაპანაძის ოჯახის წევრებთან შესახვედრად ჩავედით, იქ, ქართული საჯარისო ნაწილების საგუშაგოზე დაახლოებით ნახევარი საათი შეგვაყოვნეს. ზედმიწევნით ჩაიწერეს ჩვენი მონაცემები, მერე სადღაც გადარეკეს, გადმორეკეს, ერთი სიტყვით, დრო გაიყვანეს და შემდეგ, როცა მივედით გარდაცვლილის ოჯახში, სწორედ იმ ჩიხიდან, სადაც იგი ცხოვრობდა, გამოვიდა პოლიციის მანქანა; შემდეგი, რაც გაგვიკვირდა, ის იყო, რომ ჭირისუფლები ისე დაგვხვდნენ, თითქოს გველოდნენ... ერთი სიტყვით, ჩვენ ყველანი დავრწმუნდით, რომ ის შეყოვნება საგუშაგოზე, გადარეკვა, გადმორეკვა, დროს გასაყვანი ხრიკი იყო, რათა, სანამ ჩვენ იქ მივიდოდით, მოესწროთ გარდაცვლილის ოჯახის წევრების გაფრთხილება, მათაც „ზედმეტი“ არაფერი წამოსცდენიათ. ამის თქმის საფუძველს მაძლევს თუნდაც გარდაცვლილის მეუღლის ნათქვამი, რომ ქრონიკის სიუჟეტი არაფერ შუაშია. იგი აშკარად დაშინებული იყო, ასე რომ, სიმართლე გითხრათ, არა მგონია, მან ან გარდაცვლილის რომელიმე სხვა უფლებამონაცვლე პირმა სასამართლოში სარჩელი შეიტანოს.

რაც შეეხება ლამარა ბუბუნაშვილის ოჯახის წევრებს, მე მგონი, ჩივილს არც ისინი აპირებენ, რადგან, როგორც გავიგე, მათი შვილი თუ შვილიშვილი ჯარში წასვლას აპირებს და ეშინიათ, იქ რამე პრობლემები არ შეექმნას...

კაპანაძის ძმა კი სრულიად შემთხვევით გზაში შეგვხვდა. ჩვენ არ ვიცოდით, რომ გარდაცვლილის ძმა იყო, უზრალოდ დავიმგზავრეთ, რათა სახლი მიესწავლებინა. ამით იმის თქმა მინდა, რომ იმ დროს, როცა, სავარაუდოდ, კაპანაძეებთან პოლიცია მივიდა, იგი შინ არ იყო და, შესაბამისად, ალბათ, პირადად არც გაუფრთხილებიათ.

**— თქვენი აზრით, უნდა დადგეს თუ არა ამ გადაცემის გამო კონკრეტული ადამიანების პასუხისმგებლობის საკითხი?**

— პირდაპირ გეტყვით, რომ ეს გადაცემა იყო ყველაზე დიდი საშინელება, რაც კი ოდესმე ამ ხელისუფლებას ხალხისთვის გაუკეთებია.

ამ ქვეყნის თითოეული მოქალაქისთვის, განსაკუთრებით, კონფლიქტის ზონის მოსაზღვრე სოფლების მოსახლეობისთვის, ეს იყო წარმოუდგენელი შოკი, რომელმაც განაახლა ის განცდა, ის ტრაგედია და უბედურება, რაც 2008 წლის აგვისტოს ომის დროს თავს დაატყდა ქვეყანას.

ამისთვის, რა თქმა უნდა, თითოეულმა დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს. ყველა, ვინც ამ შემზარავი, საშინელი სიუჟეტის მომზადებაში რამე წვლილი შეიტანა, უნდა დაისაჯოს კანონის სრული სიმკაცრით, რადგან ეს არის დანაშაული ჩადენილი არა ერთი, ორი ან რამდენიმე ადამიანის, არამედ ერისა და ქვეყნის წინაშე.

**ჯაბა ჟვანია**

**P.S. 15 აპრილს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ მოქალაქე თ.ე.-ს სახელით თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელი შეიტანა. როგორც ჩვენთვისაა ცნობილი, ეს ვინმე თ.ე. ტელეკომპანია „იმედს“ უჩივის და მისი ხელმძღვანელობისგან 13 მარტის იმიტირებული ქრონიკის შედეგად მიყენებული მორალური ზარალის ანაზღაურებას 5000 ლარის ოდენობით ითხოვს. დაზარალებულს სარჩელში მითითებული აქვს, რომ აღნიშნულ გადაცემაში მოსმენილი ინფორმაციის შედეგად იგი შეუძლოდ გახდა, დაკარგა გონება, რის გამოც მისმა ოჯახის წევრებმა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა გამოიძახეს...**

**ჩვენ, რა თქმა უნდა, ვცადეთ მასთან დაკავშირება, მაგრამ, როგორც ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში გვითხრეს, იგი ამ თემაზე საჯაროდ არ საუბრობს. მეტიც, მისი ვინაობაც კი გასაიდუმლოებულია მისივე მოთხოვნით, მისი უსაფრთხოების მიზნით...**

**P.P.S. შეგახსენებთ, რომ „საქართველო და მსოფლიო“ აგრძელებს გამოძიებას იმის გასარკვევად, თუ კიდევ რამდენი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა „იმიტირებულმა ქრონიკამ“. მკითხველებს ვთხოვთ ჩაერთონ ამ პროცესში და ინფორმაცია მოგვაწოდონ ნომერზე: 857-36-52-91.**

# პოლიციელმა შელიამ 60 წლის ნუგზარ მანია შვილის თვალწინ დახვრიტა

**17 აპრილის საღამოს ზუგდიდში, ენგურქაღალდკომბინატის დასახლებაში შემზარავი მკვლელობა მოხდა — პოლიციელმა უდანაშაულო ადამიანი მოკლა. ამ ტრაგიკული შემთხვევის ოფიციალური და არაოფიციალური ვერსიები ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება.**

**ოფიციალური:** სამართალდამცავი ორგანოების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ენგურქაღალდკომბინატის დასახლებაში მცხოვრებ მამა-შვილ ვეფხია და გიორგი თოლორაიებს შორის არსებული დაპირისპირების გამო მეზობლებმა პოლიცია გამოიძახეს. გიორგი თოლორაია დააკავეს. პოლიციაში მის წაყვანას მამა-შვილი ნუგზარ და ნუკრი მანიები შეეწინააღმდეგნენ. გაწევ-გამოწევისა და შეხლა-შემოხლის შედეგად პოლიციელ ედუარდ შელიას რევოლვერი გაუვარდა, ნუგზარ მანიას ტყვია მუცლის არეში მოხვდა და გარდაიცვალა.

**აი, რას ყვებიან ამ ფაქტის თვითმხილველები.**

**ლუიზა ქობალია:** — მე და ნუგზარ მანია ერთად ვმგზავრობდით. ავტობუსიდან ჩამოსვლისას დავინახეთ პოლიციელები, რომლებსაც ახალგაზრდა ბიჭი ჰყავდათ დაკავებული. ის ბიჭი ეხვეწებოდა, არ დამაკავოთ, ვმკურნალობო. ნუგზარი პოლიციელებთან მივიდა და უთხრა, არ გეცოდებათ, როგორ გეხვეწებათ, გაუშვით, ნუ სცემთო. ერთ-ერთმა პოლიციელმა მას უპასუხა: წადი აქედან, თავი ხომ არ მოგძულებიაო და ნუგზარ მანიას ხელი ჰკრა.

ყოველივე ამას ხედავდა ნუგზარის შვილი — ნუკრი, რომელიც მამას გამოექომაგა.

**პოლიციელმა მასაც ხელი ჰკრა, ნუკრიმაც ხელი შეუბრუნა, გაბრაზებულმა პოლიციელმა იარაღი ამოიღო და ნუკრის დაუმიზნა, მაშინ მამა შვილს გადაეფარა და ტყვიაც მას მოხვდა“.**

**თამუნა ქირია:** — მკვლელობა ჩემს სახლთან ახლოს მოხდა. პირველად ხმა შემომესმა, ბიჭი ყვიროდა, რატომ მირტყამთ, რატომ მკლავთო. ორი პოლიციელი ახალგაზრდა ბიჭს ურტყამდა, ის კი გაჰყვიროდა, ხომ იცით „უსლოვნი“ მაქვს და პრობლემებს რატომ მიქმნითო. ჩვენი მეზობელი ნუგზარ მანია ამ ბიჭს გამოექომაგა, შემდეგ ნუგზარის შვილიც მოვიდა. ერთ-ერთი პოლიციელი იარაღს უაზროდ ატრიალებდა. მერე ნუგზარის შვილს — ნუკრის დაუმიზნა. მერე იყო გაწევ-გამოწევა, გასროლის ხმაც გაისმა და ნუგზარი ჩაიკეცა — მუცელში იყო დაჭრილი“.

ასეთია მომხდართან დაკავშირებით თვითმხილველთა განმარტებები. მათივე განცხადებით, მამა-შვილ თოლორაიებს შორის არანაირი დავა და დაპირისპირება არ ყოფილა; სინამდვილეში პოლიციელებს დავალებული ჰქონდათ გიორგი თოლორაიას დაკავება.

ამ მკვლელობამ აღაშფოთა ზუგდიდის საზოგადოება, უსაზღვროდ დიდი ტკივილი მიაყენა ნ. მანიას ოჯახს. „ჩემი სრულიად უდანაშაულო ძმა პოლიციელებმა მომიკლეს. იგი ზუგდიდის ივერიის ღვთისმშობლის სახელობის საკათედრო ტაძრის მშენებლობაზე მუშაობდა და იმ დღეს შინ დაღლილ-დაქანცული ბრუნდებოდა. პოლიციელებმა ძაღლივით მომიკლეს ქუჩაში. რატომ აქვთ პოლიციელებს ამდენის უფლება?“ — აცხადებს მოკლულის და დალი მანია.

**ლადო ქირია, ზუგდიდი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# საქმე, რომელიც ნაყალბევი

„საქართველო და მსოფლიოში" გამოქვეყნებული წერილები პოლიტპატიმარ ვლადიმერ ვახანიას საქმეზე ერთგვარი საგაა უდანაშაულო ადამიანის შესახებ. ჩვენს პუბლიკაციებს ქვეტექსტად გასდევს ასეთი ჩანაფიქრიც — საჯაროდ წარმოვაჩინოთ ჩვენი სასამართლო სისტემის მზადყოფნა, ემსახუროს ჭეშმარიტებას და ქმნას მართალი სამართალი, კერძოდ, თუნდაც ამ ერთ მაგალითზე დაამტკიცოს, რომ მას ხელეწიფება დაშვებული სამართლებრივი შეცდომის გამოსწორება, არ მოერიდება გამამართლებელი განაჩენის გამოტანას, მიუხედავად იმისა, რომ თავისი ამგვარი გადაწყვეტილებით შეიძლება რომელიმე მაღალჩინოსნის გულისწყრომა გამოიწვიოს.

განცხადება, რომელსაც დღეს ვაქვეყნებთ, გამიზნულია საიმისოდ, რომ, ჯერ ერთი, საჯაროდ გამოვიტანოთ იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, აკადემიკოს ვლადიმერ ვახანიას პროფესიული შეფასება მის თავზე დატრიალებული უკანონო ქმედებების შესახებ; მეორე, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მისი დასკვნები დაეხმარება ამ საქმესთან დაკავშირებულ იურისტებს, უწინარეს ყოვლისა, მოსამართლეებს, მიიღონ კანონით გათვალისწინებული სამართლიანი გადაწყვეტილება; მესამე, ეს განცხადება, იმედია, ერთგვარი გზამკვლევი იქნება სახალხო დამცველისათვის, რათა მან და მისმა აპარატმა მაღალ დონეზე და მიუკერძოებლად შეასრულონ საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობა.

მაშ, მოუსმინეთ პოლიტპატიმარს.

არმაზ სანებლიძე




საქართველოს სახალხო დამცველს
ბატონ გიორგი ტუღუშს

ცნობისათვის:
საქართველოს საკონსტიტუციო
სასამართლოს თავმჯდომარეს
ბატონ გიორგი პაპუაშვილს

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს
ბატონ კოტე კუბლაშვილს

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს
ბატონ მალხაზ გურულს

საქართველოს იუსტიციის მინისტრს
ბატონ ზურაბ ადეიშვილს

ადამიანის უფლებათა ევროპული
სასამართლოს დიდ პალატას
საქმეზე 40227/09

## განცხადება

**(სისხლის სამართლის 044090189 საქმეზე დანაშაულებრივი კანონდარღვევის შესახებ)**

**ბატონო გიორგი,**

სახალხო დამცველის აპარატიდან მივიღე წერილი №1119104—7/0061—10/1, რომელშიც მთხოვთ, მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეზე მივუთითო კონკრეტული პროცესუალური ნორმების დარღვევის შესახებ. გიპასუხებთ და მოკლედ მოგაწვდით ფაქტებს არა მარტო პროცესუალური დარღვევების, არამედ მთლიანად ადამიანის კონსტიტუციური უფლებების დარღვევების შესახებ, რაც დევს სასამართლო საქმეში და სხვა სახელმწიფო უწყებებში.

1) **ფაქტი პირველი.** ძიება სისხლის სამართლის საქმეზე დაწყებულია არარსებული, შეთითხნილი ფაქტებით, ვითომცდა ჩემი ინტერვიუს გამოუქვეყნებლობის (გაუვრცელებლობის) მიზნით ჟურნალისტის საქმიანობაში ხელის შეშლაზე, რაც ყველა შემთხვევაში დაუშვებელია საქართველოს კონსტიტუციის მე-19, 23-ე, 24-ე მუხლებით და საქართველოს კანონით „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" (ვრცლად იხილეთ შუამდგომლობაში სასამართლოს სახელზე). მსოფლიოს სასამართლო პრაქტიკაში არ არსებობს მაგალითი, რომ ადამიანს დააბრალონ თავისი ინტერვიუს გამოუქვეყნებლობა. გამოძიება საერთოდ არ ჩატარებულა, როგორც ამას ითვალისწინებს საპროცესო კანონმდებლობა. ფაქტები სინამდვილეს არ შეესაბამება. საქმე გაყალბებულია თავიდან ბოლომდე — დაწყებული პირველი ფურცლიდან. ძიების დაწყებას „საფუძვლად" დაედო დეტექტივ დ. თორიას ყალბი პატაკი (პირველი ფურცელი), რომელშიც მინიშნებულია გვარი ვაჰანია, რომელიც მე არ მეკუთვნის.

2) **ფაქტი მეორე.** არ შემდგარა მთავარი პროცესუალური (საგამოძიებო) მოქმედება – დაკავება. ამ ძირითად პროცესუალურ მოქმედებას ადგილი საერთოდ არ ჰქონია.

2009 წლის 15 მარტს ჩემს მამისეულ საცხოვრებელ სახლს ბანდიტურად თავს დაესხა 300 შეიარაღებული სპეცრაზმელი და პოლიციელი, იარაღის მუქარით დაგვაწვინეს იატაკზე მე და ჩემი ოთხი მოწმე. უკანონო ჩხრეკის, უფრო სწორად, ყაჩაღობის, ძარცვის, ცეცხლსასროლი იარაღის ჩადების შემდეგ, რაიმე ეჭვის, ბრალის, განმარტებისა და დაკავების ოქმის შედგენის გარეშე ჩამსვეს ციხეში. პოლიციელებს ისეთი პროცესუალური ქმედება, როგორიცაა დაკავება, არ შეუსრულებიათ, როგორც ეს გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 141–145-ე მუხლებით.

***მსოფლიო პრაქტიკაში იშვიათია შემთხვევა, რომ ადამიანი არ იყოს პროცესუალურად დაკავებული და ერთ წელზე მეტი იჯდეს ციხეში. ეს არის დღევანდელი საქართველოს თემიდის დანაშაულებრივი ნონსენსი.*** საყოველთაოდ ცნობილია, რომ, თუ დაკავებას ადგილი არ ჰქონია, ე.ი დაკავება უკანონოა. ყველა სხვა შემდგომი საგამოძიებო ქმედება ითვლება ბათილად. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე მუხლის თანახმად, „თუ დაკავებისას პირს არ განემარტა დუმილის, დანაშაულის არდაბრალების, ასევე დამცველის მოწვევის უფლების თაობაზე, არ გადაეცა დაკავების ოქმი ან, თუ დაკავების ოქმი შედგენილია არსებითი დარღვევით, რომელიც აუარესებს პირის სამართლებრივ მდგომარეობას, თავისუფლებაშეზღუდული პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს".

ამასთანავე, საპროცესო კოდექსის 286-ე მუხლის მიხედვით, „საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას დაუშვებელია ძალის, მუქარის, შანტაჟის, მოტყუებისა და სხვა უკანონო ხერხების გამოყენება, ასევე დაუშვებელია ამ მოქმედებაში მონაწილე პირების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა".

ყველაფერ აღწერილს ჰქონდა ადგილი ჩემთან მიმართებაში. დაკავების არარსებობა, დაკავების ოქმის ფალსიფიცირება გამომძიებელ მერაბ შენგელიას მიერ დადასტურებულია უტყუარი მტკიცებულებით: ორი გრაფიკული ექსპერტიზის დასკვნით; დაკავების ოქმის ფალსიფიცირება ჩანს ვიზუალურადაც, გრაფაში რეგისტრაციის ადგილი ჩაწერილია – ქ. ზუგდიდი, იმ დროს, როცა ჩემი რეგისტრაციის ადგილია ქ. თბილისი, რაც, უბრალოდ, მიანიშნებს იმას, რომ ოქმი შედგენილია ჩემს დაუსწრებლად პოლიციის კაბინეტში.

შეიარაღებული სპეცრაზმელების ძალადობა ე. წ. დაკავებისა და სხვა საგამოძიებო ქმედების დროს დადასტურებულია მოწმეების ჩვენებებით და უტყუარი ვიდეოჩანაწერის მასალით (თან ერთვის). სახეზეა არა უბრალოდ უკანონო დაკავება-დაპატიმრება, არამედ ჩადენილია უამრავი დანაშაული სამართალდამცველთა მხრიდან და ამის მერე სხვა ფაქტების ჩამოთვლა ზედმეტია, რადგან დაუყოვნებლივ უნდა ვიყო გათავისუფლებული, მაგრამ ვაგრძელებ დეტალურად.

3) **ფაქტი მესამე.** ჩატარებულია უკანონო ჩხრეკა და ამოღება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 315–327-ე მუხლების დანაშაულებრივი დარღვევით. ეს იყო არა ჩხრეკა და ამოღება, როგორც ამას ითვალისწინებს კანონი, არამედ ყაჩაღობა და ძარცვა. ფალსიფიცირებულია ჩემი და დამსწრეების ხელმოწერები ჩხრეკის ოქმზე და დადგენილებებზე. ნივთების ე. წ. ნივთმტკიცებულებების ამოღება-დალუქვა არ შემდგარა.

ეს დადასტურებულია მოწმეების (ჯ. ჩიქოვანის, მ. მაქაცარიას) ჩვენებებით და ადასტურებს თავად პროკურორი **დ. ხვიტია** 17 მარტს შედგენილი ოქმით, სადაც აღწერილია ჩატარებული ამოღება-ჩხრეკის დოკუმენტებზე ხელმოწერების არარსებობა. ჩხრეკის ოქმისა და დადგენილების ფალსიფიცირება ჩადენილი გამომძიებლების **ლ. კანკიასა** და **ჯ. გელბახიანის** მიერ ასევე დადასტურებულია უტყუარი გრაფიკული ერთპიროვნული და კომისიური დასკვნებით და 2009 წლის 1 აგვისტოს მიღება-ჩაბარების აქტით.

4) **ფაქტი მეოთხე.** საპროცესო კოდექსის 141–145-ე, 288-ე, 290-ე, 291-ე, 292-ე მუხლების აშკარა დარღვევით პროკურორმა **დ. ხვიტიამ** 2009 წლის 16 მარტს მიმართა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს შუამდგომლობით ამოღება-ჩხრეკების კანონიერად ცნობის შესახებ. თავის მხრივ, მოსამართლეებმა **ი. აბშილავამ** და **დ. კეკენაძემ** მიიღეს უკანონო დადგენილება ამ საგამოძიებო მოქმედებების (ჩხრეკების) კანონიერად ცნობის შესახებ. ეს დასტურდება ზემოაღწერილი მტკიცებულებებით და, კერძოდ, პროკურორ დ. ხვიტიას მიერ 17 მარტს შედგენილი ოქმით, რომელიც აუცილებლად უნდა დართოდა 16 მარტის შუამდგომლობას. მოსამართლეებს არ ჰქონდათ დასაბუთებული საფუძველი ჩხრეკების კანონიერად ცნობისათვის. ე.ი. ამ დროიდან — 2009 წლის 16-17 მარტიდან მოსამართლეები **ი. აბშილავა** და **დ. კეკენაძე** უკვე იყვნენ დანაშაულებრივად მიკერძოებულები საქმისადმი, მაგრამ შემდგომში მიჰყავდათ პროცესი, რითაც ცალსახად უგულვებელყვეს ***„სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოებანის" შესახებ კანონის მოთხოვნა (აცილება,*** 105–108-ე მუხლები).

თავად მოსამართლეებმა უსაფუძვლოდ არ დააკმაყოფილეს დაცვის მიერ სასამართლოში დაყენებული ამ ნორმების შესაბამისი კანონიერი მოთხოვნა, მათ შორის, თვითაცილების შესახებაც. ასეთი რამ ხდება საქართველოში – ევროსაბჭოს წევრ სახელმწიფოში.

5) **ფაქტი მეხუთე.** წინასწარი პატიმრობის ბრძანება 2009 წლის 17 მარტს გამოტანილი იქნა მოსამართლე **ი. აბშილავას** მიერ საპროცესო კოდექსის 105–108, 140–146, 150–160-ე მუხლების აშკარა დარღვევით. სასამართლომ დაარღვია პროცესუალური აღკვეთის ღონისძიების შერჩევის (დაპატიმრების) ყველა წესი.

აღკვეთის ღონისძიების შერჩევის დროს პირველ რიგში სავალდებულოა დაკავების კანონიერების დადგენა ჩხრეკასთან ერთად, თუ მას ჰქონდა ადგილი. სასამართლომ საქმე ამ თვალსაზრისით საერთოდ არ განიხილა: არ შეამოწმა, არ განიხილა დაკავების ოქმი, ჩხრეკების ოქმები; არ გამოუქვეყნებია არც ერთი საქმის მასალები და მტკიცებულებები (რადგან, როგორც ზემოთ აღვწერე, თვითონ მონაწილეობდა საქმის გაყალბებაში); შეადგინა ნაწილობრივ ფალსიფიცირებული სხდომის ოქმი.

სასამართლომ აშკარად დაარღვია ჩემი დაცვის უფლებები: არ შეამოწმა (არ განიხილა) ის გარემოება, რომ საქმის მასალებს არ გავცნობივარ არც მე, არც ადვოკატები, მიუხედავად საქმეში არსებული ჩემი 17 მარტის განცხადებისა; არ შეამოწმა (არ განიხილა) ის გარემოება, რომ დაკავების ოქმის ასლი ძიებას ჩემთვის არ გადმოუცია; არ დაუკითხავთ ჩემს მიერ მოთხოვნილი მოწმეები, მათ შორის, სასამართლოში მყოფი თენგიზ კალანდია (რომელიც სასამართლოს ჩატარების შემდეგ დააპატიმრეს შეთითხნილი ბრალდებით და მიუსაჯეს 18 წელი სხვა მოწმეების დაშინების მიზნით).

ყველაფერი ეს დასტურდება ზემოთ აღნიშნული მტკიცებულებებით, საქმის მასალებით და თვით ნაწილობრივ გაყალბებული სასამართლოს სხდომის ოქმიდან, სადაც აღწერილი ჩემი ჩვენებიდან ჩანს: სპეცრაზმელების და პოლიციელების უკანონო ძალადობრივი ქმედება; დაკავება, ჩხრეკა, იარაღის ჩადება; დევნა პოლიტიკური ნიშნით; უკანონოდ პასპორტების ჩამორთმევა თბილისის აეროპორტში 2008 წ. 12 ოქტომბერს; 2009 წლის 11 მარტს (ძიების დაწყებისას) პოლიტიკური პარტიის „მთლიანი საქართველოს" დამფუძნებელი ყრილობის ჩაშლა ხელისუფლების მიერ. განცხადებული იყო სასამართლოსთვის საყურადღებო და განსახილველი გარემოებები, მაგრამ ასეთი არ მომხდარა.

სასამართლოს სხდომის ოქმიდან ასევე ერთმნიშვნელოვნად დგინდება, რომ დაკავების ოქმის ასლი ჩემთვის არ გადმოუციათ. სასამართლოს ასევე არ შეუმოწმებია (არ დაუდგენია) გადაუდებელი ჩხრეკის აუცილებლობის უსაფუძვლობა.

ცალკე აღსანიშნავია დაცვის უფლებების დარღვევა: არც სასამართლოს განხილვამდე, არც სასამართლო სხდომაზე, არც სასამართლოს ბრძანების გასაჩივრებისას საქმის მასალები გასაცნობად არ გადმოუციათ, არც ჩემთვის, არც ადვოკატებისთვის, მიუხედავად მიმართვებისა (მტკიცდება საქმის მასალებით) და, ამდენად, საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში იყო შედგენილი და შეტანილი საქმის მასალების გაცნობის გარეშე. თავის მხრივ ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (მიუხედავად მრავალი დარღვევისა) საჩივარი განიხილა ზეპირი მოსმენის გარეშე და დატოვა ძალაში უკანონო სასამართლო გადაწყვეტილება (ბრძანება აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ).

ამრიგად, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს (მოსამართლე ი.აბშილავას) 2009 წლის 17 მარტის ბრძანება აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შესახებ არის განზრახ უკანონო და ყალბი.

6) **ფაქტი მეექვსე.** ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 11 სექტემბრის განაჩენი, რომელიც გამოტანილია უკვე მიკერძოებული მოსამართლე დ.კეკენაძის მიერ, არის განზრახ დანაშაულებრივი ქმედება, ჩადენილი საქართველოს კონსტიტუციის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შემდეგი მუხლების დარღვევით: პირველი, მე-2, მე-6, მე-8, მე-9, 18–21-ე, 105–108-ე, 140–145-ე, 437-ე, 439-ე, 440-ე, 443-ე, 461-ე, 463-ე, 466-ე, 468-ე, 474-ე, 475-ე, 479-ე, 485-ე, 486-ე, 490-ე და სხვა.

▶

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# მასალებით «შეკერეს»

◀ სასამართლომ არ დააკმაყოფილა არც ერთი კანონიერი შუამდგომლობა: მიკერძოებულ (საქმის გაყალბებაში მონაწილე) პროკურორ **დ. ხვიტიას** აცილებაზე; დაცვის მოწმეების გამოძახება-დაკითხვაზე; ექსპერტიზის და სპეციალისტის დასკვნების განხილვაზე; ნივთმტკიცებულების შემოწმება-დათვალიერებაზე; უსაფუძვლოდ გააძევა სასამართლო დარბაზიდან ჩემი დამცველი ადვოკატები; უკანონოდ მიიღო პოლიციელების ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებები და მათი დანაშაულებრივად მოპოვებული მტკიცებულებები.

დაირღვა ჩემი (ბრალდებულის) ყველა არსებული უფლებები, არ მომეცა ჩვენების მიცემის უფლება და საბოლოო სიტყვა, მტკიცებულების შემოწმებასა და შეფასებაში მონაწილეობის საშუალება. სასამართლო გამოძიება-გამოკვლევას ადგილი საერთოდ არ ჰქონია. მოსამართლემ სისულელეები ჩაწერა განაჩენში და უკანონოდ მომისაჯა 4 წელი.

**განმარტებისათვის გიდგენთ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მოთხოვნებს: *„ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი მოწმეების ისეთივე პირობებში გამოძახება და დაკითხვა, როგორც აქვთ ბრალდების მოწმეებს“; „კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცევუკებას იურიდიული ძალა არა აქვს“.***

ის, რაც მოხდა ზუგდიდის სასამართლო დარბაზში არ იყო სასამართლო პროცესი, ეს იყო თვითდასჯა ჩემზე და ჯალათობა, წამება, რადგანაც თვით ჯანმრთელ ადამიანზე უკანონო და უზნეო სასამართლო პროცესი არის წამება, როდესაც არცერთი კანონი და ადამიანის არცერთი უფლება არ შეეხება მას, მითუმეტეს ავადმყოფ ადამიანზე, როგორიც მე ვიყავი მაშინ (ჩემი ავადმყოფობის და ცუდად ყოფნის გამო 12 აგვისტოს გადაიდო სასამართლო სხდომა, რადგანაც მაწუხებდა საშინელი ტკივილები გულის არეში, ძლიერი სისუსტე, თავბრუხვევები, მიჭირდა ფეხზე დგომა, ლაპარაკი და მაწუხებდა მაღალი წნევა...), ჩემმა ოჯახმა და ადვოკატებმა ძლივს მოახერხეს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის ექიმების შემოყვანა სასამართლო დარბაზში ჩემთვის დახმარების აღმოსაჩენად. ინექციის გაკეთების შემდეგაც არ მაძლევდნენ დროს, რათა გონზე მოვსულიყავი. დავით კეკენაძის მოსამართლედ მუშაობა დაუშვებელია, ის დაქირავებულია სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურორ ***როლანდ ახალაიას*** მიერ შეთითხნილი საქმეების „გასაპრავებლად“, ხალხის დასჯისთვის, დათრგუნვისა და შეშინების მიზნით. კეკენაძე სხვა მისნაირ მოსამართლეებთან ერთად უნდა გამოცხადდეს დამნაშავედ საქართველოში უსამართლო მართლმსაჯულების აღსრულების გამო.

7) **ფაქტი მეშვიდე.** მიმდინარე ქუთაისის სააპელაციო სასამართლო თავს იკავებს ჩემი საქმის განხილვაზე, ვინაიდან იმყოფება პროკურატურის, ძალოვანი სტრუქტურების ზეწოლის ქვეშ და ეს ცალსახად ნათელი და დამტკიცებული ფაქტია, რადგან სასამართლომ უკვე დაარღვია პროცესუალური სამთვიანი განხილვის ვადა, რაც გათვალისწინებული საპროცესო კოდექსის 528-ე მუხლით, სადაც აღნიშნულია: ***„სააპელაციო ინსტანციამ საქმე უნდა განიხილოს მისი მიღებიდან არა უგვიანეს 3 თვისა“. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საქმე აქვს მიღებული 2009 წლის ოქტომბერში, დღეს კი 2010 წლის აპრილია. კომენტარი ზედმეტია – გავიდა 6 თვე.*** საქმის განხილვა მოსამართლეთა მიერ 2010 წლის 15 იანვარს გადაიდო გაურკვეველი დროით და დღემდე (ექვსი თვის შემდეგაც) მორიგი სხდომის ჩატარების დღე ადვოკატებისათვის არ უცნობებიათ და, საერთოდ, მიუხედავად ჩემი ადვოკატების მიმართვისა, ვადის გადაცდენა – გაჭიანურების შესახებ დღემდე პასუხი არ გაუციათ. ამავე დროს, სასამართლოს არ გააჩნია არც ერთი კანონით გათვალისწინებული საპატიო მიზეზი გაცდენილი ვადის აღდგენისა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლო დადგა კანონს გარეშე. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 216-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს ყოველგვარი შემდგომი საპროცესო მოქმედება უკვე ითვლება ბათილად, ანუ უკანონოდ, რაც ნიშნავს იმას, რომ დანაშაულებრივად დაირღვა ჩემი კონსტიტუციური უფლება სამართლიანი სასამართლო განხილვისა (საქართველოს კონსტიტუციის მე-17, მე-18, მე-40, 42-ე მუხლების და საპროცესო კოდექსის 212–216-ე, 517–545-ე მუხლების თანახმად). ***ამჯერად ვიმყოფები სასტიკ უკანონო პატიმრობაში.*** ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ დაარღვია ყველა საყოველთაოდ აღიარებული მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპები, რომლებიც გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციიდან და, კერძოდ, საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლიდან, სადაც მითითებულია:

**„— სასამართლო ხელისუფლება საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წინაშე ანგარიშვალდებული არ არის. მოსამართლე დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციასა და კანონებს;**

**— სასამართლო ხელისუფლება აკონტროლებს გამომძიებლისა და პროკურორის მოქმედებათა და გადაწყვეტილებათა კანონიერებასა და დასაბუთებულობას;**

**— არავის არა აქვს უფლება, ჩაერიოს მართლმსაჯულების განხორციელებაში და ზეგავლენა მოახდინოს მოსამართლეზე;**

**— მართლმსაჯულება ხორციელდება მხოლოდ კანონით დადგენილი საპროცესო ფორმით“.**




**«მართლმსაჯულება ხორციელდება მხოლოდ კანონით დადგენილი საპროცესო ფორმით»**

საპროცესო კანონმდებლობა და ყველა საპროცესო ფორმა ჩემ მიმართ არის აშკარად დარღვეული, საერთოდ და ამ შემთხვევაშიც. ამრიგად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს არ აქვს სამართლებრივი უფლება, განიხილოს საქმე, რადგან მის ქმედებაში, ნებით თუ უნებლიედ (რაც პროვოცირებულია პროკურატურის მიერ), აშკარად გამოიკვეთება დანაშაულის ნიშნები – „სამსახურებრივი გულგრილობა“ ან, უფრო სწორად, – „სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება.“

სინამდვილე ისაა, რომ სასამართლოს სრულყოფილი განხილვის შემთხვევაში სააპელაციო (ან სხვა) სასამართლოს არ გააჩნია და არ დარჩება არც ერთი სამართლებრივი საფუძველი, გამამართლებელი განაჩენი რომ არ გამოიტანოს. ასეთი პრეცენდენტი კი ხელს არ აძლევს „ყოვლისშემძლე“ როლანდ ახალაიასა და ახალაიებს (დათას და ბაჩოს, ან მათ დამკვეთებს), რომლებმაც დაიკავეს მაღალი თანამდებობები კუდ-ში, თავდაცვაში, პროკურატურაში და ჰგონიათ, რომ არა მარტო სამეგრელო-ზემო სვანეთი, მთელი საქართველო მათია. ასეთი შიშის პირობებში კი, ბატონო გიორგი, სახალხო დამცველის თანამდებობას აზრი ეკარგება, ისევე, როგორც სახელმწიფოს ფუნქციონირებას. ნუ გეშინიათ, ისინი არიან დამნაშავეები, საერთოდ და, კერძოდ, ჩემს საქმეში. სამართალდამცველთა მხრიდან კონკრეტული დანაშაულის ჩადენის შესახებ მე და ჩემმა ადვოკატებმა მივმართეთ საქართველოს იუსტიციის მინისტრს ბატონ ზურაბ ადეიშვილს.

ამგვარად, კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ ***საქართველოში მართლმსაჯულება, სამწუხაროდ, არ არსებობს. სასამართლო იმართება მხოლოდ იარაღის ლულის ქვეშ*** და ბევრ შემთხვევაში, სამწუხაროდ, პირდაპირი გაგებით. ***იარაღი ქართველმა ქართველის (და, ასევე, ყოველივე მოქალაქის) წინააღმდეგ არ უნდა გამოიყენოს. ეს ჩვენს ერს დაღუპავს.***

8) **ფაქტი მერვე.** ეხება ზემოთ მოხსენიებული შეთითხნილი საქმის მიზეზებს, პოლიტიკური ნიშნით ჩემს უკანონო (უსამართლო) დევნას, რასაც ადასტურებს წინაისტორია:

ა) ***2008 წლის 12 ოქტომბერს*** თბილისის საერთაშორისო აეროპორტში უკანონოდ დამაკავეს, მომხსნეს ავიარეისიდან თბილისი-კიევი-მოსკოვი (აეროპორტის კომპიუტერში ჩაგდებული ყალბი ინფორმაციის საფუძველზე), წამართვეს საქართველოსა და რუსეთის მოქალაქეობის პასპორტები და მობილური ტელეფონი, ჩამიტარეს უხეში დაკითხვა, მაიძულებდნენ რუსეთის აგენტობის აღიარებას. ***ამ დღიდან უსინდისოდ, არაადამიანურად და დანაშაულებრივად მომწყვიტეს ჩემს ოჯახს, მეუღლესა და სამ არასრულწლოვან შვილს. გეკითხებით, რისთვის და რატომ?*** ამ ამაზრზენი ფაქტის შესახებ მივმართე სახელმწიფო უწყებებს, მაგრამ არავითარი რეაგირება მათი მხრიდან არ მოხდარა.

***აღნიშნული დანაშაული დასტურდება:*** უწინარეს ყოვლისა, სახალხო დამცველის აპარატში არსებული მასალებით, რომლებიც მიწოდებულია ჯერ კიდევ 2008 წლის ოქტომბერ-ნოემბერ-დეკემბრის თვეებში; თბილისის ადმინისტრაციულ საქმეთა სასამართლოს გადაწყვეტილებით და ამ საქმის სააპელაციო სასამართლოს მასალებით, რითაც ფაქტიბრივად დამტკიცდა უკანონო ქმედება — ავიარეისიდან მოხსნა ჩადენილია საზღვრის პოლიციისა და სპეცსამსახურების თანამშრომლების მიერ, რაც დასტურდება ფონოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნებით, თვითმხილველთა ჩვენებებით.

ამასთან ერთად, **თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 19 მარტის დადგენილებიდან ცნობილი გახდა, რომ აღწერილ ფაქტთან დაკავშირებით, ჩემი 2008 წლის 26 ოქტომბრის** განცხადების საფუძველზე, მხოლოდ 2009 წლის 21 აგვისტოს ქ. თბილისის პროკურატურაში დაწყებულია წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის №010098190 საქმეზე „თბილისის აეროპორტისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის დანაშაულის ნიშნებით“. მაგრამ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პირველი, მე-2, მე-6, მე-7, მე-12, მე-13, მე-14 და 112 მუხლების დარღვევით ძიება, ფაქტობრივად, არ მიმდინარეობს. ცნობილი დამნაშავე პირები არ მიცემულა პასუხისგებაში. რატომ?

ბ) 2008 წლის 9 ნოემბერს სპეცთანამშრომლების მუქარის შედეგად დამიმტვრიეს და გაქურდეს ჩემი კუთვნილი ავტომანქანა. ძიება დაწყებულია, ვარ ცნობილი დაზარალებულად, მაგრამ ზემოაღწერილი ნორმების დარღვევით გამოძიება ატარებს ფიქტიურ ხასიათს. დღემდე „დაუდგენელია“ დამნაშავე პირები, არადა, ყველა ცნობილია.

გ) ჩემ მიმართ საპყრობილეში განხორციელებულ არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობაზე, კერძოდ, ინექციის ძალადობით გაკეთების შესახებ, საქრთველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1443-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით არის დაწყებული გამოძიება, მაგრამ ძიება ასევე (როგორც ყოველთვის ჩემს მიმართ), ატარებს ფორმალურ ხასიათს.

დ) საქართველოს კონსტიტუციის და ევროპული კონვენციის დარღვევით 2009 წლის 11 მარტს ზუგდიდის რაიონის ადგილობრივმა ხელისუფლებამ, კერძოდ, სამართალდამცავი სპეცორგანოებმა ჩაიდინეს დანაშაული, რომელიც გათვალიწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 166-ე მუხლით: ***„პოლიტიკური, საზოგადოებრივი ან რელიგიური გაერთიანების შექმნისათვის ან მისი საქმიანობისთვის ხელის შეშლა“,*** ეს ფაქტი აშკარად დასტურდება 2009 წლის 11 მარტს ჩატარებული პოლიტიკური პარტია „მთლიანი საქართველოს“ დამფუძნებელი ყრილობით და მისი ამსახველი ვიდეოჩანაწერით; ყრილობაზე მყოფ 300-ზე მეტი მოწმე-დელეგატის ჩვენებებით; სისხლის სამართლის საქმის მასალებით და სხვა დოკუმენტებით. მიუხედავად ამისა, გამოძიება დღემდე არ დაწყებულა, სამაგიეროდ ყრილობის ჩატარების საპასუხოდ, იმავე დღეს (2009 წ. 11 მარტს) უკვე გასაგები მიზეზებით დაიწყო ძიება ჩემს მიმართ მოხსენებულ შეთითხნილ საქმეზე.

ე) მრავალი, ირიბად გამოვლენილი დანაშაულებრივი ქმედების გარდა, სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურორმა როლანდ ახალაიამ პირადად და პირდაპირ ჩაიდინა დანაშაული სასამართლო ხელისუფლებისა და კონსტიტუციის წინააღმდეგ, თავისი თანამშრომლის მეშვეობით გადმოცემული მოთხოვნით მაიძულებდნენ, დამეტოვებინა სამშობლო (დეპორტაცია) და საქართველოს მოქალაქეობაზე უარი მეთქვა. ვუპასუხებ მას და სხვებს: **ეს გამორიცხულია, საქართველო ჩემი ერთადერთი სამშობლო იყო, არის და იქნება.** ამ და სხვა საკითხზე დანაშაულის ჩადენის შესახებ მივმართე საქართველოს იუსტიციის მინისტრს.

ვ) გარდა ამისა, საქართველოს მთავრობა აძლევს ყალბ ინფორმაციას სტრასბურგის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპულ სასამართლოს ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, რათა გააჭიანუროს საქმის არსებითი განხილვა სასამართლოში, რაც ეჭვს ბადებს მიკერძოებულობაზე უკანონო გარიგებაში ხელისუფლებისა და მის წარმომადგენელს შორის სტრასბურგის სასამართლოში. *სათანადო ორგანოებმა მიიღონ ნამდვილი განცხადება როგორც ცნობა დანაშაულის შესახებ გათვალისწინებული საპროცესო კოდექსის 261–266-ე მუხლებით.*

თ) თბილისის ადმინისტრაციულ საქმეთა სააპელაციო სასამართლო საშინლად არღვევს კანონს, ორი თვეა, რაც არ იძლევა თავის გადაწყვეტილებას ჩემს საჩივარზე. სასამართლო არის მიკერძოებული და ტენდენციური.

*ამდენად, მოყვანილი ფაქტებიდან ნათელია, რომ მე ვარ პოლიტპატიმარი და ჩემ მიმართ 2 წლის განმავლობაში მიმდინარეობს დანაშაულებრივი დევნა, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლით. ე.ი. „ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო, ან მისი პოლიტოკურ, საზოგადოებრივ, პროფესიულ, რელიგიურ ან მეცნიერულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით“, მიწოდებული ფაქტების და მასალების შესწავლისას სახალხო დამცველის აპარატს და პირადად თქვენ, ბატონო გიორგი როგორც ომბუდსმენს, გექნებათ ყველა უფლება, განაცხადოთ საქართველოში პოლიტპატიმრების დასაბუთებულ და საფუძვლიან არსებობაზე, თუკი სახალხო დამცველის აპარატი არ არის მიკერძოებული ხელისუფლების სასარგებლოდ. ვიმედოვნე,ბ რომ არ არის.*

*ბატონო სახალხო დამცველო,*
*ბატონო გიორგი!*

**ზემოთ აღნიშნულიდან და თქვენი უფლებამოსილებიდან გამომდინარე, გთხოვთ:**

**1) შეისწავლოთ ჩემ მიერ მოწოდებული მასალები, გამოიტანოთ სამართლიანი, ობიექტური დასკვნა კანონიერების თვალსაზრისით და განახორციელოთ სათანადო რეაგირება საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის მიმართ, ჩემი კანონიერი, კონსტიტუციური უფლებების დასაცავად, აღსადგენად და დანაშაულებრივი ხელყოფის აღსაკვეთად.**

**2) კანონის, ფაქტობრივი გარემოების და სახალხო დამცველის სტატუსის შესაბამისად მცნოთ დევნილად პოლიტიკური ნიშნით და, განზრახ უკანონო პატიმრობიდან გამომდინარე, – პოლიტპატიმრად. ამასთან ერთად, დასაშვები საშუალებით აღიაროთ პოლიტპატიმრების არსებობა საქართველოში და აცნობოთ შიდა სახელმწიფოებრივ და საერთაშორისო სრუქტურებს ამ მოვლენის შესახებ.**

**3) მიიღოთ კანონით გათვალისწინებული ზომები ჩემი უპირობო გათავისუფლების შესახებ სასტიკი, საშინელი და დამტკიცებული უკანონო პატიმრობიდან.**

პატივისცემით,
სამართლის დოქტორი,
აკადემიკოსი,
პოლიტპატიმარი
**ვლადიმერ ვახანია**
რუსთავი, №6 საპყრობილე
13 აპრილი, 2010 წელი.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# «მიშას ბედნიერება...»

**„ბედნიერება სამხრეები, თანამდებობა, საბანკო ანგარიში და არც დიდი ოჯახია. ბედნიერება ადამიანის გულის შინაგანი მდგომარეობაა. ადამიანს შეუძლია თავი ბედნიერად ციხესა და მარტოობაშიც კი იგრძნოს, რამდენადაც ეს მისი შინაგანი მდგომარეობაა და გარე წარმატებით ან წარუმატებლობით არ განისაზღვრება“.**

**მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქი კირილე.**

***„მიშა ბედნიერია. იგის თავს ბედნიერად ციხესა და მარტოობაშიც კი იგრძნობს!“*** — ამას უცებ მივხვდი, აღდგომის მეორე დღესვე, როცა ტელევიზიით საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლა ვიხილე ქუთაისში გამართულ მთავრობის სხდომაზე. ნოუთბუქებით მოჟონგლიორე სააკაშვილმა, რომელსაც ისინი განზრახ უცვიოდა ხელიდან (მათი საიმედოობის დემონსტრირების მიზნით!), **„გვახარა“**: მომავალი წლიდან მოსწავლეები დაივიწყებენ სახელმძღვანელოებს, რადგან პირველიდან ბოლო კლასებამდე სასწავლო პროგრამასი შემავალი ყველა მასალა პორტატიული პერსონალური კომპიუტერების მეხსიერებაში იქნება შეტანილი. ამ კომპიუტერებს კი მოსწავლეებს მთავრობა დაურიგებს. ცხადია, მთავრობა გადაწყვეტს, რომელი მასალაა მოსწავლეებისთვის აუცილებელი... და კიდევ: ინგლისური ენა მაპროფილებელი გახდება და მის სწავლებას საქართველოს ყველა სკოლაში პირველი კლასიდან დაიწყებენ.

ბრწყინვალე შვიდეულის მეორე დღეს — **7 აპრილს** — ქართველები და რუსები, როგორც ყოველთვის, ერთად აღნიშნავდნენ მართლმადიდებლურ დღესასწაულს — ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის **ხარებას.** ამ დღეს ხომ იმაზე გაცილებით მეტი სიხარული უკავშირდება, ვიდრე მიშას მორიგი რეფორმა შეიძლება იყოს: გაბრიელ მთავარანგელოზმა წმიდა მარიამს **ახარა** უფლის ძისა და მაცხოვრის მოსალოდნელი დაბადება.

***„Язык, который сегодня до Киева не доведет“*** — 2008 წელს გაზეთ „Свободная Грузия“-ში გამოქვეყნებული პუბლიკაციის დასათაურებისას ამ რუსული ხალხური ანდაზის პერიფრაზი მოვახდინე. **მე ვაფრთხილებდი საქართველოსა და რუსეთის ხელისუფლებებს, რომ საქართველოში რუსული ენის დავიწყებას სავალალო შედეგები მოჰყვება!** და მოკლე ხანში დატრიალებული აგვისტოს ტრაგედიაც ამის ერთ-ერთი შედეგი იყო... **ჩვენ დაგვეხმარნენ იმ ენის დავიწყებაში, რომელზეც ჩვენს მოქალაქეებს — აფხაზებსა და ოსებს, მეზობლებს — რუსებს, აზერბაიჯანელებს, სომხებს, კავკასიისა და დსთ-ს ხალხებს ველაპარაკებოდით!**

დიახ, რუსული ენა მაშინ მაინც ვერ ჩაგვიყვანდა კიევამდე — პრეზიდენტმა იუშჩენკომ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ უკრაინაში დაევიწყებინათ ისტორიაც, კიევის რუსეთიც, სამაგიეროდ, ხსომებოდათ ბანდერა და ნატოსკენ ესწრაფათ... თუმცა ორი წლის შემდეგ, უკრაინელი ხალხის საბედნიეროდ, ყველაფერი კალაპოტში ჩადგა: პრეზიდენტმა იანუკოვიჩმა 2010 წლის 2 აპრილის ბრძანებულებით გააუქმა უწყებათაშორისი კომისია უკრაინის ნატოში გაწევრებისათვის მომზადების საკითხებში და ნაციონალური ცენტრი ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში, ხოლო დონეცკის სასამართლომ სტეპან ბანდერას უკრაინის გმირის წოდება ჩამოართვა! **და დღეს რუსული ენა კვლავ ჩაგიყვანთ კიევამდე; აი, ინგლისური კი, რომელსაც ჩვენს ბავშვებს, ხელისუფალთა ბრძანებით, აკვნიდან უპირებენ სწავლებას, არა მგონია...**

**ნიშნავს თუ არა ეს, რომ „ნარინჯისფერი რევოლუციის“ კრახით საქართველომ უკრაინა დაკარგა და სიმარტოვეში „დემოკრატიის შუქურად“ დარჩა?! რამდენიმე დღის წინ ხომ (7 აპრილს) ყირგიზეთში „აღესრულა“ „ტიტების რევოლუციაც“: ნუთუ „გოსდეპის“ უკანასკნელი, ყველაზე დღეგრძელი ექსპერიმენტის — „ვარდების რევოლუცია“ OF GEORGIA ს ჟამიც დადგა?!**

**მაგრამ... მიხეილ სააკაშვილი ბედნიერია და ასეთად დარჩება, მიუხედავად ყველაფრისა, ვინაიდან** ***„ბედნიერება ადამიანის გულის შინაგანი მდგომარეობაა, რომელიც არ განისაზღვრება გარე წარმატებით ან წარუმატებლობით“*** (იხ. ეპიგრაფი).




**მაშ, რაში მდგომარეობს მიშას ბედნიერება?!** დაკარგული, დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ქცეული ტერიტორიები, 8-მილიარდიანი ვალი, რომელიც მომსახურებასა და დაბრუნებას ექვემდებარება, უპრეცედენტო უმუშევრობა და ინფლაცია, ელექტროენერგიაზე, წყალზე, ბენზინზე, გაზზე სპეკულაციურ შიდა ფასებზე დაფუძნებული პარაზიტული ეკონომიკა, ომახიანი, მაწყევარი ოპოზიცია, გაწყვეტილი დიპლომატიური ურთიერთობები ძლიერ მეზობელთან (რუსეთთან) — რესურსებით უმდიდრეს ზესახელმწიფოსთან, რომლის ხელმძღვანელობამაც სამხედრო დამნაშავე გიწოდა, ხოლო აშშ-ის (სტრატეგიული მოკავშირის!) პრეზიდენტი, თავისი თითქმის ერთწლიანი პრეზიდენტობის მანძილზე, თავს არიდებს შენთან შეხვედრას და მარტოდენ სატელეფონო ზარებით შემოიფარგლება: **ეს გარემოებები თითქოსდა არ უნდა იძლეოდეს განსაკუთრებულ მიზეზებს ბედნიერებისთვის...**

**როგორ შეიძლება იყო ბედნიერი**, როცა შენი საპრეზიდენტო სასახლე იმ მეზობელი ქვეყნის საპოლკო არტილერიის ხელმისაწვდომობის ზონაშია, რომელთანაც, შენივე საკუთარი აღიარებით, არ დასრულებულა და ჯერაც გრძელდება ომი, მისი ტანკები კი შენი დედაქალაქიდან 30 კმ-ში დგას?! ომი უდიდეს ბირთვულ სახელმწიფოსთან, რომლის ახალი სამხედრო დოქტრინა მთელ რიგ შემთხვევებში პრევენციულ ბირთვულ იერიშებსა და სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე ბირთვული იარაღის გამოყენებას ითვალისწინებს. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაა: განა რუსეთს, რომელმაც მოსკოვის მეტროში მომხდარი აფეთქებების შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში ანტიტერორისტული ოპერაცია თუ დაიწყო და საქართველოს ტერიტორიაზე გადმოსულ ბოევიკებს კვალში თუ ჩაუდგა (მათ საბოლოო განადგურებამდე), **ვინმე შეაჩერებს ან თუნდაც უსაყვედურებს?!** ან განა ომის დროს ან თუნდაც მოსალოდნელი საფრთხის გამო თავიანთ საუკეთესო ჯარისკაცებს ათასობით კილომეტრზე აგზავნიან **სხვის ომში გარდუვალი სიკვდილისათვის, ავღანეთში, რომლის გატეხვაც თვით სსრკ-მა ვერ შეძლო?!**

**განა ჩვენ იმდენად დაგვავიწყდა რუსული ენა, რომ ვერ გავიგეთ ვ. პუტინის სიტყვები, რომ საქართველო და კავკასია რუსეთის ფედერაციის სტრატეგიული ინტერესების ზონაშია?! განა აშშ არ დაეთანხმა ამ სენტენციას, რისი დასტურიცაა 8 აპრილს ჩეხეთში ხელმოწერილი ახალი რუსულ-ამერიკული შეთანხმება სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ? განა რუსულ ენაზე არ გვაფრთხილებდნენ 08.08.08 ტრაგედიამდე, რომ თუ ჩვენ ხელს დავაკარებთ მშვიდობისმყოფელებს და ომს გავაჩაღებთ, 58-ე არმიას აამოქმედებენ?** მაგრამ, ეტყობა, მხოლოდ ინგლისური ენა გვესმის...

**დღეს მიშას შესანიშნავი ინგლისური კიევამდე ვერა, მაგრამ ვირის აბანომდე ნამდვილად მიგვიყვანს, მაგრამ მიშა ბედნიერია,** ვინაიდან, თუ ენციკლოპედიას დავუჯერებთ, ***„ბედნიერება ემოციური მდგომარეობაა, რომლის დროსაც ადამიანი შინაგან კმაყოფილებას იღებს თავისი არსებობის პირობებით, ცხოვრების სისავსითა და სიღრმით და თავისი დანიშნულების შესრულებით“.***

**დიახ, ემოციური სააკაშვილი მუდამ ბედნიერების ემოციურ მდგომარეობაშია, რადგან ის პრეზიდენტია და კმაყოფილია თავისი საარსებო პირობებით; იმიტომ, რომ თანმიმდევრულად ახორციელებს თავის დანიშნულებას, რომელსაც უძველესი მართლმადიდებელი საქართველოს აშშ-ის უსახურ შტატად გადაქცევაში ხედავს! თუ ეს მოხდება, აშშ-ის ახალი პრეზიდენტი ის — მიხეილ სააკაშვილი გახდება. ეს მისი სანუკვარი ოცნებაა და საქართველოსა და თვით აშშ-შიც ბევრი მას ღირსეულთა შორის ყველაზე ღირსეულ კაცად მიიჩნევს...**

„საქართველომ ძლიერი ლიდერები შვა: სტალინი, ბერია, გამსახურდია, შევარდნაძეც კი, სანამ ძალაუფლება გაუტკბებოდა. **ისინი მარტოდენ საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე როდი მოქმედებდნენ**. ჩემი მეუღლეც იმავეს აკეთებს, ტრადიციას აგრძელებს. ამ ქვეყანას ძლიერი ხელი სჭირდება. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლებისადმი პატივისცემა აღდგეს. ვფიქრობ, **ჩემი ქმარი ის კაცია, რომელსაც ადამიანების დაშინება შეუძლია“,** — ამბობს პრეზიდენტის მეუღლე სანდრა რულოვსი „The Washington Times“-ისთვის მიცემულ ინტერვიუში და აღიარებს, რომ მისი ქმარი **მარტო საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე არ მოქმედებს.** ▶





საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

◀ თარგმანის სიზუსტეზე პასუხს ვერ ვაგებ, თუმცა **„დამშინებელი“ მიშა ნამდვილად ბედნიერია, რადგან ჰყავს ძლიერი, მისი ყველა განკარგულების შემსრულებელი პოლიცია!**

**მაგრამ მიშას მთავარი ბედნიერება ისაა, რომ რუსეთში არის ვლადიმერ პუტინი, რომელიც იცნობს საქართველოს, მის ხალხსა და ტრადიციებს, პატივს სცემს რუსულ-ქართულ ისტორიულ კავშირებსა და ჩვენს ერთობლივ ბრძოლას ფაშიზმთან.**

ამიტომაც 2008 წლის აგვისტოში რუსეთმა სამხედრო ოპერაცია „თეთრი ხელთათმანებით“ ჩაატარა — იუველირის ზუსტი იერიშებით მარტოდენ სამხედრო ინფრასტრუქტურაზე და თითქმის არ დაუშვა ნგრევა და მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში;

ამიტომაც რუსეთი 2008 წელს არ შემოვიდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, არ დაამხო მოქმედი ხელისუფლება და არ დასვა ახალი — პრო-რუსული, თუმცა ამ აზრს უკვე შეგუებული იყო მიშას ძმა და მეგობარი, აშშ-ის იმჟამინდელი პრეზიდენტი ბუში, რომელიც ცნობილ სატელეფონო საუბარში ცდილობდა, სარკოზისთვის გადაეთქმევინებინა მოსკოვსა და თბილისში გამგზავრება: *„აქაოდა, დაანებე თავი, რუსებმა თბილისში შესვლა გადაწყვიტეს და წუთი-წუთზე მოიმოქმედებენ ამას!“*

ამიტომაც რუსეთში უხეიროდ სულაც არ ცხოვრობს მილიონზე მეტი ქართველი, რომლებიც თავის ნათესავებსა და მეგობრებს ეხმარებიან საქართველოში და ყოველთვიურად უგზავნიან ერთიანობაში რამდენიმე მილიონ დოლარს;

ამიტომაც რუსეთმა, რომელსაც არაერთ ზამთარს შეეძლო საქართველოსთვის ბუნებრივი გაზის გადაკეტვა (როგორც ეს მისთვის უფრო მნიშვნელოვანსა და ახლობელ უკრაინას გაუკეთა!) **და ამით რამდენიმე დღეში მოეხდინა საქართველოში სამოქალაქო ომის პროვოცირება — სააკაშვილის ხელისუფლების დამხობა, ეს არ გააკეთა;**

**ამიტომაც რუსეთმა, რომელიც საქართველოში სტრატეგიული სამრეწველო ობიექტების უმრავლესობას** („ლუკოილი,“ „იტერა“-საქართველო, აო „თბილწყალკანალი,“ აო „თელასი,“ „ხრამი-1“, „ხრამი-2“, „რიონჰესი,“ „ჟინვალჰესი,“ „ლაჯანურჰესი,“ სპილენძისა და პოლიმეტალების საბადოების მომპოვებელი და გამამდიდრებელი მარნეულის კომბინატი, ოქროს მომპოვებელი სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი აო „მადნეული“, ფიჭური კავშირის ოპერატორი „ბილაინი“ — ფიჭური კომპანია „მობიტელის“ შვილობილი კომპანია, წამყვანი რუსული ბანკი „ვი-თი-ბი,“ რომელმაც გაერთიანებული ქართული ბანკი შთანთქა და სხვ.), **ფლობს, შეუძლია, მაგრამ არ გვიწყობს ენერგეტიკულ და ეკონომიკურ კოლაფსს;**

**ამიტომაც რუსეთს შეუძლია საქართველო არშემდგარ სახელმწიფოდ ცნოს („failed state“), მაგრამ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებაზე შორს არ მიდის,** თუმცა მეორე ჩვენი მეზობლის — თურქეთის ხელმძღვანელობა 2008 წლის აგვისტოს შემდეგ მოსკოვში ჩავიდა, რათა კრემლისთვის ყარსის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ გარანტორობაზე ვალდებულებების მოხსნა ეთხოვა და აჭარა გადაეცა, მაგრამ მაშინ თურქებს უარი უთხრეს *(ამის მიუხედავად, თურქეთი, განსაკუთრებით აშშ-ის კონგრესის მიერ სომხეთის გენოციდის საკითხის განხილვასთან დაკავშირებული სკანდალის შემდეგ, კიდევ უფრო დაუახლოვდა რუსეთს; იმდენად, რომ მიმდინარე წლის 1 მაისიდან მასთან უვიზო რეჟიმი შემოიღო!).*

**არადა, საქართველოს „ბალკანიზირება“ ძალიან ადვილია: თბილისსა და ქუთაისს გარდა, რომლებიც პოლიტიკური იდეების (დე)გენერატორები არიან, ყველა მოსაზღვრე რაიონი საზღვრის მიღმა „იყურება“**: საიდუმლო არაა, რომ მეჩეთებით, თურქული სკოლებითა და ინსტიტუტებით აჭრელებული აჭარა (რაშიც საკმაო წვლილი პრეზიდენტის დედას — შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორს, აღმოსავლეთმცოდნე-თურქოლოგ გიული ალასანიას მიუძღვის) საფუძვლიანად ინტეგრირებულია თურქეთის ეკონომიკაში; ქვემო ქართლის კომპაქტურად დასახლებული რეგიონი აზერბაიჯანის ექსპორტ-იმპორტის ხარჯზე ცხოვრობს — სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, ფართო მოხმარების საგნების და აზერბაიჯანის გავლით დუბაიდან შემოტანილი სხვადასხვა პროდუქციის; იგივე შეიძლება ითქვას სომხებით დასახლებულ სამცხე-ჯავახეთის მაღალმთიან რეგიონზე, რომელიც სომხეთისგან, სხვაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, გაზეთებსა და სასკოლო სახელმძღვანელოებსაც იღებს; თანდათან აღდგება ტრადიციული კავშირები ყაზბეგის რაიონსა და სამხრეთ ოსეთს შორის, თუ გავითვალისწინებთ საზღვრის ორივე მხარეს არსებულ ნათესაურ კავშირებს, ისევე, როგორც გორის რაიონისა და ცხინვალის, სამეგრელოს რეგიონისა და აფხაზეთის შემთხვევებში.

**მიშას ბედნიერებაა, რომ პუტინსა და მედვედევს არ სურთ საქართველოს შემდგომი დანაწევრება, რადგან იციან, იმპერატრიცა ელისაბედ II-სა და იმპერატორ ალექსანდრე I-ის დარად, ისევ მათ მოუწევთ მისი „ნაწილების“ გამთლიანება...**

**არნო ხიდირბეგიშვილი**

**P. S. ასეთი რამ მხოლოდ საქართველოში ხდება — თბილისის ცენტრში, ცნობილი ქართველი მწერლის — ლეო ქიაჩელის სახელობის ქუჩის ბოლოში, უკვე მეორე ასწლეულია, გვერდიგვერდ დგას ორი მართლმადიდებლური ტაძარი: ქართული — წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ლურჯი მონასტერი და რუსული — წმიდა მოციქულისა და ევანგელისტის იოანე ოქროპირის სახელობის ეკლესია. მათკენ ერთი გზა მიემართება. ესაა ნამდვილი ბედნიერება!**

# სიმართლე კატინის შესახებ იაკოვლევმა არ გამოაქვეყნებინა

**„პოლონურმა ჯარებმა 146 ათასზე მეტი კაცი დაატყვევეს, რომელთა პოლონეთში შენახვა ჰუმანურ სტანდარტებს არასგზით არ შეესაბამებოდა. ტყვეებს ძარცვავდნენ, აბუჩად იგდებდნენ, მძიმე სამუშაოებს ასრულებინებდნენ, აშიმშილებდნენ. ამის გამო პოლონურ ბანაკებში 60 ათასი საბჭოთა სამხედრო ტყვე დაიღუპა. 1921 წლის 21 ნოემბერს პოლონეთიდან 75.699 ყოფილი სამხედრო ტყვე დაბრუნდა. საბჭოთა რუსეთში 1920 წლის ბოლოსთვის 60 ათასი პოლონელი ტყვე იყო, რომელთა უმეტესობას „კლასობრივ ძმებად“ განიხილავდნენ და რაიმე რეპრესიები მათთან მიმართებაში წარმოუდგენელი იყო“.**

**პროფესორი მიხაილ მელტიუხოვი, „საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ომები“.**





ალექსანდრე იაკოვლევი

არა ერთხელ დასმულა საკითხი: მეტისმეტად ხომ არ ჩქარობს რუსეთის ხელმძღვანელობა სინანულის გამოხატვას პოლონელების წინაშე კატინის გამო, უფრო ზუსტად, კატინში მომხდარი ტრაგედიის „ნაცისტურ-პოლონური“ ვერსიის უპირობო აღიარებას?

ამ ვერსიის თანახმად, როგორც ცნობილია, სტალინის ბრძანებით, ენ-კა-ვე-დემ 1940 წლის გაზაფხულზე სმოლენსკთან, კატინის მიდამოებში 21 ათასი პოლონელი ოფიცერი დახვრიტა, თანაც გერმანული „ვალტერებით.“ არადა, ენ-კა-ვე-დე „ხალხის მტრებს“ ნაგანებით ხვრეტდა. ამასთან, პოლონელ ოფიცრებს ხელები რატომღაც გერმანული თოკებით ჰქონდათ შეკრული, რომლებსაც საბჭოთა კავშირში არ აწარმოებდნენ. ეტყობა, ბერიამ საგანგებოდ, „ნაცნობობით“ გამოყო პოლონელებისთვის სახკომის ფონდებიდან თოკები.

**ასეთ შეუსაბამობებს პოლონელებიც და სხვა დასავლელი ავტორებიც, რომლებიც თითქმის ასი პროცენტით ეთანხმებიან „ნაცისტურ-პოლონურ“ ვერსიას, და ჩვენი თანამემამულე ლიბერალები ერთობ ბუნდოვნად ხსნიან. აქაოდა, ვერაგმა სტალინმა და ბერიამ უკვე 1940 წლის მარტში იცოდნენ, რომ ომი დაიწყებოდა და გერმანელები სმოლენსკს დაიპყრობდნენ, საიდანაც 1943 წლის შემოდგომაზე თავქუდმოგლეჯილებმა დაიხიეს უკან.**

ნებისმიერ შემთხვევაში ბევრი კითხვა ჩნდება იმდროინდელ დახვრეტებზე, რაც კაცმა არ იცის, ვინ ჩაიდინა, უპირობოდ დანაშაულის აღიარება რუსეთის ხელმძღვანელობას არ ეგების.

მცირე ხნის წინათ KM.RU-მ ვიქტორ ილიუხინის მიმართვა დაბეჭდა ვლადიმერ პუტინისა და დიმიტრი მედვედევისადმი, სადაც ილიუხინი საკმაოდ დამაჯერებლად ამტკიცებდა კატინის მოვლენების „ნაცისტურ-პოლონური“ ვერსიის საეჭვოობას. უფრო მეტიც, სსრკ-ის გენერალური პროკურორის უფროსი თანაშემწის თანამდებობაზე ყოფნისას ის მოწმე იყო თუ 1989-90-იან წლებში როგორ ნაჩქარევად აგროვებდნენ „მასალებს“, რომელთა საფუძველზეც მიხეილ გორბაჩოვმა პირველად მოუბოდიშა პოლონელებს კატინის გამო.

ხსენებულ ტრაგედიასთან საბჭოთა ხელმძღვანელებსა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს ხელი რომ არ ჰქონდათ, ამის ახალი მოწმობები ახლახან გამოჩნდა. ცნობილმა რუსმა სამხედრო ისტორიკოსმა, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორმა ა. ნ. კოლესნიკმა „პრავდა ო კატინის“ რედაქციას გადასცა სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროს ყოფილ წევრთან, ლაზარ კაგანოვიჩთან კატინის საქმისადმი მიძღვნილი მისი პირადი საუბრების სტენოგრამის ამონარიდები.

1985 წლიდან 1991 წლამდე ა. კოლესნიკი კაგანოვიჩს ექვსჯერ ესაუბრა სხვადასხვა ისტორიულ თემაზე. რაკი კაგანოვიჩი კა-გე-ბეს მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა, ყველა საუბრის თარიღი და შინაარსი ყოველთვის იწერებოდა და მასთან კონტაქტში მყოფი პირებიც ფოტოობიექტივში ხვდებოდნენ.

საუბარი „კატინის საქმეზე“, სადაც კაგანოვიჩმა პირველად დაასახელა 1939 წლის ნოემბრიდან 1941 წლის ივლისამდე სსრკ-ის ტერიტორიაზე ნამდვილად დახვრეტილი ყოფილი პოლონეთის მოქალაქეების ზუსტი რაოდენობა, 1985 წლის 6 ნოემბერს მოსკოვში, ფრუნზეს სანაპიროზე მდებარე მის ბინაში გაიმართა და 2 საათსა და 40 წუთს გაგრძელდა. საუბარს ესწრებოდა ლაზარის ქალიშვილი მაია ლაზარევნა, რომელიც მის სტენოგრაფირებას ახდენდა. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, საუბარს საიდუმლოდ იწერდა კა-გე-ბეს ოპერატიული მუშაკი, კაპიტანი რიაზანოვი, რომელმაც მოგვიანებით კოლესნიკს დაურეკა და აცნობა, რომ **1940 წლის გაზაფხულზე სსრკ-ის ხელმძღვანელობამ იძულებითი და „ძალზე მძიმე“, თუმცა, თავად ლ. მ. კაგანოვიჩის თქმით, „იმ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში სავსებით აუცილებელი გადაწყვეტილება მიიღო“ ყოფილი პოლონეთის მოქალაქეთაგან 3196 დამნაშავის დახვრეტის შესახებ. კაგანოვიჩის მოწმობით, სიკვდილმისჯილები, ძირითადად, იყვნენ პოლონელი სამხედრო დამნაშავეები, რომლებსაც ბრალად ედებოდათ 1920-1921 წლებში დატყვევებული საბჭოთა წითელარმიელების მასობრივი განადგურება და სსრკ-ისა და 1920-30-იან წლებში პოლონეთის მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ დანაშაულში ხელგასვრილი პოლონეთის სადამსჯელო ორგანოთა თანამშრომლები. დახვრიტეს, ასევე, სისხლის სამართლის დამნაშავეები პოლონელ სამხედრო ტყვეთაგან, რომლებმაც 1939 წლის სექტემბერ-ოქტომბერში სსრკ-ის ტერიტორიაზე მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულები: გაუპატიურება, ძარცვა, მკვლელობა და ა.შ. ჩაიდინეს.**

კოლესნიკთან კაგანოვიჩის საუბრის შინაარსით ერთობ დაინტერესებული იყო სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროს წევრი ა. ნ. იაკოვლევი, რომელმაც 1989 წლის ბოლოს, სახალხო დეპუტატთა II ყრილობაზე თავისი გამოსვლის წინადღეს, კოლესნიკის მეშვეობით, კაგანოვიჩს „კატინის საქმის“ გარშემო კითხვების ჩამონათვალი გადასცა წინადადებით, პასუხები მაგნიტოფონზე ჩაეწერა. კაგანოვიჩმა დაასკვნა, რომ იაკოვლევი, მისი პასუხების მიღების შემდეგ, გარკვეული მანიპულაციებით ჩანაწერების აზრს დაამახინჯებდა და ამიტომ უარი თქვა პასუხების ჩაწერაზე. სამაგიეროდ, გამოთქვა მზადყოფნა, პირადად წარმდგარიყო ყრილობის დელეგატთა წინაშე, რის დაშვებაც ყრილობის ხელმძღვანელობას არ შეეძლო.

იაკოვლევსა და მის გარემოცვას განსაკუთრებით ანერვიულებდათ 1939-1941 წლებში დახვრეტილ პოლონელ მოქალაქეთა ზუსტი რაოდენობისა (3106) და მათი დახვრეტის მიზეზთა გამოაშკარავების პერსპექტივა. იაკოვლევმა კოლესნიკს შესთავაზა, სოლიდური თანამდებობის ფასად კაგანოვიჩის მონაცემები „დაევიწყებინა.“ ამგვარი წინადადებების უგულებელყოფის შემდეგ, 1993 წელს კოლესნიკი სამხედრო ისტორიის ინსტიტუტიდან გაათავისუფლეს.

შეგვიძლია გავიხსენოთ, ასევე, 90-იანი წლების დასაწყისში კა-გე-ბეს გადამდგარი გენერლის ტოკარევის დაკითხვის ოქმის მასალებიც. 1940 წელს იგი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კალინინის ოლქის სამმართველოს უფროსი იყო, სადაც ვითომდა სოფელ მედნიში დახვრეტილი 6000 პოლონელის გვამები დამალა. ოქმის კითხვისას შთაბეჭდილება რჩება, რომ ხანდაზმულ გენერალს წინასწარ დაავალეს, რა უნდა ეღიარებინა, მაგრამ... გენერალი, ალბათ, აშკარად დასცინოდა მთავარი სამხედრო პროკურატურის ახალგაზრდა გამომძიებელს.

ისტორია დაახლოებით ასეთი იყო:

**1940 წლის გაზაფხულზე კალინინში (ამჟამინდელი ტვერი) თავად ენ-კა-ვე-დეს საკომენდანტო სამსახურის უფროსი, სასიკვდილო განაჩენთა აღსრულებაზე პასუხისმგებელი გენერალი ვასილი ბლოხინი ჩავიდა რამდენიმე ხელქვეითითა და უცხოური პისტოლეტებით სავსე ჩემოდნით. მოსკოველმა სტუმრებმა მაშინვე ჩამოაშორეს კალინინელი ჩეკისტები საქმეს და, ფაქტობრივად, მშობლიური ქვეგანყოფილებიდანაც გააძევეს. ამის შემდეგ დღე და ღამ გამოჰყავდათ პოლონელები საკნებიდან და ხვრეტდნენ. განუწყვეტლივ ისმოდა სროლის ხმა, დენთის კვამლი მთელ კვარტალს მოედო. მოსკოველი ჩეკისტები კი გადახურებულ პისტოლეტებს ყრიდნენ და თავიანთ სისხლიან საქმეს აგრძელებდნენ. „დღე-ღამეში 200 კაცს ხვრეტდნენ“, — ირწმუნებოდა ტოკარევი. ამგვარად, მათ ერთ თვეში 6000 კაცი ჩაცხრილეს. თუმცა ამის შემდეგ თვითონაც ჭკუიდან შეიშალნენ და ბლოხინთან ერთად ტყვიით მოისწრაფეს სიცოცხლე.**

ასეთი სისულელის დაბეჭდვა „გარდაქმნის“ წლებში შესაძლებელი იყო, მაგრამ გულდასმით ჩატარებული გამოძიება ამ საზარელი სიუჟეტიდან ქვას ქვაზე არ ტოვებს. ამასთან, თავად შენობის გეგმის დათვალიერება ცხადყოფს, რომ მის კედლებში შეუძლებელი იყო ამგვარი მასშტაბური ღონისძიების ჩატარება. დენთის კვამლით გაჟღენთილი კვარტალიც ტვერში არავის ახსოვს... გენერალი ვასილი ბლოხინიც 1953 წლამდე თავის პოსტზე რჩებოდა და საპენსიო ასაკში აღესრულა.

**როგორც ჩანს, ამგვარ „საშინელებებს“ ეფუძნება „მთელი სიმართლე“ კატინის შესახებ.**

**წყარო: KMnews**
**KM.RU-ს ცნობა**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ციხესიმაგრე, რომელიც სისხლისგან დაიწრიტა

**ეს ციხესიმაგრე არ დაცემულა. ის სისხლისგან დაიწრიტა. ისტორიკოსებს ლეგენდები არ უყვართ, მაგრამ ისინი ყვებიან ბრესტის ციხესიმაგრის უცნობ დამცველზე, რომლის ხელში ჩაგდება გერმანელებმა მხოლოდ ომის მეათე თვეს — 1942 წლის აპრილში შეძლეს... ეს ჯარისკაცი თითქმის წელიწადი ომობდა თანამებრძოლების, მეთაურთა ბრძანებების, შინიდან წერილების გარეშე... დრომ ვერ შემოინახა მისი ვინაობა, მაგრამ ვიცით, რომ ის რუსი ჯარისკაცი იყო.**


ბრესტის ციხესიმაგრე


საბჭოთა ჯარისკაცები ბრესტში

სლავური დასახლება ბერესტიე მდინარეების: დასავლეთ ბუგისა და მუხავეცის შესართავთან მდებარე კუნძულზე დაახლოებით 1000 წლის წინათ გამოჩნდა. მოსახერხებელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო დასახლებას არაერთხელ დაესხნენ თავს სასტიკი დამპყრობლები. მას ძარცვავდნენ და სისხლში ახრჩობდნენ კიევის რუსეთის თავადები, თათარ-მონღოლთა ურდოები, ტევტონის ორდენის რაინდები, ლიტველი და პოლონელი ფეოდალები. ამიტომ ბერესტიეს, შემდგომში — ბრესტის, მცხოვრებლებს ბევრჯერ მოუხდათ მიწისა და ხის სიმაგრეების აღმართვა. თავად ვლადიმირის მმართველობის ხანაში (1276-1289 წ. წ.) ქალაქში აიგო ქვის მაღალი კოშკი და ხუთკუთხა ციხესიმაგრე, რომლებმაც 1831 წლამდე იარსება.

1500 წელს ქალაქი ყირიმის ხანის მენგლი-გირეის შემოსევებმა დააზარალა, თუმცა შემდგომში ხელახლა აშენდა და გაფართოვდა. ქალაქის ბირთვს წარმოადგენდა ციხესიმაგრე, რომლის კედლებიც, ხუთი საყარაულო კოშკითურთ, მუხავეცსა და დასავლეთ ბუგს გადმოჰყურებდა. ციხესიმაგრეში განთავსებული იყო ქალაქის თვითმმართველობის შენობა, ეკლესია, მონასტერი, ბაზარი და მდიდარ მოქალაქეთა სახლები. ციხესიმაგრის კედლებს მიღმა სახლობდნენ მეშჩანები, ხელოსნები და ღარიბები.

1795 წელს ბრესტი და მისი მიმდებარე მიწები რუსეთის შემადგენლობაში შევიდა, რითაც ქალაქის სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა და სახელმწიფოს მიუდგომელ ფორპოსტად მისი გადაქცევის საკითხი დადგა.

1836 წლის 1 ივნისს მომავალი ციხესიმაგრის საძირკველი ჩაიყარა, სადაც მონეტებიანი ზარდახშა და დაფა ჩაიდო. 1842 წელს მშენებლობა დამთავრდა და ბრესტის ციხესიმაგრის თავზე სამხედრო დროშა აფრიალდა. მდინარეების — დასავლეთ ბუგის, მუხავეცისა და ხელოვნური არხების მიერ წარმოქმნილ პატარა კუნძულებზე გადაიშალა კობრინის, ვოლინისა და ტერასპოლის სიმაგრეები და ციხესიმაგრის ცენტრალური ნაწილი — ციტადელი, რომელიც მასიურ ორსართულიან ყაზარმას წარმოადგენს. ცენტრალური კუნძულის გაყოლებაზე შენობის სიგრძე 1.8 კმ-ს შეადგენდა, მის 2 მ სისქის კედლებში დატანებული იყო ამბრაზურები; ციტადელის ყაზარმები 12.000 ჯარისკაცს იტევდა.

პირველი მსოფლიო ომის წლებში ბრესტის ციხესიმაგრეში ჩამოყალიბდა ფრონტის სარეზერვო ნაწილები და განთავსდა საწყობები. 1915 წელს, როცა გერმანიის ჯარები აღმოსავლეთ ფრონტზე შეტევისას ბრესტს მიუახლოვდნენ, რუსულმა სარდლობამ ციხესიმაგრის გარნიზონის ევაკუირება მოახდინა და საწყობების დიდი ნაწილიც გაიტანა. ომის დასრულებამდე ციხესიმაგრეში ოკუპანტები დათარეშობდნენ, ხოლო 1918 წელს ყოფილი თეთრი სასახლის შენობაში ხელი მოეწერა ბრესტის ზავს.

1921 წელს პოლონეთმა, ატლანტის ქვეყნების მხარდაჭერით, უკრაინისა და ბელორუსიის დასავლეთ ოლქების გამოყოფა მოახდინა და 1939 წლის სექტემბრამდე ბრესტის ციხესიმაგრეში პოლონური არმიის ნაწილები იყო დისლოცირებული. მას შემდეგ, რაც დასავლეთ ბელორუსია საბჭოთა კავშირს მიუერთდა, ბრესტის ციხესიმაგრეში, რომელსაც იმ დროისთვის სამხედრო მნიშვნელობა თითქმის დაკარგული ჰქონდა, წითელი არმიის რამდენიმე ნაწილი განთავსდა. 1941 წლის გაზაფხულზე აქ ორლოვის მე-6 „კრასნოზნამენნაიასა“ და 42-ე მსროლელი დივიზიები იმყოფებოდნენ. ზაფხულის დასაწყისში ამ შენაერთების პოლკები, ასევე, საარტილერიო და სატანკო ქვედანაყოფები სხვაგან დაბანაკდნენ. ციხესიმაგრეში მხოლოდ ცალკეული ქვედანაყოფები და სამეურნეო სამსახურები დარჩნენ.

**1941 წლის 22 ივნისს, გამთენიისას ქალაქსა და ციხესიმაგრეს ათასობით ავიაბომბი, ნაღმი და ჭურვი დააყარეს**. მიწა აზანზარდა, მიდამო ცეცხლის ენებმა გაანათა, შექანდა ციტადელის საყარაულო ნაგებობის მეტრნახევრიანი კედლები, ჩაიმსხვრა მინები, ფანჯრის რკინის რაფები დამჭკნარი ფოთლებივით დაიგრიხა... **ჰიტლერელები დარწმუნებული იყვნენ, რომ მოკლე ხანში დანებების ნიშნად ხელებაწეულ რუს ჯარისკაცებსა და ოფიცრებს იხილავდნენ.**

გერმანიის სარდლობა ბრესტის ციხესიმაგრის ხელში ჩაგდებას პირველივე დღეს — 12 საათისთვის გეგმავდა.

**იერიშის განხორციელება ხომ 45-ე დივიზიის მოიერიშე რაზმებს დაევალა, იმ დივიზიისა, რომელიც ჰიტლერის სამშობლოში ჩამოყალიბდა და ფიურერისადმი განსაკუთრებული ერთგულებით გამოირჩეოდა.**

ციხესიმაგრის იერიშისთვის დივიზია სამი საარტილერიო პოლკით, მძიმე ნაღმტყორცნი ბატარეებითა და ზემძლავრი „კარლ“-ითა და „ტორ“-ით გააძლიერეს. მაგრამ აქ, ევროპისგან განსხვავებით, ყველაფერი სხვაგვარად მოხდა. მებრძოლები და ოფიცრები სახლებიდან და ყაზარმებიდან გამორბოდნენ, წამიერად მიმოიხედავდნენ და, ხელების აწევის ნაცვლად, შენობათა კედლებს ეკვროდნენ და სხვადასხვა საფარიდან სროლას იწყებდნენ. ზოგი, გერმანული ტყვიებით დაცხრილული, იქვე დარჩა, სადაც თავისი პირველი და უკანასკნელი ბრძოლა გადაიხადა. სხვები სროლა-სროლით წინ მიდიოდნენ...

პირველ საათებში მტერმა ციხესიმაგრის ტერიტორია, რამდენიმე შენობა და სიმაგრე დაიპყრო, თუმცა საბჭოთა მებრძოლების ხელში დარჩენილი სიმაგრეები ისე მოხერხებულად იყო განთავსებული, რომ მტრის სამიზნეში ამოღება უიოლდებოდათ. დამცველები დარწმუნებული იყვნენ, რომ დიდხანს თავდაცვა არ დასჭირდებოდათ — რეგულარული ნაწილები მიუსწრებდნენ და ჰიტლერელებს კუდით ქვას ასროლინებდნენ, მაგრამ გადიოდა საათები და დღეები, დამცველთა მდგომარეობა უარესდებოდა: პროდუქტები და წყალი თითქმის გაუთავდათ... მუხავეცი იქვეა, მაგრამ იქამდე მიღწევა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. რამდენიმე მებრძოლი წავიდა წყალზე, მაგრამ უკან აღარ დაბრუნებულა...

ფაშისტებს სერიოზულად არ აღუქვამთ დაცალკევებული, ერთმანეთთან კავშირის არმქონე ჯგუფების წინააღმდეგობა. ელოდნენ, რომ სულ მალე ალყაშემორტყმულნი თეთრ ბაირაღს ააფრიალებდნენ. ციხესიმაგრის მცველები კი ბრძოლას განაგრძობდნენ და მოკლე ხანში გერმანელები მიხვდნენ, რომ რუსები დანებებას არ აპირებდნენ. მაშინ ბუგის მხრიდან მძიმე არტილერიის ჭურვების წვიმა წამოვიდა. შემდეგ კი გერმანელები იერიშზე გადავიდნენ.

დღითიდღე ფაშისტები სულ უფრო მძაფრად უტევდნენ, მაგრამ იმხელა დანაკლისი ჰქონდათ, რომ არმიის სარდალმა ციხესიმაგრის იერიშის შეწყვეტა ბრძანა. ბრძოლაში ავიაცია და დამატებითი არტილერია ჩაერთო. საარტილერიო ცეცხლისა და **დაბომბვის შემდეგ ციხესიმაგრეში თითქოს ძეხორციელი ვერ უნდა გადარჩენილიყო, მაგრამ, როგორც კი ფაშისტები მორიგ შეტევაზე გადადიოდნენ, კვლავ ტყვიამფრქვევების ცეცხლს აწყდებოდნენ**.

ომის დაწყებიდან რამდენიმე დღეში გერმანელებმა ციხესიმაგრეს ჯავშანმანქანებითა და ტანკებით შეუტიეს, მაგრამ, როგორც კი ტექნიკა იქაურობას მიუახლოვდა, მათ ყუმბარები დაუშინეს. რამდენიმე მანქანას ცეცხლი მოედო, დანარ- ▶


აღმოსავლეთის ფორტი


გერმანელები ბრესტში



საბჭოთა ჯარისკაცები ერთ-ერთ სიმაგრეში

ჩენებმა წინსვლა განაგრძეს. უცებ გამაყრუებელი აფეთქების ხმა გაისმა, ერთი, მეორე, მესამე... ეს ტანკსაწინააღმდეგო ნაღმები ფეთქდებოდა, რომლებიც ციხესიმაგრის მცველებმა შეუმჩნევლად განათავსეს. გადარჩენილმა ტანკებმა უკან დაიხიეს, ხოლო ციხესიმაგრის თავზე კვლავ გამოჩნდა ფაშისტური ავიაცია. **გამძვინვარებულმა ჰიტლერელებმა თვითმფრინავებიდან საწვავიანი კასრები გადმოყარეს. ციხესიმაგრეში ცეცხლის ზღვა. როცა ხანძარი ჩაქრა, ფაშისტები ისევ შეტევაზე გადავიდნენ და კვლავ ციხესიმაგრის დამცველთა ტყვიის წვიმა და ხიშტები შეეგებათ.**

იერიშის მე-17 დღეს გერმანელებმა განაცხადეს, რომ ციხესიმაგრე აიღეს, მაგრამ ეს ურცხვი სიცრუე იყო. **ბრესტის ციხესიმაგრე კიდევ არაერთ კვირას განაგრძობდა თავდაცვას — ერთი მუჭა საბჭოთა მეომრები მთელი ფაშისტური კორპუსის წინააღმდეგ იბრძოდნენ**.

ჰიტლერელები ციხესიმაგრეში მხოლოდ მაშინ შევიდნენ, როცა აღმოსავლეთის ფორტს (**აღმოსავლეთის ფორტი ნალისებური ფორმის ორ ერთმანეთთან დაკავშირებულ მიწაყრილს წარმოადგენდა, რომელთა შორის 4-5 მ-იანი სივრცე ვიწრო ეზოს ქმნიდა, რომლის კედლებიც აგურით იყო ნაშენი. ამ ეზოდან ბნელ კაზემატებში მოხვდებოდი, ხოლო სიმაგრის ცენტრში „ნალს“ ორსართულიანი ყაზარმა უერთდებოდა**) თავს დაატეხეს ბომბების წვიმა, **როცა ერთ-ერთი თვითმფრინავიდან 1800 კგ-იანი ბომბი ჩამოაგდეს, რომელმაც, თავად ჰიტლერელთა თქმით, „თავისი დეტონაციით მთელი ბრესტი შეაზანზარა.“ მხოლოდ ამის შემდეგ შეიჭრა მტერი ფორტში და იქ მძიმედ დაჭრილი, უგონოდ მყოფი მებრძოლები, ქალები და ბავშვები დაატყვევა**. თუმცა ვერც ერთ მიწისქვეშა შენობაში ფაშისტებმა ფორტის დაცვის ხელმძღვანელი ვერ აღმოაჩინეს. ამიტომაც, პატაკში ჩაწერეს: „მაიორსა და კომისარს ვერ მივაგენით. ამბობენ, რომ მათ თავი მოიკლეს.“ არადა, მოგვიანებით, ექიმ ვორონოვიჩის მოწმობით, რომელიც გერმანელებმა დაატყვევეს და ბანაკის ჰოსპიტალში დაჭრილ მებრძოლებსა და მეთაურებს მკურნალობდა, 1941 წლის 23 ივლისს, ანუ **ომის დაწყებიდან 32-ე დღეს** (შეგახსენებთ, რომ ჰიტლერელთა მტკიცებით, ომის მე-17 დღეს ბრესტის ციხესიმაგრე დაეცა!) გერმანელებმა თავიანთი ბანაკის ჰოსპიტალში მოიყვანეს დაჭრილი, უგონოდ მყოფი, გაძვალტყავებული, დაძონძილმუნდირიანი და სახეგამჭვარტლული რუსი მაიორი. **ჯარისკაცებმა, რომლებმაც ის ციხესიმაგრეში დაატყვევეს, ექიმებს უამბეს, რომ სულ რაღაც ერთი საათის წინ ეს ცოცხალ-მკვდარი კაცი ერთ-ერთ კაზემატში მათ თავგანწირვით ებრძოდა და რამდენიმე ჰიტლერელი სიცოცხლეს გამოასალმა**. ეს მაიორი გავრილოვი გახლდათ, აღმოსავლეთის ფორტის დაცვის ხელმძღვანელი...

მაშინაც და მოგვიანებითაც მტერი უნებლიე პატივისცემით ლაპარაკობდა ბრესტის ციხესიმაგრის დამცველთა სიმამაცეზე. კერძოდ, ოტო სკორცენი თავის წიგნში „სპეციალური დავალება“ წერდა:

„ქალაქის ცენტრალურ ციხესიმაგრეში რუსები თავგანწირულ წინააღმდეგობას განაგრძობდნენ. ჩვენ ყველა თავდაცვითი ობიექტი ჩავიგდეთ ხელთ, მაგრამ ცოცვით მიწევდა წინსვლა, რადგან მტრის სნაიპერები მიზანს არ აცილებდნენ. რუსებმა უგულებელყვეს კაპიტულაციისა და ფუჭი წინააღმდეგობის შეწყვეტის ყველა წინადადება. ციხესიმაგრის ყველა იერიში მარცხით დასრულდა. რუხ-მომწვანო მუნდირებით შემოსილი ჯარისკაცებით მოფენილი მიწა ამის დასტური გახლდათ... რუსები ბოლო წუთამდე და ბოლო ჯარისკაცამდე იბრძოდნენ...“

უჩვეულო, ჭეშმარიტად ლეგენდარულ ისტორიას ყვებოდნენ ცოცხლადდარჩენილი მებრძოლები მავან ქალზე, ბრესტის ციხესიმაგრის ერთ-ერთ უკანასკნელ დამცველზე. უკვე სექტემბერი თუ ოქტომბერი იდგა (ციხესიმაგრე ამ დროისათვის დიდი ხნის აღებულად მიიჩნეოდა). მიწისქვეშეთიდან და ნანგრევთა სარდაფებიდან კვლავ ისმოდა სროლის ხმა — უკანასკნელი მცველები ბრძოლას აგრძელებდნენ. სწორედ მაშინ გავრცელდა გერმანელებს შორის ხმები „თმაგაბურძგნულზე.“

ციხესიმაგრეში მყოფი ჯარისკაცები ყვებოდნენ, რომ **მიწისქვეშა სიმაგრეებში ავტომატით შეიარაღებული ქალი იმალებოდა. ის მოულოდნელად გამოჩნდებოდა სხვადასხვა ადგილას და მოწინააღმდეგეს ცეცხლს უხსნიდა, თანაც მიზანს არასდროს აცდენდა, შემდეგ კვლავ უკვალოდ გაუჩინარდებოდა. მისი პოვნისა და ლიკვიდირების ყველა ცდა უშედეგოდ დასრულდა... გერმანელთა აღწერით, ეს ქალი საზარელი შესახედავი იყო: გამჭვარტლული სახით, გაბურძგნული თმითა და დაძონძილი სამოსით ის ჯარისკაცებს მისტიკურ შიშს აღუძრავდა, როგორც მიწისქვეშეთის მკვიდრი აჩრდილი, შურისძიებისა და გარდუვალი სიკვდილის ხატება. ყოველ ჯერზე, როცა გერმანელი ჯარისკაცების მორიგი რაზმი ციხესიმაგრეში სამორიგეოდ მიემართებოდა, ისინი ლოცულობდნენ და ერთმანეთს უსურვებდნენ, პირისპირ არ შეყროდნენ ამ ქალს, რომელსაც „ფრაუ მიტ ავტომატსა“ და „თმაგაბურძნულს“ უწოდებდნენ...**

ციტადელის კაზემატები დღემდე ინახავენ მის დამცველთა არნახული სიმამაცისა და თავგანწირვის დასტურს. ტირასპოლის კარიბჭესთან, ყაზარმის კედელზე ნაპოვნია წარწერა: **„1941 წელი. 26 ივნისი. სამნი ვიყავით. გვიჭირდა, მაგრამ სულით არ დავცემულვართ და გმირულად ვიღუპებით;“** თეთრი სასახლის სარდაფში კი ეწერა: **„შეურცხვენლად ვიხოცებით.“** 455-ე ყაზარმაში, ბრესტის კარიბჭესთან, უცნობმა მებრძოლმა კედელზე ხიშტით ამოკაწრა: **„დავიხოცებით, მაგრამ ციხესიმაგრიდან ფეხს არ მოვიცვლით!“**



ბრესტში დაღუპულთა საფლავები

# «ჯაშუში» ქვა, ოთხი ბრიტანელი და ერთი აგენტი

**რუსულ-ბრიტანული ჯაშუშური სკანდალი 2006 წლის 22 იანვარს ატყდა. რუსეთის ტელეარხმა „როსიამ“ პროგრამაში „სპეციალური კორესპონდენტი“ ოპერატიული ვიდეოკადრები აჩვენა — დიდი ბრიტანეთის საელჩოს ზოგიერთი თანამშრომელი მოსკოვში ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული დაზვერვითი სამუშაოებით იყო დაკავებული.**



**„ჩვენ მათ აგენტურულ კავშირზე წავასწარით და კიდევ იმაზე, რომ რფ-ში ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის დაფინანსებას ახდენენ,“** — განაცხადა მეორე დღეს ფე-ეს-ბეს საზოგადოებასთან კავშირის ცენტრის ხელმძღვანელმა სერგეი იგნატჩენკომ. ამასთან, მან წარმოადგინა ნაალაფარიც, რომელიც კონტრმზვერავებმა ოპერაციისას ჩაიგდეს ხელთ; თანაც დააყოლა, რომ ეს „ახალი ელექტრონული ჯაშუშური მოწყობილობაა,“ „ბრიტანული დაზვერვის ნოუ-ჰაუ.“ მაინც რა ახალი ძლიერი იარაღია ეს?

**დასაწყისისთვის მოკლედ მივყვეთ მოვლენების განვითარებას. ფე-ეს-ბეში ოთხი გამოვლენილი უცხოელი ჯაშუშის ვინაობას ასახელებენ. ისინი ჯაშუშობაში დაადანაშაულეს, მაგრამ არ დაუპატიმრებიათ, რადგან დიპლომატიურ იმუნიტეტს ფლობდნენ.**

ბრიტანეთის ახალგაზრდა მდივანი-არქივისტი კრისტოფერ პირტი, რომელიც რუსეთში 2002 წლიდან მუშაობდა, საეჭვოდ ხშირად ადიოდა მოსკოვის გარეუბნის ერთ-ერთ პარკში. იქ, ჩვეულებრივ, ქვად შენიღბული სპეციალური ელექტრული ხელსაწყოდან, რომელსაც ინფორმაციის მიღება, შეკრება და გადაცემა შეეძლო, მისთვის საინტერესო ცნობებს ქაჩავდა, რომელსაც იმავე „ქვის“ მეშვეობით რუსეთის მავანი მოქალაქე უტოვებდა. ხსენებული მოქალაქე დაკავებულია და უკვე აღიარა, რომ უცხოეთში თავისი მივლინების პერიოდში ინგლისელებმა გადაიბირეს და სპეციალური ტექნიკითაც აღჭურვეს მოსკოვში აგენტურული კავშირის განსახორციელებლად.

ამ ჯაშუშური დრამის ფიგურანტების მოქმედების სქემა არცთუ შრომატევადი იყო. რუსი ჯაშუში განსაზღვრულ დროს მოსკოვის გარეუბნის ერთ-ერთ სკვერში მიდიოდა და ჩვეულებრივი პატარა პერსონალური კომპიუტერით ჩაუვლიდა შორიახლო „პეიზაჟად“ შენიღბულ აპარატურას, რომელიც მისი ჯიბის კომპიუტერიდან ინფორმაციას იღებდა. გარკვეული ხნის შემდეგ სკვერში ინგლისური დიპმისიის თანამშრომელი კრისტოფერ პირტი მოდიოდა, რომელსაც თავი სტუდენტად მოჰქონდა და თავისი ჯიბის კომპიუტერით დატოვებულ „კონფიდენციალურ ფოსტას“ გადაქაჩავდა.

**„ქვა-სამალავი“ გარეგნულად არაფრით გამოირჩეოდა ჩვეულებრივისგან, ოღონდ ძალზე მსუბუქი იყო. ფე-ეს-ბეს თანამშრომლებმა ის რენტგენით გააშუქეს და აღმოაჩინეს, რომ ქვის შიგთავსს მთლიანად რადიოელექტრონიკა წარმოადგენდა. ის სპეციალური ხრახნებით ჩამონტაჟებული იყო შიდა კედლებში და სპეციალური ჰერმეტიკით იყო დაფარული**.

საგულისხმოა, რომ დაზვერვითი ინფორმაციის მიმღებ-გადამცემ ტექნოლოგიაში, რომელსაც „სრულიად ახალი“ უწოდეს, სინამდვილეში არაფერი ახალი არაა, მოცემული ტექნოლოგია, სულ მცირე, 10 წლისაა, ამასთან, ძალიან მარტივი და პრიმიტიული. ეს „ქვად“ შენიღბული ელექტრული სამალავი ჩვეულებრივი პერსონალური კომპიუტერია, რომელიც რადიოარხით იმართება. ამ ჯაშუშური მოწყობილობის აღმოჩენა ძალიან რთულია, რადგან ამ მოწყობილობებს მცირე სიმძლავრე აქვთ, რის გამოც მათი ცენტრალიზებული კონტროლი შეუძლებელია, კავშირის სეანსი ხომ სულ 2-3 წამს მიმდინარეობს.

**„ქვასთან“ ასეთი კავშირის აღმოსაჩენად სპეციალური აპარატურაა საჭირო და ისიც მხოლოდ კონკრეტულ, „გამოთვლილ რაიონში.“ ამგვარად, სირთულეს წარმოადგენდა სწორედ იმ სკვერის მოძებნა, სადაც ჯაშუშური ხელსაწყო არა მარტო დამონტაჟებული იყო, არამედ „ქვიდან“ ინფორმაციის „მოხსნაც“ განხორციელდა.** ეჭვი გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ, როცა ინგლისელი მოსკოვის გარეუბნის სკვერში გამოჩნდებოდა, ხელში აუცილებლად ეკავა პერსონალური კომპიუტერი. ამიტომ ამ რაიონში არაერთხელ ჩაატარეს რადიომონიტორინგი, რადგან „ქვა-სამალავის“ აღმოჩენა მხოლოდ იმ მომენტში შეიძლებოდა, როცა ის თავის მოკლე სიგნალს გადასცემდა.

## „ქვა-სამალავების“ გამოყენების ცნობილი შემთხვევები

**ГПУ-ს გენერალი დიმიტრი პოლიაკოვი, რომელიც 1961 წლიდან ამერიკულ დაზვერვაში მუშაობდა, ფუტურო ქვებში დებდა საიდუმლო დოკუმენტების ასლთა მიკროფირებს. სამსახურში მიმავალი ქვებს გზადაგზა ყრიდა, რის შემდეგაც ცე-რე-უსგან მიღებული სპეციალური გადამცემით სიგნალ-იმპულსს აშშ-ის საელჩოში გადასცემდა. ასეთი ხანმოკლე გადაცემის „დაჭერა“ იმხანად პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. მოგვიანებით ჯაშუშს უფრო სრულყოფილი აპარატი გადასცეს, რომლიდანაც წინასწარ ჩაწერილი დაშიფრული ტექსტი ეთერში „გაიტყორცნებოდა.“ „კონტეინერი ქვები“ პოლიაკოვს აღარ სჭირდებოდა.**

**ასეთივე აპარატურით აღჭურვავდა ბრიტანეთის დაზვერვა თავის აგენტს პლატონ ობუხოვს, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელს, რომელიც 1995 წელს გადაიბირა. მის განკარგულებაში იყო ტექსტების მაღალ სიხშირეზე დამშიფრავი მოწყობილობა და სწრაფი გადამცემი. 1995 წლის აგვისტოდან 1996 წლის აპრილამდე მან პირდაპირ მოსკოვის ცენტრიდან განახორციელა კავშირის 15 სეანსი. დიდი ბრიტანეთის საელჩოსთან ტროლეიბუსით ჩავლისას იგი წამით ჩაყოფდა ხელს პორტფელში და ღილაკს აწვებოდა. სწორედ ინფორმაციის გადაცემის დროს დააკავეს ობუხოვი ფე-ეს-ბეს კონტრმზვერავებმა. ბრიტანელებმა მართებული დასკვნები გააკეთეს, მიმღები საელჩოს შენობიდან გაიტანეს და კლასიკურ „ქვა-სამალავში“ დამალეს, რომელიც მოსკოვის ერთ-ერთ სკვერში დადეს.**



გვერდები მოამზადა **ნანა ჩარკვიანმა**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

### ზურაბ გაგნიძე:

# დღეს ლევან გაჩეჩილაძის პოლიტიკური რეიტინგი ათას გაუგებარ და საეჭვო ჩარჩოშია მოქცეული

**თვითმმართველობის არჩევნები ძალაში შედის. მერობის კანდიდატთა ბილბორდებითა და დაპირებებითაა აჭრელებული ქალაქი. პროცესის ყველაზე დიდი წარმმართველი ძალა კი ამომრჩეველია. საქმე ისაა, რომ საზოგადოებას მარტო ხელისუფალთა მიმართ კი არ აქვს ნდობა დაკარგული, არამედ — ოპოზიციონერ ლიდერთა მიმართაც. არჩევნებს ის ფაქტიც ამძაფრებს, რომ პოლიტიკოსებს სურთ, მერის არჩევნები საპრეზიდენტო მარათონის ტრამპლინად აქციონ. მოძრაობა „დაიცავი საქართველოს“ ლიდერი ლევან გაჩეჩილაძე ამ პროცესში რიგით ჯარისკაცობას გვპირდება, თუმცა მოვლენების განვითარებასაც ელოდება. მის საინტერესო პოლიტპორტრეტზე გვესაუბრება ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი ზურაბ გაგნიძე.**



**— ბატონო ზურაბ, ამ უკანასკნელ სამ წელიწადში გაჩეჩილაძის რეიტინგი ამაღლდა და განმტკიცდა თუ — პირიქით?**

— ლევან გაჩეჩილაძე ხომ იმ გუნდიდან ამოფრენილი „მართვეა“, რომელსაც საზოგადოება უპირისპირდება. იგი ჯერ კიდევ შევარდნაძის პრეზიდენტობისას სააკაშვილის საარჩევნო შტაბს ხელმძღვანელობდა ვაკეში. ჩნდება ეჭვი, ეს „ამაგი“ ახლა ხომ არ დაუფასდება, როგორც სააკაშვილის ქართულ პოლიტიკაში შემომყვან „ნათლიას“?! ვარდების რევოლუციის დროსაც „გრეჩიხა“ „მიშას“ გვერდში ედგა. უფრო მეტიც, მისი სახელობის ღვინოც კი ჩამოასხა მისადმი უდიდესი პატივისცემის ნიშნად. ოპოზიციისკენ მას პირადმა პრობლემებმა და საქმიანობამ უბიძგა და არა — იდეურმა ინტერესებმა.

წინა არჩევნებში სახელისუფლო შტოდან გამოსულმა ოპოზიციურმა ძალამ დაუღალავი პიარკამპანიით ის გაერთიანებული ოპოზიციის საპრეზიდენტო კანდიდატურად იმიტომ აქცია, ეშინოდა, ხელისუფლების სათავეში ნაღდი, ეროვნული ძალები არ მოსულიყვნენ.

ამ ნაბიჯით ლევანს იმდენად დიდი პასუხისმგებლობა დაეკისრა, რომლის ასაწევად მას არც გონებრივი უნარები, არც სულიერი სიმაღლე-სიმტკიცე და არც განვლილი გზით დამსახურება არ ჰქონდა. ამასთან ერთად, მოსახლეობამ დაინახა, რომ ლევანი უმწიფარი, სტიქიური ლიდერია, რომელიც აქციებზე იმპროვიზაციით გამოდის და კრიტიკულ მომენტში არც ბილწსიტყვაობას ერიდება. მას არ გააჩნია რაიმე სქემა ან გეგმა და პროცესებიც ქაოტურად მიჰყავს. მისმა პოლიტიკამ — ხალხის აღმა-დაღმა უაზროდ სიარულმა საზოგადოება დაღალა; ამასთან, არ გააჩნია ის ემოციური ენერგია, რაც ქარიზმას ქმნის. მუდმივად გაყვირის — „ბოლომდე ვიბრძოლებ!“, მაგრამ რა ფორმითა და პროგრამით, მინიშნებითაც არ უმხელს ელექტორატს.

გახსოვთ, ალბათ, ინგა გრიგოლიას შეკითხვაზე — ვთქვათ, წაართვით სააკაშვილს ხელისუფლება, მერე რას იზამთ? — მან უპასუხა: — რაც მომეპრიანება.

**— ბატონო ზურაბ, ეს წარსულში დარჩა... რასაც თქვენ უპასუხისმგებლო გამოსვლებს ეძახით, ამას საზოგადოების გარკვეული ნაწილი ლევანს ვაჟკაცობაში, ალალობასა და პირდაპირობაში უთვლის და მათთვის მისაღებ პოლიტიკურ ფიგურად რჩება...**

— იმდენი შანსი გაუშვა ხელიდან და ამომრჩეველს იმხელა გულგატეხილობა მოუტანა, რომ ამას არ დაუვიწყებენ. მან ვერ შეასრულა დანაპირები — **„ბოლომდე ვიბრძოლებ და ხმებს დავიცავო“**, ხოლო ინაუგურაციის დღეს დანაშაული ჩაიდინა. ძმებმა გაჩეჩილაძეებმა გაყინულ იპოდრომზე მდგარი ათასობით ქართველის პროტესტი მერკანტელურ სურვილებზე გაცვალეს და ხალხი დაშალეს. ამ ნაბიჯით ლევანმა საღად მოაზროვნე საზოგადოების უდიდეს ნაწილში ნდობა დაკარგა. ამ ფაქტმა გაჩეჩილაძეზე ახალი, სრულიად განსხვავებული შეხედულება შექმნა. რბილად რომ ვთქვათ, მის რენომეს ხალხის თვალში წყალი შეუდგა. ამას მოჰყვა გერმანიაში შემთხვევითი შეხვედრა პრეზიდენტთან, თუმცა იმასაც ამბობდნენ, რომ არჩევნების შემდეგ გამართული საპროტესტო აქციების დროს გაჩეჩილაძე პრეზიდენტს რეზიდენციაშიც ხვდებოდაო.

შარშანწინ, 26 მაისს, უამრავი ხალხი რუსთაველისკენ აღლუმის ჩასაშლელად გაემართა, მაგრამ აღლუმი უკვე დამთავრებული იყო. მოგვიანებით მიშა მაჭავარიანმა თავის ინტერვიუში თქვა: **„ოპოზიციის ლიდერებმა ძალიან კარგად იცოდნენ, როდის მთავრდებოდა აღლუმიო“.** საერთოდ, აქციების პირდაპირი ტრანსლაციის არარსებობა ოპოზიციისთვის ყველაზე ხელისშემშლელი მიზეზი რომაა, ყველამ ვიცით. ლიდერობისას ლევან გაჩეჩილაძემ საზოგადოებრივი ტელევიზიის ხალხისთვის დაბრუნება ვერც პიკეტირებით, ვერც სირცხვილის დერეფნებითა და ვერც ჟურნალისტთა ლანძღვა-ჩხრეკით შეძლო; ვერც სამეურნეო საბჭოს ფუნქცია გაარკვია ბოლომდე, იმდენად ზერელედ და ქარაფშუტულად ეკიდება პრობლემებს. ყოველივე ზემოთქმული მოწმობს, რომ ლევანს უჭირს რაიმე მომგებიანი და ხალხის მიერ ნაკარნახევი სვლის გაკეთება. მისი უსუსურობა არა ერთხელ დადასტურდა, რითაც მისადმი ნდობა შემცირდა.

მის ოპოზიციონერობაში ხშირად იგრძნობა ხელისუფალის ხელი, გარიგება, რაღაცის შეთავაზება. აქციების წინ სარწმუნო წყაროებიდან ითქვა, რომ 4 აპრილს ლევან გაჩეჩილაძე, ირაკლი ალასანია და დავით უსუფაშვილი სააკაშვილს ბობოყვათის რეზიდენციაში შეხვდნენ.

შარშან, აქციებისას, ოპოზიციის სამეულთან შეხვედრის შემდეგ, პრეზიდენტმა ცალკე საუბარი მხოლოდ ლევან გაჩეჩილაძესთან ისურვა. ამან სერიოზულად ააღელვა ქალური ინტუიციით დაჯილდოებული და დაეჭვებული სალომე ზურაბიშვილი, ნინო ბურჯანაძე და ეკა ბესელია. ლევანმა კი განაცხადა: **„ჩემი ქვეყნისთვის, მზად ვარ, ეს ვიტვირთოო“** და შავნაბადაზე მიხეილს ესტუმრა. ამგვარი შეხვედრების შინაარსს საზოგადოება ან ვერ იგებს, ან მოგვიანებით მოკრავს ყურს. შავნაბადადან დაბრუნებულმა გაჩეჩილაძემ განაცხადა: **„იმ კაცის ლაპარაკიდან ფოკუსნიკიც ვერ გამოიტანდა აზრსო“,** თუმცა ფრიად საყურადღებო ლაფსუსი გაეპარა, მან აღნიშნა, რომ შეხვედრაზე თბილისის მერის არჩევნებზე იყო საუბარი. შეხვედრა სამი საათი გრძელდებოდა და თავისთავად მიჩნდება ეჭვი — იქნებ რაიმე გარიგებასაც ჰქონდა ადგილი?..

მალე გაჩეჩილაძემ ახალი მოძრაობის შექმნის შესახებ გააკეთა განაცხადი. მისი მაშინდელი გამოსვლა დღეს უფრო ნათლად იკითხება: **„უნდა ჩამოვყალიბდეთ და ყველას გაგაგებინოთ, რა იქნება სააკაშვილის შემდეგ. ამის გარდა ოპოზიციას ერთი ლიდერი სჭირდებაო“.** დღეს უკვე ცხადია, როგორ გაგრძელდება შავნაბადაზე დაწყებული საერთო ლიდერის თემა.

**— ბატონო ზურაბ, ლევან გაჩეჩილაძეს მხარში უდგას ძმა — გია გაჩეჩილაძე, მან ლევანის მთავარი იმიჯ-მეიკერობა შეითავსა და ძმას უდიდესი საინფორმაციო მხარდაჭერა გაუკეთა ტელეკომპანია „მაესტროზე“ პროექტით „საკანი-5“.**

— შარშან, მაისში პოლიციის მთავარ სამმართველოსთან მომხდარი ინციდენტიც უშუალოდ გიას მოწოდებას უკავშირდება. იგი მივიდა აქციაზე, წამოჭრა საკითხი და აქციის მონაწილეებს სამმართველოსკენ გაუძღვა. იმ დღეს 100 მომიტინგე სცემეს; 20-ზე მეტი დააპატიმრეს; ორმა ადამიანმა თვალის ჩინი დაკარგა. თვითონ გია გაჩეჩილაძე სასტიკად სცემეს და გამოაგდეს, ანუ არაპოლიტიკოსმა გია გაჩეჩილაძემ ძმის წინ გადარბენით დაძაბული სიტუაცია შექმნა და თანაც — არც პირველად და არც უკანასკნელად, რაც ლევანის სისუსტეზე მეტყველებს.

„მაესტროს“ პროექტ „საკანი-5“-ს ყველაზე კარგად ბრიტანული გამოცემა „ინდიფენდენტი“ აფასებს: **„ერთმა კაცმა ოპოზიციური მოძრაობა სანახაობად აქცია, საკუთარი თავი ინსცენირებულ ციხის საკანში გამოკეტა და ფიცი დადო, რომ იქიდან არ გამოვა, ვიდრე პრეზიდენტი თავის სამსახურზე უარს არ იტყვის“.**

„საკანი-5“ მართლაც ინსცენირებულ სანახაობად დარჩა, ხოლო გია გაჩეჩილაძე — „სიტყვის ვერ შემსრულებლად“, რადგან საკნიდანაც გამობრძანდა და პრეზიდენტის ხელშეწყობით საზღვარგარეთ „სამკურნალოდაც“ გაემგზავრა.

26 მაისს სტადიონზე ხალხი საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად შეიკრიბა. საპატრიარქოში წასვლა საერთოდ არ იგეგმებოდა. ამაზრზენი იყო დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნაში არაპოლიტიკოსი შოუ-მენის — გია გაჩეჩილაძის ტახტრევანით შემოყვანა-შემოტარება, მისი სირბილი ქუდით თავზე საქართველოს დროშაზე (დროშას მხოლოდ ემთხვევიან). მათ ამჯერადაც არავითარი გეგმა არ ჰქონდათ. გია გაჩეჩილაძემ მოითხოვა, სტადიონზე შეკრებილი ხალხი სამებაში წაეყვანათ, პარალელურად ხმა გაავრცელეს, რომ პატრიარქს ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებზე განცხადება უნდა გაეკეთებინა. ამას მოჰყვა „გაჩეჩილაძეების სტილი“ — ხალხის აღმა-დაღმა სიარული. ექსპრომტად მიღებულმა გადაწყვეტილებამ საშიშროება შექმნა და სიტუაცია დაძაბა.

**— ბატონო ზურაბ, რამ აატირა ლევან გაჩეჩილაძე ჭადრაკის სასახლეში?**

— ჩემის აზრით, წარუმატებლობამ, წაგების შიშმა, მისადმი უნდობლობის დანახვამ. იცის, რომ მარტო სიტყვები — **„ბიჭო, ჩვენს უკან საქართველო დგას!“** — ხალხს აღარ სჭირდება, ხალხს გამარჯვება სწყურია. აატირა სინანულმა, რომ იპოდრომზე ფატალური შეცდომა დაუშვა, ხალხი მოატყუა და საქმე სატირლად გაიხადა. გაურკვეველია, გაჩეჩილაძის მოძრაობამ „დაიცავი საქართველო“ რა ნიშა დაიკავა ქართულ პოლიტიკაში, თანაც მისი დაარსება, სავარაუდოდ, კახა თარგამაძის ფულთან ასოცირდება.

ევროპიდან დაბრუნებულმა პირდაპირ მიტინგზე განაცხადა:

„ფულის საშოვნელად ვიყავი წასულიო, ფული გვექნება, რაც გეგმების განხორციელებაში დაგვეხმარებაო“.

**— რატომ არ აპირებს ლევან გაჩეჩილაძე საკუთარი კანდიდატურის წამოყენებას? თუმცა ამბობს, „თუ გარემოებები არ შეიცვლებაო“ — რას გულისხმობს ამაში?**

— ბოროტი ხმები ამბობენ, რომ ლევანი ვაჭრობს და ვიღაცის სასარგებლოდ „თამაშობს“. არც ის იქნება გასაკვირი, პოლიტიკური ამინდი რადიკალურად რომ შეიცვალოს. ყველაზე ნაღდი კი ისაა, რომ დღეს ქვეყანას დიდი მასშტაბის ცვლილებები სჭირდება. ლევანი არაა ის ძალა, რომელიც ქვეყანას კრიზისიდან გამოიყვანს და თვისობრივ სიახლეს მოუტანს.

თუ ლევანი თავის კანდიდატურას არ აყენებს, არც რიგით ჯარისკაცად გამოდგება.

ყველაზე საუკეთესო ის ჯარისკაცია, ვინც გენერლობაზე ოცნებობს და ამ ოცნების რეალიზებისთვის იბრძვის. თუმცა რახან სათქმელს ნათლად არ ამბობს და პარადოქსულ საბურველში ახვევს, კვლავაც რაღაცას მალავს... რომელსაც დრო გამოაჩენს.

ესაუბრა
**ლალი შაშიაშვილი**

## მოკლედ



### თუ კარგად მოიქცევით...

**„ალიანსი საქართველოსთვის“ მაჟორიტარობის კანდიდატი მუხიანში გიორგი მოსიძე მუხიანელებს საბჭოთა კავშირისდროინდელი და 90-იან წლებში დაკონსერვებული მეტროს სადგურ „მუხიანის“ პროექტის აღდგენას დაჰპირდა.** ერთი საკითხიღა დარჩა გასარკვევი — ვერ გადაწყვიტა, ეს დახურული მეტრო იქნება თუ ღია. სამაგიეროდ, აქედანვე ზუსტად იცის, რომ სახლში სხვადასხვა ტრანსპორტის გამოცვლით მისვლის ეპოქა უნდა დასრულდეს. მოკლედ, ჯერ პროექტის აღდგენაა საქმე და მერე შეიძლება მეტროც ააშენონ.



### ვულკანური ზარალი

**საავიაციო გადაზიდვების შეფერხების შედეგად ზარალმა მასშტაბით 2001 წლის აშშ-ის ტერაქტების შედეგად შექმნილ კრიზისს გადააჭარბა.** ამის შესახებ სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ განაცხადა. მიზეზი, ცხადია, ევროპის საჰაერო სივრცის დროებითი დაკეტვაა.

ისლანდიაში ვულკანის ამოფრქვევის გამო 16 აპრილს 18 ათასზე მეტი, 17 აპრილს კი 17 ათასზე მეტი რეისი გადაიდო. იმავე მიზეზით, პოლონეთის პრეზიდენტის დაკრძალვაზე მსოფლიოს ლიდერები ვერ ჩავიდნენ.



### მეუღლის ნათესავებიც დონორდებიან

**ჯანდაცვის საპარლამენტო კომიტეტის ინიციატივით, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კანონში ცვლილებები შედის** და, თუ აქამდე არსებული კანონმდებლობით, სხვა ადამიანის სამკურნალოდ ცოცხალი დონორის გამოყენება დასაშვები მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო, თუ დონორი პაციენტის ნათესავი ან მეუღლეა, ახლა დონორობის შესაძლებლობა ექნებათ მეუღლის დედას, მამას, შვილს, შვილიშვილს, ბებიას, პაპას, დას ან ძმას, ოღონდ ქორწინებიდან 2 წელი მაინც უნდა იყოს გასული.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დასავლეთში დემოკრატიული ღირებულებებისათვის მებრძოლ რაინდად მიაჩნიათ, საქართველოში კი მას დიქტატორად ნათლავენ, რომლის მიზნებისკენ მიმავალი გზა ხშირად გვამებითაა მოფენილი. გაზეთი „საქართველო და მსოფლიო" ახალ რუბრიკაში „დიქტატორები" მსოფლიოს ყველა ცნობილ დიქტატორს წარმოგიდგენთ. პარალელების გავლება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა კი თქვენთვის მოგვინდვია...

# ცოცხალი ყვავილები დიქტატორისთვის

**„ანტიქრისტე შობას აღესრულა!" — 8 წლის წინ ასე აუწყა ქვეყანას „რუმინეთის თავისუფალი ტელევიზიის" დიქტორმა ნიკოლაე და ელენა ჩაუშესკუს სიკვდილით დასჯის შესახებ. 1989 წლის 25 დეკემბერს დიქტატორი და მისი ცოლი ქალაქ ტირგოვიშტეს გარნიზონში, ჯარისკაცების საპირფარეშოს გვერდით დახვრიტეს.**



**1974 წელს მისი ინიციატივით ქვეყნის კონსტიტუცია შეიცვალა — შემოიღეს პრეზიდენტის პოსტი, რომელიც თავად ჩაუშესკუმ დაიკავა, ხოლო მოკლე ხანში განაცხადა, რომ სიცოცხლის ბოლომდე ხელისუფლების სათავეში დარჩებოდა.**



## «დახვრეტას არ ვიმსახურებ!»

ნიკოლაე ჩაუშესკუ 1918 წლის 26 იანვარს სოფელ სკორნიჩეშტში, რუმინელი პროლეტარის ოჯახში დაიბადა. სიყმაწვილეში ხარაზის შეგირდი იყო. 1933 წელს ახალგაზრდულ კომუნისტურ მოძრაობაში გაწევრიანდა, ხოლო 1947 წლის დეკემბერში, როცა რუმინეთში ხელისუფლების სათავეში კომუნისტები მოვიდნენ, ჩაუშესკუ სოფლის მეურნეობის მინისტრი გახდა, შემდეგ — შეიარაღებულ ძალთა მინისტრის მოადგილე, 1953 წელს — კომპარტიის ცეკას წევრი, 1954 წლიდან კი — პოლიტბიუროს წევრი.

1956 წლის მარტში, გეორგიუ-დეჟას (რუმინელი პოლიტიკოსი, კომუნისტი, რუმინეთის სახელმწიფოს მეთაური 1948-1956 წლებში) სიკვდილის შემდეგ, ჩაუშესკუმ ძალაუფლებისთვის ბრძოლაში გაიმარჯვა და რუმინეთის კომპარტიის პირველი მდივანი გახდა. 1974 წელს მისი ინიციატივით ქვეყნის კონსტიტუცია შეიცვალა — **შემოიღეს პრეზიდენტის პოსტი, რომელიც თავად ჩაუშესკუმ დაიკავა, ხოლო მოკლე ხანში განაცხადა, რომ სიცოცხლის ბოლომდე ხელისუფლების სათავეში დარჩებოდა**. 1972 წელს ნიკოლაე ჩაუშესკუმ თავისი მეუღლე ელენა რუმინეთის კომპარტიის ცეკაში გააწევრიანა, ხოლო 1980 წელს პრემიერ-მინისტრის პირველ მოადგილედ დანიშნა (**პრეზიდენტისა და პრემიერის პოსტები შეთავსებით თავად ჩაუშესკუს ეკავა**). ჩაუშეკუს ვაჟი ნიკუ სიბიუს პროვინციას ხელმძღვანელობდა.

**ხელისუფლების სათავეში ყოფნისას ჩაუშესკუსა და მისი ოჯახისთვის დიდებული სასახლეები შენდებოდა, სადაც უნიტაზები კარარის მარმარილოსი იყო, ხოლო სასადილო ოთახები სავსე იყო ძვირფასი ლითონის ჭურჭლით.**

საგულისხმოა, რომ ჩაუშესკუს დამხობამდე ცოტა ხნით ადრე რუმინეთმა საერთაშორისო კრედიტორებს ყველა სახელმწიფო ვალი სრულად დაუფარა. ამასთან, იგი გამუდმებით ზრუნავდა ნაციის სიდიადეზე. მისი პრეზიდენტობის პერიოდში რუმინეთის მეცნიერებათა აკადემიის საუკეთესო მკვლევარები მუშაობდნენ მეცნიერული თეორიის შემუშავებაზე, რომლის მიხედვითაც რუმინელები ძველი რომაელების პირდაპირი შთამომავლები იყვნენ, ხოლო რუმინული ლათინურის ყველაზე მონათესავე ენა იყო.

ჩაუშესკუ ძალიან ეჭვიანი და ფრთხილი კაცი გახლდათ. ევროპაში ყველაზე დიდი დაცვა ჰყავდა. მის პირად მცველს ყველგან თან დაჰქონდა სპირტით სავსე ფლაკონი, რომლითაც ჩაუშესკუ ხელებს იწმენდდა რაიმე საგნის შეხებისთანავე. რუმინეთის საიდუმლო სამსახურის ყოფილი შეფი იონ პაჩეპა ასე აღწერდა ჩაუშესკუს ვიზიტს აშშ-ში 1978 წელს: **„ჩაუშესკუს ირგვლივ ფაციფუცობდნენ მცველები, რომლებიც იატაკებს, ხალიჩებს, ავეჯს, კარის სახელურებსა და ელექტროჩამრთველებს ანტისეპტიკური ხსნარით ამუშავებდნენ. საძინებელში მისი მსახური და პარიკმახერი ოტელის კუთვნილ თეთრეულს მისი პირადი თეთრეულით ცვლიდნენ, რომელიც ბუქარესტიდან დაბეჭდილი ჩემოდნებით ჩამოიტანეს. სასტუმრო ოთახი საუთოებელ ოთახად გადაიქცა, რადგან ჩაუშესკუს ქვედა საცვლებსა და ხელსახოცებს, რომლებიც რუმინეთიდან ჰერმეტულად დახურული პლასტიკატის ტომრებით ჩამოიტანეს, ხელახლა აუთოებდნენ, რათა ყველა მიკრობი გაენადგურებინათ..."**

**ჩაუშესკუსთვის გათვალისწინებულ საკვებს საწამლავის, ბაქტერიებისა და რადიოაქტიური ნივთიერების შემცველობაზე მისი პირადი ინჟინერ-ქიმიკოსი, მაიორი პოპა ამოწმებდა,** რომელიც პრეზიდენტს მუდამ თან ახლდა პორტატიული ლაბორატორიით.

მაგრამ უსაფრთხოების აღნიშნული ზომები სრულებით უაზრო გამოდგა, როცა ხალხი აჯანყდა. 1989 წლის 16 დეკემბერს მღელვარებები დაიწყო ტიმიშოარში, რის მიზეზიც დისიდენტი პასტორის — ლასლო ტეკიოშის ბინიდან გამოძევება იქცა. უნგრელ ტაკიოშს ბრალად ედებოდა ნაციონალური შუღლის გაღვივება და სახელმწიფო ინტერესების საწინააღმდეგო მოქმედება, რადგან უცხო ქვეყნებს ინფორმაციებს გადასცემდა რუმინეთში ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების შესახებ. მრევლმა პასტორს მხარი დაუჭირა და მოკლე ხანში მომიტინგეთა რიცხვმა რამდენიმე ათას კაცს მიაღწია. ამ ეტაპზე მღელვარების პირვანდელი საბაბი დავიწყებას მიეცა და ანტიკომუნისტურმა და ანტისახელმწიფოებრივმა ლოზუნგებმა იმრავლა. სამართალდამცავი ორგანოების მიერ განხორციელებულ რეპრესიულ აქციებს კომუნისტურ პარტიაზე თავდასხმები მოჰყვა.

1989 წლის 18 დეკემბრის დილას ჩაუშესკუ ირანში ვიზიტით გაემგზავრა, მაგრამ ოთხშაბათს იძულებული გახდა, უკან დაბრუნებულიყო — რუმინეთში მისი დიქტატორული რეჟიმის საწინააღმდეგო რევოლუცია დაიწყო. ძალაუფლება ნაციონალური ხსნის ფრონტის ხელში გადავიდა, ხოლო ჩაუშესკუ ცოლთან, ელენასთან ერთად ბუქარესტიდან შვეულმფრენით გაიქცა. შემდეგ კი „სეკურიტატეს" (საიდუმლო პოლიციის) ორ თანამშრომელთან ერთად რომელიღაც მუშის ავტომანქანაში ჩაჯდა და მძღოლი აიძულა, თავშესაფრის მოძებნაში დახმარებოდა. **ნიკოლაე ზოგჯერ ცრემლებს ვერ იკავებდა, სამაგიეროდ, პირგამეხებული ელენა პისტოლეტის მუქარით მუშას მისი ბრძანებების შესრულებას აიძულებდა. ბოლოს და ბოლოს, ცოლ-ქმარმა თავი შეაფარა ერთ-ერთ კერძო სახლს, რომლის მეპატრონეებმაც კარი ჩაუკეტეს და ჯარისკაცებს გამოუძახეს.**

დაპატიმრებული ცოლ-ქმარი სამხედრო პოლიციის განყოფილების საკანში გაამწესეს, სადაც მათ განაჩენის მოლოდინში სამი დღე-ღამე დაჰყვეს. ზოგიერთები ღია სასამართლოს მომხრენი იყვნენ, მაგრამ არმიის უმაღლესი სარდლობა ჩქარობდა: „ყაზარმებს „სეკურიტატეს" აგენტები უტევენ, ისინი წინააღმდეგობას მხოლოდ ჩაუშესკუს სიკვდილის შემდეგ შეწყვეტენ."

**სამხედრო ტრიბუნალის სხდომა სულ 2 საათს გაგრძელდა**, უფრო იმის გამო, რომ ყოფილი დიქტატორის სასიკვდილო განაჩენის აუცილებელი ფორმალობა დაცული ყოფილიყო. **ნიკოლაე და ელენა ჩაუშესკუებს გენოციდის ბრალდება წაუყენეს..** ბრალდებულებმა ასეთი სასამართლოს კანონიერება არ ცნეს. სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარე ჯორჯიცა პოპა ამბობდა, რომ ექსმეთაური და მისი მეუღლე იმ მომენტში ისეთივე ბრიყვები იყვნენ, როგორც ყოველთვის: **„ელენამ ათჯერ მაინც მკითხა, სიტყვა „გენოციდი" რას ნიშნავს"...**

სხდომის მიმდინარეობისას ელენა დროდადრო ქმრისკენ იხრებოდა და რაღაცას ეჩურჩულებოდა. დასმული შეკითხვების უმრავლესობას წყვილმა არ უპასუხა. სასამართლომ ორივეს დახვრეტის განაჩენი გამოუტანა.

25 დეკემბერს დღის ოთხ საათზე ჩაუშესკუ და მისი ცოლი ჯარისკაცების ყაზარმის ეზოში გაიყვანეს. წვერმოშვებულ და პირქუშ ნიკოლაე ჩაუშესკუს სახეზე წამით შიში აღებეჭდა, ხოლო **განაჩენის აღსრულების ადგილისკენ მიმავალმა ელენამ ჯარისკაცს ჰკითხა: „რატომ გვექცევით ასე? მე ხომ მუდამ დედობას გიწევდით." ჯარისკაცმა მშრალად მიუგო: „რა დედა ხარ, თუკი დედებს გვიხოცავდი?"**.

ჩაუშესკუს დახვრეტის მოწადინე 100 მოხალისიდან მხოლოდ ოთხი შეირჩა — ოფიცერი და სამი ჯარისკაცი. ისინი ჩამწკრივდნენ და ცოლ-ქმარი მიზანში ამოიღეს. **ჩაუშესკუმ დაიყვირა: „მე არ დამიმსახურებია..." მაგრამ ამ დროს იარაღმაც დაიქუხა**.

სავარაუდოდ, დიქტატორისა და მისი მეუღლის გვამები ტირგოვიშტეს მახლობლად უსახელო სამარეში დამარხეს. ამერიკელი ექსპერტების თქმით, შესაძლოა **ცოლ-ქმარი სასამართლომდე ოთხიოდე საათით ადრე დახვრიტეს. ფრანგული გაზეთების ვერსიით კი, ჩაუშესკუს წამებისას გული გაუსკდა, ხოლო წამების მიზეზად შესაძლოა შვეიცარიის ბანკებში ანგარიშთა ნომრები იქცა, რომლებზეც 400 მლნ დოლარი ინახებოდა**.

სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარემ, გენერალ-მაიორმა ჯორჯიცა პოპამ, რომელმაც დიქტატორი და მისი მეუღლე გაასამართლა, 1990 წლის 1 მარტს სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

**ჩაუშესკუს დახვრეტიდან 10 წლის შემდეგ, მოსახლეობამ, რომელიც ახალ რეჟიმს ვერაფრით შეეგუა, 6 დეკემბერს, წმინდა ნიკოლოზის დღეს, ნიკოლაე ჩაუშესკუსა და მისი ვაჟის ნიკუს საფლავებზე ცოცხალი ყვავილები მიიტანა**. იქვე, დიქტატორის სამარის მახლობლად, დაკრძალული არიან რევოლუციის გმირები და მისი მოწინააღმდეგენიც, რომლებსაც ხალხმა ტერორისტები უწოდა.

მოგვიანებით, რუმინეთის სპეცსამსახურების არქივებში აღმოჩდა სენსაციური დოკუმენტები, გრიფით „საიდუმლო", რომლებიც დეტალურ ინფორმაციას შეიცავენ მსოფლიო ტერორიზმის ლიდერებთან ჩაუშესკუს კავშირების შესახებ. არქივებში აღმოჩენილი დოკუმენტები ამტკიცებენ, რომ 80-იან წლებში ჩაუშესკუ და მისი თანაგუნდელები სახელგანთქმულ ტერორისტს — ტურა კარლოსს აფინანსებდნენ. XX საუკუნის ყველაზე ცნობილი ტერორისტი (ნამდვილი სახელი ილიჩ რამირეს სანჩესი) ჩაუშესკუს მეგობარი ყოფილა და მისი უშუალო ბრძანებით არაერთი მკვლელობა ჩაუდენია...

სამაგიეროდ, ახლა რუმინელები ჩაუშესკუს მისტირიან და მაშინდელ მოვლენებსაც სხვაგვარად აფასებენ. მოსახლეობის 57,6 პროცენტის აზრით, დიქტატორის ოჯახი არ უნდა დაეხვრიტათ. თითქმის ყველა მოქალაქე აღიარებს, რომ ამ აქციამ დასავლეთში მკვეთრად შეასუსტა ენთუზიაზმი რუმინეთის რევოლუციისადმი და ქვეყნის ახალი მმართველებისადმი ნდობაც შეარყია. პროცესს, რომლის შედეგადაც საგანგებო სამხედრო ტრიბუნალმა ტირანს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა, დღეს ბევრი რუმინელი ინსცენირებას ანდა პაროდიას უწოდებს. ბევრი კი მიიჩნევს, რომ რევოლუციამ სწორედ ჩაუშესკუს გასანადგურებლად იფეთქა.





ნიკოლაე და ელენა

მოამზადა
ნანა ჩარკვიანმა

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## მამა გიორგი სხირტლაძე:

# კათოლიციზმსა და მართლმადიდებლობას შორის მთავარი განსხვავება დოგმატებიდან მოდის

**საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის ქრისტიანობაში ყველა მიმდინარეობა — იქნება ეს კათოლიციზმი, პროტესტანტობა თუ სხვა სექტანტური სწავლება — უფალ იესოს უკავშირდება და მათ შორის დიდ განსხვავებას ვერ ხედავს. არადა, სულის გადარჩენისთვის საჭიროა ვიცოდეთ, რომელია ღვთივგამოცხადებული და გაუმრუდებელი სწავლება, რომელიც წმიდა წერილსა და წმიდა გარდამოცემას ეყრდნობა. ამ წერილში კათოლიციზმზე ვისაუბრებთ. ჩვენი სტუმარია იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის დეკანოზი მამა გიორგი სხირტლაძე.**



**— რომელ საუკუნეში გამოეყო კათოლიციზმი მართლმადიდებლობას და რა გახდა ამისი მიზეზი?**

— არსებობს ღვთივგამოცხადებული რელიგია და ადამიანური მოძღვრებები. ღვთივგამოცხადებული მოძღვრება მართლმადიდებელი სარწმუნოებაა, რომელიც ადამიანთათვის არის მოცემული არა წმინდანისაგან, გმირისაგან ან წინასწარმეტყველისაგან, არამედ თვით უფალი ღმერთისაგან, იესო ქრისტესგან. თქვენ კარგად იცით, რომ მართლმადიდებლობა, წმიდა ღვთივგამოცხადებული მოძღვრება საღვთო გამოცხადებას წარმოადგენს, რომელიც შედგება წმიდა წერილისაგან და წმიდა გარდამოცემისაგან, ამიტომ საღმრთო გარდამოცემაში, რომელიც წმიდა წერილსა და წმიდა გარდამოცემაშია მოცემული, დაცემული ადამიანური გონებით, ყოველგვარი ცვლილებების შეტანა დაუშვებელია.

**საუკუნეების განმავლობაში არა ერთხელ იყო მწვალებლობები, ცთომილებები, რომლებიც შვიდმა მსოფლიო საეკლესიო კრებამ ერთხელ და სამუდამოდ დაგმო და დაადგინა ის საღვთო ჭეშმარიტებები, დოგმები, მსოფლმხედველობა, მსოფლშეგრძნება, რომელიც მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის არათუ სასურველი, არამედ სავალდებულოა. ყოველგვარი აცილება იმ მოძღვრებისაგან, რომელსაც შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრება ცნობს, მწვალებლობად და განხეთქილების საბაბად აღიქმება.**

სამწუხაროდ, 1054 წელს მოხდა განხეთქილება და კათოლიციზმი მართლმადიდებლობას გამოეყო. შემდეგ თავად კათოლიციზმიდან წამოვიდა პროტესტანტული მიმდინარეობები, რომლებსაც ქრისტიანობასთან არაფერი აქვს საერთო და კაცმა შეიძლება არც იცოდეს, საიდან გადმოვიდა ისინი.

**— მამაო, კათოლიკურ დოგმებზე რას გვეტყვით?**

— კათოლიციზმსა და მართლმადიდებლობას შორის მთავარი განსხვავება დოგმატებიდან მოდის, თუმცა ასევე არსებობს რიტუალური, სულიერი და მენტალური განსხვავებები. დოგმატური ცვლილებებისა და მწვალებლური გამრუდებების შედეგია ცხოვრებისეული და ფსიქოლოგიური განსხვავებები. კათოლიციზმის პირველი მახასიათებელია „ფილიოკვე“. „ფილიოკვე“ ლათინურია და ნიშნავს „და ძისაგანაც“. მე-4 საუკუნეში პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების მიერ მიღებულ მრწამსს, რომელიც ნიკეიკონსტანტინოპოლის სიმბოლოს წარმოადგენს და რომელსაც ასე ვამბობთ: **„მრწამს ერთი ღმერთი მამა ყოვლის მპყრობელი ... და სული წმიდა, რომელი მამისაგან გამოვალს“**, მათ დაამატეს **„და ძისაგანაც“**, ე.ი. ყოვლადწმიდა სამების დოგმაში ადამიანური ცვლილება შეიტანეს, რაც წმიდა წერილით ყოვლად დაუშვებელია; ანუ სულიწმიდა არა მარტო მამისაგან გამოვალს, რომელიც ჭეშმარიტად მამისაგან გამოვალს, არამედ — ძისაგანაც. ჯერ ერთი, ეს წმიდა წერილსა და წმიდა გარდამოცემას ეწინააღმდეგება; მეორეც, ყოვლადწმიდა სამების დოგმას აუბრალოებს, რადგანაც სამივე ჰიპოსტასს ერთმანეთს უიგივებს. თუ სულიწმიდა მამისაგანაც გამოვალს და ძისაგანაც, ე.ი. სამივე ჰიპოსტასი ერთმანეთის იდენტური ხდება და საღვთო გარდამოცემა, გამოცხადება ღარიბდება და კნინდება, რაც დაუშვებელია.

მართლმადიდებლობასა და კათოლიციზმს შორის შემდეგი განმასხვავებელი ნიშანი ღვთისმშობლის უბიწოდ ჩასახვაა. ღვთისმშობელს უბიწოდ ჩაესახა უფალი და ქრისტე არის ძე ღვთისა, ის ლოგოსი, ის ბრძნული სიტყვა, რომელმაც ხორცი შეისხა; მაგრამ, **კათოლიკური დოქტრინის თანახმად, ღვთისმშობელზე ადამისა და ევას პირველქმნილი ცოდვა არ გადმოსულა. ეს დოგმატური შეცდომაა, რადგან მხოლოდ და მხოლოდ ქრისტე არის ახალი ადამი, რომელსაც არ აქვს ცოდვა.** თქვენ იცით, რომ, რაც ვერ შეძლო პირველმა ადამმა, შეძლო მეორე ადამმა და პირველქმნილი ცოდვისაგან სისხლიანი მსხვერპლით გამოისყიდა ადამიანები. ღვთისმშობელზე პირველქმნილი ადამისა და ევას ცოდვა რომ არ არის (მას პირადი ცოდვები, რა თქმა უნდა, არ აქვს), ეს მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ უარიყოფება.

უბიწოდ ჩაისახა ქრისტე, უბიწოობასა და ღვთისმშობლის მარადიულ ქალწულობას, როგორც დოგმატს, აღიარებს მართლმადიდებლური ეკლესია. ღვთისმშობელი ქალწული იყო შობამდე, შობის დროს და შობის შემდეგაც. მართლმადიდებელ სარწმუნოებასა და კათოლიციზმს შორის, სხეულებრივად ამაღლებული ღვთისმშობლის თაყვანისცემაშიც არის განსხვავება.

კათოლიკური სწავლების თანახმად, განსაწმენდელი, პურგატორიე არის ის ადგილი, სადაც გარდაცვლილთა სულები ამ ცხოვრებაში მოუნანიებელი ცოდვებისგან იწმინდებიან, ანუ ნარჩენ ცოდვებს ინანიებენ. დოგმატი განსაწმედელის, ანუ პურგატორიუმის შესახებ მიღებული იყო 1439 წელს და 1562 წელს დაამტკიცეს. დანტე ალიგიერის ღვთაებრივ კომედიაში ამ დოქტრინის არსია გადმოცემული.

**— განსაწმენდელი გარდამავალი ეტაპია სამოთხესა და ჯოჯოხეთს შორის?**

— რაღაც გარდამავალი ეტაპია, როცა ადამიანი იმ ცოდვებს ინანიებს, რომელთა მიტევებაც აქ ვერ ეღირსა და გარკვეულ გამწმენდელ პროცესს გადის იმისათვის, რომ ღვთისაგან მიიღოს კურთხევა და სასუფეველში შევიდეს. შეიძლება ითქვას, ეს ვირტუალური ადგილია, სადაც კათოლიციზმის წარმოდგენით, ადამიანი იმას გადის, რაც აქ მიწაზე უნდა გაიაროს — მონანიება, სინანული და განწმენდა მხოლოდ აქ — მიწაზე არსებობს.

**რაოდენ პარადოქსალურად არ უნდა მოგვეჩვენოს, გასაკვირი ის კი არაა, რომ ადამიანი სამოთხეში ან ჯოჯოხეთში შეიძლება მოხვდეს, გასაოცარი ისაა, რომ ადამიანმა იცის სამოთხისა და ჯოჯოხეთის არსებობა, მაგრამ შიში არ აქვს და არ ნანობს ცოდვებს.** ზოგიერთ ქრისტიანს, ნეოგნოსტიციზმისა და ნეოეზოთერიზმის წარმომადგენლებს, როგორებიც არიან ანტროფოსოფები, თეოსოფები და სხვები (გარდა ქრისტიანული მოძღვრებისა, მათ „შესანიშნავად“ შეიწოვეს ეზოთერული მოძღვრებები აღმოსავლურ-დასავლური გნოსტიციზმისა და აღმოსავლური ეზოთერიზმ-ოკულტიზმისაგან), ჰგონიათ, რომ არსებობს ინკარნაციები, გარდასახვები, მილიონჯერ ვიბადებით და ვკვდებით, მიზეზ-შედეგობრიობის ბრმა კარმისეული მოქმედებების ქვეშ ვიმყოფებით.

თუნდაც ბუდისტების თანახმად, მილიონი ცხოვრება და ინკარნაცია რომ არსებობდეს, რაც დიდი ხანია, დაგმობილ იქნა ორიგენიზმის სახით მე-5 მსოფლიო საეკლესიო კრებაზე, რა თქმა უნდა, რაც ამ ცხოვრებაში გვევალება, ის უნდა გავაკეთოთ. თითქოს ერთხელ ვცხოვრობთ.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ აქ, მიწაზე გვევალება განწმენდა, ცხონება და რწმენა. არავითარი გარდამავალი ეტაპები არ არსებობს. სანამ ხორცი და სისხლი გვასხია, სანამ მიწიერ რეალობაში ვიმყოფებით, მანამ უნდა მოვინანიოთ, აქ, სადაც უფალი ჩვენი — იესო ქრისტე მოვიდა და ქრისტეს სისხლისა და ხორცის სახით ზიარების ხილული საიდუმლო მოგვცა.

**წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენი მცდარი წარმოდგენები გარკვეულ ადგილებზე, რომელიც, უხეშად რომ ვთქვათ, სამოთხესა და ჯოჯოხეთს შორის გარდამავალ ეტაპად იმყოფება, საკმაოდ დაშორებულია რეალობას.**

სერიოზული განსხვავებაა დოგმატი რომის პაპის უცდომელობის შესახებ. რომის პაპი აღიქმება როგორც მიწაზე ქრისტეს ნაცვალი, პეტრე მოციქულის მესაყდრე, ცეზარი პაპი, ანუ ადამიანი, რომელსაც რომც უნდოდეს რაიმე შეცდომის დაშვება, არ შეუძლია. იგი უცდომელია. უცდომელი და უცოდველი მარტო ღმერთია, ამიტომ ადამიანის ამ დონეზე დაყენება, რბილად რომ ვთქვათ, მართლმადიდებლებში გაკვირვებასა და შეშფოთებას იწვევს.

განსხვავებაა ისიც, რომ კათოლიციზმში ყოველი მოძღვარი ცელიბატის, ანუ უქორწინებლობის აღთქმას დებს. ამან დედამიწის სამხრეთ ქვეყნების სამღვდელოების პროტესტი გამოიწვია, რადგან ოჯახის ყოლა სურდათ და ამის უფლება არ მისცეს. გარკვეული განსხვავებაა ბერული ორდენების სახით. კათოლიციზმში ორდენების ინსტიტუტი არსებობს. გახსოვთ, ალბათ, თუნდაც ტემპლიერების ორდენი.

**— ყველასთვის კარგად ცნობილია იეზუიტების ორდენი...**

— იეზუიტების ორდენი უკვე გვიან იყო, იგნაციუს ლოიოლას მიერ დაარსებული. ის საკმაოდ წარმატებით განვითარდა, მაგრამ შემდეგ დაიხურა. ჩვენში ერთი ეკლესია და ერთი სამონასტრო-ბერული ცხოვრებაა. მონასტრები ამა თუ იმ წმინდანის ან ღვთისმშობლის, ან საღვთო დღესასწაულის სახელზეა აშენებული, მაგრამ ის, რომ ორდენებად დაიყოს მონასტრები, მართლმადიდებლური სულიერებისთვის უცხოა. უამრავი რიტუალური განსხვავებაა, არსებობს ზიარების დროს განსხვავება. მორწმუნეებს მხოლოდ უფლის ხორცით აზიარებენ. ჩვენ მორწმუნეებს სისხლით და ხორცით ვაზიარებთ. მირონცხებას მხოლოდ და მხოლოდ ეპისკოპოსი ასრულებს.

**— ინკვიზიცია, ალბათ, ყველაზე შავი წერტილია კათოლიციზმის ისტორიაში, ამის შესახებ რას გვეტყვით?**

— ინკვიზიცია უკვე განვლილი ეტაპია. ეს თვითონ რომის პაპმაც კი მოინანია, რადგან ამას უამრავი ხალხი ემსხვერპლა. გაიხსენეთ გენრიხ ინსტიტორისა და შპენგლერის წიგნი „კუდიანთა საფქვავი“, რომელიც იურიდიული დოკუმენტია, რომელშიც აღწერილია ინკვიზიციის მიერ იმ ადამიანების დაკითხვები და მათი წამების ფორმები, რომლებიც ჯადოქრობაში და მწვალებლობაში იყვნენ მხილებულნი.

ევროპაში ათი ათასობით ადამიანი ემსხვერპლა ინკვიზიციას. ეს კათოლიციზმმა მოინანია, მაგრამ შავ ლაქად მაინც დარჩა. გავიხსენოთ ბრძოლა მეცნიერებისა და ხელოვნების წინააღმდეგ, რომელსაც უკავშირდება სამყაროს გეოცენტრული ხედვა, დაწყებული გალილეო გალილეიდან (გალილეო გალილეი გადაურჩა ინკვიზიციას, რადგან რომის პაპი მისი კლასელი იყო. მას მხოლოდ შინაპატიმრობა მიუსაჯეს და იქიდან ავრცელებდა თავის წიგნებს) და ჯორდანო ბრუნოთი დამთავრებული.

**მეცნიერულ მსოფლმხედველობაში მცდარი ჩარევები, ესეც განასხვავებს კათოლიციზმს მართლმადიდებლობისგან. რა თქმა უნდა, ახლა უკვე გვიანია ამაზე ფიქრი, მაგრამ თავის დროზე საკმაოდ უარყოფითი შედეგი გამოიღო, რადგან ნებისმიერ მეცნიერულ აღმოჩენას მწვალებლობას ან ჯადოქრობას მიაწერდნენ ხოლმე.**

მართლმადიდებლობაში არ იყო ასეთი წინააღმდეგობა მეცნიერებისა და განათლებისადმი. **ჩვენთან არ იყო ასეთი გამძაფრებული დევნა კუდიანებისა ე. წ. კუდიანებზე ნადირობა, რომელმაც მილიონობით ადამიანი შეიწირა. ჩვენთან არავის არასდროს არ წვავდნენ, არ აწამებდნენ.**

ეს მცირე ფსიქოლოგიურრელიგიური ანალიზია. მის უკან კი ძალიან დიდი დოქტრინალურ-სულიერი განსხვავებები დგას.

**— მამაო, გამრუდებული სწავლების გამო სექტანტები მწვალებლებად ითვლებიან, შეიძლება თუ არა, რომ მცდარი დოგმატების გამო კათოლიკები მწვალებლებად მოვიაზროთ?**

— გარდა მართლმადიდებელი სარწმუნოებისა, დაუზიანებელი, პირველქმნილი, ღვთივგამოცხადებული, შეურყვნელი და გაუმრუდებელი სარწმუნოება ჩვენთვის არაა ცნობილი. გარდა უფალი ჩვენი იესო ქრისტესი და ყოვლადწმიდა სამებისა, რომელშიც მამა უშობელია, ძე შობილი და სულიწმიდა მამისაგან გამოვალს, ჩვენთვის სხვა ღმერთი უცნობია.

აქედან გამომდინარე, უნდა გავაკეთოთ დასკვნა. **რა თქმა უნდა სხვა დენომინაციები, სხვა მიმართულებები, რომლებიც გამოეყო მართლმადიდებლობას მწვალებლობად და ჭეშმარიტებისგან ცდომილებად უნდა იქნას განხილული.**

თქვენ იცით, რომ არსებობს სარკე, რომელიც რეალობას ადეკვატურად ირეკლავს და არის გამრუდებული სარკე, რომელიც ირეკლავს, მაგრამ რეალობას არ ასახავს. რაც შეეხება სექტებს — ეს უკვე სხვა თემაა. **დღევანდელი სექტები გამეორებაა, გადამღერება ძველი მწვალებლობისა, სექტების მამა-დამაარსებლების პირად სიზმრებსა და ჩვენებებზე დამყარებული. ეს სექტები ახალს არაფერს ქადაგებენ. ისინი შვიდმა საეკლესიო კრებამ, დიდი ხანია, დაგმო, ანათემას გადასცა და შეაჩვენა. დღეს სექტები უფრო შოუბიზნესის, ბიზნესგურუებისა და ბიზნესმოძღვრების ხასიათს ატარებს, რომლებიც იდეოლოგიურ იმპერიებს წარმოადგენენ, რადგან უზარმაზარ თანხებს ფლობენ; ცხადი თუ ფარული გავლენით ინფორმაციულ პროდუქციას აწვდიან მსოფლიოს, რომელიც სულიერ ინტოქსიკაციას იწვევს.** როგორც ყველაფრის ჭამა არ შეიძლება, ასევე ყველაფრის წაკითხვა და დამახსოვრება არ შეიძლება. ისიც საკმაოდ მძიმე შედეგებს იძლევა, თუკი საჭმლით ადამიანში ინფექციის შეტანა შეიძლება, წარმოიდგინეთ, ინფორმაციულ ინფექციას როგორი დესტრუქციის გამოწვევა შეუძლია. ის ფსიქიურ აშლილობას, ნერვოზს, დეპრესიას, შეპყრობილობასა და ეშმაკეულობას იწვევს.

სექტები ლოკალური და აგრესიული ტვინის გამორეცხვის მექანიზმითა და ადამიანის ნების უშუალო მარიონეტიზაციით არიან აღნიშნულნი. ესენი არიან უახლოესი და უპირველესი იარაღები შავი ძალებისა, რომლებიც ადამიანის გამხეცებას, პიროვნების ამოშლას, მისთვის ახალი სახელის მინიჭებას, ანუ დეპერსონალიზაციას ცდილობენ.

**ადამიანის დეპერსონალიზაციისა და გამხეცების შექმნის ერთადერთი წინააღმდეგი არის მართლმადიდებელი ეკლესია, რომლის წინააღმდეგაც ყველაზე მძვინვარე ბრძოლა მიდიოდა.** მე-4 საუკუნეში არ ყოლია ქრისტიანობას იმდენი წამებული, რაც მე-20 საუკუნის დასაწყისში.

**— კათოლიციზმში ბოლო პერიოდში მძლავრობს ისეთი მომაკვდინებელი ცოდვა, როგორიც პედოფილიაა, 100 მოძღვარი ამხილეს. თუ შეგიძლიათ ახსნათ ამის მიზეზი?**

— ალბათ, ეს ცოდვა, ადრე თუ გვიან, იმ საზოგადოების მიერ, სადაც ეს აღმოცენდა, დაგმობილი იქნება. მას რელიგიურ დოგმებთან კავშირი არ აქვს, ეს პიროვნული ამორალიზმია. **ადამიანი, რომელიც ღვთის მცნებებს ვერ აცნობიერებს, მისთვის უცხოა ყოველგვარი მორალი.** ის, უბრალოდ, ბნელ ინსტიქტებსა და ვნებებს არის მიცემული; გამომდინარე აქედან, ნებისმიერი ცოდვა საზოგადოებაში რელიგიური კი არა, მორალური, ეთიკური და კრიმინალური პრობლემაა, რომლებიც უნდა აღმოფხვრას იმ სტრუქტურებმა, რომლებსაც ეხება.

ესაუბრა
**ნათია ქადაგიშვილი**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# მშობიარე ქალისთვის სერიოზული სტიმულია მეუღლის მხარდაჭერა



**ორსულობა განსაკუთრებული მდგომარეობაა, რომლის დროსაც ვალდებული ხართ, იზრუნოთ არა მარტო თქვენი, არამედ თქვენი მომავალი შვილის ჯანმრთელობაზეც. სწორედ ამ დროს დგებით არჩევანის წინაშე, ვის ანდოთ ეს მნიშვნელოვანი მომენტი თქვენი ცხოვრებისა. „ბიბიდა“ სწორედ ის კლინიკაა, სადაც მშვიდად შეგიძლიათ იყოთ, რადგან იქ პროფესიონალები მუშაობენ. ვესაუბრებით კლინიკა „ბიბიდას“ სამეანო-გინეკოლოგიური განყოფილების გამგეს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, ბატონ დავით დავარაშვილს.**



— კლინიკა მრავალპროფილიანი საავადმყოფოს ბაზაზე ფუნქციონირებს, რაც პერსონალს საშუალებას აძლევს დროულად და მიზანმიმართულად ჩაატაროს ნებისმიერი სახის გამოკვლევა და, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სპეციალისტების კონსულტაციები (ნევროლოგის, კარდიოლოგის, ქირურგის, ენდოკრინოლოგის, ოფთალმოლოგის, სტომატოლოგისა და სხვ.).

მომავალი ბავშვის სრულფასოვნების გარანტიას იძლევა სპეციალური გამოკვლევები, რომლებიც უშუალოდ ამ კლინიკის ბაზაზე ტარდება.

**— კერძოდ, რომელ კვლევებს გულისხმობთ?**

**— 1. გენეტიკური კონსულტაცია; 2. ამნიოცენტეზი; 3. ქორდოცენტეზი; 4. ქორიონის ბიოპსია გენეტიკური პაისლოგის გამოსაკვლევად; 5. რეზუსკონფლიქტის მკურნალობა ორსულობისას; 6. დოპლეროგრაფია; 7. ნაყოფის კარდიოტოკოგრაფია; 8. ექოსკოპია; 9; ქრონიკული და მწვავე ინფექციური დაავადებების დიაგნოსტიკა და მკურნალობა თანამედროვე მეთოდებით;**

**— ამბობენ, რომ ბოლო წლებში მშობიარეთა რიცხვმა მოიმატა. ეს მართლაც ასეა?**

— ბოლო წლებში მშობიარობამ მართლაც მოიმატა, სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ მოიმატა მესამე-მეოთხე მშობიარობის ხარჯზე, რაც დემოგრაფიულ პრობლემაზე დადებითად აისახება. გარკვეული წლების წინ იგრძნობოდა ამ პროცესის შენელება, დღეს მდგომარეობა გაუმჯობესდა.

**— სადაზღვევო კომპანიებთან თუ თანამშრომლობთ?**

— სადაზღვევო კომპანიებთან გვაქვს ურთიერთობა, ზოგიერთი მათგანი ასი პროცენტითაც აზღვევს მოქალაქეს, ვართ პროვაიდერები; ასე რომ, ასეთ კომპანიებთან ჩვენ ვთანამშრომლობთ.

**— დაბადებისთანავე ბავშვის წონას დღეს არ ამბობენ სამშობიაროებში, ზოგჯერ ეს გაურკვევლობას ქმნის...**

— დიახ, ეს ფაქტობრივად ყველგან ასეა. საქმე ისაა, რომ დაბადებიდან პირველ საათებში ჩვილი ტემპერატურას, წონას, სითხეს კარგავს, ამიტომ მისი წონა უფრო რეალური მშობიარობიდან ორი საათის შემდეგაა. ეს არის და ეს. გაიდლაინია ასეთი, რომ ახალდაბადებული აიწონოს დაბადებიდან 2 საათის შემდეგ, მთელი ეს პერიოდი კი ის წევს დედის მუცელზე, თუ რაიმე პრობლემა არ არსებობს, ამით ის სხეულის ტემპერატურას ინარჩუნებს, დედასა და შვილს შორის კონტაქტი არ ირღვევა და ის ადაპტაციას უფრო იოლად ახერხებს შემდგომში.

**— წლების წინ ერთგვარ „მოდად“ იქცა „საკეისრო“ კვეთით მშობიარობა, ამით თითქოს ტრავმას იცილებდნენ თავიდან, ასევე, აზღვევდნენ ჩვილის ჯანმრთელობას, რამდენად სწორი იყო ეს მიდგომა ან დღეს როგორ გრძელდება, ბევრია ამის მსურველი?**

— საკეისრო კვეთის სურვილით დღესაც მოგვმართავენ, თუმცა ხშირად არ ფიქრობენ, რომ ეს საკმაოდ სერიოზული ოპერაციაა, რომელსაც გართულებები შეიძლება მოჰყვეს. გართულებები ათჯერ უფრო მეტია ამ შემთხვევაში, ვიდრე ფიზიოლოგიური მშობიარობისას; მათი ეს თხოვნა, ძირითადად, მაინც იმით არის გამოწვეული, რომ ქალბატონები ფსიქოლოგიურად არ არიან მომზადებული მშობიარობისთვის. ვფიქრობ, ისინი ვიდრე დედობას გადაწყვეტენ, უნდა მოემზადონ (არსებობს სპეციალური სკოლებიც ამისათვის) და შემდეგ გადაწყვიტონ, მშობიარობის რომელ გზას აირჩევენ.

**— ორსულთა ფსიქოპროფილაქტიკური სკოლა „ბიბიდაშიც“ არსებობს?**

— დიახ, ჩვენს სამშობიაროს აქვს ორსულთა ფსიქოპროფილაქტიკური სკოლა, სადაც მომავალი დედები მეან-გინეკოლოგებს და ფსიქოლოგებს ხვდებიან, რომლებიც პასუხს სცემენ მშობიარობასთან დაკავშირებულ ორსულთათვის საინტერესო ნებისმიერ კითხვას, ასევე, შეასწავლიან მათ სპეციალურ ვარჯიშებს. გარწმუნებთ, ორსულთა ფსიქოპროფილაქტიკური მომზადება ფიზიოლოგიური მშობიარობის გარანტიას იძლევა და მნიშვნელოვნად ამცირებს სამშობიარო ტკივილს. ასეთ მეცადინეობებზე სასურველია მომავალი მამების დასწრებაც, მეუღლის მხარდაჭერა სერიოზული სტიმულია მშობიარე ქალისთვის.

**— თუმცა განსაკუთრებით „მშიშარა“ ორსულებისთვის კლინიკაში გაუტკივარების თანამედროვე მეთოდებიც გაქვთ დანერგილი...**

— კლინიკაში არსებობს რეგიონალური, ანუ პერიდურალური ანესთეზიის მეთოდით მშობიარობის გაუტკივარება, ასევე, მედიკამენტოზური მეთოდი — კომპლექსური მეთოდი — გაუტკივარების საშუალებების შეყვანა კუნთებსა და ვენებში, ინჰალაციური — აზოტის ქვეჟანგი (ნიღბის მეშვეობით) გაუტკივარება, და ელექტროანალგეზია.

ყველა ეს მეთოდი ფართოდ გამოიყენება მთელ მსოფლიოში და აბსოლუტურად უსაფრთხოა დედისა და ჩვილის ჯანმრთელობისთვის. მინდა ხაზი გავუსვა, რომ ყველაზე კარგი გაუტკივარება მშობიარისთვის არის მისი ფსიქოლოგიური მომზადება! მან წინასწარ უნდა იცოდეს, რა პროცესები ხდება მშობიარობისას და როგორ დაეხმაროს თავს.

**— თქვენ რომელ გაუტკივარებას ანიჭებთ უპირატესობას და რომელს იყენებთ ხშირად?**

— პერიდურალურ ანესთეზიას.

**— უცხოეთში დღესდღეობით „მოდურია“ წყალში მშობიარობა, ამის გამოცდილება ჩვენში არ არის, მაგრამ, როგორც სპეციალისტი, როგორ ფიქრობთ, ეს მეთოდი მისაღებია?**

— ეს მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ ფიზიოლოგიური მშობიარობისას, მაგრამ, თუ მშობიარობისას რაიმე პრობლემა არსებობს, ამ დროს ის არ გამოდგება, ამიტომ ამ მეთოდს თავისი ნიუანსები აქვს.

**— ორმოცი წლის ასაკის ზევით მშობიარობაზე რას ფიქრობთ, ევროპაში არსებობს ასეთი მოსაზრება, რომ ამ ასაკში მშობიარობა აახალგაზრდავებს ქალს...**

— მშობიარობის ასაკმა ჩვენთანაც გადაიწია, ბევრია პირველი მშობიარობა 30 წლის შემდეგ, ეს გამოწვეულია ფაქტობრივად იმ ტენდენციის გამო, რომ ხდება ჯერ კარიერაზე ზრუნვა, შემდეგ კი ოჯახის შექმნა და შვილის გაჩენა. ეს ყველაფერი ქალს ხელს სულაც არ უშლის, პირიქით, როდესაც ის მყარად დგას ფეხზე, რატომაც არ უნდა გააჩინოს შვილი? **საერთოდ, ქალის ორგანიზმმა, თავისი ფუნქცია უნდა შეასრულოს და ერთ-ერთი ამ ფუნქციათაგანი არის შვილის გაჩენა!** ამიტომაც, როდესაც ეს პროცესები ვითარდება, ორგანიზმის ბიოლოგიური რიტმი არ ირღვევა და სხეული ჯანმრთელდება. შემდგომში კი მშობიარობა და ბავშვის მოვლა იმდენად დიდი სტიმულია, რომ ეს მეტ ენერგიას აძლევს ქალს.

**— დღეს ხშირად ფეხმძიმეებს აცვიათ შარვალი, ხომ არ ზღუდავს მათ ეს გარკვეულწილად?**

— ვფიქრობ არა, ორსულობა არ არის დაავადება, ეს არის მდგომარეობა და, თუ ის კომფორტულად იგრძნობს თავს, შეუძლია ეს სამოსი ატაროს.

**— სიახლეები თუ არის დანერგილი თქვენს კლინიკაში?**

— „ბიბიდას“ წარმომადგენლები ხშირად დავდივართ და ვიღებთ მონაწილეობას საერთაშორისო კონგრესებსა თუ კონფერენციებზე იაპონიაში, სამხრეთ აფრიკაში, მალაიზიაში, თურქეთში, ესპანეთში, იტალიაში და ჩვენს გამოცდილებას ვუზიარებთ კოლეგებს. ასევე, მათგან ვიღებთ გამოცდილებას. ამ მხრივ დღეს მნიშვნელოვანია ნაყოფის მდგომარეობის ზუსტი შეფასება და, თუ მას რაიმე პრობლემა აქვს, უნდა მოგვარდეს ბავშვის დაბადებამდე. ამას კი ულტრაბგერითი კვლევის შედეგად დოპლეროგრაფიით (სისხლის მიმოქცევის შესწავლა), სანაყოფო სითხის აღებითა და შემდგომი გამოკვლევით, ულტრაბგერის ქვეშ ინვაზიური მეთოდების გამოყენებით (ამნიოცენტეზი, ამნიოდრენირება, კორდოცენტიზი და სხვ.) ვგებულობთ. ასეთი კვლევები დღეს აუცილებელია თანამედროვე მედიცინისთვის.

სამეანო-გინეკოლოგიურ კლინიკა „ბიბიდაში“ წარმოებს მცირე გინეკოლოგიური ოპერაციები, ტარდება მკურნალობა უშვილობაზე, ქალის სასქესო ორგანოების ანთებით პროცესებზე, ენდოკრინულ დარღვევებზე. ასევე, წარმოებს ყველა მასშტაბის გინეკოლოგიური, აღდგენითი და პლასტიკური ოპერაციები.

ესაუბრა
**ეთერ კასრელიშვილი**



უნივერსალური წყალი „ისიდა“



მათთვის, ვისთვისაც ძვირფასია ჯანმრთელობა

სუფრის წყალი „ისიდა“ აკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო“) მოთხოვნებს. სერტიფიცირებულია და დღიური ნორმის ოდენობით შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ და შეუცვლელ მიკროელემენტებს (J, F, Mn, Ca, K, Mg, Na, Zn).

სასმელად გამოსადეგი არც ერთი სხვა წყალი (არც მდინარის, არც ტბის, არც ჭის და არც წყაროსი) არ შეიცავს ჩამოთვლილ მიკროელემენტებს ერთდროულად და საკმარისი რაოდენობით, ამიტომ მათი ყოველდღიური და ხანგრძლივი გამოყენება ორგანიზმში რომელიმე ელემენტის დეფიციტს იწვევს, შესაბამისად, — ფუნქციონალურ დარღვევებს, რასაც ეწოდება მიკროელემენტოზი. მას მიეკუთვნება ენდემური ჩიყვი, კარიესი, ფსორიაზი, პათოლოგიური სიმსუქნე და სხვ.

„ისიდა“ გამიზნულია ოჯახური მოხმარებისთვის, ისხმება ხელის ტუმბოთი აღჭურვილ 20-ლიტრიან ბალონებში.

მსურველებმა დარეკეთ თბილისში: 899-16-30-21.
890-26-15-15 (ოფისი); რუსთავში: 890-11-50-99; 895-91-24-14.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ფოლადაურის ხეობა

**ჩვენი რუბრიკის ერთგულ მკითხველს ბოდიში უნდა მოვუხადოთ, რომ ხანდახან მარშრუტს ვუმრუდებთ, მაგრამ ზოგჯერ სხვა გამოსავალი არ გვაქვს. ბოლნისის ხევში მოგზაურობა, ბუნებრივია, მისი ცენტრიდან — ფოლადაურის ხეობიდან უნდა დაგვეწყო და ასეც მოვიქეცით, მაგრამ მერე ტალავრის ხეობაში რომ არ შევსულიყავით და გზა პირდაპირ გაგვეგრძელებინა, ტალავრის ძეგლები გვერდზე დაგვრჩებოდა და ველარ მივუბრუნდებოდით. და აი, ახლა ისევ ვუბრუნდებით ფოლადაურის საინტერესო ხეობას.**

## ბოლნისის ხევი


ბერდიკის ციხე

დღევანდელი ბოლნისიდან ისტორიული ბოლნისისაკენ მიმავალ გზას რომ დავადგებით, ერთ მაღალ ბორცვთან (ელიას მთასთან) უნდა ჩავუხვიოთ და ფოლადაურის მარცხენა სანაპიროზე დავეშვათ. ამ მინდორს ქართლისათვის ძალიან დამახასიათებელი სახელწოდება აქვს — **ვანათი.** ძველ ნანგრევს შორიდანვე შენიშნავთ, მაგრამ რას წარმოიდგენთ, რომ იგი V-VI საუკუნეთა ტაძრის ნაშთია.


ვანათი

**ვანათის საყდარი, ადრექრისტიანული ხანისათვის დამახასიათებელი, ტიპიური სამეკლესიანი ტაძარია, რომლის სამივე, ერთმანეთზე მიშენებული დარბაზი დაგრძელებულია და 13 მეტრს აჭარბებს. ტაძარს შესასვლელი სამხრეთიდან აქვს.**

თავდაპირველად თაღედებიანი კარიბჭით სამხრეთ მინაშენში შევდივართ, იქიდან კი ორი კარით — მთავარ დარბაზში.

დღეს სამხრეთ ეკლესიის სამთაღედი საერთოდ აღარ არსებობს, მთავარ ეკლესიაში შესასვლელი ორი კარიდან ერთი მორღვეულია, მეორე კი ლამის ბოლომდეა მიწით ამოვსებული. მიუხედავად ამისა, მაინც ჩანს, რომ მთავარ ეკლესიაში შესასვლელი მეორე კარი პირველ კარზე დაბალი ყოფილა. იგი მთავარი დარბაზიდან ჩრდილოეთ ეკლესიაში გამავალ კარს ეტოლება. სამივე ეკლესიის აფსიდი შიგნიდან ერთნაირი ნალისებრი მოყვანილობისაა, მაგრამ ცენტრალური აფსიდი ეკლესიის მართკუთხედიდან გარეთ გადის და გარედან ხუთწახნაგაა. ქვის თლასა და წყობაზე საუბარი ზედმეტია — იგი უმაღლესი დონისა იქნებოდა გარედანაც, სადაც მხოლოდ კირქვის დუღაბის ბუდეებია შემორჩენილი. შიგნით კედლებს ერთი ქვაც არ აკლია. აქ ერთი საინტერესო და ამოუხსნელი გარემოებაა: თითქოს, სუფთად გათლილი დიდი ლოდები შემოაკლდათო, მთავარი ეკლესიის ჩრდილოეთ კედლის ზედა ნაწილი და დასავლეთ კედლის გარკვეული მონაკვეთი უფრო პატარა და სხვაგვარად გათლილი ქვებითაა აყვანილი...


სამწევრისი


ქვემო ბოლნისი

დადგენა იმისა, ჰქონდა თუ არა რაიმე, თუნდაც მცირეოდენი სამკაული ვანათის ტაძარს, შეუძლებელია. ნატაძრალი აუცილებლად უნდა გაითხაროს და სიმაღლე დაუბრუნდეს...

ვანათის ეკლესიის იდენტურია თითქმის სოფელ **ქვემო ბოლნისის**, ანუ თარაქამების მიერ სახელდებულ ქაფანაქჩის ტაძარი. იგი უმნიშვნელოდ ჩამორჩება ზომებში ვანათს. ამასთანავე მისი ცენტრალური ეკლესიის საკურთხევლის შვერილი აფსიდი გარედან, ხუთწახნაგას ნაცვლად, ნახევარწრიულ-ნალისებრია. ქვემო ბოლნისის ტაძარი უკეთ არის შემონახული. იგი ამ 70 წლის წინათ გაიწმინდა და უკეთ წარმოჩინდა. მართალია, სამხრეთის ეკლესიის უმეტესი ნაწილი თავისი თაღედებით არც მას შემორჩენია, მაგრამ ძირითადი ეკლესია საღად დგას. აქ უკვე კარგად ჩანს ამ ეკლესიაში შემავალი ორი კარის განსხვავება სიმაღლეში. გარდა ამისა, გაჭირვებით, მაგრამ მაინც იკითხება მაღალი კარის არქიტრავის ბოლოებში ანგელოზთა ფრთების რელიეფური ფრაგმენტები.

რატომ განსხვავდება სიმაღლეში მთავარ ეკლესიაში შემავალი ორი კარი? სახელოვანმა მეცნიერმა გიორგი ჩუბინაშვილმა ეს პატარა საიდუმლო ამგვარად ახსნა: ცენტრალურ მონაკვეთში გაჭრილი ოდნავ მაღალი კარით დარბაზში მამაკაცები შედიოდნენ, რომლებიც საკურთხევლის წინ იკავებდნენ ადგილს, დასავლეთ მონაკვეთში გაჭრილი კარი კი საქალებო იყო. ისინი აქედან შედიოდნენ და დარბაზის დასავლეთ მონაკვეთში, ე.ი. უკან დგებოდნენ. ეკლესია, მოგეხსენებათ, ღვთისმსახურების დროს ე.წ. გენდერულ თანასწორობას არ ცნობს, ძველ დროში კი ეს წესი უფრო მკაცრად იყო დაცული, რასაც, სხვათა შორის, მცხეთის ჯვრის ერთ-ერთ დასავლეთ სადგომში შემორჩენილი „თემესტიას წარწერაც“ ცხადყოფს.

ქვემო ბოლნისის ტაძრის პერანგი, მეტადრე კი მისი აფსიდური ნაწილი, პოლიქრონიის ჩინებული ნიმუშია, რითაც იგი მანხუტის ქვედა ეკლესიას მოგვაგონებს.

აქედან სამხრეთით, გზიდან ხელმარჯვნივ ჯერ ლამაზ-გორის ადრეშუასაუკუნეების ახალაღდგენილი ეკლესიაა, მერე კი გზიდან ხელმარცხნივ — მისი უდიდებულესობა ბოლნისის სიონი. ჩვენ ამ ორ ეკლესიაზე და მათთან ერთად წუღრუღაშენის ტაძარზე ამას წინათ გვქონდა საუბარი. ახლა კი დამატებით ერთი პრობლემის თაობაზე:

**მას შემდეგ, რაც „სიონის“ ორი უმთავრესი წარწერის დათარიღება შეიცვალა (ყოველ შემთხვევაში, ბევრი ასე ფიქრობს) და ტაძრის აგების ეპოქა IV საუკუნის 50-90-იან წლებს, ანუ ძველი მატიანეებით დადგენილ დროს დაუბრუნდა, ხომ არ უნდა გადაიხედოს ბოლნისის რაიონის ადრეშუასაუკუნეების რამდენიმე ტაძრის დათარიღების საკითხიც (აკაურთა, ვანთა, ქვ. ბოლნისი, აკვანება)?..**

* * *

წუღრუღაშენის გადასახვევის შემდეგ, სამხრეთით, ფოლადაურის მარჯვენა სანაპიროზე შეფენილია უძველესი პატარა სოფელი **სამწევრისი** (ამ სახელწოდებისაა ქარელის რაიონში არსებული დიდი მონასტერიც), სადაც დღეს არაქართული მოსახლეობაა. აქ ორი ეკლესიაა. ერთი მათგანი — „სამება“ სოფლის ზედა უბანში, სასაფლაოზე დგას და აღმოსავლეთიდან ხეებითაა დაბურული. მეორე ეკლესია სოფლიდან ოდნავ მოშორებითაა და თავზე სამრეკლო ადგას. ორივე საყდარი გვიანი შუასაუკუნეებისაა.

**სამწევრისს ზევით, იქ, სადაც ფოლადაურს ლოქის წყალი უერთდება და სოფელი ფოლადაურია, მდინარის მარჯვენა სანაპიროზე, ცად აზიდულ წვეტიან კლდეებში, ჩაშენებულია გვიანი შუასაუკუნეების ბერდიკის მრისხანე ციხე. იგი გალავნისა და ოთხი გოდოლისაგან შედგება.**

ბერდიკის ციხის ძირში, მდინარე ფოლადაურის მარჯვენა სანაპიროზე, სამანქანო გზიდან ორასიოდ მეტრში, დგას კიდევ ერთი ასეთივე უბრალო საყდარი, რომელიც გვიანი შუასაუკუნეებისაა და კამარა შენარჩუნებული აქვს. ფოლადაურის ხეობის მუსლიმი მოსახლეობა, რომელიც ბერდიკის ციხეს, კოჯრის ციხის მსგავსად, „ქოროღლის“ უწოდებს, ეკლესიასაც ამ სახელით მოიხსენიებს. რა ერქვა ადრე ეკლესიას, დაუდგენელია.

აქვე, შორიახლო, ორი საყურადღებო ტაძარია: „ლურჯი ეკლესია“ და „წმიდა გიორგი“, მაგრამ, რაკი საინტერესო ძეგლები ფოლადაურის სათავეებშიც გველოდა, დაბინდებამდე სამხრეთისაკენ სიარული ვამჯობინეთ. ასეთი გადაწყვეტილება ახალი ფოლადაურის მონასტრის ბერებთან — გრიგოლ მიქელაძესთან და ლაშა ჩხეტიასთან, ასევე ბოლნისის ტელევიზიის ოპერატორთან ვეფხია დემურაძესთან თათბირის შემდეგ მივიღეთ. ბერდიკის ციხიდან ჩვენი მეგზური ბერების მონასტრამდე 7 კილომეტრიანი ურთულესი გზაა გაჭრილი ტყეში. ამ ადგილებში ვახუშტი ბატონიშვილს თავის რუკაზე ორი სოფელი — **ორთაშუა** და **დამბლუტი** აქვს მონიშნული, მაგრამ ხიდი არ აქვს დატანებული. ეს თაღური, ანუ ე.წ. **„თამარის ხიდი“** XIII საუკუნეშია გადებული ფოლადაურზე იქ, სადაც მდინარის ორი სათავე ერთდება. ფოლადაურის აღმოსავლეთ განშტოება ჰუჯაბიდან და ახკერპიდან მოედინება, დასავლეთ განშტოება — ჰურუტიდან, ნადვალეთიდან და ჩორთანიდან. ორთაშუსათან გადებული ხიდისათვის სომხებს რატომღაც „ძაღლის ხიდი“ („იდკეპრი“) დაურქმევიათ. არადა, თბილისიდან, ლორეს გავლით, სწორედ ამ ხიდზე გადიოდა სომხეთისაკენ მიმავალი გზა. თაღური ხიდის სიგრძე 14 მეტრია, სიგანე — 3. იგი მდინარის დონიდან 10,5 მეტრის სიმაღლეზეა გადებული.

ეს ფოლადაურის ხეობის ერთ-ერთი ულამაზესი მონაკვეთია. ახალი მონასტრის ძველი საყდარი, რომლის ეზოში მრავალი ძველი საფლავია, ახლახან აღადგინეს. იგი განვითარებული შუასაუკუნეებისაა. როგორც ზევით ვთქვით, ამ ადგილებში ვახუშტი ბატონიშვილს ორთაშუა და დაბლუტი აქვს მონიშნული, მოგვიანებით კი სომხებს „ჯინი-ბინა“, ხოლო თარაქამებს — „ჩათენ-დახი“ დაურქმევიათ.

გზის შემდგომ არჩევაზე მცირეოდენ თათბირი გავმართეთ და თავდაპირველად ფოლადაურის მარცხენა სათავის დინებას ავყევით. 4-5 კილომეტრში კაკლოიან ადგილს მივადექით (სომხებს მისთვის „ჯოის ბინა“ შეურქმევიათ). ეს ვახუშტისეული **ჩორთანი** ან **ნადვალეთი** უნდა იყოს. აქ ერთი ძალიან ლამაზი და პატარა ეკლესიაა დამალული ტყეში და, რაკი მისი ძველი ქართული სახელწოდება შემორჩენილი არ არის, სპეციალური ლიტერატურა ”ტუფის ეკლესიად” იცნობს. ოქროსფერი და იასამნისფერი ტუფის ქვის კვადრებით ნაგები ეკლესია სიგრძეში 7,5 მეტრია, სიგანეში — 5,5. კარ-სარკმელი ჩუქურთმებითა და ლილვებითაა გაწყობილი. სახურავს აქა-იქ შემორჩენია ლორფინი და ლავგარდანი. ჩვენს წინაშეა XVI საუკუნის საუცხოო ტაძარი, სადაც წვიმაში შვლები აფარებენ თავს. თარაქმა მწყემსების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი არათუ საქონელს არ აკარებენ აქაურობას, არამედ თავსხმა წვიმაშიც არ შედიან შიგ და თავშესაფარად მოშორებით მარტავენ ხოლმე ქოხს.

ახალი ფოლადაურის მონასტრის საძმოს განზრახული აქვს, რამენაირად მიხედოს ამ ტაძარს, რომელიც განდეგილი ბერის დასაყუდებლად ჩინებულ ალაგზე მდებარეობს.

ახლა კი, მშვიდობით, ეულო საყდარო, წინაპრის მკლავით ნაგებო და ლოცვით გამთბარო. რაც არ უნდა მოხდეს, ეს ფოტო მაინც გადაგარჩენს და შენს ხატებას შეუნარჩუნებს შთამომავლობას.

**გელა ქოქიაშვილი**
**ავტორის ფოტოები**


ორთაშუა. თამარის ხიდი


ტუფის ეკლესია

# პოლიტიკურ წინააღმდეგობათა სახიფათო კვანძი

**1783 წელს რუსეთმა ყირიმის ნახევარკუნძულიდან საბოლოოდ განდევნა ოსმალეთი, შეიერთა ყუბანის მხარე და მფარველობაში აიყვანა ქართლ-კახეთის სახელმწიფო. ეკატერინე მეორეს მთავრობამ ამავე დროს კიდევ უფრო განამტკიცა თავისი ბატონობა ყაბარდოში და ამიერკავკასიას მოადგა. ამის შემდეგ იმპერიის დიპლომატები აღმოსავლეთ ამიერკავკასიიდან ირანელთა განდევნაზე ფიქრობდნენ.**

1783 წ. 2 ნოემბერს საზეიმოდ მორთული თბილისი აღტაცებით შეხვდა რუსთა ორ ბატალიონს, რომლებიც ტრაქტატის საფუძველზე ერეკლე მეფის განკარგულებაში ტრაქტატის საფუძველზე ერეკლე მეფის განკარგულებაში გამოგზავნეს. ჯარს რუსეთის სახელმწიფოს ოფიციალური წარმომადგენელი პოლკოვნიკი ბურნაშოვი მიუძღოდა. ამ აქტით რუსეთის იმპერიის დიპლომატები თითქოს იწყებდნენ „დიდ ექსერიმენტს“, რომელიც, როგორც ეს შემდეგში ცხადი გახდა, ამიერკავკასიის მოქიშპე ძალთა თანაფარდობის მოსინჯვას ისახავდა მიზნად. ჯარის გამოჩენას ხომ უშუალო გამოძახილი მოჰყვებოდა და პრაქტიკულად გაირკვეოდა, თუ როგორ შეხვდებოდნენ ამ მოვლენას ირანი, ოსმალეთი და მათი ხელდებული ქვეყნები მაჰმადიანური პოლიტიკური ერთეულები აღმოსავლეთ და სამხრეთ ამიერკავკასიაში. **რუსთა ჯარის შემოყვანიდან ორიოდე თვის შემდეგ, რუსეთის მთავრობამ სამფარველო ტრაქტატის საბოლოო გაფორმება-დამტკიცების მიზნით, საქართველოში საჩუქრებით დატვირთული პოლკოვნიკი ტამარა მოავლინა. მისი ჩამოსვლა 1784 წ. 22 იანვარს თბილისელებს რუსული ზარბაზნების გრიალით (101 ბათქი) აუწყეს. მეორე დღეს ტამარამ ერეკლესა და მის სამეფოს სახლის წარმომადგენლებს იმპერატორის მიერ გამოგზავნილი სამეფო რეგალიები და საჩუქრები გადასცა. იქვე მიიღო ერეკლემ სამფარველო სიგელი. ამასთან დაკავშირებით ისევ 101-ჯერ დაიქუხა რუსულმა ზარბაზნებმა და ამით კიდევ ერთხელ გამოხატეს რუსეთ-საქართველოს სამხედრო კავშირის განხორციელება. ამავე დღეს საზეიმო ცერემონია გაგრძელდა სიონის ტაძარში, სადაც ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი და დამტკიცებული ტრაქტატის ტექსტების გაცვლა მოახდინეს, ხოლო ერეკლე მეორემ ამ ტრაქტატით გათვალისწინებულ ვალდებულებათა ერთგულებაზე დაიფიცა.**

ნიშანდობლივი იყო იმ დღეს ქრისტიანთა „მფარველი“ ეკატერინე II სახელის ხსენებასთან დაკავშირებით ატეხილი ზარზეიმი თბილისის ეკლესიებში. რუსული ზარბაზნის ხმაურის ექო თბილისიდან ქართლის მეზობლებს მისწვდა. ამიერკავკასიის სულთნის მთავრობაც შეაშფოთა. ეს ხმა ირანსაც მოედო, მაგრამ იგი იმ დროს ისეთ ბებერ ლომს მიაგავდა, რომელსაც მღელვარე ამბებზე რეაქციაც კი დაჰკარგვოდა.

**შიში დაეუფლა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მმართველ ხანებს, რომლებიც თვითმპყრობელური იმპერიის ოფიციალური ისტორიკოსის, აკად. ნ. დუბროვინის შენიშვნით, 1783 წ. ტრაქტატს მტრულად შეხვდნენ და ყოველ ზომას ხმარობდნენ რუსეთის „დამპყრობლურ გეგმათა წინააღმდეგ“.**

დროთა განმავლობაში ხანები ცდილობდნენ, საერთო ენა გამოენახათ მეფის რუსეთის მთავრობასთან და მის საფარველში შესვლის გზით აეცდინათ მოსალოდნელი საფრთხე.

როგორც რუსეთი, ისე ოსმალეთი, ცალ-ცალკე, ცდილობდა, მჭიდრო კონტაქტი დაემყარებინა ღონემიხდილი ირანის ვასალებთან, მაგრამ ასეთ შეჯიბრში მაშინ ოსმალეთს გარკვეული უპირატესობა ჰქონდა, რაც უმთავრესად სარწმუნოებრივი ნათესაობის ნიადაგით აიხსნებოდა. ერთხანს ოსმალეთი საჭიროდაც კი თვლიდა, რომ ხელი გაეწოდებინა „ერთმორწმუნე“ ირანისათვის, სადაც რუსეთის გავლენა თანდათანობით უფრო შესამჩნევი ხდებოდა.

ევროპის სახელმწიფოებიც შურის თვალით უყურებდნენ რუსეთის წარმატებას კავკასიაში. 1783 წ. ტრაქტატს ინგლისსაფრანგეთში განიხილავდნენ როგორც რუსეთის დიპლომატიის ტრიუმფს აღმოსავლეთში. განსაკუთრებით აქტიურობდა საფრანგეთი, რომელიც, თურქეთთან ერთად, ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა ჩაეშალა რუსეთის კავშირი ისპაჰანის მფლობელ ალი მურად-ხანთან და უკუეგდო რუსეთის გაბატონება ამიერკავკასიაში. ქართლ-კახეთში რუსთა ჯარების გადმოყვანის გამო ოსმალეთის სახელმწიფოს შეშფოთება სავსებით გასაგები იყო. რუსეთის მიერ მრავალგზის დამარცხებულ, ყირიმიდან და ჩრდილო კავკასიიდან გამოდევნილ ოსმალეთს ახლა მისი უშუალო თუ მინატაცებ-დაპყრობილი მიწების დაკარგვა მოელოდა. ძლიერმა რუსეთმა კავკასიონის მთაგრეხილი უომრად გადმოლახა, უშუალოდ დაუმეზობლდა სულთნის სამფლობელოებს და მას საქართველოდან „მეორე ფრონტი“ გაუხსნა (პირველი და ტრადიციული ფრონტი ბალკანეთის მიმართულებით იყო), რითაც დაემუქრა ანატოლიის ჩრდილოეთ პროვინციებს. **ოსმალეთი თავის პოლიტიკას ამიერკავკასიაში უმთავრესად ახალციხის ფაშას მეშვეობით ახორციელებდა. ახალციხელ ფაშა სულეიმანს არ გამოჰპარვია ის გარემოება, რომ ერეკლე რუსეთის დახმარებით ცდილობდა ოსმალთა მიერ მინატაცები სამცხე-საათაბაგოს დაბრუნებას. სულეიმან ფაშამ, როგორც ვიცით, თავის თავს „საათაბაგოს — საქართველოს ამ ძველი პროვინციის — მემკვიდრემფლობელად თვლიდა“.**

სამშობლოს დაკარგვის შიშით და სულთნის მთავრობის დავალებით, „განძვინდა ფაშა ახალციხისა სულეიმან ათაბაგი აღუწოდა ლეკთა და იყო ოხრება ქართლისა“.

**ახალციხის საფაშო ამიერიდან ქართლ-კახეთის წინააღმდეგ ოსმალეთის ფარული თუ აშკარა შეტევის ბაზად იქცა და იქიდან წამოსული მძარცველური რაზმები განსაკუთრებული აქტივობით არბევდნენ ქართლის სოფლებს. ქართლ-კახეთის განადგურებისათვის ბრძოლის მეორე ფრონტი ჭარ-ბელაქანზე გადიოდა.** ახალციხის საფაშო, ჭარ-ბელაქანი და დაღესტანი მაშინ ერთი მთლიანი ღერძი იყო, რომელსაც სათავე კონსტანტინოპოლში ჰქონდა. **ამიერიდან საქართველოს წინააღმდეგ შემოსევებმა უფრო ორგანიზებული და სისტემატური ხასიათი მიიღო.**

რუსეთის მთავრობა დიპლომატიური დემარშებით ცდილობდა ქართლ-კახეთის გადარჩენას. მრავალგზის მოაგონეს სულთნის მთავრობას, რომ თავდასხმები იმ ქვეყანაზე, რომელიც რუსეთის საფარველში შევიდა, ორ სახელმწიფოს შორის სამშვიდობო ურთიერთობას არ შეეფერებოდა. 1784 წ. 8 იანვარს (1783 წ. 28.XII) რუსეთ-ოსმალეთის მოლაპარაკების საფუძველზე ოსმალეთმა პირობა დადო, რომ ერეკლეს სახელმწიფოს ოსმალეთის მხრიდან აღარ შეავიწროვებდნენ. ამის შესახებ ახალციხის ფაშასაც მისწერეს, მაგრამ ფაშამ, როგორც ჩანს, „აუხსნა“ სულთნის მრჩევლებს, რომ საქართველოს „გაძლიერება“ ყოვლად მიუღებელი იყო. ამრიგად, ქართლის წინააღმდეგ ბრძოლა ისევ გრძელდებოდა, ხოლო რუსეთი კვლავაც პასუხს მოითხოვდა კონსტანტინოპოლელი ელჩის მეშვეობით.

**1784 წ. დეკემბერში ეგვიპტის საქმეებზე შეკრებილ სულთნის საბჭოს ისევ განუხილავს რუსეთის პროტესტი. მსჯელობდნენ იმის შესახებ, თუ რა პასუხი გაეცათ მისთვის. საბჭოს აღუნიშნავს, რომ ოსმალეთი არ ცნობდა რუსეთის ხელისუფლებას „თბილისის ხანზე“, რომ იგი ქართლ-კახეთს, ისევე როგორც იმერეთს, თავის სამფლობელოდ თვლიდა. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ოსმალეთის პრეტენზიას ქართლ-კახეთზე რაიმე არსებითი საფუძველი არ ჰქონია. მართალია, 1778 წ. ერეკლე მეფე ოსმალეთს შეუთანხმდა, მოურიგდა მას, რათა 1768-1774 წლებში რუსეთის მხარეზე მონაწილეობის გამო ამ სახელმწიფოსთან სამშვიდობო ურთიერთობა აღედგინა, მაგრამ ერეკლეს ამით თავის სუვერენულ უფლებებზე ხელი არ აუღია და იგი სავსებით დამოუკიდებლად განაგებდა სამეფოს.**

სულთნის საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება იმის მაჩვენებელი იყო, რომ რუსეთსა და ოსმალეთს შორის ახალი ომისათვის პირობები იქმნებოდა. ერეკლეს, როგორც ჩანს, არ გამოჰპარვია, რომ რუსეთის სახელმწიფო კასპიის ზღვის ნაპირებისაკენ ძლიერ ლაშქრობას ამზადებდა. ჯარის ერთი ნაწილი ყიზლარიდან დარუბანდში უნდა შეჭრილიყო და იქაური ძლიერი მფლობელი ფათალი-ხანი შეეპყრო. ამის მერე უნდა დაეკავებინა კასპიის ნაპირები ვიდრე გილანამდე. რუსთა ჯარების მეორე კორპუსი ქართლის მიმართულებით უნდა წამოსულიყო. ვარაუდობდნენ სომხეთ-ალბანეთის სახელმწიფოების აღდგენას, რა თქმა უნდა, რუსეთის მფარველობით. ამასთან დაკავშირებით 1784 წ. 3 მაისს პავლე პოტიომკინისათვის გაგზავნილ წერილში ერეკლე აყენებდა „საქართველოს გაძლიერების“ გეგმას. მისი აზრით, ძლიერ საქართველოს **„შეეძლო, დახმარებოდა რუსეთს მისი დამპყრობლური მიზნების განხორციელებაში“.** მაგრამ განხორციელება არ ეწერა როგორც სომხეთ-ალბანეთის სახელმწიფოთა აღდგენის გეგმებს, ისე ერეკლეს ცდებს თვითმპყრობელობის დახმარებით საქართველოს გაძლიერებისათვის. საქართველოს „გაერთიანება-გაძლიერებისა“ თუ „განთავისუფლების“ ე.წ. გეგმები არსებითად იმპერიის საზღვრებისა და გავლენის გაფართოებას გულისხმობდა. ეს იყო მეფის რუსეთის დიპლომატიის ბრძოლა საქართველოს „მშვიდობიანი“ გზით მითვისებისათვის.

**რუსეთის მთავრობის დავალებით, 1784 წ. სექტემბერში, გენ. პავლე პოტიომკინი ერეკლეს ესტუმრა. მისი მთავარი მიზანი იყო „взглянуть на страну, избираемую театром всех будущих действий“. მან 22 დღე დაყო საქართველოში. ეს გენერალი მაშინდელი საქართველოს სისუსტეს „მმართველობის მექანიზმის მოშლაში“ ხედავდა. გასაგები იყო, რომ ცენტრალიზებული სახელმწიფოს მოხელეს ფეოდალური ქართლ-კახეთის მაშინდელი მმართველობის სისტემა არ მოეწონებოდა.**

რუსეთის მთავრობის მიერ 2 ბატალიონი ჯარის აქ გადმოსხმის გამო ოსმალეთმა დამისმა მოკავშირეებმა განგაში ატეხეს, რუსეთს კი ომის კერის შემდგომი გაფართოება მაშინ, როგორც ჩანს, არ შეეძლო.

**თვით ოსმალეთი ნამდვილად ძალიან სუსტი იყო და რუსთა ჯარების დამარცხებას ვერ შეძლებდა, თუმცა იგი ჯარებს მაინც აგროვებდა საქართველოსა და სომხეთის მისადგომებთან, აღმოსავლეთ ამიერკავკასიასა თუ დაღესტანში მზარდი ანტირუსული მოძრაობით გამხნევებული. რაც შეეხება ირანს, იქ შაჰის ტახტისათვის ბრძოლა გრძელდებოდა და მას ჯერჯერობით რაიმე სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა არ შეეძლო.**

ქერიმ-ხან ზენდის გარდაცვალების შემდეგ ზენდებს შორის ატეხილი ბრძოლა ალი მურად-ხანის გამარჯვებით დასრულდა, მან ისპაჰანში თავი შაჰად გამოაცხადა. ამავე დროს ირანის ჩრდილოეთში, მაზანდერანსა და ასტრაბადში, აღა-მაჰმად-ხან ყაჯარი გაძლიერდა. იგი ზენდების წინააღმდეგ დაუნდობელ ომს განაგრძობდა. ასეთ ვითარებაში რუსეთის დიპლომატიამ „მეგობრობის“ ხელი გაუწოდა ალი მურად-ხანს, რომელიც ამ დახმარებით დაინტერესებული იყო და კასპიის ზღვის ნაპირებსაც კი უთმობდა მას, ოღონდ რუსეთის მთავრობას იგი შაჰად ეცნო და მხარი დაეჭირა მისთვის. მაგრამ მოვლენები სწრაფად ვითარდებოდა და მათ შესაბამისად იცვლებოდა თვითმპყრობელობის პოლიტიკა ამიერკავკასიაში. 1785 წ. 7 თებერვალს ალი მურად-ხანი გარდაიცვალა და გამარჯვების სასწორი უკვე აღა-მაჰმად-ხანის მხარეზე იხრებოდა. ქართლ-კახეთის სახელმწიფოს მდგომარეობა დღე-დღეზე უარესდებოდა. რუსთა ორი ბატალიონის დახმარება ვერაფრით ამსუბუქებდა მის მდგომარეობას. ამიტომ იყო, რომ განსაცდელში ჩავარდნილი ერეკლე თავის მფარველს დამატებითი ჯარების გამოგზავნას სთხოვდა, მფარველი კი ისმენდა და ყურს არ იბერტყავდა — ხელსაყრელ სიტუაციას ელოდა ადრე დასახული მიზნების განხორციელებისათვის.




## გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის «ისტორიული მემკვიდრეობა» მეხუთე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.

ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.




არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 38-41-97.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



## ვინ დაიცავს ულვაშიანების უფლებებს?



**ამერიკაში არსებობს არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ულვაშებიანი ამერიკელების უფლებებს იცავს. ამ ორგანიზაციას კი გაუჩნდა იდეა, მოითხოვოს საგადასახადო შეღავათები ამერიკის ულვაშიანი მოსახლეობისთვის.**

ინიციატივის ავტორები არიან დაბეგვრის პროფესორი ჯონ იუტერი და ულვაშების ამერიკული ინსტიტუტის სპეციალისტები. ისინი ირწმუნებიან, რომ ულვაშიან მოქალაქეებს წელიწადში 250 დოლარი სჭირდებათ იმისათვის, რომ სახეზე ამოსულ თმას მოუარონ. საუბარია სარკეების, სამართებლების, სავარცხლებისა და ულვაშის დასაყენებელი სპეციალური ცვილების შეძენაზე.

ულვაშების ინსტიტუტის წარმომადგენელთა აზრით, ამჟამად მოქმედი საგადასახადო სისტემა მოვლილი ულვაშების შენარჩუნების ყველა სურვილს ახშობს. რაც შეეხება თავად ამ ინსტიტუტს, მისი წარმომადგენლების მტკიცებით, ის მთელ მსოფლიოში ერთადერთი ორგანიზაციაა, რომელიც ულვაშებს შეისწავლის და ულვაშიანი ადამიანების უფლებებს იცავს.

## «უხილავი» ავეჯი



**იაპონელმა დიზაინერმა ტოკუძინი იოსიოკამ გამჭვირვალე ავეჯი შექმნა და სახელად „უხილავი" დაარქვა.**

მისი თქმით, ავეჯი მართლა უხილავია და უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს ადამიანებზე, ვინაიდან მისი საშუალებით იქმნება შთაბეჭდილება, რომ ჰაერში ნავარდობ. თავად ობიექტი მეორეხარისხოვანია, მთავარია ემოციური ზემოქმედება, რომელსაც ის ახდენს ადამიანზე.

„უხილავისთვის" მაგიდები და სკამები დამზადდა პოლიკარბონატული პლასტიკისაგან, რომელიც სწორედ უხილავობის ეფექტს ქმნის.

## ჰომოსექსუალი გედები — დორსეტის საგრაფოში



**ბრიტანეთის დორსეტის საგრაფოს ერთ-ერთ ნაკრძალში არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის გედები დასახლდნენ. სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ გედების არატრადიციულ სექსუალურ ორიენტაციაში ზუსტად იგივე იგულისხმება, რაც ადამიანების შემთხვევაში და რომ მსგავსი რამ რეგიონში აქამდე არასდროს შეუნიშნავთ.**

ორი მამალი გედისგან შემდგარი წყვილი, უკვე რამდენიმე სეზონია, ერთად იბუდებს და ისე იქცევიან, თითქოს გამრავლებისთვის ემზადებიან.

ისინი ყოველთვის ერთად არიან და აბსოლუტურად არ აქცევენ ყურადღებას დედალ გედებს; ხანდახან ჩხუბობენ, მაგრამ შემდეგ რიგდებიან.

# რომის პაპმა პედოფილები დაიცვა

**სააგენტო Associated Press-ი ირწმუნება, რომ ხელში ჩაუვარდა 1985 წლით დათარიღებული წერილი, რომელშიც რომის პაპი — იმ დროისთვის კარდინალი იოზეფ რატცინგერი პედოფილი მღვდლისთვის სასულიერო ხარისხის ჩამორთმევის წინააღმდეგია.**

საუბარია ამერიკელ კათოლიკე მღვდელ სტივენ კიზლიზე, რომელსაც 1978 წელს სამწლიანი პირობითი სასჯელი შეეფარდა სან-ფრანცისკოში ორი ბიჭის მიმართ განხორციელებული გარყვნილი ქმედებისთვის.

სააგენტოს მონაცემებით, ოკლანდის ეპარქია ჯერ კიდევ 1981 წელს მისთვის სასულიერო პირის ხარისხის ჩამორთმევას ითხოვდა, მაგრამ 1987 წლამდე ეს არ მომხდარა.

1981 წელს კარდინალი რატცინგერი სათავეში ჩაუდგა წმიდა კონგრეგაციას, რომელსაც სხვა საკითხებთან ერთად სექსუალური შებილწვის საქმეების განხილვაც ებარა.

როგორც Associated Press ირწმუნება, კარდინალი თავის წერილში ირწმუნება, რომ კიზლისათვის ხარისხის ჩამორთმევა „მძიმე შედეგებს" გამოიღებს, ამიტომ მისი საქმე გულდასმით გადახედვას საჭიროებს. ამასთანავე, რატცინგერი მოუწოდებს, მის მიმართ „რაც შეიძლება მეტი მამობრივი მზრუნველობის" გამოვლენას. სააგენტოს მტკიცებით, ვატიკანმა უკვე დაადასტურა, რომ აღნიშნულ დოკუმენტზე ნამდვილად რაცინგერის ხელმოწერაა.

ვატიკანის ოფიციალური წარმომადგენლის განცხადებით, **„პრესსამსახური არ თვლის საჭიროდ, კომენტარი გააკეთოს ცალკეულ დოკუმენტებზე, რომლებიც კონკრეტულ იურიდიულ სიტუაციასთან დაკავშირებული კონტექსტიდან ვარდება".**

2004 წელს კიზლის ექვსწლიანი პატიმრობა მიესაჯა, მან 1995 წელს გოგონასთან გარყვნილი ურთიერთობა აღიარა.

კიზლი ახლა 63 წლისაა და კალიფორნიაში ცხოვრობს, სადაც მცირეწლოვანთა გარყვნაში დამნაშავეების სიაშია შეყვანილი.

**ახლანდელი რომის პაპის შესაძლო მონაწილეობა პედოფილების მფარველობის საქმეებში უკვე არა ერთხელ ამოტივტივდა.**

მარტში „New York Times"-ში დაიბეჭდა ინტერვიუ 61 წლის არტურ ბუდზინსკისთან, რომელიც ირწმუნებოდა, რომ ბავშვობაში ვისკონსინის შტატის ქალაქ სენტ-ფრენსისში მდებარე სენტ-ჯონის სმენადაქვეითებული ბიჭების სკოლა-ინტერნატში თავისი მასწავლებლის — მღვდელ ლოურენს მერფის მხრიდან გარყვნილი ქმედებების მსხვერპლი გახდა. **„ამგვარ საქმეებთან დაკავშირებული მთელი ინფორმაცია ზემოთ (ახლანდელ პაპთან) მიდიოდა, ამაზე პასუხისმგებელი ის იყო",** — განაცხადა ბუდზინსკიმ.

1998 წელს გარდაცვლილი მამა მერფი 1950-1974 წლებში დაახლოებით ორას სმენადაქვეითებულ ბავშვთან გარყვნილ ურთიერთობებშია ეჭვმიტანილი. ეს არამხოლოდ აღსაზრდელების საძინებლებში, არამედ აღსარებების დროსაც კი ხდებოდა.

ხუთმა ყოფილმა აღსაზრდელმა ცოტა ხნის წინათ უმოქმედობისთვის ვისკონსინის ეპარქიას სასამართლოში უჩივლა. მერფი ყოველგვარი სასჯელის გარეშე გადაიყვანეს სხვა საეკლესიო სამსახურში მილუოკის შტატში.

თავის დროზე პოლიციის მიერ წარმოებული გამოძიება ოფიციალურ ბრალდებამდე არ მისულა.

1996 წელს მილუოკის ეპისკოპოსი ვატიკანის კანცელარიაში წარმოებულ საქმეზე საუბრობდა. კანცელარია სასულიერო პირთა ქმედებებსა და მორალზეც აგებდა პასუხს და იმ პერიოდში მას კარდინალი იოზიფ რატცინგერი ხელმძღვანელობდა.



რომის პაპი ბენედიქტ XVI, იოზეფ რატცინგერი

„New York Times"-ის მიერ მოპოვებული საეკლესიო დოკუმენტების თანახმად, თავიდან მან შიდა გამოძიების სანქცია გასცა, მაგრამ შემდეგ ლოურენს მერფისგან პირადი წერილი მიიღო და გამოძიება შეწყვიტა. მერფი წერილში წერდა, რომ მოხუცია, ავადმყოფობს და სიცოცხლის სიმშვიდეში დასრულების უფლებას სთხოვდა.

საბოლოოდ მილუოკის ეპარქიას უბრძანეს, მერფი საეკლესიო მსახურებაზე არ დაეშვათ. ვატიკანმა უარყო ბრალდება იმის შესახებ, რომ რომის პაპმა ამერიკელი მღვდლის პედოფილობის შესახებ იცოდა და საქმეს მსვლელობა არ მისცა.

newsru.com

# აგვისტოს ომის წაგება მხოლოდ კეზერაშვილს დაბრალდება

**სამხრეთ ოსეთის მეომრები და რუსი სამხედროები, რომლებიც საქართველოს მშვიდობისთვის იძულების ოპერაციაში მონაწილეობდნენ, ქართული ჯარის აღჭურვილობისა და შეიარაღების ზოგიერთი სახეობის დაბალმა ხარისხმა გააოგნა — ნაკერებზე რღვევადი სამხედრო ფორმები, გაღუნულლულიანი ტყვიამფრქვევები, მუდმივად გაჭედილი კარაბინები... ქართველი ჯარისკაცების ერთჯერადობის შესახებ მწარე ხუმრობა გაჩნდა.**



მაგრამ ესოდენ თვალნათელი ლოჯისტიკური გარღვევების მიზეზები უკვე ცხადდება.

**საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი კვლავ სკანდალის ცენტრში აღმოჩნდა. ისრაელის გაზეთ „მაარივის" ინფორმაციით, ახლა ის კორუფციაშია ბრალდებული.** როგორც გაზეთი ირწმუნება, კეზერაშვილის ცხოვრების ისტორია რთული დასაჯერებელია. 16 წლის განმავლობაში ის ხან ისრაელში იყო ემიგრანტად, ხან საქართველოში ბრუნდებოდა და მაღალ თანამდებობებს იკავებდა. მას შემდეგ, რაც მინისტრობიდან გადააყენეს, კვლავ ისრაელს მიაშურა. მაგრამ აქ მას არა მხოლოდ დაფანტული ჯარის მეთაურის, არამედ სხვადასხვა ქვეყნებთან, მათ შორის თავად ისრაელთანაც, იარაღის გარიგებებისას კორუფციისა და მექრთამეობის ბრალდებებიც წაუყენეს.

მისი ავტობიოგრაფია იუწყება, რომ კეზერაშვილი 1978 წელს თბილისში დაიბადა. 14 წლის იყო, როდესაც ოჯახთან ერთად ისრაელში გადავიდა საცხოვრებლად, მაგრამ საბჭოთა ქვეყანაში ცნობილი ცვლილებების შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა და უმაღლესი განათლებაც აქ მიიღო. სწავლის პერიოდში გაიცნო მიხეილ სააკაშვილი და იუსტიციის სამინისტროში მის თანაშემწედ დაიწყო მუშაობა. მას შემდეგ, რაც 2003 წელს სააკაშვილი ქვეყნის პრეზიდენტი გახდა, ახალგაზრდა კეზერაშვილი ფინანსური პოლიციის უფროსად დაინიშნა.

როგორც ჩანს, ამერიკულ, ებრაულ და ისრაელის წრეებში პოპულარულ პრეზიდენტს კეზერაშვილის ამ თანამდებობაზე მოღვაწეობა იმდენად მოეწონა, რომ 28 წლის ასაკში სამხედრო მინისტრად დანიშნა. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ ამ მინისტრს ჯარში არასდროს უმსახურია — არც ისრაელში და არც საქართველოში.

კეზერაშვილისთვის, რომელიც მშვენივრად ფლობს ივრითს და საქართველოს მთავრობის სამი მინისტრიდან ერთ-ერთია, ვისაც ისრაელის მოქალაქეობა აქვს, ამ ყველაფერს ხელი არ შეუშლია, რომ ისრაელთან სამხედრო თანამშრომლობა გაემყარებინა. საქართველომ ამ ქვეყნისგან იყიდა თვითმფრინავები და შეიარაღების ზოგიერთი სხვა სახეობა, ისრაელის ინსტრუქტორები კი ქართული სპეცდანიშნულების რაზმებს ავარჯიშებდნენ. როგორც ცნობილი გახდა, **საქართველოში მომუშავე ისრაელელ სამხედრო მრჩევლებს შორის იყო გენერალი გალ ხერში, რომელმაც ლივანთან ომის დროს 2006 წლის ივლისში წარუმატებლობებით „ისახელა" თავი. როგორც ვნახეთ, მის აღზრდილებსაც იგივე ბედი ეწიათ.**

აგვისტოს ომის შემდეგ, როდესაც რუსეთის წინააღმდეგ საქართველოს წამქეზებელმა დასავლეთმა თბილისის დასახმარებლად არაფერი გააკეთა, სააკაშვილს ისღა დარჩენოდა, მინისტრები გადაეყენებინა.

სულ ცოტა ხანში დავით კეზერაშვილი ბიზნესით დაკავდა და შექმნა საშუამდგომლო ფირმა, რომელიც ისრაელის კომპანიებთან თანამშრომლობდა.

ქართულ პრესაში კი იმასაც წერდნენ, რომ კეზერაშვილი ისრაელში გაიქცა, ვინაიდან ხელისუფლებამ მისი მაქინაციების გამოძიება დაიწყო. გამოძიება დაიწყო აშშ-ის ფედერალური გამოძიების ბიურომაც, რომელიც კეზერაშვილს ამერიკულ კომპანიებთან იარაღის გარიგებების წარმოებისას ქრთამის აღებაში ადანაშაულებს.

**უცებ გაცხადდა, რომ ქართული სამხედრო ძალების აღჭურვისა და შეიარაღების ტენდერებს იგებდნენ ისინი, ვინც მეტს უხდიდა მინისტრს.**

2008 წლის აგვისტოდან მოყოლებული საქართველოს ხელისუფლება კრუნჩხვიანივით ეძებს „კავკასიის ყველაზე თანამედროვე და ბრძოლისუნარიანი ჯარის" სამ დღეში განადგურების დამნაშავეებს. როგორც ჩანს, უმოკლეს ხანში კეზერაშვილი იქნება ის მთავარი „მეისრე", რომელსაც წაგებული ომის მთელი პასუხისმგებლობა დაეკისრება.

segodnia.ru

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ამერიკელები ადამიანებისთვის ყელის გამოჭრის ტრენინგებს ატარებენ და საკონცენტრაციო ბანაკებს ხსნიან




**მსოფლიო მიჩვეულია, რომ ამერიკა დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმისადმი შეუწყნარებლობის გამო უნდა აქოს. მაგრამ საკმარისია, მშვიდ ნიუ იორკს ოდნავ გასცდე და გადააწყდები ეკონომიკურ კრიზისთან და ქვეყნის პირველ პირად ბარაკ ობამას დანიშვნასთან დაკავშირებით იატაკქვეშეთიდან გამომძვრალ უამრავ ექსტრემისტულ ორგანიზაციას, რომლებიც თავგამოდებით იცავენ „საკუთარ ინტერესებს“.**



დღეს ამერიკის ცენტრალური და სამხრეთ შტატების მრავალი ქალაქი მინიატურული ნაცისტური გერმანიაა. კბილებამდე შეიარაღებულ მოსახლეობას სამხედრო ფორმა აცვია. სახლებზე სვასტიკიანი დროშები ფრიალებს. ბავშვებს მაისურებზე „White Power“ (თეთრი ძალა) ან „Hitlers Children“ (ჰიტლერის ბავშვები) აწერიათ. ოფიციანტები კაფეების გახსნისას დილაობით კარზე კიდებენ აბრას, რომელზეც წერია „For White Americans Only“ (მხოლოდ თეთრი ამერიკელებისთვის).

მიმდინარე წელს ამერიკელმა ექსტრემისტებმა უკვე ჩაატარეს ოცამდე ღონისძიება, რომელთა გამო იმავე შემწყნარებლურ ნიუ იორკში მრავალწლიან პატიმრობას გამოჰკრავდნენ ხელს. კიდევ ასამდე ამგვარი დემონსტრაცია, მიტინგი, ხსოვნის დღე თუ დღესასწაული უკვე დაგეგმილია.

ამერიკის საგრაფოებისა და ქალაქების გუბერნატორების, მერებისა თუ შერიფების მიერ დამტკიცებული გრაფიკებით ორიოდე დღის წინ ადოლფ ჰიტლერის დაბადების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები გაიმართა. ლოს-ანჯელესის ქუჩები აშშ-ის ყველაზე გავლენიანი ნეონაცისტური მოძრაობა „National Socialist Movement NSM“-ის წევრებმა აიკლეს და თან ამაყად განაცხადეს: „გვიხარია, რომ ჩვენი რიგები ყოველწლიურად იზრდება, ხალხს ესმის ჩვენი იდეოლოგია, ყველა დაიღალა შავკანიანების, ლათინოსებისა და ებრაელებისაგან, რომლებიც ქვეყანას გვინგრევენ“. ფიურერის დაბადების დღის აღნიშვნა ჩიკაგოშია დაგეგმილი და, როგორც NSM–ის ერთ-ერთმა აქტივისტმა განაცხადა, „ცუდი არ იქნება, ამ დღისთვის ორიოდე შავკანიანს თუ ჩააძაღლებენ“.

ორგანიზაცია „თეთრი რაინდების“ (White Knights WK), კუ-კლუქს-კლანის ერთ-ერთი განშტოების წევრებმა უკვე იქირავეს მიწები და შენობები მისისიპის შტატ ბოლდვინში, რათა ათასობით ნაცისტმა „დაღუპული ამხანაგების“ (მათი უმეტესობა არაადამიანური მკვლელობების ჩადენის გამო ციხეში მოხვდა და იქ დაასრულა სიცოცხლე) საფლავები ყვავილებით შეამკოს და უზარმაზარი ხის ჯვრები დაწვას (კუ-კლუქს-კლანის ერთ-ერთი რიტუალი). „პოლიციას მოველაპარაკეთ, რომ ღონისძიება მხოლოდ თეთრკანიანმა პოლიციელებმა დაიცვან,“ — ამაყად განაცხადა WK–ის წევრმა რასელ ჯეიმსონმა.



გასამხედროებული დაჯგუფება „ოჰაიოს ჩრდილო-აღმოსავლეთის ძალები“ (Northeast Ohio Defense Force NODF) მოზარდებისა და მოზრდილებისთვის ტრენინგების კურსს იწყებს მშობლიურ ქალაქ როზევილში. ტრენინგებზე „სტუდენტები“ ისწავლიან, როგორ უნდა გამოჭრა ყელი სწორად, როგორ დაამზადო ასაფეთქებლები, როგორ აიყვანო ადამიანები მძევლად და ასე შემდეგ.

**აქ უნდა დავუმატოთ, რომ NODF-ის იდეოლოგია ტოტალურ შეიარაღებას (ამბობენ, რომ აშშ-ის მთელი შეიარაღების ცეცხლსასროლი იარაღის 1% ექსტრემისტების ხელშია), კორუმპირებული ხელისუფლების, იმიგრანტებისა და ყველა „არათეთრი ამერიკელის“ წინააღმდეგ ბრძოლას ითვალისწინებს.**

მაისის დასაწყისში ამერიკული ნაცისტური ორგანიზაციის (American Nazi Party ANP) წევრები მიჩიგანის შტატის ქალაქ დეტროიტში შეიკრიბებიან და „თეთრი ადამიანის პრობლემებისადმი“ მიძღვნილ კონფერენციაში მიიღებენ მონაწილეობას. განხილვის ერთ-ერთი მთავარი თემა აშშ-ის ტერიტორიაზე ნაცისტური საკონცენტრაციო ბანაკების გახსნა იქნება. ANP-ის წევრები დარწმუნებულნი არიან, რომ ამგვარი დაწესებულებები, თუ მათში მოსახლეობის მეოთხედს განათავსებენ, „ამერიკას ძველებურ ძალაუფლებას დაუბრუნებს“. ორგანიზაციის ლიდერებმა ხელისუფლებისგან კონფერენციის ჩატარების ადგილის ანონიმურობის უფლება მიიღეს. მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელი გეორგ ფროსი აცხადებს, რომ „ყველაფრის მშვიდ გარემოში გაანალიზება სურთ, პოლიციისა და ლიბერალების გარეშე“.

ივნისში მისურის შტატის ქალაქ ბრანსონში გაიმართება ფესტივალი, რომელსაც „ქრისტიანული სახსრების ყოველწლიური თავყრილობა“ (Annual Christian Identity Gathering) ეწოდება. ღონისძიების ორგანიზატორს — კოალიცია „ამერიკის წმიდა ბიბლიები“ (Scriptures for America SOA) — ორი მიზანი აქვს. პირველი: ებრაული წარმომავლობის ყველა მოსახლე ქვეყნის ტერიტორიიდან გაასახლოს ან გაანადგუროს; მეორე: ქრისტიანობა ქვეყანაში ერთადერთ კანონიერ რელიგიად აქციოს. ორგანიზაციის მიმართვაში ნათქვამია: „მობრძანდით ფესტივალზე მშობლებითა და შვილებით, არ დაივიწყოთ, რომ ჩვენ ყველანი ერთი ოჯახი ვართ...“

ქალაქი ომახა (ნებრასკას შტატი) მალე მთელი ქვეყნიდან ჩასული ასობით თავგადაპარსული ექსტრემისტისგან შეზანზარდება. ივლისის დასაწყისში აქ სკინხედებისა და რასისტების შეკრება (Racist Skinhead Gathering) გაიმართება. ქალაქის მრავალმა ოჯახმა უკვე მიატოვა საკუთარი სახლი იმის გამო, რომ ქალაქში უკვე დაიწყო ნაცისტების ჩასვლა. ამ ხალხს კარგად ახსოვთ, როგორ დამთავრდა წინა შეკრებები. „სინამდვილეში ამ ხალხს არც იდეოლოგია ადარდებს და არც კანის ფერი, — ამბობს ქალაქის ერთ-ერთი მკვიდრი ალფრედ დუგლასი, — როდესაც ახლოს არ არიან შავკანიანები და ებრაელები, ისინი ერთმანეთს და ადგილობრივ მოხუცებს ურტყამენ“.

2010 წლის შემოდგომა განსაკუთრებით ცხელი იქნება. რასისტების შეკრებები ქვეყნის აბსოლუტურად ყველა სამხრეთულ შტატში გაიმართება. ტეხასის, ალაბამას, კენტუკისა და ტენესის ორგანიზაციები მთელი სერიოზულობით ფიქრობენ იმაზე, რომ ომი გამოუცხადონ მოქმედ ხელისუფლებას. „ჩვენ წარმოვადგენთ ნამდვილ ამერიკას, — ამბობს კუ-კლუქს-კლანის ტეხასური ფრთის წარმომადგენელი ჯო ჰილი, — ნეონაცისტების იდეოლოგიას 200 მილიონი ამერიკელი უჭერს მხარს“.

მრავალი ექსტრემისტი დარწმუნებულია, რომ, თუ სამოქალაქო ომი დაიწყება, მათ მხოლოდ ორ სუბიექტთან — კოლუმბიის ოლქთან (კერძოდ, ქალაქ ვაშინგტონთან) და ნიუ იორკის შტატთან მოუწევთ ბრძოლა. ამ ტერიტორიების მოსახლეობა და ჩინოვნიკები, ნეონაცისტების აზრით, არიან პირველები, ვინც ქვეყანას გარდაუვალი კრახისაკენ ექაჩებიან. „ყველაზე მეტად მთელი მსოფლიოს პაციფისტებს იმის ეშინიათ, რომ პლანეტის რომელიღაც ქვეყანა ნაცისტურ გერმანიად იქცევა, — ამბობს „გლობალური ექსტრემიზმის საწინააღმდეგო კოალიციის“ ექსპერტი სემ ხაზელდაინი, — სინამდვილეში ნაცისტური გერმანია უკვე არსებობს და ის ამერიკის შეერთებული შტატების ორ მესამედს მოიცავს...“

ათი ათასობით ამერიკელი ბავშვი ნეონაციზმის პრინციპებზე იზრდება. სვასტიკა, ჰიტლერის პორტრეტი და ლათინოსების, შავკანიანებისა და ებრაელების განადგურების მოწოდებები ათასობით სახლის ფასადს „ამშვენებს“. „ჩვენ საკუთარი წესები და კანონები გვაქვს, — ამბობს ANP–ის წევრი მასაჩუსელი ფრანც მასტერსონი, — ჩვენ არ ვუყურებთ ფედერალურ ტელეარხებს, არ ვკითხულობთ სამთავრობო გაზეთებს. ჩვენს შეხედულებებს იზიარებს ყველა — პოლიციელიდან მოხუცამდე. ჩვენ შეიარაღებულნი და ბრძოლისათვის მზად ვართ“. CAGE-ს მონაცემებით, სწორედ პოლიციაა ნეონაცისტების არსებობის გარანტი. „აშშ-ში ყოველი მეოთხე შერიფი რასისტულ შეხედულებებს იზიარებს, — განაგრძობს ჰაზელდაინი, — ჩვენ არ შეგვიძლია, საპასუხისმგებლო თანამდებობაზე შავკანიანი, ებრაელი ან დემოკრატი დავნიშნოთ ქალაქებში, სადაც ნეონაცისტები ცხოვრობენ; წინააღმდეგ შემთხვევაში სისხლისღვრა გარდაუვალია...“

ალბათ, იკითხავთ, რატომ არ ებრძვის ფედერალური ხელისუფლება ექსტრემისტულ ორგანიზაციებს, პასუხი მარტივია: ნეონაციზმის აყვავებით უფრო მეტია დაინტერესებული, ვიდრე მისი განადგურებით.

**ევგენი ნოვიცკი**
**russian-bazaar.com**

## მუმიას თითი დაუბრუნეს



**ეგვიპტის ხელისუფლებას დაუბრუნეს ფარაონ ეხნატონის მუმიის თითი, რომელიც XX საუკუნის დასაწყისში მოიპარეს და ქვეყნის ტერიტორიიდან გაიტანეს.**

შეგახსენებთ, ფარაონი ეხნატონი სახელგანთქმული ტუტანჰამონის მამა, პირამიდების ქვეყნის XVIII დინასტიის წარმომადგენელი იყო და მას ჩვენს წელთ აღრიცხვამდე XIV საუკუნის შუა პერიოდში მართავდა.

1907 წელს სამეცნიერო გამოკვლევისას ფარაონის მუმიას თითი მოჰპარეს და ქვეყნიდან გაიტანეს. რელიქვია სამშობლოს შვეიცარიელი მეცნიერის წყალობით მხოლოდ ას წელზე მეტი ხნის შემდეგ დაუბრუნდა. ეს მეცნიერი ნებაყოფლობით დაუკავშირდა თავის კოლეგებს უამრავ ქვეყანაში, მოძებნა ფარაონის თითი და მის სამშობლოში გაგზავნასაც მიაღწია.

ეგვიპტიდან ათეულათასობით არქეოლოგიური ძეგლია დაკარგული, მათგან 30 ათასი არტეფაქტის სამშობლოში დაბრუნება უკვე მოხერხდა.

## ვაკანსია, რომელზეც კანდიდატურა არ მოიძებნა




**ზიმბაბვეს მკაცრი რეჟიმის ციხეში ჯალათის ვაკანსიაა გამოცხადებული. ამ თანამდებობაზე აქამდე მომუშავე ადამიანმა სამსახურიდან წასვლა გადაწყვიტა. საქმე ძალიან ცუდადაა, ვინაიდან ის ერთადერთი იყო მთელს ქვეყანაში, ვინც სასიკვდილო განაჩენებს აღასრულებდა. ციხის თანამშრომლები ამბობენ, რომ მამაკაცს, რომელსაც ყველა სიკვდილმისჯილის ჩამოხრჩობა უწევდა, სინდისი ქენჯნიდა და ხელშეკრულების ვადის ამოწურვისთანავე შვებით ამოისუნთქა.**

სამაგიეროდ, ციხეს გაუჩნდა სადარდელი — მის შემცვლელს მთელი ქვეყნის მასშტაბით ეძებენ და ვერ პოულობენ. კანდიდატურის მიმართ რაიმე განსაკუთრებული მოთხოვნები არავის აქვს — საკმარისია საშუალო განათლება და ადამიანების ჩამომხრჩობად მუშაობის სურვილი.

არც სამუშაო ექნება მაინცდამაინც ბევრი, უკანასკნელად ზიმბაბვეში სასიკვდილო განაჩენი 2004 წელს აღსრულდა. 1980 წლიდან, ანუ მას შემდეგ, რაც აფრიკულმა ქვეყნებმა ბრიტანეთისგან დამოუკიდებლობა მიიღეს, ზიმბაბვეში სულ 78 ადამიანი დასაჯეს სიკვდილით. ახლა სიკვდილმისჯილთა კამერებში განაჩენის აღსრულებას 50 ადამიანი ელის.

## ქურდი, რომელიც ამანათში ზის




**პოლონელმა ქურდმა შენობაში გასაქურდად შეღწევის უჩვეულო მეთოდი გამოიგონა. იგი მხოლოდ ბიზნეს-ცენტრებსა და ოფისებში „მუშაობდა“, დანიშნულების ადგილამდე მიღწევა კი ყოველთვის არ იყო შესაძლებელი.** ერთ-ერთი ამგვარი წინააღმდეგობის დასაძლევად, ის ამანათის ყუთში ჩაჯდა და იმ შენობის მისამართი დააწერა, რომელშიც შეღწევა სურდა. ღამით, მას შემდეგ, რაც ამანათს დანიშნულების ადგილას მიიტანდნენ, ქურდი ყუთიდან ამოძვრებოდა და ყველაფერს, რაც მოეწონებოდა, მეორე ყუთში ალაგებდა, თავად კი ძველ სამალავში ბრუნდებოდა. შემდეგ ორივე ყუთი საფოსტო გზავნილის სახით მის სახლში მიჰქონდათ.

დამნაშავე პოლიციამ მას შემდეგ დააკავა, რაც ქურდი ფოსტის კურიერმა დააბეზღა, რომელიც მას ეხმარებოდა.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ყველაზე უცნაური ცხოველები

**ფოთლოვანი ზღვის დრაკონი** ზღვის თევზია, რომელიც აღმოსავლეთ და დასავლეთ ავსტრალიის სანაპიროს წყლებში ბინადრობს, ფოთლის მაგვარი წანაზარდებით ინიღბება და მკერდის ფარფლით გადაადგილდება. იზრდება 45 სმ-მდე. სხვათა შორის, ზღვის დრაკონი სამხრეთ ავსტრალიის შტატის ოფიციალური ემბლემაა.



**აქსოლოტლი** ამბისტომებრთა ოჯახის ჭუპროვანი წარმომადგენელია, რომელიც მექსიკის მთის გუბურებში ბინადრობს. თავზე გრძელი, გაბურძგვნილი წანაზარდები და ფართო კუდი აქვს, რაც ცურვაში ეხმარება. აქსოლოტლი ლაყუჩებითაც სუნთქავს და ფილტვებითაც. სიგრძით 30 სმ-ს აღწევს.



თევზი-წვეთი ატლანტის, წყნარსა და ინდოეთის ოკეანეებში სახლობს, ისეთ სიღრმეებში, სადაც წნევა ზღვის დონისაზე რამდენიმე ათეულით მეტია. ამიტომაც წყლისაზე რამდენჯერმე ნაკლები სიმკვრივის გელისებური მასისგან შედგება.





**ზარმაცა** ძუძუმწოვარა ცხოველია, რომელიც ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში ბინადრობს. დღე-ღამეში 15 საათი სძინავს, იკვებება დაბალკარლორიული ფოთლებით და საკვებს ერთი თვის განმავლობაში ინელებს. მაძარაი ზარმაცას წონის 2/3 მის სავსე კუჭზე მოდის. ცხოველი გრძელკისერაა, რათა საკვებს იოლად მისწვდეს. ძალიან არ უყვარს ხიდან ჩამოძრომა და ეს მისთვის სახიფათოცაა. ზარმაცა 4,09 კგ-ს იწონის და სიგრძით 60 სმ-ს აღწევს.



**დამბო ოქტოპუსი** პატარა და თავისებური რვაფეხაა, თავფეხიან მოლუსკთა წარმომადგენელი. ბინადრობს ტასმანიის ზღვაში. რვაფეხას სხეულის შუაში წყვილი საკმაოდ გრძელი, ნიჩბისმაგვარი ფარფლი აქვს, რომლებიც ძალიან წააგავს ყურებს. საცეცებს შორის უმბრელად წოდებული სიფრიფანა აპკი აქვს, რომელთა მეშვეობითაც გადაადგილდება. ოქტოპუსი ადამიანის ხელისგულისოდენაა.

**აი-აი** ღამეული პრიმატებიდან ყველაზე დიდი ცხოველია. ბინადრობს აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ მადაგასკარზე, იმავე ეკოლოგიურ ნიაშაში, სადაც კოდალები. იკვებება მათსავით — ჭიაყელებითა და ჭუპრებით. 2.5 კგ-ს იწონის და სიგრძით 44-53 სმ-ია. აი-აი პლანეტის ერთ-ერთი უიშვიათესი ცხოველია.



**ვარსკვლავცხვირა** თხუნელათა ოჯახის წარმომადგენელია, ბინადრობს აშშ-ის ჩრდილო-დასავლეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ კანადაში. იკვებება მწერებით.

თავისი ოჯახის სხვა წარმომადგენელთაგან განსხვავდება დინგით, რომელიც 22 შიშველი და მოძრავი საცეცისგან შედგება.



# ყველაზე ძვირადღირებული წიგნები

**გუტენბერგის ბიბლია**

პირველი წიგნია, რომელიც ბეჭდვის მოძრავი მეთოდით დაიბეჭდა. გამოიცა 1456 წელს, სულ 180 ეგზემპლარი, მათგან 45 — პერგამენტზე, დანარჩენები წყლისნიშნიან იტალიურ ქაღალდზე დაიბეჭდა. სხვა პირველნაბეჭდი გამოცემებისგან გაფორმების ხარისხით გამოირჩევა. ჩვენამდე სულ 21 წიგნმა მოაღწია. თითოეულის ფასი 25-35 მლნ დოლარია.



**ლესტერის კოდექსი**

ლეონარდო და ვინჩის სამეცნიერო ჩანაწერებისა და ესკიზების ეს 72-გვერდიანი კრებული წყლის დინებებზე, ასტრონომიასა და გეოლოგიაზე ჩანაწერებსა და ნახატებს შეიცავს.

1717 წელს წიგნი გრაფმა ლესტერმა შეიძინა და ის დღემდე გრაფის სახელს ატარებს.

1994 წელს ბილ გეიტსმა ლესტერის კოდექსი 30.8 მლნ დოლარად შეიძინა.



**ამერიკის ფრინველები**

ჯონ ჯეიმს ოდიუბონის ეს წიგნი ჩრდილოეთ ამერიკის ფრინველტა აღწერასა და ილუსტრაციებს მოიცავს. წიგნი 1827 წელს გამოქვეყნდა და მაშინვე საზოგადოების მოწონება დაიმსახურა. 2000 წლის მარტში 120 ეგზემპლარიდან ერთ-ერთი კატარის შეიხმა 8.8 მლნ დოლარად შეიძინა.






**პტოლემეუსის გეოგრაფია**

ეს ჩვენი წელთაღრიცხვით მეორე საუკუნის კარტოგრაფიის კრებულია. 147 წელს ეს რუკები პირველად დაიბეჭდა. 2006 წელს ერთ-ერთი ეგზემპლარი 3.9 მლნ დოლარად გაიყიდა.




**შექსპირის პიესების პირველი გამოცემა**

1632 წელს გამოცემული ეს წიგნი 900-გვერდიანი იყო და 36 პიესას შეიცავდა. მსოფლიოში მისი 228 ასლი არსებობს. წიგნი 22.6 მლნ დოლარადაა შეფასებული.



**მერკატორის ატლასი**

ფლამანდიელმა კარტოგრაფმა გერარდ მერკატორმა პირველმა შექმნა მსოფლიოს რუკის ცილინდრული პროექცია, რომელიც ამჟამადაც გამოიყენება. ისი პროექცია იმით გამოიჩევა, რომ რუკებზე არ მრუდდება კუთხეები და ფორმები, ხოლო მანძილი ნარჩუნდება მხოლოდ ეკვატორზე. დღეს მერკატორის ატლასი გამოიყენება საზღვაო ნავიგაციური და აერონავიგაციური რუკების შესადგენად. პირველად რუკამ 1595 წელს, თავისი შემქმნელის გარდაცვალების შემდეგ იხილა დღის სინათლე. ატლასი შეიცავს ტრაქტატს სამყაროს შექმნის შესახებ და 107 რუკას გეოგრაფიული არწერილობებით, რომელთაგან 102 თავად მერკატორმა შექმნა. მრავალი წლის შემდეგ, 1967 წელს რუკები შემთხვევით აღმოაჩინეს ბელგიაში. 1997 წელს ისინი ბრიტანეთის ბიბლიოთეკამ 1.423 მლნ დოლარად შეიძინა.

**„იქ, სადაც ურჩხულები სახლობენ“**

ეს მორის სენდაკის 1963 წელს გამოცემული პოპულარული საბავშვო ზღაპრების პირველი გამოცემაა.

1979 წელს ამ წიგნის მოტივებზე ოპერაც კი შეიქმნა. შარშან ამ ისტორიის ეკრანიზაციაც განხორციელდა.




**ტამერლანი და სხვა ლექსები**

ეს ედგარ პოს პირველი წიგნი იყო. 1827 წელს 18 წლის პომ, რომელიც შემდგომში დეტექტიური ლიტერატურის ფუძემდებელი გახდა, თავისი პირველი კრებული — „ტამერლანი და სხვა ლექსები“ დაბეჭდა, თუმცა წიგნი არ გამოიცა. კრებულის ტირაჟი 40-50 ეგზემპლარს შეადგენს და მხოლოდ 12 მათგანია დღემდე შემონახული. ერთი მათგანი კრისტის აუქციონზე გაიყიდა 662.500 დოლარად. კრებული ედგარ პომ დაბეჭდა ფსევდონიმით — „ბოსტონელი.“



საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ყველაზე იშვიათი და ძვირადღირებული ლოტები



მხატვარ **ლუსიენ ფრეიდის ტილო** Benefits Supervisor Sleeping 2008 წლის 13 მაისს ლონდონში, კრისტის აუქციონზე 33.600.000 დოლარად გაიყიდა.




**აბრაამ ლინკოლნის პორტრეტიანი იშვიათი მარკა** 2009 წლის 13 ივნისს ნიუ იორკში აუქციონზე 431.250 დოლარად გაიყიდა. ლოტი „მაცივრის მარკადაა“ ცნობილი, ვინაიდან კონვერტი, რომელზეც ეს მარკა იყო დაკრული, ბოსტონიდან მაცივრის კამერით გაიგზავნა ინდოეთში 1873 წელს. მარკა მის თავდაპირველ მფლობელს ინდიანოპოლისში 1967 წელს მოჰპარეს, ხოლო 39 წლის შემდეგ ჩიკაგოში, ძველი განგსტერის სახლში აღმოაჩინეს.

ეს **გლობუსი**, რომელიც ოდესღაც **ადოლფ ჰიტლერის** საკუთრება გახლდათ, 2007 წლის ოქტომბერში სან-ფრანცისკოში, გრეგ მარტინის აუქციონზე 100.000 დოლარად გაიყიდა.

გლობუსი ამერიკელმა ჯარისკაცმა ფიურერის სახლიდან 1945 წელს აწაპნა.



**ადოლფ ჰიტლერის წიგნის „Mein Kampf“ ასლი** 2009 წლის 13 აგვისტოს ინგლისში, აუქციონზე 34.900 დოლარად გაიყიდა. მყიდველი ანონიმად დარჩა და გარიგებაც ტელეფონით მოახდინა. ეს ასლი მეორე გამოცემად მიიჩნევა, რომელიც ჰიტლერმა თავის თანამესაკნეს 1925 წელს აჩუქა.





**ოქროს თასი**, რომელიც წლების განმავლობაში მეწვრილმანის შვილიშვილის საწოლის ქვეშ ინახებოდა, 2008 წლის 25 ივნისს დიდ ბრიტანეთში, აუქციონზე 100.000 დოლარად გაიყიდა. ეს სპარსული არტეფაქტია ორსახოვანი რომაული ღმერთის — იანუსის გამოსახულებით.

**ბარათი,** რომელშიც **ალბერტ აინშტაინი** რელიგიისადმი თავის ამრეზილ დამოკიდებულებაზე წერს, 2008 წლის 16 მაისს ლონდონის აუქციონზე 404.000 დოლარად გაიყიდა. ინკოგნიტო მყიდველი აღწერეს, როგორც „თეორიული ფიზიკით გატაცებული კოლექციონერი.“





ბრილიანტებით მოოჭვილ ჩარჩოში ჩასმული **პეტრე I-ის იშვიათი მინიატიურა** 2009 წლის 2 ნოემბერს ნიუ იორკის აუქციონზე 1.300.000 დოლარად გაიყიდა. არიზონელმა ჯორჯ რობერტსმა ის ლონდონელი დილერისგან 1951 წელს იყიდა ისე, რომ ათეულობით წლების განმავლობაში, სანამ არ შეაფასებინა, მის ღირებულებაზე წარმოდგენა არ ჰქონდა.




1950-იან წლებში 9 წლის ბიჭუნამ ამ 1938 წელს გამოცემულ **კომიქსში** 35 ცენტი გადაიხადა. ეს პირველი კომიქსი იყო, რომელშიც სახელგანთქმული სუპერმენი გამოჩნდა. კომიქსების ფანატმა და ჯგუფ System of a Down-ის წევრმა ჯონ დოლმაიანმა კომიქსი 317.200 დოლარად შეიძინა.



გამოუყენებელი **სამაშველო ჟილეტი** სახელგანთქმული „ტიტანიკიდან“ ნიუ იორკში 2008 წლის 25 ივნისს გამართულ აუქციონზე 68.500 დოლარად გაიყიდა. ჟილეტი ჰალიფაქსის სანაპირო ზოლზე მას შემდეგ იპოვეს, რაც ხომალდი ნიუფაუნდლენდის მახლობლად 1912 წელს ჩაიძირა.



**„თავისუფლების დიდი ქარტიის“ 1297 წლის ასლი** 2007 წლის დეკემბერში ნიუ იორკში, სოთბის აუქციონზე 21.321.000 დოლარად გაიყიდა. Magna Carta დიდი ბრიტანეთის ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია.



**1961 წლის გამოშვების Ferrari California Spyder,** რომლის მფლობელიც ოდესღაც მსახიობი ჯეიმს კობურნი იყო, იტალიაში 2008 წლის 18 მაისს 10.894.900 დოლარად გაიყიდა.



ეს იშვიათი, **7.03-კარატიანი ცისფერი ბრილიანტი** ჟენევის აუქციონზე 2009 წლის 12 მაისს სარეკორდო ფასად — 9.490.000 დოლარად გაიყიდა. ეს ლოტი ყველაზე ძვირადღირებული იყო ძვირფასი ქვებიდან. ბრილიანტი 2008 წელს სამხრეთ აფრიკაში, კულინანის ისტორიულ შახტაში აღმოაჩინეს.




ნიუ იორკელმა ქირურგმა გაზეთ „Datebook“-ის 1966 წლის სექტემბრის გამოცემაში, რომელსაც **ჯონ ლენონის ხელმოწერა** ამშვენებდა, 12.713 დოლარი გადაიხადა. გაზეთში ლენონის ცნობილი ციტატაა იმის შესახებ, რომ „ბითლზი“ იესოზე პოპულარულია.



მეორე მსოფლიო ომისდროინდელი **„Spitfire“-ს გამანადგურებლის** ეს იშვიათი ორადგილიანი ვერსია 2009 წლის 20 აპრილს ლონდონის აუქციონზე 2.530.000 დოლარად გაიყიდა. თავგადასავლების მაძიებელი ბრიტანელ სტივ ბრუქსს, რომელმაც თვითმფრინავში სარეკორდო ფასი გადაიხადა, მიაჩნია, რომ „ამგვარი ნივთები იმისთვისაა შექმნილი, რომ ისინი გამოიყენო.“

ერთი გარდაცვლილი კაცის ნათესავებმა 1937 წლის გამოშვების იშვიათი **ავტომანქანა Bugatti Type 57S Atlante** მის ავტოფარეხში (ინგლისი, ჰოსფორტი) აღმოაჩინეს. ეს ამ მოდელის 17 არსებული ავტომანქანიდან ერთ-ერთია. ის 2009 წლის 7 თებერვალს პარიზში 4.400.000 დოლარად გაიყიდა.



ბოლო ათწლეულების ერთ-ერთი უდიდესი (101.27 კარატი) **უფერო ბრილიანტი**, რომელიც გვირგვინს ამშვენებს, 2008 წლის 28 მაისს ჰონკონგში კრისტის აუქციონზე 6.210.000 დოლარად კერძო პირმა შეიძინა.





**კლოდ მონეს ტილო „დუმფარებიანი გუბურა“** 2008 წლის 24 ივნისს ლონდონის აუქციონზე 80.000.000 დოლარად გაიყიდა.

# «ნაცებმა» ქართულ ფეხბურთს მიწა ზესტაფონშიც მიაყარეს

**„საქართველო და მსოფლიო“ წინა ნომერში ორი კვირის უკან ზესტაფონში, საფეხბურთო დაპირისპირების დროს განვითარებულ მოვლენებზე წერდა. არ გასულა დიდი დრო და საფეხბურთო კლუბი „ზესტაფონი“, ფაქტობრივად, აიძულეს ზესტაფონიდან წამოსულიყო და თბილისში დაედო ბინა. ჩვენთან ფეხბურთი პოლიტიზირებული რომაა და გუბერნატორების რინგად იქცა, კარგად იცის ჩვენმა მკითხველმა. ზესტაფონში კი ყველაფერი უფრო ადრე დაიწყო. რატომ უშლის ადგილობრივი ხელისუფლება კლუბის ხელმძღვანლობას ხელს და გახდება თუ არა „ზესტაფონი“ ბათუმის გუნდი?**





ხშირად გაიგონებთ, რომ საქართველოში ფეხბურთზე, კონკრეტულად კი, ეროვნულ ჩემპიონატზე მაყურებელი არ დადის. ზესტაფონს ეს ნამდვილად არ ეხება. კლუბის ხელმძღვანელობამ, დიდი ხნის ბრძოლის შემდეგ, ადგილობრივ მუნიციპალიტეტს სტადიონი „გამოსტაცა“, მოაწესრიგა, საფარი დააგო, ტრიბუნები გააკეთა, უახლესი აპარატურა ჩამოიტანა, ფეხბურთის მატჩების გადაღება რამდენიმე რაკურსით რომ შეძლონ, ასევე თამაშის დროს თითოეული ფეხბურთელის სტატისტიკური მონაცემი დაითვალონ; დააყენეს პროჟექტორები. მოკლედ, აქ ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ ზესტაფონი პატარა საფეხბურთო ქალაქად ქცეულიყო. ყოველ შაბათ-კვირას ფეროში ამომწვარი ადამიანები სიხარულით ელოდნენ საკუთარი გუნდის გასამხნევებლად სტადიონზე წასვლას.

**თამაშის დღეს ზესტაფონში დილიდან მანქანებით მსვლელობა ეწყობოდა, აფრიალებდნენ დროშებს და ხალხს მოუწოდებდნენ, საღამოთი სტადიონზე მისულიყვნენ. სტადიონი თითქმის ყველა თამაშზე ივსებოდა. 8 000 ზესტაფონელი ყოველკვირა ბოლო კაპიკს ხარჯავდა საყვარელი გუნდის მხარდასაჭერად.**

საქართველოში ფეხბურთის „კეთება“ ადვილი და იაფი ნამდვილად არ არის, არც მომგებიანია და გამოდის, რომ ფულს მხოლოდ ხარჯავ. „ზესტაფონის“ პრეზიდენტი ილია კოკაია სამი წლის განმავლობაში იბრძოდა იმისთვის, რომ კლუბის ბაზის ასაშენებლად ტერიტორია გამოეყოთ. ადგილობრივმა ხელისუფლებამ მას საშუალება არ მისცა, დროულად დაეწყო ინფრასტრუქტურის მშენებლობა. სათანადო მხარდაჭერა ადგილობრივი ხელისუფლებისგან ამ გუნდს (კარგად ცნობილი კირკიტაძის რუსთავის „ოლიმპისგან“ განსხვავებით, რომელსაც სურვილს ხელისუფლება გაჩენისთანავე უსრულებს) არასდროს ჰქონია;

ახლახან გავრცელდა ხმა, რომ საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონს“ ზესტაფონში თამაშის უფლებას არ აძლევენო, რამაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. თავის მხრივ, კლუბმაც განაცხადა, რომ ამ ეტაპისთვის ასე იყო საჭიროო; კულუარებში კი ამას, კლუბის ხელმძღვანელობას ადგილობრივ ხელისუფლებასთან კონფლიქტი რომ ჰქონოდა, იმით ხსნიდნენ.

**„საქართველო და მსოფლიომ“ გაარკვია, რომ გუნდში ზესტაფონის მაჟორიტარი დეპუტატის — კახა გეწაძისა და გამგებლის ახლობელი მიუყვანიათ სინჯზე. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა პროტექტორები „არაფრად ჩააგდო“, უნიჭო ფეხბურთელი გუნდში არ დაიტოვა და ომიც გაჩაღდა. „ნაცებს“ დაუქადნიათ, არ გაგახარებთო. შიდა სამზარეულოში რა და როგორ განვითარდა, ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ ჭორებმაც არ დაახანა.**

გუნდი 20 მაისამდე თბილისში იქნება, აქვე ივარჯიშებს და ითამაშებს. სეზონის დასრულების შემდეგ, გავრცელებული ხმებით, „ზესტაფონი“ ბათუმის გუნდი გახდება. ისევ და ისევ ხელისუფლებასთან მივყავართ ხმებს. აჭარის მთავრობის ხელმძღვანელი ლევან ვარშალომიძე, ნუ იტყვით და, თურმე მოლაპარაკებებს მართავს გუნდის ხელმძღვანელობასთან, ბათუმში რომ გადაბარგდნენ და იქ ითამაშონ; გაგრის „გაგრა“ კი, რომელიც თბილისში თამაშობს, ზესტაფონის გუნდი გახდება.

გარდა ამისა, რამდენიმე სპორტულმა გამოცემამ და საიტმა „ზესტაფონის“ მიმართ დაწყებული აგრესია შავი პიარით, შეგნებულად თუ შეუგნებლად, გააგრძელა და კლუბის პრეზიდენტზე რამდენიმე ცუდი მასალა დაწერა. მოგვიანებით კი გაირკვა, რომ ზოგიერთი ამბავი ჭორი „ყოფილა“, მაგრამ ერთი რამ ცხადია, ამ გუნდზე შეგნებულად ახდენენ ზეწოლას. თურმე, **ნუ იტყვით და, ზოგი „კირკიტას“ შეეკრა; გუნდის გულშემატკივრები კი არავის გახსენებია და, ალბათ, არც არავის ადარდებს.**

**მაგდა კლდიაშვილი**

**P.S. „ზესტაფონის“ ხელმძღვანელებს ამ პრობლემის „მარტივად“ გადაჭრა შეეძლოთ და მოახერხებს კიდეც. ახლავე აგიხსნით, როგორც: 30 მაისს თვითმმართველობის არჩევნებია. სტადიონზე მისული მაყურებელი და მათი ოჯახის წევრები პოტენციური ამომრჩევლები არიან. მხოლოდ ერთი მინიშნება უნდა გულშემატკივარს და „ნაცები“ კარგად დაინახავენ, როგორ დასრულდება ფეხბურთში „ხელების ფათური“ და ზესტაფონელებისთვის ფეხბურთის წართმევის მცდელობა არჩევნების წაგებით. ზესტაფონელებო, „დააშანტაჟეთ“ „ნაცები“!**


# მიირთვით «კაპრიჩოს» ტკბილეული სურვილისამებრ

**თბილისში გაიხსნა იტალიური საკონდიტრო „კაპრიჩო“, რომელიც ახალი სიტყვაა საკონდიტრო წარმოებაში. პროდუქცია მსოფლიო სტანდარტის ტექნოლოგიებითაა შექმნილი. ეკოლოგიურად სუფთაა და ფასებიც ყველასათვის ხელმისაწვდომია.**



**„კაპრიჩო“** (იტალ.) ნიშნავს — **სურვილისამებრ** — ამდენად, ის მართლაც რომ აკმაყოფილებს ყველა ასაკის მომხმარებლის მოთხოვნას.

კომპანია, ძირითადად, ორიენტირებულია კრემიან და ფენოვან ნამცხვრებზე, ისეთებზე, როგორიცაა: კრუასანები, როგოლახი, როზენსი, ტორტი და სხვა კრემიანი ნამცხვრები. ეს ნამცხვრები მთელ მსოფლიოში ძალიან პოპულარულია. ახლო მომავალში ასორტიმენტი უფრო გაიზრდება. ამასთან, საკონდიტრო მიიღებს შეკვეთებს ექსკლუზიურ ნამცხვრებზე.

ნებისმიერი სახეობა არის **„ფრეში“,** ანუ ახალი, ასევე, კომპანიის კაფეში შეგიძლიათ, დააგემოვნოთ ნამდვილი იტალიური პიცა და ქართული ხაჭაპური, რომელშიც გამოყენებულია ინოვაციური ელემენტები.

**ასჯერ გაგონილს — ერთხელ გასინჯვა სჯობს!**

**კომპანიის დევიზი მისსავე სახელწოდებაშია, რომელიც სურვილისამებრ განგაწყობთ ტკბილი სიამოვნებისათვის.**

კომპანია 2009 წლის დეკემბერში შეიქმნა და მისი დამფუძნებლები არიან ავტორიტეტული კონდიტერები: რეზო დევდარიანი, დავით ჩხენკელი და თემურ ვაშაკიძე, რომელთა გამოცდილება და ცოდნა კომპანიის წარმატების საწინდარია.



**ახალი პროდუქტი იყიდება შემდეგ მისამართებზე:**
**ყაზბეგის გამზირი №32, ვაჟა-ფშაველას პროსპ. №64,**
**ასევე თბილისის მაღაზიათა ქსელში.**
**ოფისის ტელ. 39-82-50.**

# წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი“ | 602602 |
| შპს „ახტელი“ | 700818 |
| შპს „მაგთიკომი“ | 200320 |
| შპს „ჯეოსელი“ | 700305 |
| შპს „ბილაინი“ | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:
ს.ს „თი ბი სი ბანკის“ ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937; ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით
იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება —
წმ. ანდრია პირველწოდებულის
სამონასტრო კომპლექსი.

ინფორმაციისთვის მიმართეთ
ფონდის დირექტორს,
დეკანოზ თევდორე ბასილაიას:
ქ. ფოთი, ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736, მობ.: (899)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru





მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
რეკლამის მენეჯერი ეთერ კასრელიშვილი (899 110 200)
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. №166/5
ტელ.: 38-41-97; e-mail:info@geworld.net